კვირის პალიტრა
ალბა
N48 (338 ... 6. ფასი 60 თ.

1168
2006

„ბაბის" ჩეპალბური შოუ

ნატალის სახლში ზურას საყვარელი ეწვია

ქალბატონი, რომელმაც ვანო ჯავახიშვილი ვერ დაიმორჩილა

ნუდიზმი საქართველოში ანუ გაიხადე

გაუმხელელი გრძნობები, დაკარგული თაობა და „ლიმონათით" დამთვრალი პატარა გია...

ზალიკო ბერგერმა თბილისში ავსტრიელი დიპლომატი მამიდა — ევა ბერგერი იპოვა

ასწლიანი მოხუცის „ქართულ-ფრანგული ცხოვრება" და საუკუნოვანი ნოსტალგია

შიდსით დაავადებული 26 წლის ლაშასა და 27 წლის ნინოს აღსარება

ახდენილი ნატვრა



მკითხველის ოცნებებს მკითხველები ასრულებენ!

კვირის პალიტრა

ყველა სიახლე

თქვენ შეგიძლიათ, ინატროთ და ნატვრა აიხდინოთ!
თქვენ შეგიძლიათ, ნატვრა აუხდინოთ ადამიანებს!

ამისთვის კი საჭიროა, მონაწილეობა მიიღოთ
„კვირის პალიტრისა“ და „ყველა სიახლის“
ერთობლივ ახალ პროექტში

„ახდენილი ნატვრა“

ᲥᲘᲠᲘᲚᲘ ᲐᲜᲐᲠᲘᲐ
№48 (338)
30 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ – 6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲗᲑᲝ ᲐᲜᲣ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲒᲕᲘᲛᲐᲘᲡᲔᲑᲡ?! 3
■ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
■ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ
ᲜᲐᲢᲝ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲣᲠᲘ“ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ 6
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲝᲠᲘ ᲑᲔᲠᲒᲔᲠᲘ — ᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲚᲘᲙᲝ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ? 9
■ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲣᲙᲣᲠᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ 11
■ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲔᲜ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ 12
■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
✓ ᲨᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ „ᲙᲠᲐᲖᲐᲜᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 14
✓ „ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲛᲘᲛᲘᲖᲜᲔᲑᲓᲐ... 15
■ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ
ᲐᲚᲝ, ᲡᲐᲛᲘ-ᲝᲪᲘᲐ? ᲐᲜᲣ ᲨᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲒᲘᲥᲔᲑᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ? 16
■ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ
ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... 17
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲘᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲝᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ 20
■ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲛᲝᲑᲐ
„ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲝᲒᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲘ, ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲘᲝᲓᲘ“... 22
■ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ
ᲖᲣᲛᲑᲐᲣᲙᲐᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲐᲪᲔᲙᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ... 23
■ ᲨᲝᲣ
ᲣᲨᲘᲨᲐᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲐᲡᲮᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲝᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲓᲐᲥᲐᲚᲔᲑᲘ 25
■ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲐᲡᲔᲗ ᲪᲓᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲣᲫᲔᲚᲘ 26
■ ᲛᲔᲡᲘᲯᲝᲛᲐᲜᲘᲐ
ᲛᲗᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲓ... 29

ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

„ᲜᲣ ᲛᲘᲧᲣᲠᲔᲑ, ᲕᲔᲠ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲐᲒᲔᲑᲘᲜᲝ – ᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ... ᲡᲐ-ᲧᲕᲐ-ᲠᲔᲚᲘ! – ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲚᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲩᲣᲛᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ. ᲛᲔ ᲯᲔᲠ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲘᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ ᲐᲛᲘᲒᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲒᲣᲛᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲘᲛᲘᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ“.

17

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲘᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲡᲐᲒᲣᲚᲓᲐᲒᲣᲚᲝᲓ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲜᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡᲐ. ᲐᲠ ᲐᲛᲩᲔᲚᲓᲐ, ᲠᲝᲛ 84-ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, 102 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ. ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲠᲝᲛ ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ, ᲗᲥᲕᲐ: ᲪᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, 102 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲕᲘᲜᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲕᲔᲑᲐ, 84 ᲬᲚᲘᲡᲐᲡ ᲙᲘ, ᲠᲐᲒᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲐᲝ...

20

„ᲑᲔᲠᲒᲔᲠᲔᲑᲘ, ᲑᲔᲠᲒᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠᲗ“...

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲣᲤᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲮᲐᲠ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲖᲘᲮᲐᲠ, ᲤᲔᲮᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲒᲐᲮᲐᲠ, ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑ. ᲐᲚᲐᲤᲣᲠᲨᲔᲗᲒᲖᲔ ᲙᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ, ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲮᲐᲠ, ᲤᲔᲮᲖᲔ ᲓᲒᲐᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕ“.

9

„ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲪᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ“...

„ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲔᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲕᲘᲦᲔᲑ. ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲒᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲣᲠᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲘᲗ ᲮᲐᲠ ᲓᲐᲡᲜᲔᲑᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ“.

11

ᲗᲘᲙᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲐᲕᲢᲝᲐᲕᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐ

„...ᲕᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲓᲘ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜ ᲥᲐᲠᲘᲛᲝᲕᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘ „ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ“ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲗ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ, ᲒᲖᲐᲖᲔ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲛᲐ, ᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲢᲐᲜᲐ, ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲕᲘᲐ. ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ – ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ...“

5

■ საკითხავი ქალებისთვის
შოკოლადი ნაოჭების წინააღმდეგ 31
■ ანტიდეპრესანტი 32
■ იმიჯი
„ჩემი პატარას ტირილი მაკიაჟის
გაკეთებისას ხელს არ მიშლის“... 32
■ ჯანმრთელობა
✓ ცოცხალი მინიშპრიცი 34
✓ თუ პატარას კბილები ეჭრება 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
■ ვარსკვლავი
ბილ მიურეი: „სამწუხაროდ,
შერონ სტოუნთან სასიყვარულო
სცენას მხოლოდ სამი დუბლი დასჭირდა“ 42
■ ბომონდი 44
■ შინ
იდეალური წყვილის
„პირველი ნახევარი“
საპარლამენტო უმრავლესობაში
გადასვლას გვპირდება 45
■ წარმატება
„ბორჯღალოსანთა“ წარმატება 46
■ ასპარეზი
ლევან კობიაშვილი:
„ტოპმიოლერმა დისციპლინა დაამყარა“ 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ ფესვები
მიხეილ ქავთარაძის ასწლიანი
„ქართულ-ფრანგული ცხოვრება“
ანუ საუკუნოვანი ნოსტალგია 54
■ ტაძარი
სულიწმიდის მადლით შემოსილი
მამა ილარიონ ქართველი 55
■ შეუცნობელი
გზავნილი შორეული წარსულიდან... 57
■ ობიექტივი
გაიხადეთ, ოღონდ — არა სექსისთვის! 58
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ პოროსკოპი
კვირის (30 ნოემბერი — 6 დეკემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66
■ თინეიჯერული პონტები
„რონდოს“ წევრს უცნობი
მამაკაცი მოტაცებით ემუქრება 67
■ ქორწილი
ემზარ კვიციანის ნათლული, სვანების ბენდენიანი
პატარძალი და დაკანონებული ურთიერთობა 68
■ ავტო 69
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

საუკუნოვანი ნოსტალგია

ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში მიხეილ ქავთარაძემ კარგად გააცნობიერა, რომ საზღვარგარეთ ცხოვრება სულაც არ ჰგავდა სამოთხეს. სწავლის გაგრძელებაზე ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

54

ქალის ხასიათის ამოცნობა მისი ჩანთის მიხედვით შეიძლება

საქმიანი სტილის ჩანთა შემდეგს გვამცნობს: ჩემი პატრონი საქმიანი ქალია, რომელმაც დროის ფასი იცის. ასევე, ის ყურადღებით ეკიდება როგორც თავის, ასევე კოლეგების საქმიანობას.

30

„სასიყვარულო სცენას სამი დუბლი დასჭირდა“...

„ისევე, როგორც ცხოვრებაში, ეკრანზეც ბუნებრივად ვიქცევი. დაე, პარტნიორის რეპლიკას ჩემი შინაგანი ავტომოპასუხე გამოეხმაუროს. ზედმეტი „თამაში“ საჭირო არ არის“.

42

თეთრი სიკვდილი

— წეღანაც გითხარი, რომ მაგარი არიფი ხარ, — მშვიდად ჩაილაპარაკა რომანმა. — შენს მოსაქესტად მიზეზების გამოძებნა არ მჭირდება და მამაშენსაც არ დაუვალებია ეს.

— მაშინ, რაგომ — არა? — ბრაზით ისროლა ნიკამ.

— იმიტომ, რომ არ მიყვარს სხვის იმედზე ყოფნა... მოთხოვნა უკვე გავგზავნე. დანარჩენი მხოლოდ დროის საკითხია, — უპასუხა რომანმა.

50

დაპირებული სითბო ანუ იანვარს ვინ გაგვიმაისებს?!

მთელი მსოფლიოს ენერგომატარებლები საქართველოზე გადის და მაინც არაა ჩვენი საშველი. ესაა საქმე?! დადგა დაპირებული „თბილი“ ზამთარი და ისევ გაყინვის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. არა, არჩევანი ბევრი გვაქვს, მაგრამ გაზი არა გვაქვს: რუსეთმა გაგვიძვირა და ჩვენმა მთავრობამ უთხრა — რა ამბავია 230 დოლარი, შემოსასვლელში 200 დოლარად ყრიაო...

კი ბატონო, არის ირანული გაზი, მაგრამ აქ ამერიკამ წამოყო თავი, გაზს ირანისგან თუ იყიდით, ჩემი გრანტი არ იქნება თქვენს ოჯახშიო — „რა გინდა, რომ ქნა?!“ ირანის გაზს ვერ იყიდი, რადგან ამერიკას ვერ აწყენინებ; რუსეთის გაზის ფასს რომ

დათანხმდე, სიტყვის უკან წაღება გამოდის. ანუ, რჩება მესამე ვარიანტი — სიცივე, უგაზობა და გაყინვა... დარბიან ჩვენი ქვეყნის -- პირები სამიტიდან სამიტზე. იქნებ, რამე გააჩალიჩონ. იარონ, მაგას რა სჯობია, თვითმფრინავში მაინც გათბებიან 2-3 საათით. მაგათი გაცივება გვინდა კიდევ?! ისე, ბიზნესის თვალით თუ შეხედავ, არც ეგ უნდა იყოს ურიგო: პრეზიდენტი რომ დააცემინებს და ეტყვი: „სტო ტიშიო“, ის გიპასუხებს — „პაპალამო“. ახლა, პრეზიდენტი თავის სიტყვას ხომ არ გადავა და ერთ დაცემინებაში რომ 50 ათასი დაგრჩება, უკეთესი ბიზნესი რაღა გინდა?!

ბიზნესი ბიზნესად, მაგრამ რა ვქნათ, ამ საახალწლოდ? რა ვქნათ და შევცვალოთ უძველესი ტრადიცია, გავაუქმოთ თოვლის ბაბუების ინსტიტუტი, თოვლის მეტი რა გვექნება დეკემბრის ბოლოს?! ჰოდა, გაზის ბაბუის კულტი შევქმნათ: ბავშვები დაწერენ თავიანთ სურვილებს და დადებენ ნაძვის ხის ძირში; მოვა ღამით გაზის ბაბუა და სურვილების მიხედვით დაუწყობს ნავთს, გაზის ბალონს, შეშას, „კერასინკას“ და ა.შ.

რას გვარგებს ამერიკა-რუსეთ-ირანის შეთანხმება-ვერშეთანხმების ლოდინი, თვითონ უნდა ვიზრუნოთ საკუთარ თავზე და ერთმანეთზე. ენერგოკრიზისსა და ცივი ზამთრისაგან გადარჩენის ერთ ვარიანტსაც შემოგთავაზებთ, პატივცემულო ხელისუფლებავ: გაიხსენეთ ძველი სიმღერა:

„თოვს, თოვს, დამათოვს,
მე მოვიყვან განათხოვს,
გამოცდილი ქალია და
უკეთესად გამათბობს“...

ჰოდა, დავასვენოთ ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი, ისე გადაიღალა და გახდა ბიჭი, რომ ცარიელი დაპირებაღაა დარჩენილი. მის მაგივრად ჩამოვიყვანოთ ალა პუგაჩოვა, რაც მარტო მე ვიცი, კაი სამოცდაათჯერაა განათხოვი და გამოცდილება მაგას რომ აქვს, ისეთი უნდა: ისე გაგვათბობს, იანვარს გაგვიმაისებს...

თუ ამას ვერ მოახერხებთ, ნურც მაგას იჯავრებთ, მე სიცივე-გაყინვაშიც ვხედავ სარგებელს: სიცივე ჯანმრთელობისთვის კარგია, სახის კანს ჭიმავს და ნაოჭები აღარ ჩნდება ანუ გვაახალგაზრდავებს; თან სიცივეში, ფიზიკის კანონის თანახმად, სხეული წონაში იკლებს და აღარც დიეტა სჭირდება ამ ხალხს და აღარც ფიტნეს-ფამფსაუნ-ბელტები; ამას გარდა, რომ იყინები, ასაკი არ გემატება — ხომ ხედავთ, გაყინული ქათამი რამდენ ხანს ძლებს! მოკლედ, ასაკი მხოლოდ გაზაფხულსა და ზაფხულში მოგვემატება, ანუ ერთი წელი მხოლოდ 6 თვედ ჩაგვეთვლება. ასე რომ, 40 წლის ქალს რომ შეხედავ, კი იქნება 20 წლის „წიწკვივით“.

მხოლოდ ერთი მინუსი აქვს ამ ყველაფერს: ცივ(!) გონებაზე ხალხი უფრო საღად აზროვნებს და თუ ამის არ გეშინიათ, კი, ბატონო!!!

PS. *სადარბაზოში გამოკრული გათბობის გრაფიკი:*

„დღეს სადარბაზოს მცხოვრებლები გასათბობად ვიკრიბებით და ერთმანეთს ვეხუტებით გურამ მუმლაძის ოჯახში“.

— რას შვრები, არ მოდიხარ მუმლაძეებში?

— არა, გურამის ცოლი არ მევასება. ერაძეებში გათბობის რიგი რომ მოვა, არ გამომაპარო. აუ, რა ცოლი ჰყავს!..

პროვოკატორი

„სამიტზე ვიწრო წრეში შემდგარი დიალოგიც წინ გადადგმული ნაბიჯია“

— რიგის სამიტზე საქართველოს მისამართით სერიოზული გზავნილები გაკეთდა. ამის პარალელურად, პუტინმა სააკაშვილთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. როგორ შეაფასებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სიახლეებს?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— პუტინმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მართალია, სააკაშვილთან პირისპირ შეხვედრაზე უარი განაცხადა, მაგრამ მათ შორის დიალოგი მაინც შედგა, თანაც — ვიწრო წრეში. რუსეთის საშინაო მდგომარეობის ფონზე, როდესაც რამდენიმე გახმაურებული მკვლელობა მოხდა (რაც პირდაპირ პუტინის რეიტინგს ურტყამს) და როდესაც ქვეყნის შიგნით არსებობს ძალა, რომელიც სიტუაციას ურევს, თან ხელისუფლებისთვის იბრძვის, — პუტინს მეტი ლავირება სჭირდება. ეს ძალა ცდილობს, რუსეთის პრეზიდენტს ისეთი ნაბიჯები გადაადგმევინოს, რომლებიც მათ ინტერესებში შედის. ამ ფონზე, საქართველო ერთ-ერთ სასინჯ ქვად იქცა და ბუნებრივია, პუტინისთვის პოზიტიური ნაბიჯის გადადგმა ადვილი არ იყო. აღსანიშნავია, რომ პუტინი, ელცინისგან განსხვავებით, თავნება პოლიტიკოსი არ არის, რომელსაც შეუძლია, საკუთარ სამხედროებს ავტომატები მიუშვიროს. ამდენად მიმაჩნია, რომ სამიტზე ვიწრო წრეში შემდგარი დიალოგიც წინ გადადგმული ნაბიჯია. დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ ქართულმა მხარემ ბევრი ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა და მაინც ჩავიდა სამიტზე. ამით, როგორც ნაზარბაევმა თქვა: პოზიტიური დიალოგის პირობები შეიქმნა. რაც შეეხება რიგის სამიტსა და ნატოში საქართველოს გაწევრების პერსპექტივას, — ეს შესაძლებელია, ვაჭრობის საგანი გახდეს. სააკაშვილს საჯარო გამოსვლების დროს არაერთხელ უთქვამს, რომ მას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სურს. თუ რუსეთი საქართველოს ამას ნატოს გარეშე შესთავაზებს, შესაძლებელია, პროცესები სხვა მიმართულებით განვითარდეს. დარწმუნებული ვარ, კრემლში ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობენ.

■

„...ეს იქნება თავისუფლებისთვის გადახდილი საზღაური“

— რა საფრთხეს გვიქადის ირანიდან ბუნებრივი აირის მიღება და ამის გამო, აშშ-სთან საქართველოს ურთიერთობა ხომ არ დაიძაბება?

გია ხუხაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— ირანი-საქართველოს გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივა სახიფათოა. ამ ქვეყანასთან ინტეგრაციისკენ რუსეთი საქართველოს თავად უბიძგებს, რადგან ამის შედეგად, ოფიციალურ თბილისსა და მის სტრატეგიულ პარტნიორს — აშშ-ს შორის ბზარი გაჩნდება. რუსეთის ძირითადი მიზანი მაინც ის არის, რომ საქართველო, დასავლური სამყაროს განვითარების ვექტორს ჩამოაცილოს და საბოლოო ჯამში, მასზე საკუთარი გავლენა შეინარჩუნოს. ირანი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას: ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობის გამო, მას მსოფლიო საზოგადოებრიობა სანქციებით ემუქრება. როგორ შეიძლება იმ სახელმწიფოსთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე ლაპარაკი, რომელსაც რამდენიმე ქვეყანა ომის გამოცხადებას უპირებს?! ასეთ საეჭვო ვითარებაში, ირანიდან გაზის შემოტანას სჯობია, რუსეთს 1000 კუბურ მეტრ გაზში 230 დოლარი გადავუხადოთ. ეს არ იქნება დათმობა, არამედ იქნება თავისუფლებისთვის გადახდილი საზღაური. გასაგებია, რომ ქვეყანა ზამთრის პირასაა მისული და ხელისუფლება პანიკაშია. მაგრამ ასეთ სიტუაციაში გამოსავალი უნდა ვეძებოთ და არა ისეთი გზა, რომელიც კიდევ უფრო მეტ პრობლემას შეგვიქმნის. ირანიდან შემოტანილი გაზი კი, ის პრობლემაა, რომლის გამოც, ხვალ და ზეგ უფრო რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, ვიდრე დღეს ვიმყოფებით.

■

„კოკოიითები და არძინბები პაიკები არიან“

— რა შეიცვლება კონფლიქტურ რეგიონში დიმიტრი სანაკოევის ინაუგურაციის შემდეგ?

კახა კაციტაძე, *სამხედრო ექსპერტი:*

— ცხინვალის რეგიონში ორი „პრეზიდენტის“ არსებობა ცოტა არ იყოს, სასაცილოა და რეალური სიტუაციის გაშარჟებას ემსახურება. კომიკურია თავად ედუარდ კოკოითის ფიგურაც. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კომიკოსის უშუალო მონაწილეობით, 2 წლის წინ, ცხინვალთან ჩატარდა სამხედრო ოპერაცია, რომლის დროსაც, რამდენიმე ქართველი დავკარგეთ და შერცხვენილები, თავში კონდახის ცემით გამოგვაძევეს. არ არის გამორიცხული, რომ სანაკოევთან დაკავშირებითაც, კოკოითმა და მისმა მეგობრებმა მსგავსი პროვოკაცია მოაწყონ და სიტუაცია დაძაბონ. მაგრამ მთავარია, ჩვენ არ ჩავიდინოთ ხელმეორედ ბრიყვობა, თორემ, ცხვირში ძმრად ამოგვივა. როცა ბალტიის ქვეყნები დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მათ „ჩასაძირავად“ ხან ერთ ანკესს ისროდნენ, ხან — მეორეს, მაგრამ ისინი პროვოკაციაზე ვერ წამოაგეს და სწორედ ამიტომ გახდნენ ნატოს წევრი ქვეყნები. თუ საქართველო კოკოითის არსებობას საერთოდ არ მიაქცევს ყურადღებას და არც სანაკოევზე გასცემს დივიდენდებს, კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობა არსებითად არ გაუარესდება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა — ის პრობლემაა, რომელშიც კოკოითები და არძინბები პაიკები არიან. მათ იარაღის ჟღარუნი აძლევს ხელს, ჩვენ კი, ეს საკითხი სულ სხვა დონეზე გვაქვს გადასაწყვეტი.

■

რუსეთის დუმის დეპუტატთან, მილიარდერ სულეიმან ქერიმოვთან ერთად, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ნიცაში, ავტოავარიაში მოყოლილი თიკა კანდელაკი ბოლოს და ბოლოს, გულახდილად ალაპარაკდა. „დიახ, მე მართლაც ვიყავი საფრანგეთში შაბათს (შემთხვევა 25 ნოემბერს მოხდა), — თქვა მან ჟურნალისტებთან საუბრისას, — და მართლაც, დღისით, ვმოძრაობდი სულეიმან ქერიმოვთან ერთად, მისი „ფერარის“ მარკის ავტომობილით. მოულოდნელად, გზაზე ვიღაც კაცი გამოვარდა და სულეიმანმა, ის რომ არ გაეტანა, მკვეთრად მოუხვია. რა მოხდა ამის შემდეგ — არ ვიცი. მახსოვს მხოლოდ ის, რომ „სასწრაფო დახმარების“ მანქანა მოვიდა და მე და სულეიმანი საავადმყოფოში წაგვიყვანეს“.

თიკა კანდელაკი

ნიცაში ავტოავარიაში მოყვა

ტელეწამყვანის სენსაციური აღიარება

ტელეჟურნალისტის ეს აღიარება მასმედიის საშუალებებში 29 ნოემბერს გაჩნდა. მანამდე — ე.წ. მთელი 4 დღის მანძილზე, წარსულში თბილისელი, ამჟამად რუსული ტელეარხის — CTC წამყვანი ტინა (თიკა) კანდელაკი კატეგორიულად უარყოფდა ქერიმოვთან ერთად ავარიაში მისი მოხვედრის ფაქტს და დროებით გაუჩინარებას იმით ხსნიდა, რომ მას ყბაყურა დაემართა. კითხვაზე, თუ რატომ მოიმიზეზა ეს დაავადება, ტინამ უპასუხა: „მინდოდა, დამემალა ქერიმოვთან ჩემი ურთიერთობის ამბავი. ვაღიარებ — ჩემ მიერ წამოყენებული ვერსია ერთობ სულელური აღმოჩნდა. ახლა სიმართლის დამალვა აღარ შემიძლია, თუმცა, კვლავაც არ მსურს, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში ხელებს აფათურებდნენ“, — დასძინა ტელევარსკვლავმა.

კანდელაკსა და ქერიმოვს შორის ახლო ურთიერთობის შესახებ, რუსეთში უკვე კარგა ხანია ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამის აფიშირებისგან მათი საახლობლო წრის წარმომადგენლები თავს იკავებდნენ. მომხდარის შემდეგ კი, ზოგიერთმა მათგანმა დაადასტურა, რომ ტინა და სულეიმანი დაახლოებით 2-3 თვე სისტემატურად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ავარია ნიცაში დღისით, დაახლოებით ოთხის ნახევარზე, ნიცის ცენტრში, ე.წ. ინგლისის სანაპიროზე მოხდა. ბიზნესმენის Ferrari Enzo, რომლის ფასი სავარაუდოდ, 700 ათას ევროს შეადგენს, ხეს შეეჯახა და შუაზე გაიპო. ამასთან, დარტყმის შედეგად, საწვავის ავზი გაიხლიჩა და ამან მანქანის მყისიერი აალება გამოიწვია. ძლიერი ტრავმების გარდა, რომელიც ქერიმოვმა მიიღო, მას სხეულის 70%-იანი დამწვრობა აქვს. რაც შეეხება ბიზნესმენის თანამგზავრ ქალბატონს, — მას მუხლები და ბარძაყები დაეწვა. ტინა კანდელაკი ნიცის საავადმყოფოში მოათავსეს და მისთვის დახმარების აღმოჩენის შემდეგ, იმ დღესვე გაწერეს. რაც შეეხება ბიზნესმენ დეპუტატს, — ის მარსელის კლინიკაშია მოთავსებული და დღემდე, ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული. ფრანგი ექიმები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე პროგნოზის გაკეთებისგან კვლავაც თავს იკავებენ, მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ — „მისი მდგომარეობა შეშფოთების საფუძ-

...დარტყმის შედეგად, საწვავის ავზი გაიხლიჩა და ამან მანქანის მყისიერი აალება გამოიწვია

ველს იძლევა“. 29 ნოემბერს კი, როცა მარსელში სულეიმანის მეუღლე ფერიზა ჩავიდა, დასძენენ — ამიერიდან, დაზარალებულის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მისი ოჯახის წევრებზე გავცემთო...

40 წლის სულეიმან ქერიმოვი — „ჟირინოვსკელი“ — რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი და სახელმწიფო დუმის დეპუტატია. ამერიკული ჟურნალის — „ფორბსის“ კლასიფიკაციით, ის პლანეტის უმდიდრეს ადამიანებს შორის 72-ე ადგილს იკავებს

კანდელაკსა და ქერიმოვს შორის ახლო ურთიერთობის შესახებ, რუსეთში უკვე კარგა ხანია ლაპარაკობდნენ...

— მისი ქონება 7 მლრდ დოლარს აღწევს. სხვადასხვა კომპანიას შორის, რომლის მეწილეც ის გახლავთ, „გაზპრომიცაა“, სადაც ქერიმოვი 4,5%-ს ფლობს.

ცნობა ნიცაში მასთან ერთად ტინა კანდელაკის მოგზაურობის შესახებ, პირველად გაზეთმა — „ვედომოსტი“ 26 ნოემბერს გაავრცელა, რომელიც თავის მკითხველს აუწყებდა — სენ-როშის კლინიკას დავუკავშირდით და დაგვიდასტურეს, რომ მათთან მართლაც მიიყვანეს დაზარალებული ქალი, რომლის გვარიც კანდელაკიაო. ამას ირიბად ადასტურებდა ის ფაქტი, რომ 26 ნოემბერს კანდელაკი არ მისულა ჩაწერაზე რადიოში — „ეხო მოსკვი“, სადაც ის, როგორც ტელეჯილდო „ტეფის“ მფლობელი (ეს ჯილდო მან ნომინაციაში — „ტოქშოუს წამყვანი“ — გადაცემისთვის „დეტალები“ მიიღო) იყო მიწვეული. მეორე დღეს, ტელეარხის — CTC — ხელმძღვანელობამ, თავისი პრესსამსახურის თავკაცის, ჩერნოვის პირით გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კანდელაკი მართლაც მოყვა ავტოავარიაში სულეიმან ქერიმოვთან ერთად. მაგრამ იმავე დღეს, გაზეთ „სობესედნიკის“ კორესპონდენტთან სატელეფონო საუბრისას, ტინამ კატეგორიულად განაცხადა, რომ „არანაირი ნიცა“ თვალითაც არ უნახავს, მოსკოვში იმყოფებოდა და ყბაყურა სჭირდა...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიცის კლინიკაში ტელევარსკვლავმა მხოლოდ ერთი დღე დაყო. შემდეგ, სასწრაფოდ დაბრუნდა მოსკოვში.

როგორც რუსული პრესა იუწყება, ბიზნესმენი დეპუტატის მეუღლე, ფერიზა, ნერვული აშლილობის ზღვარზე იმყოფება იმის გამო, რაც ქმრისა და მშვენიერი ტელეწამყვანის ურთიერთობის შესახებ შეიტყო. „ის ძალზე განიცდის მომხდარს, — უთქვამს ქერიმოვების ოჯახის ერთ-ერთ ახლობელს ჟურნალისტებთან საუბრისას. — საბრალო ქალი შოკშია ჩავარდნილი იმ ცნობების გამო, რომლებიც ვიღაც მომღერალ ქალსა თუ მსახიობს — ტინა კანდელაკს ეხება...“

ფერიზა ქერიმოვა მხოლოდ უახლოეს ადამიანებს ეკონტაქტება და ინფორმაციას ქმრის ექიმის — დოქტორ მანელისგან უშუალოდ იღებს. ქერიმოვის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ მისი ნათესავების ირგვლივ, რათა ისინი მოულოდნელად გაჩენილმა „მეგობრებმა“ თუ „კეთილისმსურველებმა“ არ შეაწუხონ. სულეიმანის ერთ-ერთი ახლობლის თქმით, „გავიგე — ჟირინოვსკი აპირებს ჩამოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ ნათესავები ამის წინააღმდეგი არიან; ის ყველას სისხლს უშრობს — ნამდვილი აფთარია“, — დასძინა ინკოგნიტო რესპონდენტმა...

დაბოლოს — საინტერესო კომენტარი, რომელიც ქერიმოვისა და კანდელაკის კავშირის გამო, ცნობილმა მომღერალმა და თავადაც სკანდალებისა და პიარის დიდმა მოყვარულმა ლოლიტა მილავსკაიამ გააკეთა. „როგორც ქალს, შემიძლია, ტინას ვურჩიო, ძალიანაც ნუ ინერვიულებს მომხდარის გამო. თუ ნიცასთან და მათ მოგზაურობასთან დაკავშირებული მთელი ეს ინფორმაცია სიმართლეა, — ეს კანდელაკის ქმრის პრობლემა უფროა: ე.ი. ისეთი მეუღლე ჰყავს, რომელიც ღირსია, რომ სხვა მამაკაცთან ერთად მისგან ნიცაში გაიქცე...“

■

ნატო, ჩუსეთი და საქართველოს „უუალედური“ აჩჩევანი

„ამეჩიკაკ ეჩოკავშიჩთან ეჩთიანი ფრონტით, ბუტინგე ჩეალუჩი გეწოლაც უნდა ეოან�dინოს...“

მასშტაბური მოვლენებით აგრეერიგად დატვირთულ მიმდინარე კვირაში საქართველოსთვის გამოკვეთილად სასიკეთო თითქოს, ბევრი არაფერი მომხდარა ანუ დსთ-ის მინსკის და ნატოს რიგის სამიტებმა ისე ჩაიარა, რომ ჩვენმა ქვეყანამ პრაქტიკულად, ვერც რუსეთთან გამოასწორა ურთიერთობა და დიდად ვერც ნატოში გაწევრების კუთხით წაიწია წინ. მაგრამ თუ საქმეში უკეთ ჩახედულ ადამიანებს დავუჯერებთ, არის მოვლენები, რომლებზეც მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უნდა იმსჯელო. იმიტომ, რომ ასე, მიღწეული შედეგიც უკეთ ჩანს და მოსალოდნელი პერსპექტივაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ ნახსენები მოვლენებიც სწორედ ასეთთა რიგს განეკუთვნება და მათი შედეგების საბოლოო გამომჟღავნებამდე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შიგნით და ქართულ-რუსული ურთიერთობის სიღრმეში დღემდე არსებულ პრობლემებში გარკვევა ვცადოთ...

რუსუდან ლებანიძე

განგაშის ზარი თუ პოზიციების მშვიდი დათმობა?

(ჟურნალი The Economist, ინგლისი)

როგორც ჩანს, ნატო ყველა ფრონტზე პოზიციებს თმობს. დავიწყოთ იმით, რომ ამერიკასა და ევროპას შორის კავშირი ასეთი სუსტი არასდროს ყოფილა. „ბებერი ევროპა“, როგორც ის დონალდ რამსფელდმა მოიხსენია, ერაყში ომს უხალისოდ დათანხმდა. ამერიკის მეთაურობით წარმოწყებული ამ ოკუპაციის ჩავარდნა სწორედ იმათ აძლევს ხელს, ვისაც საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკივით, ამერიკასთან არანაირ გეოპოლიტიკურ კავშირში მონაწილეობა არ სურს.

„ახალი ევროპის“ ყოფილმა კომუნისტურმა სახელმწიფოებმა, ისევე, როგორც ტონი ბლერის მთავრობამ, თავიანთ პროამერიკულ პოზიციებზე დაიწვეს ხელი.

ნატოს ახალმა წევრებმა ერაყსა და ავღანეთში ჯარები ერთგულად გაგზავნეს, მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი მიიღეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნატოს მხარდაჭერით ცნობილმა, დასავლეთ ევროპის ერთ-ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა პირდაპირ განაცხადა: „დღემდე ამერიკის ადმინისტრაციას მოკავშირეები არ სჭირდებოდა. ის მათ არც ეხმარებოდა და არც უსმენდა“.

ამერიკის მოუქნელობა და ევროპის მერყეობა მანკიერ წრეს ქმნის. თეთრი სახლი ნატოს ქვეყნების უმეტესობას სუსტად და გაუბედავად მიიჩნევს. მისი აზრით, ისინი თავდაცვაზე ძალზე ცოტა სახსრებს ხარჯავენ და იქ, სადაც ეს მნიშვნელოვანია, ადამიანებითა და სახსრებით გარისკვაც არ სურთ. ავღანეთში მყოფი, გერმანიის მრავალრიცხოვანი კონტინგენტის მებრძოლები საგზაო მოძრაობის ინსპექტორებად და სოციალურ მუშაკებად მუშაობენ, რადგან საკუთარი მთავრობა „თალიბანებთან“ ომს უკრძალავს, ხოლო მათი მხრიდან ავღანური პოლიციის სწავლების ცდები, ამერიკის აზრით, კატასტროფულად არაეფექტურია. ნატოს დანარჩენი ქვეყნები თავის მხრივ მიიჩნევენ, რომ ამერიკა უცერემონიო ქვეყანაა და მხოლოდ ბრძანებების გაცემა უყვარს...

ნატოს შემდგომი გაფართოების დიდი პროექტი შეფერხდა. რიგის სამიტი კომუნიზმის კრახის შემდეგ პირველია, რომლის დღის წესრიგშიც ახალი წევრების მიწვევის საკითხი არ შესულა. ეს კი ნამდვილი ტრაგედიაა: ნატოს გაფართოებამ ხომ მთელ კონტინენტზე მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებას შეუწყო ხელი. ლატვიის ქალაქში ჩატარებული სამიტი იმის სერიოზული შეხსენებაცაა — რომ არა ნატოს წევრობა, რომელსაც ბალტიის სახელმწიფოებმა 2004 წელს მიაღწიეს, მათგან აქამდე, არავის და არაფრისგან დაცული მიწის ნაგლეჯიღა დარჩებოდა. დღეს კი ამ ქვეყნებს ნატოში სამხედრო ფორმირებების რაოდენობის მიხედვით — სიმბოლური, ელექტრონული და ჩვეულებრივი დაზვერვის თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. გარდა ამისა, ისინი, როგორც დასავლური დემოკრატიის ნაწილი, საგრძნობლად განმტკიცდნენ.

თავის დროზე, ნატოს წარმატებულმა გაფართოებამ კრემლის ყველა პირქუში წინასწარმეტყველება გააბათილა. მაგრამ დღეს კრემლმა რაღაც ისეთი მიიღო, რაც „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, მუდმივად ხელიდან უსხლტებოდა და ეს „რაღაც“, ნატოს გაფართოებაზე ვეტოს დადების უფლებაა. უკრაინის პრორუსულმა პარტიამ, რომელმაც „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსული პროდასავლური პარტიები შეცვალა, პირდაპირ განაცხადა, რომ მას ალიანსში შესვლა არ აინტერესებს. რა თქმა უნდა, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს, უკრაინის საშინაო საქმეა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ნატოს წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი იმ პროპაგანდის წყალობით განაწყვეს, რომელიც ალიანსს, წარმატებული და აყვავებული დემოკრატიის კავშირად კი არა, მილიტარისტების ხროვად წარმოაჩენს...

საქმე კიდევ უფრო რთულადაა ევროპისა და აზიის გასაყართან მდებარე ისეთ სწრაფად ცვალებად და ზეპროდასავლურად განწყობილ ქვეყანასთან დაკავშირებით, როგორიც საქართველოა. საქართველოს ძალიან სურს ნატოში შესვლა, მაგრამ საფრანგეთი, საბერძნეთი და პრორუსულად განწყობილი სხვა ქვეყნები ალიანსში მის მიღებაზე უარს აცხადებენ. ეს ქვეყნები კრემლის (რომელიც საქართველოს ნატოში მიღებას საკუთარი გავლენის სფეროს რღვევად აღიქვამს) ყალბ არგუმენტს ნდობით ისე ეკიდებიან, რომ კითხვაც კი არ უჩნდებათ — ერთ დროს რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნები მის გავლენას ესოდენ სულისშემხუთველად რატომ აღიქვამენ?..

საქართველოს თვით მისმა მთავარმა მოკავშირემ — ამერიკამაც კი უღალატა, რაც ყველაზე უფრო აშკარა გახდა, როცა მან ირანთან და ჩრდილოეთ კორეასთან ბრძოლაში კრემლის მხარდაჭერის მოპოვება სცადა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველო არ ამარტო გაეროს კრიტიკული რეზოლუციისგან არ დაიცვა, არამედ რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე აქამდე არსებული ყველა შეზღუდვაც მოუხსნა.

როგორც კი ამერიკის დახმარებამ იკლო, რუსეთის ძალამ საგრძნობლად იმატა. დღეს რუსეთი მარტო მთელი ევროპული გაზის მესამედის მიმწოდებელი როდია. კრემლის მონოპოლიამ მილსადენებზე, რომლებითაც ენერგომატარებლების ექსპორტი ხორციელდება, შუა აზიიდან — აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გაზის მოწოდების სფეროშიც დაძაბულობა შეიტანა. როცა საქმე ნავთობს ეხება, მილსადენებს ტანკერები ცვლის, აი, გაზის მიწოდების შემთხვევაში კი, ხანგრძლივ დამოკიდებულებას სწორედ მილსადენები უზრუნველყოფს...

რუსული გაზი, როგორც იარაღი, ევროპის წინააღმდეგ ბევრად უფრო საშიშ ასაფეთქებელ საშუალებად იქცა, ვიდრე კომუნიზმი ანდა წითელი არმია. საეჭვო რეპუტაციის მქონე, შუამავალი კომპანიები, კრემლის ხაზის გამტარებელ პოლიტიკოსებს, პარტიებსა და ჩინოვნიკებს, ფულსა და თანამდებობებს „აჩეჩებენ“. მაგალითად, გერჰარდ შროდერი, რომელიც გერმანიის კანცლერობისას თავს პუტინის მეგობრობით იწონებდა, ამჟამად იმ კომპანიას უდგას სათავეში, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე, გერმანიარუსეთის დამაკავშირებელ გაზსადენს აშენებს. არადა, გერმანიას გაზის მიღება სხვა გზით — გათხევადებული ბუნებრივი აირისთვის ტერმინალების აშენებითაც შეეძლო. ის კი, ამის ნაცვლად, რუსეთის კლეპტოკრატიის ავტორიტარულ რეჟიმზე საკუთარი დამოკიდებულების სულ უფრო და უფრო გაღრმავებას უწყობს ხელს. თანაც, ამის გამო, მისი მეზობელი ქვეყნებიც (მაგალითად, პოლონეთი) ზარალდებიან და მოსკოვის მხრიდან შანტაჟის მსხვერპლნიც ხშირად ხდებიან. როცა ბალტიის გაზსადენი აშენდება, რუსეთი ყველა მეგობრის უზრუნველყოფასა და ყველა მტრის საშიმშილოდ განწირვასაც სულ თავისუფლად მოახერხებს. ამ ცოტა ხნის წინ, არცთუ ისე მარჯვე და აშკარად კონსერვატორულმა, პოლონეთის ხელისუფლებამ მზარდი რუსული ძალისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, „ენერგეტიკული ნატოს“ შექმნის წინადადება წამოაყენა. მაგრამ პოლონეთი ყველამ სასაცილოდ აიგდო... მეორე პრინციპულად მნიშვნელოვანი ევროპული პროექტი — ბალკანეთზე გამავალი,

ვლადიმირ პუტინი პროამერიკულად განწყობილი მისელ საკაშვილის დასამხობად და საბოლოდ მის თავიდან მოსამორებლად, პრაქტიკულად ყველაფერს აკეთებს

ნაბუკოს მილსადენის მშენებლობა, — უნგრეთისა და ბულგარეთის პრორუსულად განწყობილი მთავრობების პასიური წინააღმდეგობის გამო შეჩერდა.

ყოველივე ამის ფონზე, განგაშის ზარი გამაყრუებელი უნდა იყოს — არადა, ამის ნაცვლად, ის ძლივს გასაგონად ისმის. სულ ახლახან ნატოს მრჩევლებმა ალიანსი გააფრთხილეს, რომ რუსეთის შემდეგი ნაბიჯი სავარაუდოდ, გაზის სხვა მიმწოდებლებთან, მათ შორის — ალჟირთან, ლიბიასთან და ირანთან — ოპეკის ტიპის კარტელის შემქნა იქნება, მაგრამ ბრიუსელში ამ გაფრთხილებას ყური არ ათხოვეს. ამგვარად, როგორც ჩანს, რუსები მოდიან, გერმანელები წელში იმართებიან, ამერიკელები კი — მიდიან. ყოველი ქვეყანა თავისთვის საუკეთესო პირობებს, მეზობელი ქვეყნების საზიანოდ ეძებს. არადა, კოლექტიური უსაფრთხოება ახლა ისევე სასიცოცხლოდ აუცილებელია, როგორც ცივი ომის დროს. მაგრამ, როგორც ჩანს, ნატოს მისი უზრუნველყოფა უკვე აღარ შეუძლია...

სიმტკიცის ტესტი

(The Washington Post, აშშ)

სანამ შეერთებული შტატები სხვა საქმეებითაა დაკავებული, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკა, პატარა საქართველო რეჟიმის შეცვლის უხეში, ტიპური რუსული მცდელობის არენად იქცა. ვლადიმირ პუტინი პროამერიკულად განწყობილი მიხეილ სააკაშვილის დასამხობად და საბოლოდ მის თავიდან მოსაშორებლად, პრაქტიკულად ყველაფერს აკეთებს. პუტინს იმედი აქვს, რომ შეერთებული შტატები იმდენადაა ერაყით დაკავებული და ჩრდილოეთ კორეასთან და ირანთან ურთიერთობისას მოსკოვის მხარდაჭერაც ისე ძლიერ სჭირდება, რომ საქართველოს დიდად აღარ ჩაეჭიდება. ევროკავშირი კი, რუსეთიდან ენერგომატარებლების მიწოდებას საფრთხის ქვეშ ვერ დააყენებს და ამიტომაც, საქართველოს საკითხს საერთოდაც განზე გასწევს.

არადა, პუტინს ძალზე შორსმიმავალი გეგმები აქვს. მას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის, რუსული ბატონობისა და ჰეგემონიის სფეროდ გადაქცევა სურს. თუ პუტინი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ყველაზე პროდასავლური ლიდერის — სააკაშვილის დამხობას მოახერხებს, ამით უზარმაზარ ნაბიჯს გადადგამს წინ. რაც შეეხება საქართველოთი დაინტერესებულ მეორე მხარეს, — ის რუსეთს „ბუშის სამშვიდობო დოქტრინას“ უპირისპირებს, რომლის მიზანიც, კავკასიაში სტაბილურობა და მსოფლიოს ყველაზე ფეთქებადსაშიში რეგიონის განაპირას მდებარე ევროპული ქვეყნისადმი ევროკავშირის ასეთივე სტაბილური დამოკიდებულების შენარჩუნებაა.

პუტინი საქართველოს მიმართ მართლაც რომ ძალზე სასტიკ ზომებს მიმართავს. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დღემდე, რუსეთიდან სულ მცირე, 1700 ქართველი გააძევეს, ამ ქვეყანაში სულ უფრო აქტიურად ებრძვიან ქართულ ბიზნესსაც. უკვე უამრავი განცხადება გაკეთდა იმის თაობაზეც, რომ რუსული ბაზარი პირველ რიგში, რუსებს ეკუთვნით, ქართველები კი უბრალოდ, „დამნაშავე ერის წარმომადგენლები“ არიან. პუტინმა საქართველოს გაზის ფასი გაუორმაგა, გადაკეტა ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო თუ საფოსტო კავშირი. გარდა ამისა,



ევროკავშირთან ერთიანი ფრონტგით, პუტინზე რეალური ზეწოლაც უნდა მოახდინოს

რუსეთმა, სააკაშვილისთვის ჩირქის მოსაცხებად, მთელ მსოფლიოში ყველაზე აგრესიული დეზინფორმატორული კამპანიაც გააჩაღა. პირადად მე, ბერლინში, ბრიუსელსა და ვაშინგტონშიც კი, არაერთგზის მომისმენია, სააკაშვილის კორუმპირებულობასა და უგუნურებასთან დაკავშირებული არაერთი სრულიად დაუსაბუთებელი ჭორი...

2004 წელს მიხეილ სააკაშვილმა მშვიდობიანად აიყვანა საკუთარ კონტროლქვეშ აჭარა — ერთ-ერთი იმ სამი რეგიონთაგანი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და მოსკოვის მხარდაჭერის წყალობით, საქართველოს ხელისუფლება არ აღიარეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო რეზოლუციებითაა განმტკიცებული, სააკაშვილს მაინც ძალზე გაუჭირდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უკან დაბრუნება. იქაური ანკლავების შესანარჩუნებლად, აუცილებლობის შემთხვევაში, ხოლო სააკაშვილის დასამხობად წამოწყებულ კამპანიაში — ნებისმიერი შესაძლებლობის შემთხვევაში, პუტინი მთელი არსებით ჩაებმება.

სხვათა შორის, ყოველთვის, როცა პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან, ჰაერი იმუხტება. საკმარისი იყო, ახლახან ჰანოიში ჩავლილ აზიაწყნარი ოკეანის სამიტზე, კულუარებში პუტინთან საუბრისას, ჯორჯ ბუშს საქართველოს საკითხი წამოეწია, რომ რუსეთის პრეზიდენტი უმალ ხმამაღალ ფილიპიკას მოჰყოლოდა, რაც, სხვათა შორის, მას, საქართველოს ყოველი ხსენებისას ემართება. შეიძლება, პუტინის ამ ტირადების მიღმა გონივრული გათვლაც (საქართველოს საკითხის ირგვლივ მსჯელობისთვის ხელის შეშლა) იდგეს. თუმცა, თუ იმ ადამიანებს დავუჯერებთ, ვინც ასეთ წუთებში პუტინს უსმენდა, ის პირველ რიგში, სრულიად შეუნიღბავ და ირაციონალურ მრისხანებას ავლენდა...

მაგრამ საკითხავია, პუტინის ამ უცერემონიო საქციელზე საერთაშორისო საზოგადოებრიობა ასე მშვიდად რატომღა რეაგირებს?!. მიმაჩნია, რომ ამის მთავარი მიზეზი — ერაყთან, ირანთან, ავღანეთთან და ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით ვაშინგტონის პოზიციების შესუსტებაა. პუტინს კი ახლა, როცა ყველაფერთან ერთად, ნავთობის ფასიც ესოდენ მაღალია, ძალზე სახარბიელო პერიოდი უდგას. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, მსოფლიოში პირველად შეიქმნა სიტუაცია, როცა მოსკოვი ვაშინგტონს უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე ვაშინგტონი — მოსკოვს. 90-იან წლებში, ამერიკის უპირობო პირველობის პირობებში, ბილ კლინტონმა, ნატოს გაფართოება და აგრეთვე, ბოსნიასა და კოსოვოში სამხედრო ოპერაციები, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც განახორციელა. დღეს ყველაფერი პირიქით ხდება: რუსეთი რეზოლუციის „დაბლოკვით“ იმუქრება და თან, კოსოვოს სტატუსს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსებთანაც თაღლითურად აკავშირებს.

ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება რუსეთთან დასავლეთის დამოკიდებულების ტესტად უნდა აქციონ. პუტინმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ დასავლეთის ფასეულობებს მინდობილი, პატარა ქვეყნის ინტერესებს არც ენერგომატარებლების მიწოდებასა და არც გაეროში ხმებზე გავცვლით. თუ ბუშის რიტორიკა მცირეოდენ რეალურ შინაარსს მაინც შეიცავს, მაშინ ეს საქართველოს მაგალითზე უნდა დაამტკიცოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს მარტო თავშეკავებისკენ თავაზიანად კი არ უნდა მოუწოდოს, არამედ ევროკავშირთან ერთიანი ფრონტით, პუტინზე რეალური ზეწოლაც უნდა მოახდინოს და გასაგებად განუცხადოს, რომ მან საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევისა და სააკაშვილის დამხობის მცდელობები უნდა შეწყვიტოს.

დღეს, როდესაც ჩვენ წინაშე ჯერ კიდევ დგას ერაყის პრობლემა, უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავაც მსოფლიოს ყველა რეგიონში ინარჩუნებს გავლენას და რომ არც ჩვენს მეგობრებზე და არც ჩვენს ფასეულობებზე უარს წამითაც არ ვამბობთ. ■

ორი ბერგერი – ევა და ზალიკო როგორია მათგან პირველი?

ლალი ფაცია

ერთმანეთი 5 წლის წინ, თბილისში, ერთ-ერთ ღამის კლუბში გაიცნეს. გვარად ორივე ბერგერია. თუმცა, ერთისთვის ის ნამდვილი გვარია, მეორისთვის — ფსევდონიმი, რომელიც ისე შეისისხლხორცა, ხეცურიანი რომ დაუძახონ, უკან არც მიიხედავს. „ავსტრიის ავიახაზების“ გენერალური მენეჯერი და ავსტრიის საპატიო კონსული საქართველოში, ქალბატონი ევა ბერგერი თავისი წარმომავლობით ამაყობს და დიზაინერ ზალიკო ბერგერს მადლობას უხდის, ჩვენში მისი გვარის პოპულარიზაციისთვის.

ასე რომ, ზალიკოს დიპლომატი „მამიდა“ — ევა გამოუჩნდა, რომელიც ავსტრიაში წაყვანას და ამასთან, „მამიდაშვილი“ კლაუდიას გაცნობასაც დაჰპირდა...

„ბერგერები, ბერგერაშვილები ვყოფილვართ“...

ქურნალისტი – ზალიკო ბერგერი
რესპონდენტი – ევა ბერგერი

— ქალბატონო ევა, მოგესალმებით. მიხარია, რომ მაქვს თქვენთან საუბრის პატივი... მინდა, თქვენ გვარის წარმომავლობის შესახებ მივიღო ინფორმაცია: სადაური გვარია ბერგერი?

— ავსტრიული გვარი გახლავთ. დედაჩემი ზალცბურგიდან არის, მამა — ვენიდან. რა თქმა უნდა, მამის გვარს ვატარებ.

— ისე, ჩვენში ბევრს თქვენი გვარი ებრაული წარმოშობის ჰგონია. რას იტყვით ამაზე?

— არა, რას ბრძანებთ?! ჩვენი გვარი ებრაული არ არის. ეს ვერსია გამორიცხულია.

— თქვენ წინაპრები დიდგვაროვნები იყვნენ? ხომ არ გყოლიათ გვარში ჰერცოგები, გრაფები, ბარონები ან სულაც — მეფე?

— არა, არა. არც მეფის შთამომავალი ვარ და არც ჰერცოგის ან ბარონის *(იცინის)*.

— უკვე რამდენი წელია, რაც საქართველოში ცხოვრობთ და მუშაობთ?

— 8 წელია, აქ ვარ.

— საერთოდ, საქართველო როგორ აღმოაჩინეთ?

— ეს ქვეყანა რუკაზე ვიპოვე. ქართველები რაღაცით ავსტრიელებს ჰგვანან. საქართველოში ჩემი ჩამოსვლა საკმაოდ საინტერესოდ მოხდა, ასევე საინტერესო აღმოჩნდა ამ ქვეყანაში ჩემი ცხოვრებაც და ქართველებთან ურთიერთობაც.

— ქართველებსა და ავსტრიელებს შორის მსგავსება რაში მდგომარეობს?

— მენტალიტეტში...

— 8 წლის წინ, როდესაც აქ ჩამოხვედით, საქართველოში მძიმე პერიოდი იყო: უსინათლობა, უგაზობა სერიოზულ პრობლემებს გვიქმნიდა. როგორ შეეგუეთ ამ ყველაფერს?

— ახალჩამოსულმა, 2 თვეში 7.000 შილინგის სანთელი დავწვი *(იცინის)*. როცა შუქი ქრებოდა, ოთახი ხომ უნდა გამენათებინა?!

— როგორ შეაფასებთ ქართული სუფრის ტრადიციას?

— ქართული სუფრის ხიბლი პირველად კახეთში შევიგრძენი და ძალიან მომეწონა. მომწონს ის, რომ სუფრაზე საჭმელი სართულებად არის დაწყობილ-დახვავებული. ამ დროს საშუალება გაქვს, არჩევანი გააკეთო, რაც გინდა და მოგეწონება, გემო გაუსინჯო. ერთი შეხედვით, სუფრაზე სართულებად დაწყობილი ხორაგი მიმზიდველიც კია...

— ევროპულ სუფრაზე, ა-ლა-ფურშეტზეც ხომ არის არჩევანის გაკეთების საშუალება?! რითი განსხვავდება ქართული სუფრა მისგან?

— ქართულ სუფრასთან უფრო გახსნილი ხარ. ამასთან, ზიხარ, ფეხზე არ დგახარ, ისვენებ. ა-ლა-ფურშეტზე კი დაძაბული, შეზღუდული ხარ, ფეხზე დგახარ და ისე მიირთმევ.

— კახეთის გარდა, საქართველოს კიდევ რომელ კუთხეში ხართ ნამყოფი და თუ გაგისინჯავთ სხვა კუთხის სამზარეულოს კერძები?

— ყოფილვარ, როგორ არა?! ყველა კუთხეს აქვს თავისი „საფირმო“ კერძი. ძალიან მომეწონა მეგრული და აჭარული ხაჭაპური...

— რაკი ქართული სუფრა მოგწონთ, თამადის ინსტიტუტიც უნდა მოგწონებოდათ, ასეა?

— ჩემთვის თამადის ინსტიტუტი მისაღებია, არ მაღიზიანებს.

— რომელიმე სადღეგრძელოს ხომ არ გაიხსენებდით, რომელმაც ყველაზე მეტად მიიქცია თქვენი ყურადღება?

— გახსენება გამიჭირდება, რადგან საქართველოში ყოფნის მანძილზე საკმაოდ ბევრ სუფრაზე ვყოფილვარ და ბევრი სადღეგრძელოც მომისმენია.

— წარმომიდგენია, როგორები იქნებოდნენ ქართველი თამადები იმ სუფრასთან, სადაც თქვენ ოჯეჰთ. ალბათ, ავსტრიელ ლამაზ ქალბატონს ყურადღებას არავინ მოაკლებდა.

— კი, მართალია *(იცინის)*.

— არც კურიოზის გახსენება შეგიძლიათ?

— კურიოზი ის არის, რომ საქართველოში ბევრი ბერგერაშვილს მიწოდებს *(იცინის)*.

— ესე იგი, როგორც ირკვევა, ბერგერები, ბერგერაშვილები ვყოფილვართ... ქალბატონო ევა, და-ძმა თუ გყავთ?

— ერთი და და ერთი ძმა მყავს.

— თქვენი ოჯახის წევრებიც აქ არიან? მინდა, ჩემი „ნათესავების“ შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მივიღო *(იცინიან)*...

— ჩემი ოჯახი საქართველოში არ ცხოვრობს. ქმარ-შვილი ავსტრიაშია. ერთი ქალიშვილი მყავს, 23 წლის კლაუდია.

— საქართველოში ბიზნესის დაწყება რთული არ იყო?

— აქ სამსახურის დაწყება 1998 წელს, ჩემთვის გამოწვევა იყო. ისე, პოსტსაბჭოთა სივრცეში ცხოვრებას მიჩვეული ვიყავი: მანამ, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, ორი წელი ყაზახეთში ვცხოვრობდი და იქ ვხელმძღვანელობდი „ავსტრიის ავიახაზებს“.

— რა პროფესიის ბრძანდებით?

— მენეჯერი ვარ. სწავლა რომ დავამთავრე, მუშაობა „ავსტრიის ავიახაზებში“ დავიწყე. მთელი ჩემი კარიერა ამ კომპანიაში გავატარე.

— იქნებ, თქვენს სამეგობრო წრეზეც მოგვიყვეთ რაიმე?

— საქართველოში ბევრ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა. ზოგიერთ მათგანთან ვმეგობრობ, თუმცა ახლა რომელიმეს დასახელება ან გამოყოფა გამიჭირდება...

— როგორც ცნობილია, ავსტრია მშვიდი, წყნარი ქვეყანაა, ასე ვთქვათ, „აწყობილ-დაწყობილი“. როგორ შეეგუეთ ქართველების ემოციურობას?

— ამ ქვეყანაში ყველაფერს შეეგეგუე, გარდა მანქანის მართვისა. აქ ავტომანქანას ვერ ვატარებ: არ მომწონს ის, თუ როგორ მოძრაობენ ქართველი მძღოლები.

— რატომ?

— აქ გზებზე ავსტრიული წესრიგი არ არის... იქ მართლაც, როგორც აღნიშნეთ, სიმშვიდე და სიწყნარეა. საღამოს 10 საათზე რესტორნები იკეტება. საქართველოში ასე არ არის. მაგალითად, შარდენის ქუჩაზე ხალხი გვიანობამდე ერთობა. ავსტრიაში ამ მხრივ შეზღუდულები ვართ.

— ქართველ მძღოლებს რას ურჩევდით?

— გარკვევით და სწორად აანთონ მარჯვენა-მარცხენა ციმციმები, თორემ აანთებენ მარცხენას — უხვევენ მარჯვნივ და პირიქით...

— ქალბატონო ევა, როდესაც ჩემი არსებობის შესახებ შეიტყვეთ — თბილისში ბერგერი ცხოვრობსო — რა იფიქრეთ?

— გამიკვირდა. მერე ვიფიქრე, ვილაც ხუმრობს-მეთქი. მერე, თქვენი ნამდვილი გვარი რომ მითხარით, მივხვდი, რომ ბერგერი ფსევდონიმია. როგორც გავიგე, აქ თქვენი გვარით ბევრი არც გიცნობთ. ამის შესახებ მხოლოდ ვიწრო წრემ იცის.

— კი, ასეა. ცოტამ იცის, რომ ხეცურიანი ვარ.

— კარგი. მაშინ მითხარით, ჩვენ შორის ვინ არის პირველი ბერგერი — მე თუ თქვენ?

— საქართველოში პირველი ბერგერი, ვინც ხალხმა გაიცნო, მე ვარ *(იცინის)*, რადგან 1995 წელს, მოდის ბიზნესში საქმიანობა ამ სახელით დავიწყე. თქვენ კი, როგორც აღნიშნეთ, აქ 1998 წელს ჩამობრძანდით *(იცინიან)*.

— დიდი მადლობა ჩემი გვარის პოპულარიზაციისთვის. ახლა საქართველოში ორი მშვენიერი ბერგერი ვართ.

საქართველოში პირველი ბერგერი მე ვარ...

ჟურნალისტი – ევა ბერგერი
რესპონდენტი – გალიკო ბერგერი

— პირველი კითხვა ასეთი იქნება: რატომ „ფეშენ-შოუ“ და ბერგერი?

— საინტერესო კითხვაა. სანამ დიზაინერი გავხდებოდი, მანამ რადიოში ვმუშაობდი. ჩემი გვარი — ხეცურიანი წარმოშობით მთიანი რეგიონიდანაა. მოგეხსენებათ, მთა გერმანულად „ბერგია“, ამიტომ დიჯეი ბერგი დავირქვი. მერე მეგობრებმა მითხრეს — მსახიობ ჰელმუტ ბერგერს ჰგავხარო და ბერგი ნელ-ნელა, ბერგერად იქცა. მაშინ, როდესაც მოდის ბიზნესში პირველი ნაბიჯები გადავდგი, ავანგარდული მოდის ასამბლეაზე ბუკლეტში ბერგერად ჩამწერეს. ეს მეც მომეწონა და ასე შემრჩა ეს ფსევდონიმი... ქალბატონო ევა, მსახიობი ჰელმუტ ბერგერი „ჩვენი ნათესავი“ ხომ არ არის?

— არა, არა *(იცინის)*... ზალიკო გერმანულად რაიმეს ხომ არ ნიშნავს?

— არა, ჩემი სახელი გერმანულად არ ითარგმნება.

— რადიოს დიჯეი იყავით, დიზაინერობა რატომ გადაწყვიტეთ?

— თავიდან უნივერსიტეტში სოციოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. უამრავი მხატვარი მეგობარი მყავდა, რომლებმაც მიბიძგეს იმისკენ, რომ მოდის ბიზნესში გამომეცადა თავი. მათი ნამუშევრების მიხედვით გავაკეთე პირველი კოლექცია და ასე გავხდი ცნობილი ადამიანი. უცნაური ის იყო, რომ კოლექცია ნახატებისგან გაკეთდა. ეს ნამუშევრები მოსკოვში „ალბა მოდის“ ფესტივალზეც მქონდა წარდგენილი. ამასობაში, საქართველოში მოდის ბიზნესი სერიოზულად დაიძრა, ამოქმედდა, რაშიც მეც ჩავერთე.

— რა სირთულეებია ქართულ „ფეშენში“?

— ამ დარგში დიდი კომერცია არ არის. ხელოვნების თვალსაზრისით კი, ეს სფერო ძალზე საინტერესოა. სასიამოვნოა, რომ ქართველებსაც შეგვიძლია ამ მხრივ თავი წარმოვაჩინოთ, საკუთარი სათქმელი ვთქვათ.

— ქალებისთვის მუშაობთ თუ მამაკაცებისთვის?

— უფრო — ქალბატონებისთვის. თუმცა, ბოლო დროს, საქართველოში მამაკაცებმაც დაიწყეს მოდურად ჩაცმა და დიზაინერებს ხშირად აკითხავენ.

— კარგი იქნებოდა, რომ შარდენის ქუჩაზე, იქ, სადაც უამრავი ტურისტი დადის, ქართველ დიზაინერებს სალონები გქონოდათ. ტურისტები თქვენს ნახელავს შეიძენდნენ. არადა, აქ დიზაინერებთან ისეთი სამოსის ყიდვა შეიძლება, როგორსაც უცხო ქვეყნებში ვერ ნახავთ.

— კარგი აზრია...

— თბილისი პატარა ქალაქია. იგრძნობა, რომ დიზაინერები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, თუმცა, ისინი ერთმანეთში არ ჩხუბობენ. ჩემი ნება რომ იყოს, ქართველ დიზაინერთა კავშირს შევქმნიდი, რომელიც ბევრ საკითხს თავის ადგილს მიუჩენდა და დაარეგულირებდა.

— მე, როგორც მოგვარეს, თქვენს კავშირში რა ფუნქციას დამაკისრებდით?

— *(იცინიან)*. რა თქმა უნდა, სხვებზე მეტად შეგიწყობდით ხელს.

ერთმანეთი 5 წლის წინ გავიცანით

— თან, გარეგნულად ავსტრიელსაც ვგავარ, არა? ეს ხომ, საუბრის დასაწყისში თქვენც აღნიშნეთ. ესეც გაადვილებდა თქვენ მიერ შექმნილ კავშირში ჩვენს თანამშრომლობას.

— კი, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. კარგი იქნება, თუ თქვენს „მამიდაშვილსაც“ გაიცნობთ.

— ვინ არის ჩემი „მამიდაშვილი“?

— ჩემი ქალიშვილი კლაუდია *(იცინის)*.

— სიამოვნებით გავიცნობ კლაუდიას... თქვენს ჰობიზეც მითხარით რაიმე...

— ცურვა მიყვარს. ზაფხულობით საბანაოდ თბილისის ზღვაზე დავდივარ. აი, კედელს შეხედეთ *(ხელს სურათისკენ იშვერს. — ავტ.)* **— ეს ვერტმფრენიდან გადაღებული, თბილისის ზღვის ხედია.**

— რა ლამაზია! ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ თბილისის ზღვა ასეთი ლამაზი იქნებოდა...

— გინდათ, თბილისი დაგათვალიერებინოთ?

— არა, ვენის დათვალიერება მირჩევნია. როდის დამათვალიერებინებთ ვენას?

— ამისთვისაც მოვიცლით...

— ხშირად ჩადიხართ ავსტრიაში?

— როცა თავისუფალ დროს გამოვნახავ.

— მინდა, მოკითხვა დაგაბაროთ ჩემს „ნათესავებთან“.

— გადავცემ. ისე, ჩვენ ერთმანეთი 5 წლის წინ გავიცანით და ვთქვით კიდეც, რაიმე საგაზეთო მასალა ხომ არ მოგვემზადებინა-თქო? მაგრამ თავი ვერ მოვაბით. ახლა კი, ჟურნალ „გზის“ საშუალებით განხორციელდა ჩვენი ჩანაფიქრი, სადაც ჩვენს „ნათესაურ კავშირზეც“ ვისაუბრეთ. მოდი, ნულარ დავიკარგებით, ნათესაობა შევინარჩუნოთ *(იცინიან)*...

— თანახმა ვარ.

„შიდსის ვირუსი ხელის ჩამორთმევითა და კოცნით არ გადადის“...

„მედიკამენტოზური მკურნალობის შედეგად, პაციენტები წლების მანძილზე ყოველგვარი ჩივილის გარეშე ცხოვრობენ“

„საშინელებაა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს იგებ, რომ უკურნებელი სენით ხარ დასნებოვნებული. ძლიერი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამას გაუძლოს და ცივი გონებით განსაჯოს. მართალია, დაავადება საბოლოოდ, მაინც ვერ იკურნება, მაგრამ ისიც კარგია, რომ სათანადო მკურნალობით ადამიანი სიცოცხლეს იხანგრძლივებს“, — მითხრა 26 წლის ლაშამ, რომელიც უკვე 2 წელია, რაც შიდსით არის დაავადებული.

იმის გამო, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილს XX საუკუნის სენის შესახებ არასრულყოფილი ინფორმაცია აქვს, არსებობს სტერეოტიპი, რომელიც დაავადებულთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ამის გამო, ისინი საზოგადოებასთან კონტაქტს ერიდებინ ან კიდევ, სულ გაურბიან. მკურნალობის ახალი მეთოდების წყალობით, აივ-ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის ხანგრძლივობა დღითი დღე იზრდება.

თამარ როსტიაშვილი

ლაშა, *26 წლის:*

— სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელება უკრაინაში გადავწყვიტე. დედა უკრაინელი მყავს და ამ ქვეყანაში ჩემი ბევრი ნათესავი ცხოვრობს. ვიფიქრე, ახლობლების დახმარებით, არც ცხოვრება გამიჭირდებოდა და არც მუშაობა. გამიმართლა და უნივერსიტეტში იოლად მოვეწყვე. სწავლას სამსახურსაც ვუთავსებდი და ჯიბის ფული თითქმის არასდროს მაკლდა. დეიდაჩემის ოჯახში ვცხოვრობდი. უკრაინელებს ადვილად დავუმეგობრდი და კარგად ვერთობოდი კიდეც. მოკლედ, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვიყავი. ბოლო კურსზე ვიყავი, როდესაც ჩემმა უნივერსიტეტელმა მეგობარმა საშამ ღამის კლუბში გასართობად წასვლა შემომთავაზა. იმ დღეს არ ვმუშაობდი, საშასთან და კიდევ ორ მეგობართან ერთად კლუბში წავედი. „ტუსოვკაზე“ ბიჭებმა უცხო გოგოები გავიცანით, ერთ-ერთმა მათგანმა სახლში დაგვპატიჟა და ჩვენი ურთიერთობა ქალაქგარეთ, აგარაკზე გაგრძელდა. ამას რაც მოჰყვა, არ დავაკონკრეტებ, ყველა მიხვდება... მას შემდეგ, უკურნებელი სენით დავსნებოვნდი.

— აივ-ინფექციას პირველ სტადიაზე სიმპტომები არ ახასიათებს. გამოკვლევის მიზნით, ექიმს თქვენი ინიციატივით მიმართეთ?

— უკრაინაში შიდსით დაავადებული ათასობით ადამიანი ცხოვრობს. საქართველოსგან განსხვავებით, საზოგადოებაში ამ მხრივ, სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა. იქ დაავადებულები არ ერიდებინ იმის თქმას, რომ მათ უკურნებელი სენი სჭირთ. ჯგუფელის დაბადების დღეზე გავიცანი გოგო, რომელიც ძალიან მომეწონა. გადავწყვიტე, მასთან ურთიერთობა გამეღრმავებინა. ვცდილობდი, როგორმე თავი მომეწონებინა და მისი ყურადღება დამემსახურებინა. მაშა მიმიხვდა გულისწადილს და პირდაპირ მითხრა: ძალიან კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ მინდა გითხრა, რომ შიდსი მჭირსო. ამ დაავადების შესახებ ზედაპირული წარმოდგენა მქონდა და იმ დღის შემდეგ გადავწყვიტე, ამ სენზე უფრო მეტი გამერკვია და ინტერნეტში მასალები მოვიძიე. სწორედ მაშინ ვიფიქრე, რომ ეს დაავადება შესაძლოა, მეც მქონოდა. მეგობართან ერთად, კლინიკაში მივედი და ანალიზები ჩავიტარე. რამდენიმე გამოკვლევის შემდეგ, ორგანიზმში შიდსის ვირუსი აღმომიჩინეს. მას შემდეგ ვმკურნალობ და მედიკამენტებს მუდმივად ვიღებ. საშინელებაა, როდესაც ერთ დღეს იგებ, რომ უკურნებელი სენით ხარ დასნებოვნებული. ძლიერი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამას გაუძლოს და ცივი გონებით განსაჯოს. მართალია, დაავადება საბოლოოდ, ვერ იკურნება, მაგრამ ისიც კარგია, რომ სათანადო მკურნალობით ადამიანი სიცოცხლეს იხანგრძლივებს. შიდსის ცენტრში შემთხვევით, ერთი ლამაზი გოგო გავიცანი, რომელიც აივ-ვირუსით არის ინფიცირებული. ჩვენ ახლა ერთად ვცხოვრობთ და მომავალს იმედის თვალით შევყურებთ. თუ ღმერთმა ინება, შვილსაც გავაჩენთ. ვიცით, რომ ხშირ შემთხვევაში, დაავადებულ მშობლებს სრულიად ჯანმრთელი შვილი უჩნდებათ. მეგობრები და ახლო ნათესავები ჩვენს მდგომარეობას გაგებით ეკიდებიან. მათგან — არა, მაგრამ ხანდახან ზოგიერთი უგულო მეზობლის მკაცრ და აგრესიულ მზერას ვგრძნობ. ეს უკვე ნაკლებად მაღელვებს, რადგან მივეჩვიე... ვისურვებდი, რომ საზოგადოების დამოკიდებულება შეიცვალოს და შიდსით დაავადებულებს, ისე, როგორც მტრებს, აღარ შეხედო, რადგან ამ დაავადებისგან დაზღვეული არავინ არის.

ნატალი, *27 წლის:*

— როცა გიო გავიცანი, 22 წლის ვიყავი. ძალიან სიმპათიური იყო და შეიძლება ითქვას, მისით ერთი ნახვით მოვიხიბლე. სილამაზე არც მე მაკლდა და მასაც ძალიან მოვეწონე. ჩვენი ურთიერთობა აეწყო და ერთმანეთი სიგიჟემდე შეგვიყვარდა. ჩემგან განსხვავებით, გიო თავისუფალი ყაიდის ადამიანი იყო (რამდენიმე წლის განმავლობაში, ოჯახთან ერთად ევროპაში ნაცხოვრები). მთხოვდა, გარკვეული ტრადიციებისა თუ ადათწესების დაცვის გარეშე მეცხოვრა... მოკლედ, ქორწინების გარეშე, ერთად ვცხოვრობდით და სულაც არ მაინტერესებდა, ვინ რას ამბობდა. ამ საიდუმლოს ოჯახს საგულდაგულოდ ვუმალავდი. მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობდა გიო, რომელიც მიყვარდა. მე და გიო ერთად არაჩვეულებრივად ვგრძნობდით თავს. გვიხაროდა ერთად ყოფნა და დაქორწინებას არც ვჩქარობდით, რადგან მიგვაჩნდა, რომ ქორწინება ჩვენს ურთიერთობას გარკვეულწილად გააუფერულებდა. ურთიერთობის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შემთხვევით გავიგე, რომ გიო ნარკომანი იყო. მას შიდსის ვირუსი ინიექციის შედეგად გადაედო. სამწუხაროდ, გიო 2 წლის წინ, ნარკოტიკების ზედოზირებისგან გარდაიცვალა... შარშან, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რუსთაველზე აქცია ტარდებოდა. ორგანიზატორები მოქალაქეებს ამ დაავადების გამოკვლევასა და მკურნალობას სთავაზობდნენ.

გადავწყვიტე, ანალიზები მეც ჩამეტარებინა. ანალიზის საბოლოო პასუხისთვის რამდენიმე კვირის შემდეგ დამიბარეს. იმ დღეს, მე და დედაჩემი ნათესავთან მივდიოდით და გადავწყვიტე, გზად კლინიკაში შემევლო. როდესაც დედაჩემისა და პირადი ექიმის დიალოგს შემთხვევით მოვუსმინე და გავიგე, რომ უკურნებელი სენით ვიყავი დაავადებული, ისტერიკა დამემართა. ვიფიქრე, რომ ჩემი ცხოვრება დასრულდა და საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი. თვეების განმავლობაში, საკუთარ ოთახში ჩავიკეტე და იქიდან არ გამოვდიოდი. ირგვლივ ყველა ძალიან განიცდიდა ჩემს მდგომარეობას. მეგობრებმა ფსიქოლოგს შემახვედრეს და მხოლოდ მან შეძლო ჩემი ფსიქიკური მდგომარეობის გამოსწორება. სტრესიდან თანდათანობით გამოვედი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. თავს განსაკუთრებულად ვუფრთხილდები. ვცდილობ, ბასრ საგნებთან შეხებას თავი ავარიდო. სასურველი სამსახური მართობს. ჯანმრთელობის მხრივ, ჩივილები არ მაქვს. რომ არა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტები, შესაძლოა, დამვიწყებოდა კიდეც, რომ უკურნებელი სენით ვარ ავად...

1-ელი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ამ დღეს საქართველოში საქველმოქმედო აქციებით აღნიშნავენ. რა მდგომარეობაა სადღეისოდ ჩვენს ქვეყანაში, იმატა თუ არა დაავადებულთა რიცხვმა, — ამის გასარკვევად, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის დირექტორს ***იზა გოდოკიას*** *მივმართეთ.*



— თუ შარშან, აივ-ინფექციის 847 შემთხვევა იყო დაფიქსირებული, წლევანდელი მონაცემით, ეს მაჩვენებელი 1110-მდე გაიზარდა. აქედან 767 — მამაკაცია, ხოლო 243 — ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდე ასაკისაა. აივ-ინფიცირებულთაგან, შიდსი 452 პაციენტს განუვითარდა. სამწუხაროდ, იმატა სიკვდილიანობამაც. ინფიცირებულთა და დაავადებულთა უმრავლესობა, ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებელია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონებიდან აივ-ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა რიცხობრივი მაჩვენებლით სამეგრელო ლიდერობს. ამ მხრივ, ამ რეგიონში შემაშფოთებელი მდგომარეობაა. სამეგრელოს შემდეგ, დედაქალაქი და აჭარის რეგიონი მოდის. მსოფლიოში შიდსის პრობლემა უმეტესწილად, განვითარებად ქვეყნებში არსებობს. შიდსის (ადამიანის იმუნოდეფიციტის სინდრომი) გამომწვევია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). აივ თანდათანობით აზიანებს ადამიანის დამცავ იმუნურ სისტემას. პროცესი შესაძლოა, რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდეს, ისე, რომ ადამიანმა ამის შესახებ არაფერი იცოდეს. დროთა განმავლობაში, იმუნური სისტემა იმდენად სუსტდება, რომ ვერც ერთ დაავადებას ვეღარ უმკლავდება. ჯანმრთელი ადამიანისთვის უსაფრთხო ინფექციები აივ-ით დასუსტებულ ორგანიზმში სიცოცხლისთვის საშიშ ფორმას იძენს. ეს ხდება უმეტესწილად, აივ-ინფექციის საბოლოო — შიდსის სტადიაზე. მსურს, კიდევ ერთხელ შევახსენო მოსახლეობას: აივ ან შიდსის ვირუსი ხელის ჩამორთმევით, კოცნით ან მწერის ნაკბენით არ გადადის. დაავადება მხოლოდ სქესობრივი გზით, ინფიცირებული სისხლის გადასხმით, ვირუსით დაბინძურებული ნემსით ან ინფიცირებული დედიდან — შვილზე მუცლადყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს გადადის. არსებობს შემთხვევები, როდესაც დაავადებულ დედას შვილი სრულიად ჯანმრთელი უჩნდება. ამასთანავე, ქუთაისში დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც ბავშვს აივ-ინფექცია ძუძუთი კვების დროს გადაეცა. საქართველოში აივ-ვირუსით 13 ბავშვია ინფიცირებული.

— რამდენად ხელმისაწვდომია აივ-ვირუსის და შიდსის გამოკვლევა და მკურნალობა?

— გამოკვლევა მოიცავს 4 საფეხურს. როდესაც ადამიანი ინფექციურ საავადმყოფოში მოდის, სადაც შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი არსებობს და სისხლის ანალიზს იტარებს, ის მხოლოდ 10 ლარს იხდის. რასაკვირველია, ეს თანხა სრული გამოკვლევისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ სახელმწიფო ითვალისწინებს მოსახლეობის არცთუ ისე სახარბიელო სოციალურ მდგომარეობას და დანარჩენ ხარჯებს ბიუჯეტიდან ფარავს. რაც შეეხება მკურნალობას, ამ შემთხვევაში, თითოეული დაავადებულისა თუ ინფიცირებულის მკურნალობას „გლობალ-ფონდი“ აფინანსებს. საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, პაციენტები საკმაოდ ძვირად ღირებულ მედიკამენტებს უფასოდ იღებენ. მედიკამენტოზური მკურნალობის შედეგად, პაციენტები წლების მანძილზე ყოველგვარი ტკივილისა თუ სხვადასხვაგვარი ჩივილის გარეშე ცხოვრობენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ „გლობალ-ფონდის“ ეს პროგრამა 2010 წლამდე გაგრძელდება. ■

„მეტყველება ადამიანის ხასიათსაც გამოხატავს, ინტელექტსაც, აღზრდა-განათლებასაც და წარმომავლობასაც“, — აღნიშნავს ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა ბერიკაშვილი, რომელსაც ჩვენში, მეტყველების კულტურის პედაგოგად იცნობენ. ის უკვე წლებია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში — სტუდენტებთან, სამაუწყებლო კომპანიებში კი, ჟურნალისტებთან მუშაობს და მათ სწორად მეტყველებას ასწავლის. მაგრამ ბოლო წლებში, მუშაობისას სერიოზულ სირთულეებს აწყდება: XXI საუკუნის ქართველებში პროვინციულმა მეტყველებამ იძალა...

rogor metyveleben XXI saukunis qarTvelebi?

anu vano javaxiSvils metyvelebis profesorma veraferi mouxerxa...

ლალი ფაცია

— სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის შექმნის დღიდან, იქ ვმუშაობდი. 3 წელი სხვა ტელეკომპანიაში *(„მზეზე“. — ავტ.)* ვსაქმიანობდი. ახლა ისევ „რუსთავი 2“-ში დავბრუნდი. მოგეხსენებათ, წელს ამ ტელეკომპანიიდან ბევრი ჟურნალისტი წავიდა, რომელსაც ჩემი ხელი დავატყვე. ახლა ახალი თაობა მოვიდა და მოდის, რომელთანაც დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

— მხოლოდ ჟურნალისტებთან მუშობთ?

— არა, კორესპონდენტებთან და ტელეწამყვანებთან ერთად, ჩემთან სხვა თანამშრომლებიც მოდიან, ისინი, ვისაც საზოგადოებასთან ურთიერთობა უწევთ. დღეს მეტყველების კულტურის საკითხი მძაფრად დგას. ამიტომ ადამიანები მიხვდნენ, რომ საკუთარ მეტყველებაზე უნდა იზრუნონ, რადგან ჩვენში, მასობრივად პროვინციული მეტყველება მკვიდრდება.

— პროვინციულ მეტყველებაში რბილ „ლასს“ ანუ რბილ ბგერა „ლ“-ს გულისხმობთ?

— არა მარტო. რბილი „ლასი“ ყოველთვის არსებობდა. ის რაიონებიდან ჩამოსულ ადამიანებს ახასიათებდათ. დედაქალაქში ყოფნისას, ისინი ცდილობდნენ, ეს ხარვეზი აღმოეფხვრათ, რადგან ირგვლივ სწორი მეტყველება ესმოდათ. ახლა ქუჩაში რომ გახვიდეთ, 10-დან 8 ადამიანი რბილ „ლ“-ს ამბობს. ეს ბგერა პროვინციული მეტყველების ნიშნად იქცა. უმეტეს შემთხვევაში, ქუთაისური „ლასი“ ძნელად სწორდება. რაც შეეხება გამაგრე-

...ვაპირებ, დავაფუძნო საორატორო სკოლა-აკადემია

ბულ „ლასს“, ეს უცოდინარობის შედეგია. ვიღაცამ ადამიანს შენიშვნა მისცა — რბილი „ლ“ გაქვსო, — და ისიც ცდილობს, გამოასწოროს, მაგრამ არ იცის პრინციპი, რომ იმ სიტყვაში, სადაც ბგერა „ლ“-ს „ი“ და „ე“ ხმოვანი მოსდევს, „ლ“ რბილი უნდა იყოს, რადგან ამ დროს, ენის წვერი სხვანაირ მოძრაობას აკეთებს. დანარჩენ შემთხვევებში, „ლ“ მაგარია.

— რას იტყვით „რუსთავი 2“-ის წამყვანებზე — მათზე, ვინც ეთერში ჩანან? როგორი მეტყველება აქვთ?

— მათ მეტყვლებაში სერიოზული პრობლემები არა აქვთ. შემიძლია ასეთი ტელეწამყვანები ჩამოგითვალოთ: ზალიკო უდუმაშვილი, თენგო გოგოტიშვილი, დათო კიკალიშვილი, დიანა ჯოჯუა, აკაკი გოგიჩაიშვილი. თითოეულს საკუთარი, სახასიათო მეტყველების სტილი აქვს (რომელიც მიმაჩნია, რომ უნდა ჰქონდეთ), მაგრამ ძირითადად, სწორად საუბრობენ, პროფესიონალები არიან. ახალი თაობაც ცდილობს, საკუთარი მეტყველება დახვეწოს. ვნახოთ, როგორები გაიზრდებიან...

— „რუსთავი 2“-ის იუმორისტების მეტყველებაზე რას იტყვით?

— პროვინციულ მეტყველებასთან ერთად, სამწუხაროდ, ჩვენში პროვინციული იუმორიც დამკვიდრდა. ფაქტია, რომ ამაზე საზოგადოების დიდი მოთხოვნილება არსებობს: ეს შოუები მაღალი რეიტინგით გამოირჩევა. საბედნიეროდ, „რუსთავი 2“-ის იუმორისტებს დახვეწილი ინტელიგენტი, კარგი ქართულით მოსაუბრე — დათო გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობს... პროვინციული მეტყველება მხოლოდ აღნიშნულ გუნდს კი არა, სხვა არხის იუმორისტულ შოუებსაც ახასიათებს, მაგრამ საზოგადოებაზე ზემოქმედება არა მარტო იუმორისტული შოუების, არამედ იმ პოლიტიკური დებატების მეშვეობითაც უნდა მოხდეს, რომლებიც ტელეეთერში გადის. ნებისმიერ პოლიტიკოსსა თუ იურისტს მეტყველებაში რაღაც პრობლემა აქვს.

— „ღამის შოუს“ წამყვანთან, ვანო ჯავახიშვილთან, როგორც მეტყველების პედაგოგს, შეხება თუ გქონიათ?

— ამ ტელეკომპანიაში რომ დავბრუნდი, დათო გოგიჩაიშვილმა მთხოვა: მოდი, ვანოს მივხედოთო, — რადგან ის „ღამის შოუს“ წამყვანობისთვის ემზადებოდა. ვანო არაჩვეულებრივი ადამიანია — ხალასი, კარგი იუმორის მქონე, ძალიან მშრომელი, თუმცა არ დავმალავ, რომ „ღამის შოუს“ წამყვანად ვანოს გამოჩენას ვეწინააღმდგებოდი, რადგან დათოს შემდეგ მას, მიუხედავად მისი მონაცემებისა, ამ შოუში ვერ ვხედავდი. მართალია, მე და ვანომ მუშაობა დავიწყეთ და მის მეტყველებაში ხარვეზების გამოსწორებას შევეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— რა ხარვეზებზეა ლაპარაკი?

— გამოსასწორებელია ინტონაცია, საუბრის მანერა, შერბილებელი „ლასი“, მაგრამ ის ბუნებრივად, ასეთი სახის, ასეთი იუმორის, ასეთი ლექსიკისა და ინტონაციის მქონე ადამიანია, რომელიც „შაბათის შოუს“ კარგად ერგებოდა. მან იქ სპეციალურად კი არ შექმნა ასეთი სახე — ის ასეთია, გარდასახვა არ სჭირდება... როდესაც საკითხი დადგა, რომ „ღამის შოუ“ უნდა წაეყვანა, ვიფიქრე, რომ მას უნდა შეეცვალა საუბრის და ქცევის მანერა, მაგრამ ვანო პატარა, 17-18 წლის ბიჭი, თინეიჯერი როდია, რომ ის სტერეოტიპი დაუნგრიო, რომელიც მასშია გამჯდარი. თან ეჭვი გამიჩნდა — მიიღებდა კი მაყურებელი სხვანაირ ვანო ჯავახიშვილს?.. ამიტომ მივიჩნიე, რომ ის ისეთი უნდა იყოს, როგორიც სინამდვილეშია. ნახეთ, მისი სახით როგორი ტელეწამყვანი მივიღეთ! შეიძლება ითქვას, რომ ეს შოუ მთლიანად შეიცვალა, სრულიად განსხვავებული სახე მიიღო, რაც ურიგო ნამდვილად არ არის.

— როგორც მეტყველების პედაგოგს, „შაბათის შოუს“ სხვა წვერებთან თუ გქონიათ შეხება?

— სხვებთან, არა. მიმაჩნია, რომ რასაც ისინი აკეთებენ, ეს სპექტაკლია, შოუა და მასში ჩარევა მიზანშეწონილი არ არის. თან მას აქვს მაღალი რეიტინგი, ჰყავს მაყურებელი და აქ ყველაფერი ნათქვამია. ფაქტია, რომ ნიჭიერი ბიჭები არიან და თავიანთ საქმეს კარგად აკეთებენ.

— როგორია დღევანდელი თბილისური მეტყველება?

— დღეს თბილისური მეტყველება აღარ არსებობს... საერთოდ, ქალაქური მეტყველება მეტ-ნაკლებად სწორი, გამართული ლიტერატურული ენით, შესაბამისი ინტონაციებით საუბარს ნიშნავდა. ადრე, ნახევარი თბილისი რუსულად ლაპარაკობდა, თუმცა ქართველებს რუსული „პრონონსი“ არ ჰქონდათ. ახლა ინგლისური „პრონონსი“ შემოიჭრა, რაც რატომღაც, კარგ ტონად მიიჩნევა. სწორედ ეს არის პროვინციალიზმის გამოხატულება — როცა სხვა ქვეყნის კულტურაზე ასე გადაირევი... ამგვარად, XX საუკუნის ქართული მეტყველების ძირითადი სატკივარი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: პროვინციული კილო, ინგლისურ-რუსული გავლენა, რიტმული ღარიბი ლექსიკა, სამეტყველო აპარატის ბევრი ორგანული, თანდაყოლილი ნაკლი (მაგალითად, კუნთის დამბლა, ე.წ. დაბმული ენა), რაც ცალკე საუბრის თემაა. სამეტყველო ენის სიღარიბე, ყველაფერთან ერთად, ტოტალური გაუნათლებლობით აიხსნება. წიგნს აღარავინ კითხულობს და ეს ყველაზე მძიმე ფაქტორია: უწიგნურმა ადამიანმა ლიტერატურული ენით საუბარი როგორ უნდა ისწავლოს?!.

— თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში რა ხდება? შეინიშნება თუ არა პროგრესული ძვრები?

— არაფერია პროგრესული და იმედის მომცემი, პირიქით, მუშაობა მოსაწყენი და უაზრო ხდება. ყველანაირ რეფორმას მივესალმები, მაგრამ რა რეფორმაა ის, როცა თეატრალურ უნივერსიტეტში, სასცენო მეტყველების კათედრას დახურავენ?! თურმე, რეფორმამ მოიტანა ის, რომ არანაირი კათედრა აღარ უნდა არსებობდეს. სასცენო მეტყველება დამხმარე საგანი გახდა. უცნაურია, არა?.. ეს ერთადერთი კათედრა იყო, რომელიც მთელი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს მეტყველების კულტურის პედაგოგებით ამარაგებდა. ეს გახლავთ მეცნიერება, რომელიც ენათმეცნიერებასა და მედიცინას აერთიანებს. მასზე უარის თქმა კი, ამ მეცნიერების დასამარებას ნიშნავს. ეს დარგი ველარ განვითარდება. ასე რომ, უნივერსიტეტში ჩემს ფუნქციას ველარ ვხედავ. ამიტომ ვაპირებ, დავაფუძნო საორატორო სკოლა-აკადემია. ვიპოვე ადამიანიც, რომელმაც მატერიალური თანადგომა აღმითქვა. ბიზნეს-გეგმა უკვე შედგენილი მაქვს. იმედია, ამ საქმეში უამრავი ადამიანი დამეხმარება. აკადემიაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ისწავლიან. იქ პოლიტიკოსებსაც მოვიწვევ. აკადემიის მიზანია, რომ ამ დარგს პედაგოგებიც აღუზარდოს, რომლებიც იმუშავებენ სკოლებში, კოლეჯებში, უმაღლეს სასწავლებლებში. ყველამ უნდა იფიქროს და იზრუნოს საკუთარი მეტყველების დახვეწაზე. ■

ვანო არაჩვეულებრივი ადამიანია — ხალასი, კარგი იუმორის მქონე...

შს სამინისტრო „კრაზანის" შესახებ

ადვოკატმა გოფშტეინმა ჯანონიერი ქურდის შემოსავლიდან 300 მილიონი დოლარი მიითვისა და „გაათეთრა" – ასეთია ესპანელი სამართალდამცველების ბრალდება

მეგი ცანავა

რამდენიმე დღის ხნის წინ, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ჩატარებული გახმაურებული სპეცოპერაციის — „კრაზანასა" და ესპანელი და ქართველი სამართალდამცველების თანამშრომლობის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. სპეცოპერაცია, რომლის დროსაც ესპანელმა სამართალდამცველებმა ცნობილი რუსი ადვოკატი — ალექსანდრ გოფშტეინი აიყვანეს, მიმდინარე წლის 23 ნოემბერს ჩატარდა. ცნობილია, რომ გოფშტეინი დაკავებული კრიმინალური ავტორიტეტის — ზაქარია, იმავე ზაქრო კალაშოვის ინტერესებს იცავდა.

ესპანელმა სამართალდამცველებმა რუს ადვოკატს მისი კლიენტის — კანონიერი ქურდის მიერ საქართველოსა და რუსეთში მიღებული „შავი" ფულის გათეთრებაში დასდეს ბრალი. ალექსანდრ გოფშტეინი სპეცოპერაციის (სახელწოდებით — „კრაზანა") მეორე ეტაპის მსვლელობისას აიყვანეს. პირველი ეტაპი 2005 წლის ივნისში ჩატარდა. „კრაზანის" მიზანი — ესპანეთში რუსული მაფიის, ე.წ „მაფია რუსას" საქმიანობის აღკვეთას წარმოადგენდა. ესპანურ პრესაში წერენ, რომ ამ სპეცოპერაციის მეორე ეტაპი ისეთივე მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო. განსხვავება იმაშია, რომ 2005 წელს მაფიოზობის ბრალდებით, გაცილებით მეტი ეჭვმიტანილი აიყვანეს, ვიდრე ამჯერად.

მაშინ ოპერაცია მადრიდში, ლას-როსაში, იუნკლერ-დე-ლა-საგრაში (ტოლედოს პროვინცია) და მარბელიეში (მალაგის პროვინცია) ჩატარდა. აღნიშნულ ტერიტორიებზე ესპანელმა სამართალდამცველებმა 9 პიროვნება, მათ შორის: ორი — რუსი, ოთხი — ესპანელი, ერთი — საუდის არაბეთის მოქალაქე და ორი — ქართველი აიყვანეს. ისინი ადამიანების გატაცებების, ძალადობის შედეგად ფულის გამოძალვის გზით აღებული დიდი თანხების „გათეთრებაში" იყვნენ ეჭვმიტანილი. ესპანეთის პოლიცია აქვეყნებდა ცნობას იმასთან დაკავშირებითაც, რომ დაკავებული პირები წილებს რუსული კაზინოებიდანაც იღებდნენ, შემდეგ ამ ფულს, ისევე, როგორც დანაშაულებრივი წყაროებიდან მიღებულ სხვა შემოსავალს, წლების მანძილზე, წარმატებით „ათეთრებდნენ".

სამართალდამცველებმა ყადაღა დაადეს მათ საბანკო ანგარიშებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაგროვილმა თანხამ საბოლოოდ, 1 მილიონი ევრო და 900 ათასი დოლარი შეადგინა. გაყინეს 800 საბანკო ანგარიში, ამოიღეს 42 ძვირად ღირებული ავტომობილი და 50 საკრედიტო ბარათი. ფულის „გათეთრებაში" მონაწილეობისთვის დაკავებულია ესპანური ბანკებისა და საგადასახადო სამსახურების რამდენიმე თანამშრომელიც.

სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულთა შორის არიან: რუსი ბიზნესმენი ოლეგ ვორონცოვი (ის უკრაინის მოქალაქე გახლავთ, თუმცა წლების მანძილზე მადრიდში ცხოვრობდა); კონსტანტინე ასათიანი (დაბადებული 1963 წელს) და მიხეილ მდინარაძე (დაბადებული 1961 წელს). საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ სწორედ მიხეილ მდინარაძემ შეიძინა 2004 წელს კანონიერი ქურდის — კალაშოვის სახლი დაბა წყნეთში; აღნიშნული სახლი და მთელი ქონება მერაბ კალანდაძის სახელზე იყო გაფორმებული.

ოპერატიული მონაცემების მიხედვით, მიხეილ მდინარაძე საქართველოდან 1990-იან წლებში წავიდა. მას შემდეგ ის ჩვენს ქვეყანაში დროდადრო ჩამოდიოდა. ოფიციალური ცნობების თანახმად, ის რუსეთის მოქალაქე გახლავთ და მუდმივად სწორედ რუსეთში ცხოვრობდა. შს სამინისტროს ცნობით, ზემოთ აღნიშნული ქონების გადაფორმებასაც 2004 წელს, მისი სახელით, რუსეთიდან ჩამოსული, ნდობით აღჭურვილი პირი აწარმოებდა.

ოფიციალური ინფორმაციით, მთელ ამ ქსელს ოლეგ ვორონცოვი ხელმძღვანელობდა. გაირკვა ისიც, რომ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი კალაშოვის ადვოკატების მომსახურებასა და მისი ნათესავების დაფინანსებას ხმარდებოდა. ვარაუდობენ იმასაც, რომ დიდი თანხაა გადახდილი ესპანეთის იმ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მოსაქრთამავად, სადაც კალაშოვი იმყოფებოდა. ფულადი სახსრები ირიცხებოდა რუსეთიდან — შპს „იმპორტაგიონეს გოლდენ რინგისა" და კომპანია „ჩოპარდის" ანგარიშებზე. ორივე ფირმას ვორონცოვი და მისი მეგობარი ქალბატონი — მარი კრუს ბ.ი. ხელმძღვანელობდნენ. დაკავებულია კრუსიც, რომელიც, ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაციით, საუდიის არაბეთის მოქალაქეა.

რაც შეეხება ადვოკატ ალექსანდრ გოფშტეინს, — მას 300 მილიონი დოლარის მითვისება და „გათეთრება" ედება ბრალად. სამართალდამცველთა ვარაუდით, გოფშტეინი ერთგვარი კურიერის როლსაც ასრულებდა „შავი" ფულის გადაზიდვისას.

დაკავებული იურისტისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით, სასამართლო სხდომა მადრიდის მაგისტრალურ სასამართლოში ჩატარდა. ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ეჭვმიტანილები, რომლებსაც შეხება აქვთ ტერორიზმთან ან უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან, ოფიციალური ბრალდების წაყენებამდე საკმაოდ დიდხანს დაყოფენ ციხეში. ესპანური კანონმდებლობის მიხედვით, პოლიციას უფლება აქვს, გამოძიების დასრულებამდე, საიდუმლოდ შეინახოს საქმის მასალები და არ გააცნოს ის დაცვის მხარეს.

საქართველოს შს სამინისტროს ცნობით, სწორედ ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, ამჟამად, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტსა და ესპანელ სამართალდამცველებს შორის აქტიური, ურთიერთკოორდინირებული მუშაობა მიმდინარეობს.

■

„პირდაპირ იდგა და იარაღს მიმიზნეებდა... ეტყობოდათ, რომ ყველაფერზე იყვნენ წამსვლელები"

დაზარალებული მხარე განსასჯელებს სასტიკ მკვლელობაში ადანაშაულებს

ყაჩაღობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად, ადამიანის სიკვდილი მოჰყვა — ასეთი ბრალდებით, სასამართლო ოთხ ახალგაზრდა კაცს გაასამართლებს. სახელმწიფო ბრალდება მათ ყაჩაღურ დაჯგუფებას უწოდებს. განსასჯელები დანაშაულს ჯერჯერობით არ აღიარებენ, დაზარალებული მხარე კი, თითოეული მათგანის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს. საქმის მასალების მიხედვით, სასამართლოს წინაშე წარმდგარმა 20 და 22 წლის განსასჯელებმა, რომლებიც, სხვათა შორის, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილან, დაახლოებით ერთი წლის წინ თბილისში, კერძო ტაქსის მძღოლი სასტიკად სცემეს. სცემეს ისე, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. გონდაკარგული და მთლად დასისხლიანებული დაშავებული ქუჩაში შემთხვევითი გამვლელების წყალობით, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა მაინც ვერ მოახერხეს. ნაცემი ტაქსის მძღოლი — 52 წლის ვარლამ ტყემალაძე მიყენებული დაზიანებების შედეგად, შემთხვევიდან მესამე დღეს გარდაიცვალა...

მეგი ცანავა

განსასჯელები — ლევან ჯიშკარიანი, ლევან გაბედავა, ნოდარ გვაზავა და ჯაბა აბესაძე ტაქსის მძღოლის სასტიკი ცემის ფაქტსა და ამ დანაშაულში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფენ. მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები კი აცხადებენ, რომ გამოძიებამ სრულიად უსამართლოდ და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, როგორც თავად აღნიშნავენ, დაზარალებული მხარის ვარაუდზე დაყრდნობით დასდო ბრალი ახალგაზრდებს. ადვოკატების ასეთ განცხადებებს ბრალდების მხარე ეწინააღმდეგება და მათ არგუმენტებს უსუსურს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ეს, ერთადერთი დანაშაული არ გახლავთ, რომელშიც ადვოკატებს თავიანთი კლიენტების დაცვა მოუწევთ. გამოძიება ოთხივე პირს ყაჩაღურ თავდასხმაში, ავტომანქანის გატაცებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში ადანაშაულებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, ოთხივე ახალგაზრდამ აღიარებითი ჩვენება დაწერა. დღეს ამ ჩვენებებს ისინი უარყოფენ.

პირველი დანაშაული, რომელიც საბრალდებო დასკვნაშია დაფიქსირებული, ავტომანქანის გატაცებაა. გამოძიების მასალების მიხედვით, 2006 წლის თებერვლის ბოლოს (ზუსტი რიცხვი დაუდგენელია) ჯიშკარიანი და გაბედავა გამოძიებით დაუდგენელ პირებს — ვინმე გაგასა და ვანოს შეხვდნენ. როგორც ჩვენებებში წერია, შეხვედრა შემთხვევით მოხდა. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, გაბედავამ თქვა, რომ ძმაკაცებთან ერთად აუცილებელ საქმეზე გორში უნდა წასულიყო და ამისთვის მანქანა სჭირდებოდა. ბიჭებმა გაბედავას დახმარება აღუთქვეს და დაჰპირდნენ, რომ საჭირო ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით საღამოს მიაწვდიდნენ. როგორც ჩანს, სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე, ჯიშკარიანი და გაბედავა, რომლებიც თავიანთ ძმაკაცებს — გვაზავასა და აბესაძესაც დაუკავშირდნენ და ისინიც საქმის კურსში ჩააყენეს, იმავე ღამეს, დანიშნულების ადგილას, დაახლოებით 1-ელი საათისთვის მივიდნენ. რამდენიმე წამში მათ გვაზავა და აბესაძეც შეუერთდნენ.

კუტუზოვის ქუჩაზე გაჩერებული „ტოიოტა-ლენდკრუიზერი" მაშინვე შენიშნეს. მანქანაში მძღოლი — ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. გაბედავამ და ჯიშკარიანმა, რომლებიც გამოძიების მასალების მიხედვით, პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები, მძღოლს მანქანის მინაზე იარაღით მიუკაკუნეს და ანიშნეს, გადმოსულიყო. დაზარალებული — **გასილაშვილი** იხსენებს, რომ თავდაპირველად ისინი პოლიციის თანამშრომლები ეგონა, ისე თავდაჯერებულად მოსთხოვეს მანქანიდან გადმოსვლა.

„მართალია, ბოროტმოქმედებს ფორმა არ ეცვათ, მაგრამ რატომღაც ასე ვიფიქრე. ჩავთვალე, რომ რაღაცის კითხვა უნდოდათ და მეც მანქანის კარი გამოვაღე. თუმცა, ამ აზრმა მხოლოდ წამით გამიელვა, მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. რაც არ უნდა მეფიქრა, იმ სიტუაციაში სხვა გზა მაინც არ მქონდა. იარაღი დამიმიზნეს, ეტყობოდათ, რომ ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ. იარაღი თან არ მქონდა, რადგან მას სახლში ვინახავ ხოლმე. ოფიციალურად მაქვს გაფორმებული, შენახვის უფლებით... ერთ-ერთმა, როგორც მოგვიანებით გაირკვა — გაბედავამ — მითხრა — მანქანა უნდა წავიყვანოთ, ხმა არ ამოიღოო. ის ჩემთან უფრო ახლოს იდგა, პირდაპირ და იარაღს მიმიზნებდა. მეორე — ჯიშკარიანი, ჩემგან მარცხნივ, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იდგა. იარაღი მის ხელშიც დავინახე. მაშინ მივმართე მათ — ბიჭებო, ამას ნუ გააკეთებთ, თუ რამეში შემიძლია დაგეხმაროთ, მზად ვარ, მოვილაპარაკოთ-მეთქი. პასუხად ის მითხრეს, რომ ფული სჭირდებოდათ და საფულე მომთხოვეს. საფულე გადავეცი, მაგრამ ჯიბეები ჯიშკარიანმა მაინც გამისინჯა. საფულეში 250 დოლარი და დაახლოებით 30 ლარამდე იდო, ასევე — პირადი საბუთები. გაბედავა ამ დროს ისევ იარაღს მიმიზნებდა. ვთხოვე, საბუთები დაეტოვებინათ, მაგრამ ამაზე რეაგირება არ მოუხდენიათ. ჩქარობდნენ. ჯიშკარიანმა ვიღაცებს ხელი დაუქნია. მე მანამდე, მათ გარდა არავინ შემინიშნავს. ბნელოდა. ქუჩა ძალიან სუსტად იყო განათებული და თანაც, გაბედავა პირდაპირ სახეში მიყურებდა, თავის ოდნავ მიბრუნებასა და გვერდზე გახედვის საშუალებასაც არ მაძლევდა. ყველანი ერთად ჩასხდნენ მანქანაში და დიდი სისწრაფით დაიძრნენ. საჭესთან, როგორც მახსოვს, ჯიშკარიანი დაჯდა. წასვლისას გამაფრთხილეს — არ დარეკო, არ ინანოო... როგორც მივხვდი, პოლიცია იგულისხმეს...

იმ ღამეს მანქანით შემთხვევით ვიყავი გაჩერებული კორპუსთან, ქუჩის მხარეს. იქვე ვცხოვრობ, მაგრამ შინ მივდივარ თუ არა, მანქანას ვაყენებ ავტოფარეხში, რომელიც კორპუსის უკანა მხარეს, ეზოშია. ჩვეულებრივ, შინ საღამოს 11 საათისთვის ვბრუნდები, თუმცა არის შემთხვევები, როცა უფრო მაგვიანდება. ალბათ, ბოროტმოქმედები ავტოფარეხის გატეხას გეგმავდნენ, მაგრამ სრულიად შემთხვევით გაუმართლათ და მე ქუჩაში გაჩერებული დავხვდი. ეს გამართლება რომ არა, შეიძლება, მიზნისთვის ვერც მიეღწიათ, რადგან ავტოფარეხზე სიგნალიზაცია მაქვს დამონტაჟებული, პოლიციისთვის დროულად დარეკვასა და ბოროტმოქმედებისთვის წინააღმდეგობის გაწევას უფრო მოვახერხებდი... გაფრთხილების მიუხედავად, მობილურით დავუკავშირდი ჩემს მეგობარს და მომხდარის შესახებ პირველად მას ვუთხარი, შემდეგ, პოლიციასაც შევატყობინეთ..." — ასე აღწერა მომხდარი ფაქტი დაზარალებულმა სასამართლო პროცესზე. საინტერესოა, რომ პოლიციამ გატაცებულ ავტომანქანას მიაგნო, მაშინვე, ცხელ კვალზე ბოროტმოქმედთა დაკავება კი ვერ შეძლო. ავტომანქანა გორთან ახლოს, ცენტრალურ ტრასაზე მიტოვებული აღმოაჩინეს, თავად გამტაცებლები კი არსად ჩანდნენ...

ამ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით, ეჭვმიტანილის სახით დაკითხულები — გაბედავა და ჯიშკარიანი, ისევე, როგორც მათი ორი თანამზრახველი, აღიარებით ჩვენებებში ისევე დეტალურად აღწერენ ჩადენილ დანაშაულს, როგორც დაზარალებული. მაგრამ მოგვიანებით, როცა მათ ბრალი ოფიციალურად წაუყენეს, თავი დამნაშავედ არც ერთმა მათგანმა აღარ ცნო. ვიდრე სამართალდამცველები გაბედავასა და მის მეგობრებს დააკავებდნენ, ყაჩაღური ჯგუფის წევრებმა, როგორც ეს საქმის მასალებშია აღნიშნული, მორიგი თავდასხმა დაგეგმეს და სასტიკი დანაშაულიც ჩაიდინეს.

2006 წლის 2 მარტს, წინა დანაშაულიდან დაახლოებით ერთ კვირაში, ჯგუფის წევრებმა მოითათბირეს და კიდევ ერთი ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება

გაგრძელება იხ. გვ. 63

ალო, სამი-ოცია? ანუ, შენ ჩვენი გაგიქცია მინდა?

ინტერესი ნატალისა ზურას გარშემო არ ნელდება. მკითხველი ძალზე აქტიურად გულშემატკივრობს ჩვენს წყვილს. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა ძველებურად იგრძნობა. მკითხველებმა უყურადღებოდ არც ირინე დატოვეს, რომელმაც მომწერა, რომ თავისი ამბის სააშკარაოზე გამოტანა უნდა. როგორც ყოველთვის, მკითხველი მის ამბავსაც ინტერესით ელის. თუმცა, მის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს მოგიყვებით. ახლა კი იმ მესიჯებს გთავაზობთ, რომლიც ამ კვირის განმავლობაში თქვენგან მივიღეთ:

მარი ჯაფარიძე

„ნატალი და ზურა, ორივე ძალიან მიყვარხართ. ხათუნას კი ვურჩევ, „გზის“ ყველა ნომერი წაიკითხოს და მიხვდება, ამ ფურცლებზე რამხელა სიყვარულია გადმოცემული. ჩემმა ქმარმა ასეთი სიყვარული რომ იპოვოს, „ლანგარზე დადებულს“ მივართმევ... მე კი სხვას მოვძებნი“.

„მინდა, კუსუნას ვკითხო, ხათუნას ადგილზე რომ იყოს, თანაც, ავადმყოფ ბავშვთან ერთად, რას იზამდა? მე მორწმუნე ვარ და ნატალისა და ზურას რომანს არ მივესალმები“.

„იკა, მგონი, ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც ნატალის და ზურას წინააღმდეგ დაამესიჯა. მეც შენსავით ვფიქრობ, მაგრამ ტყუილად არ ვიღლი თავს მათი ლექსების კითხვით. რა აზრი აქვს მგლის თავზე სახარების კითხვას? ღმერთი ყველას თავისას მიუზღავს. სხვისი ოჯახი რა ჩემი საქმეა, მაგრამ...“

„პირადად ნატალისთან მაქვს უდიდესი თხოვნა — სონა მომიკითხე იმ პატარა ბაიასთან ერთად, მუცელში რომ ჰყავს... ზურაზე და ნატალიზე რაღა ვთქვა? აზრები ამომეწურა. ორივე ძალიან კარგები ხართ. ბავშვის მონათვლაზე რომ მიდგება საქმე, მე არ დამივიწყოთ. ეკო“.

„ნატალი და ზურა! ამქვეყნად ბედნიერების უფლება ყველას აქვს. არ მესმის იმ ხალხის, თქვენს ურთიერთობას ურყოფით შეფასებას რომ აძლევს. გულში ჩაიხედეთ, თითოეული ჩვენგანი მთელი ცხოვრება რაღაცას ეძებს. ეს რაღაც კი, სიყვარულია. ასე ყველას არ უმართლებს. არასოდეს გიოცნებიათ ისეთ ადამიანზე, რომელიც ისე გაგიგებდათ და დაგიდგებოდათ გვერდით, როგორც ზურა? სანამ სხვას განსჯით, კარგად დაფიქრდით. საკუთარ წარსულს გადახედეთ და აღიარეთ, რომ ამ 2 ადამიანს არაფერი აქვს თქვენი სასაყვედურო. ნატალი და ზურა, ბედნიერებას გისურვებთ! დატკბით ცხოვრების ძვირფასი საჩუქრით“.

„მინდა, ეს მესიჯი ნატალიმ წაიკითხოს. რამდენიმე წლის წინ ქმარს გავშორდი. ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ მისმა მშობლებმა დაგვაშორეს. დამრჩა შვილი. რა თქმა უნდა, სხვა კაცზე არც მიფიქრია, მაგრამ 2 წლის წინ, ერთი ცოლიანი მამაკაცი შემომიჩნდა და რას არ აკეთებდა, რომ მისი გავმხდარიყავი. ახლა უკვე ერთმანეთს ვხვდებით. შემიყვარდა კიდეც. ჩემს თავს არ ვამართლებ, მაგრამ მას რომ ცოლთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდა, დევნას არ დამიწყებდა. როცა კაცები საყვარლებს იჩენენ, ეს მათი ცოლების ბრალია. მაგრამ ქმრის ღალატს გაიგებენ თუ არა, მაშინვე იმ ქალზე ბრაზდებიან. ის კი არ იციან, მათი მეუღლეები როგორი მონდომებით ეძებენ სიბოზს სხვის უბეში“.

„აუ, ახლა მაგარი „დავიგრუზე“ ამ ამბავზე. ბაჩოს ამბავი უფრო მაინტერესებს. მასზე უფრო მეტი დაწერეთ, რაااააა“.

„მარი, მე ირინე ვარ. გახსოვს, რომ გითხარი, შენთან შეხვედრა მინდა-მეთქი? მართლა ძალიან მინდა, რომ ჩემი ამბავიც ნატალის თავგადასავალივით დაიწეროს. მაგარი ამბავია, გეფიცები... არ გაინტერესებს, რა ხდება? არ გინდა, მოგიყვე?“

„ნატალი და ზურა, ძალიან მიყვარხართ. გულის ფანცქალით ველოდები ხუთშაბათს. არავის დაუგდოთ ყური. დატკბით ბედნიერებით! თქვენი გულშემატკივარი, თათა“.

„მარი, იმ ირინაზე მოკლედ მაინც გვითხარი რამე. რა დაემართა ასეთი, რომ თავისი ამბის საქვეყნოდ „გამოჭენება“ სურს. ახლა მაგის გამო უნდა ვღვაროთ ცრემლი? ვაიიი... რა ვქნათ, კაცოოო, ჩვენ რა დავაშავეთ?“

„გამარჯობა, მარი. რომ იცოდე, რა აღშფოთებული და გაბრაზებული ვარ! ახლა ერთ-ერთ ჟურნალს ვათვალიერებდი და რას ვხედავ? ვიღაც მარიკასა და გიოს ზურასა და ნატალისთვის მიუბაძავთ და თავიანთი ამბავი საქვეყნოდ „გამოუჭიმიათ“. თანაც, ჟურნალისტი გვამცნობს, გაგრძელება შემდეგ ნომერში იქნებაო. რა უბედურებაა, კაცო? თითი ვერ გაგინძრევია ისე, რომ სხვამ არ მოგბაძოს. მარი, შენ მაინც ყველაზე მაგარი ხარ, შენი რუბრიკებიანად. წარმატებებს გისურვებ! შენი და „გზავნილების“ ერთგული ხატია“.

„მინდა, ნატალისა და ზურას ვუთხრა, რომ სულაც არ არიან ისეთი კარგები, როგორც თავს გვაჩვენებენ. ნატალი ერთი სულელი ქალია, რომელსც ცოლიანმა კაცმა თავბრუ დაახვია. ზურა კი „ბაბნიკი“ და ცანცარაა, რომელიც ერთმა ქალმა „ააგდო“ და გადარია. მათი საქციელი არ მომწონს, მაგრამ ამბავს მაინც „გამწარებული“ ვკითხულობ“.

„ეს რომანი სერიალივითაა, რომელსაც გაგრძელება აქვს, მაგრამ დასასრული — არა. მარი, ნუ დაგვტანჯე! გვაღირსე ფინალი. ხომ იცი, რომ ყველას ძალიან გვაინტერესებს“.

„ნატალი, ნუ მოუსმენ უაზრო ადამიანების ლაპარაკს. იცი, რამდენს შურს შენი? დრწმუნებული ვარ, ზურას ვინაობა რომ გაიგონ, აუცილებლად ეცდებიან წაგართვან. აქ კი ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ისვრიან. ყველამ თქვენს თავს მიხედეთ!“

„ვაااიიი... რა ჭორიკანები ხართ! მარტო საბაბი გინდათ და ყველას მაშინვე ტალახში ამოსვრით. ბოღმიანია ყველა, ვისაც ნატალიზე ცუდის თქმა შეუძლია. თვითონ სიყვარულში არ უმართლებთ და იძახიან, მე მორწმუნე ვარო... იყავი ბატონო, მორწმუნე, მაგრამ თუ ჭეშმარიტი მორწმუნე ხარ, ისიც უნდა იცოდე, რომ სხვისი განსჯა არ შეიძლება. მორწმუნე კი არა, უიღბლოები ხართ და სხვისი ბედნიერება გშურთ! „ვოტ ტაკ!“

„პირადად მე უარს არ ვიტყოდი მსგავს თავგადასავალზე და ზურასნაირ კაცზე. მარტო ის რად ღირს, რომ ასეთი რომანტიკულია. ზურა, ყველას გვიყვარხარ! ნატა, არ გაგვიბრაზდე, შენც ძალიან გვიყვარხარ, მაგრამ მგონია, რომ ზურას მეტი გამხნევება სჭირდება“.

„ირინა, მიდი, დაიწყე შენი თავგადასავალი. დაუმესიჯე მარის და გამოაქვეყნებს, აბა, რას იზამს?! ზურა და ნატალი კი არ მოგვწყინდა, მაგრამ არც შენი ამბავი გვაწყენდა, „ძმაო“. აბა, შენ იცი“.

„ნატალი, სონა ძალიან მაგარია. მარის შემოვევლე, ასეთ თემებზე რომ წერს. ამოვიდა ყელში ღალატი და ორგულობა. მეგობრობამ ფასი დაკარგა. შენი და სონას მაგალითმა იქნებ, ახალგაზრდებს ერთგული მეგობრობისკენ უბიძგოს, თორემ აღარ ინდობენ ერთმანეთის შეყვარებულებსა და ქმრებს... გაიხარე, გამრავლდი და იბედნიერე შენს ზურასთან ერთად. მჯერა, ასეც იქნება, რადგან ღმერთს ერთგული ადამიანები უყვარს. ცოტა მშურს კიდეც შენი, რადგან მეც მინდა, თქვენნაირი მეგობრობა მქონდეს“.

„სამი-ოციაა? ალოოო... მარი, რათა გვტანჯავ კაცო, რათა? შენა ჩვენი გაგიჟება გინდა, თუ რაშია საქმე? ქალო, წიგნად მაინც გამოგეშვა ეე შენი რომანი. თელავში ვიქნებოდიიიი, თელავში წავიკითხამდი, გურჯაანში ვიქნებოდიიი, გურჯაანში წავიკითხამდი... დავჯდებოდი და ერთი ამოსუნთქვით გავიდოდი ბოლოში. დედაჩემი „ფარული ვნებისა“ და „მონტე კრისტოს“ ყურებითა კვდება, მე კიდევ ნატალის ამბის კითხვით. ქალო, შაგვიბრალე, მაშ, ღმერთი არა გწამს? ჩამოვალ იცოდე თბილისში და სულ ძალით მოგაყოლებ ამბავს ბოლომდე, ე, ხალათი დამიჭერს? გაიგეეე, შენაااა! რო წერამ, რა, მოპარულსა წერაამ თუ რაااა? გოგო, ამ ყველაფერს თელავური კილოთი გეუბნები და ისე წაიკითხე, მაგრად იხალისებ. გკოცნი, კახელი გოგო. არ გამიბრაზდე, რომ ასე შინაურივით გელაპარაკები, შენ ხომ ჩვენი „ძმაკაცი“ ხარ“. ■

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-47

წინა კვირაში ნატალის მოულოდნელი სიურპრიზები დაატყდა თავს. ჯერ ბაჩოს უმცროსი და ეწვია, რამაც ძალიან გაანერვიულა, შემდეგ კი — უცხო ქალბატონი. თხრობა კი იმ მომენტზე შევაჩერეთ, როდესაც სტუმარი ქალბატონი მის სახლში უცერემონიოდ შევიდა და ყველა ოთახი მოიარა.

მარი ჯაფარიძე

...უკან დავყვებოდი ამ მოულოდნელ სტუმარს და თითქოს ვერთობოდი იმის გამოცნობის მცდელობით, თუ ვინ იყო და რა უნდოდა ჩემთან. უამრავი ვერსია განვიხილე გონებაში, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, მათგან რომელი გახლდათ სწორი.

— რემონტი როდის გააკეთე? — მკითხა უეცრად, თან, სააბაზანო ოთახის კარი გამოაღო და შეიხედა.

— ქალბატონო, ეს ბინა არ იყიდება... — ვუპასუხე მტკიცედ, რადგან ვიფიქრე, რომ ამ ქალბატონს ბინის ყიდვა უნდოდა და მისამართი შეეშალა.

— მე ქალბატონი ლიკა ვარ, — თქვა რაღაცნაირად, გაწელილად და ტუჩის კუთხე დაემანჭა.

— დიახ, ქალბატონო ლიკა, ეს ბინა არ იყიდება, — ვთქვი და გასასვლელისკენ დავიძარი, იმ იმედით, რომ რადგან ამ „დედალმა კენტავრმა“ უკვე გაიგო, რომ მისამართი შეეშალა, თვითონაც უკან გამომყვებოდა და ბოლოს და ბოლოს, მეღირსებოდა მარტო დარჩენა. 2 ნაბიჯი გადავდგი თუ არა, მისი ხმა მომწვდა:

— გოგო, მოიხედე, ერთი...

მივბრუნდი და თვალი თვალში გავუყარე, გულმა კი გამალებით დამიწყო ცემა, რადგან მივხვდი, რომ ამ ქალს არც მისამართი შეშლია და არც ბინის ყიდვა უნდოდა. ამ სიურპრიზისგან კი, სასიკეთოს უკვე აღარაფერს ველოდი.

— ჩემო კარგო ნატალია, — ჩემი სახელი ისეთი დამცინავი კილოთი წარმოთქვა, რომ სურვილი გამიჩნდა, თმაში ჩავფრენოდი ამ თავხედს და გარეთ მომესროლა, — მაგარი ქალი ხარ, არა?.. კაცებს „ჰაერში იჭერ“ და აბამ, არა?!.

„ხათუნა!“ — გამიელვა წამიერად თავში, მაგრამ გამახსენდა, რომ ლიკა ერქვა...

— ნუ მიყურებ, ვერ მიხვდები, ვინ ვარ. მაგრამ აქ იმიტომ მოვედი, რომ გაგაგებინო — მე ზურას საყვარელი ვარ... სა-ყვა-რე-ლი! — დამარცვლით წარმოთქვა ბოლო სიტყვა და გაჩუმდა, რადგან ალბათ, ჩემი რეაქცია აინტერესებდა. მე ჯერ თვალები გამიფართოვდა, შემდეგ კი, ისეთი ხარხარი ამიტყდა, რომ სტუმრის თვალებში შიშიც კი დავინახე. სიცილისგან ცრემლი მდიოდა, მაგრამ ისევ ვხარხარებდი და ვხარხარებდი. ეს უკვე ისტერიკა და ჩემი გონების არასწორი რეაქცია იყო ახალგაგონილ ამბავზე... როგორც იქნა, დავწყნარდი, სული მოვიბრუნე და სრულიად მშვიდი ხმით შევთავაზე:

— მობრძანდით, ქალბატონო ლიკა, დაბრძანდით. ყავას მოვადუღებ და ვისაუბროთ.

როგორც ჩანს, ისე გააოგნა, წუთის წინ ნანახმა ჩემმა რეაქციამ მის განცხადებაზე, რომ ხმის ამოუღებლად შევიდა ოთახში და ჩემს საყვარელ სავარძელში ჩაჯდა.

— უკაცრავად, მაგრამ აქედან აბრძანდით, თუ შეიძლება. ეს მახვშის სავარძელია, ამ ოჯახში კი, მახვში მე ვარ, — ვუთხარი და თვითონვე გამიკვირდა, საიდან მოვიგონე ეს სისულელე. კვლავ მორჩილად შეასრულა ჩემი თხოვნა და დივანზე გადაჯდა. — ახლავე დავბრუნდები, — ვუთხარი და სამზარეულოში გავედი. ჩაიდანი ჩავრთე და ფიქრებმა „წამიღო“. მიკვირდა, რომ ასე მშვიდად ვიყავი. ალბათ იმიტომ, რომ ამ ქალთან აშკარა უპირატესობას ვგრძნობდი, ან ბოლომდე არ მჯეროდა მისი ნათქვამი და სადღაც, გულის კუნჭულში ვფიქრობდი, რომ ის ხათუნას მოგზავნილი იყო.

ყავა ჭიქებში ჩამოვასხი და ოთახში შევედი. ჩემს სავარძელში მოვთავსდი, ორივე ფეხი „შევიკეცე“ და უსიტყვოდ მივაჩერდი სტუმარს. ხმას კარგა ხანს არც ის იღებდა.

— გისმენ! — უფრო ბრძანებას ჰგავდა ეს სიტყვა, რითიც ალბათ, ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ჩემთვის სულერთი იყო, რას იტყოდა ის ახლა. თუმცა, სინამდვილეში ასე არ იყო და გული მეკუმშებოდა, საშინელი ინფორმაციის მოლოდინში.

— მე ზურა 2 წლის წინ გავიცანი, — საკმაოდ დიდი პაუზა გააკეთა ამ სიტყვების შემდეგ, რითიც საშუალება მომცა, კარგად დამეთვალა, რა ბევრი დრო იყო ეს 2 წელი. მხოლოდ წარბები ავწიე, იმის ნიშნად, რომ მისი ნათქვამი გავიგე. — ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს... გვიყვარდა... შენ რომ არ გამოჩენილიყავი, ახლაც ვეყვარებოდი...

— ჰოო? საინტერესოა. მერე? — ვკითხე და ყავა ხმაურით მოვხვრიპე.

— ზურა მეც შენსავით მპირდებოდა, რომ სამუდამოდ ერთად ვიქნებოდით და ვერაფერი დაგვაშორებდა.

— მე ზურას საყვარელი ვარ... სა-ყვა-რე-ლი! — დამარცვლით წარმოთქვა ბოლო სიტყვა და გაჩუმდა, რადგან ალბათ, ჩემი რეაქცია აინტერესებდა

— კიდევ ერთი საინტერესო ამბავი! შენ რა იცი, მე რას მპირდება ზურა?

— ვხვდები, კარგად ვიცნობ მაგ კაცს... — მითხრა და ჩანთაში რაღაცას დაუწყო ძებნა. როგორც იქნა, იქიდან სიგარეტის კოლოფი ამოაძრო, ერთი ღერი კბილებით ამოიღო და მოუკიდა. შევნიშნე, როგორ უკანკალებდა ხელი. ღრმა ნაფაზი დაარტყა, კვამლი გამოუშვა და გააგრძელა: — შენ ვერ მასწავლი, როგორ აბამს ზურა ქალებს. ამ 2 წლის განმავლობაში ბევრი მეტოქის ჩამოცილება დამჭირდა. ბევრჯერ მიღალატა, მაგრამ ყოველთვის ჩემთან ბრუნდებოდა. ახლაც ასე იქნება!

— შენ ალბათ, იმის სათქმელად მოხ-

ვედი, რომ თავი არ დავიღუპო და ზურასგან მოტყუებული და მიტოვებული არ დავრჩე... ასეა?

— თითქმის გამოიცანი, — პირველად გაიღიმა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

— იცი, ჩემო კარგო, რასაც დასაწყისი აქვს, ყველაფერს აქვს დასასრული და ვფიქრობ, თქვენს ურთიერთობაში სწორედ ეს ეტაპი დაიწყო. თქვენ შორის ყველაფერი დამთავრდა და ზურა შენთან არასოდეს დაბრუნდება. მოგიწევს ამასთან შეგუება. — მივხვდი, რომ ამ ქალს, ამ წუთში, როგორც პაციენტს, ისე ველაპარაკებოდი. — მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრება დასრულდა. ყველაფერი კარგად იქნება, — გავუტიე ისევ და როდესაც მის გაოცებულ თვალებს შევხედე, დავამატე: — ამას, როგორც ფსიქოლოგი, ისე გეუბნები. მე შემიძლია, უფასო კონსულტაციებიც გაგიწიო და დაგანახვო, რა მშვენიერია ცხოვრება ზურას გარეშეც. — ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ აშკარად დავცინოდი ამ ქალს. ეს არ იყო ჩემი სტილი ადამიანებთან ურთიერთობისა. სხვა დროს ალბათ, ტირილით თავს მოვიკლავდი. ახლა კი ფილოსოფოსობის გუნებაზე დავდექი და მას დავცინოდი თუ საკუთარ თავს, ვერ გავრკვეულიყავი.

— მე სახლში რემონტი მაქვს...

— გილოცავ!

— მთელი სახლი დანგრეულია, კაპიტალურ რემონტს ვაპირებდი... — აშკარად მოტეხილი ხმით ლაპარაკობდა ლიკა. — ტუალეტში უნიტაზიც კი არ დგას.

— ეგ ძალიან ცუდია. ალბათ, მეზობელთან დადიხარ ტუალეტში, არა?.. — მზრუნველი ხმით ვკითხე და ძლივს შევიკავე თავი, რომ ხმამაღლა არ გამცინებოდა.

— ჰო, კარის მეზობელთან.

— ეს ძალიან ცუდი ამბავია, ჩემო ლიკა. ბევრი პაციენტი მყოლია, ვისაც სახლში უნიტაზი არ ჰქონდა და ამის გამო დეპრესიაში ჩავარდნილა... თავს უნდა მოერიო და იმაზე იფიქრო, რომ შენც აუცილებლად გექნება უნიტაზი, თანაც, ყველაზე კარგი — ვარდისფერი, გამჭვირვალე...

— დამცინი? — მიხვდა, როგორც იქნა...

— დიახ, დაგცინი. მაგრამ არც ამის გამო უნდა მიეცე სევდას... — ვერ გადმოგცემთ მისი სახის გამომეტყველებას: გაოგნება, განცვიფრება, ზიზღი, აღშფოთება და კიდევ სხვა ბევრი რამ აღბეჭდვოდა. სახის ყველა ნაკვთით ჩემ მიმართ ზიზღს გამოხატავდა. მარტო ტუჩები ჰქონდა მოკუმული — თითქოს მიხატული — და გაუნძრევლად იჯდა. ხელში შერჩენილი, ბოლომდე დამწვარი სიგარეტი გამოვართვი და საფერფლეში ჩავსრისე. — თან, სიგარეტიც მავნებელია ჯანმრთელობისთვის, — დავამატე და კვლავ სავარძელს დავუბრუნდი.

საიდან მოვიდა ამდენი ირონია, არ ვიცი. მზად ვიყავი, ეს ქალი გამესრისა და ვინაიდან ფიზიკურად ვერ გავუსწორდებოდი, გონებამ თავად გადაწყვიტა, რომ სიტყვით გამეკეთებინა ეს. წარმოვიდგინე, როგორ კოცნიდა და ეფერებოდა მას ზურა... ამ სურათს თითქოს ნათლად ვხედავდი და კინოფირივით დატრიალდა გონებაში... მის მიმართაც ზიზღი ვიგრძენი. თითქოს სულერთი იყო, ამის მერე, მოვიდოდა ზურა ჩემთან თუ არა. მისი ამოშლა მინდოდა ჩემი მეხსიერებიდან და მზად ვიყავი, ამ ქალისთვის დამეთმო. ფიქრებში ისე გავერთე, რომ სტუმრის არსებობა დამავიწყდა კიდეც.

— ნატო, სათხოვარი მაქვს შენთან, — გამომარკვია მისმა ხმამ.

— გისმენ, მზად ვარ, დახმარება გაგიწიო...

— ნატო, ჩემს სახლში რემონტს ზურა აკეთებდა. ყველა ხარჯს ის იღებდა. ახლა, 3 თვეა, საერთოდ შეწყვიტა ჩემთან ურთიერთობა და, რა თქმა უნდა, რემონტიც შევაჩერე. მე არ ვმუშაობ, ამიტომ ფული არ მაქვს. ზურას დაკარგვით ბევრი რამ დავკარგე. 2 წელი ვებღაუჭებოდი, მისი გულისთვის რას არ ვაკეთებდი, საკუთარი შვილი სოფელში, დედაჩემთან წავიყვანე საცხოვრებლად, რომ ზურა ჩემთან თავისუფლად მოსულიყო, როცა უნდოდა... ყველანაირ პირობას ვუქმნიდი, რადგან მეშინოდა, არ დამეკარგა. მაგრამ მოსახდენი მოხდა და ის მაინც დავკარგე. ძალიან მაინტერესებდა, ვინ იყო ის ქალი, ვისი გულისთვისაც უარი თქვა ჩემზე...

— საიდან გაიგე, ვინ ვარ და სად ვცხოვრობ?

— 2 კვირის წინ ზურას ვთხოვე, რომ შემხვედროდა. როდესაც ჩემთან მოვიდა, მოვახერხე და მისი ტელეფონი „გავჩხრიკე". შენი სახლის ტელეფონის ნომერს წავაწყდი. მისამართიც ასე დავადგინე...

— მერე, რას მიაღწიე ამით? მოხვედი, მნახე. მერე?..

— მერე, მინდა გთხოვო, რომ ზურას სთხოვო, თუ არ დამიბრუნდება, რემონტი მაინც დამიმთავროს. ასეთ დანგრეულ სახლში როგორ ვიცხოვრო?

— გასაგებია. გამოდის, რემონტის ფასად მითმობ კაცს, არა?..

— არა, უბრალოდ, გთხოვ. მასზე რაღაც გავლენა ალბათ, გაქვს და შენ თუ სთხოვ, აუცილებლად დაგიჯერებს. ნატალი, გეხვეწები, ეს ერთი თხოვნა შემისრულე და გპირდები, აღარასოდეს დაგენახვები.

— კარგი, აუცილებლად ვთხოვ. თუმცა, მის მაგივრად იმას ვერ შეგპირდები, რომ დამთანხმდება... როგორც ვხედავ, შენი ვიზიტი ამით ამოიწურა. ნახვამდის, — ვთქვი და ფეხზე წამოვდექი. ლიკაც ადგა და არც კი დამემშვიდობა, ისე გავიდა.

ეს დღე ალბათ, არასოდეს დამავიწყდება, რა დროც არ უნდა გავიდეს. ვიჯექი და ყველაფერზე ერთად ვფიქრობდი. ზურას მოსვლისთვის თითქმის ყველაფერს მოვრჩი. მტვრიანი ტანისამოსი გავიხადე და სარეცხის მანქანაში შევყარე. სააბაზანოს სარკეში ჩემს თავს მოვკარი თვალი. სარკეს მივუახლოვე სახე და კარგად დავაკვირდი. თვალის უპეები ჩაშავებული მქონდა, სახე — დაღლილი და გაცრეცილი. სასწრაფოდ მივიღე გადაწყვეტილება, სააბაზანოდან გამოვედი და გარდერობის კარი გამოვაღე. შავი, ატლასის შარვალი ჩავიცვი, ზემოდან — ვარდისფერი, ფურფუშელებიანი ბლუზა და კვლავ სარკეში ჩავიხედე. ჩემი გარეგნობით კმაყოფილმა, მაკიაჟიც სწრაფად გავიკეთე, რომ ზურას არ მოესწრო, სახლის გასაღებს ხელი დავავლე და კარი გავიჯახუნე.

კიბეზე ჩასვლისას ჩემს მეგობარს, ელენიკოს დავურეკე და ვუთხარი — სასწრაფოდ გაემზადე, ტაქსით გამოგივლი-მეთქი, — და ტელეფონი გამოვრთე. უკვე საღამოს 10 საათი ხდებოდა. ქუჩაში გამოსულს, სიგრილე მესიამოვნა. პირველსავე ცარიელ ტაქსის ხელი ავუწიე და უკანა სავარძელზე რომ მოვთავსდი, შვებით ამოვისუნთქე. ახლა ყველაზე მეტად სონას არყოფნა მიჭირდა. ისე მომენატრა, როგორც არასდროს. ხვალვე ამერიკის საელჩოს მივაკითხავ-მეთქი, — გავიფიქრე და კიდევ ერთხელ ამოვისუნთქე შვებით. ამასობაში ელენიკოს სახლთან მივედი და რამდენიმე წუთის შემდეგ, მუდამ მხიარული და სიცოცხლით სავსე ელენე უკვე გვერდით მეჯდა და ტაქსი მცხეთისკენ მიგვაქროლებდა.

— სად მივდივართ? — მკითხა ელენიკომ.

— სვეტიცხოველში, — მოკლედ მოვუჭერი და გავჩუმდი. ელენე მიხვდა, რომ ახლა მისი ნათქვამი ნებისმიერი ფრაზა გამაღიზიანებდა და გაჩუმდა. წარმოვიდგინე, თუ რა ძნელი იყო მისთვის თუნდაც 5 წუთით გაჩუმება და გამეცინა. — იქ მივალთ, სანთელს დავანთებთ და მერე სადმე, ყველაზე მხიარულ ადგილას წავი-

რატომ არ მითხარი, რომ აქ იყო? მოვიდოდი და მე თვითონ მივხედავდი მაგ საქმეს

დეთ-მეთქი, — ვუთხარი. უსიტყვოდ დამიქნია თავი.

სვეტიცხოველი ღამით არასოდეს მინახავს. განათებული ტაძარი შორიდან ისეთი ლამაზი ჩანდა, რომ თვალი ვერ მოვწყვიტე... სანთელი ავანთე და ღმერთს შევთხოვე, მოეცა იმის ძალა, რომ ყველანაირი გასაჭირისთვის გამეძლო და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დამხმარებოდა. ვიდრე სანთელი ბოლომდე არ ჩაიწვა, წმინდა მარიამის ხატთან მუხლმოდრეკილი ვიდექი. ეკლესიიდან კი, ისეთი მშვიდი გამოვედი, თითქოს ყველა დარდი და საწუხარი ერთბაშად მომეხსნა.

იქიდან მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში წავედით — იქ, საიდანაც ყველაზე მეტი ხმაური და მუსიკის ხმა ისმოდა. მე და ელენიკო ერთ მყუდრო კუპეში დავსხედით და იმდენი სასმელ-საჭმელი შევუკვეთე, რომ 10 კაცს თავისუფლად ეყოფოდა. კარგა ხანს დავყავით იქ, საკმაოდ ბევრი დავლიეთ, სიყვარულის სადღეგრძელოზე ცრემლებიც გადმოვყარეთ და რომ ვიფიქრე, შინ წასვლის დროა-მეთქი და საათს დავხედე, უკვე 2 საათი იყო. ტაქსი გამოვიძახე და ჯერ ელენე მივიყვანე შინ, მერე მე მივედი.

ეზოში ზურას მანქანა იდგა და მისი ფარების შუქზე დავინახე, რომ თვითონაც შიგ იჯდა. ტაქსის ფული გადავუხადე და ისე შევედი სადარბაზოში, რომ ზურასკენ არ გამიხედავს. ვიდრე მესამე სართულზე ავიდოდი, მისი ფეხის ხმაც გავიგონე. ჯერ ვიფიქრე, რომ კარს ჩავრაზავდი და არავითარ შემთხვევაში შინ არ შემოვუშვებდი, მაგრამ მერე გამახსენდა მისი ხასიათი და მივხვდი — არ მომეშვებოდა, სანამ კარს არ გავუღებდი. ამიტომ შინ შესულმა, კარი ღია დავტოვე, პირდაპირ საძინებელში შევედი და საწოლზე გულაღმა დავწექი. ჩემ გარშემო ყველაფერი ტრიალებდა. კონიაკს თავისი გაეტანა და სასმლით დამძიმებულ ტვინს, ფიქრიც კი ეზარებოდა. გავიგონე, როგორ ჩაკეტა ზურამ კარი და თვალები დავხუჭე. ცოტა ხანში, თავზე დამადგა და მკაცრი ტონით შემეკითხა:

— სად იყავი?

თვალები გავახილე, მაგრამ ზურა თითქოს ნისლში იდგა, ისე ვხედავდი.

— არსად, სახლში! — ვუპასუხე და ეჭვი არ შემპარვია, რომ ჩემს ნათქვამს არ დაიჯერებდა. თუმცა, იმ წუთში ყველაფერი სულერთი იყო და ქვეყნად ყველაზე მეტად, ისევ სონა და ძილი მენატრებოდა.

...მახსოვს, როგორ პატარა ბავშვივით მხდიდა ტანისამოსს და მაცმევდა ღამის პერანგს. ისიც მახსოვს, რომ თან, სადაც მოხვდებოდა, მკოცნიდა და ლოთს მეძახდა. მერე ისე ღრმად დამეძინა, რომ დილამდე არაფერი გამიგია. კვირა დღე გათენდა და ზურა, როგორც ჩანს, სამსახურში წასვლას არ აპირებდა. მას უკვე გაეღვიძა და ტელევიზორში საინფორმაციო გადაცემას უყურებდა. ავდექი, ხალათი მოვიცვი და პირდაპირ სამზარეულოში, ყავის მოსადუღებლად გავედი. ზურაც მაშინვე უკან გამომყვა და ჩემი დაკითხვა დაიწყო. ჩუმად ვიყავი და ერთი სიტყვაც არ მითქვამს. როცა მივხვდი, ჩემი დუმილი აღიზიანებდა და სადაცაა, აფეთქდებოდა, მაშინღა ამოვიღე ხმა:

— ზურა, ერთი სათხოვარი მაქვს, უფრო სწორად — ორი.

— ერთი ალბათ, ის, რომ „ბორჯომი“ გინდა, არა? — მკითხა და თვალები მოჭუტა. უსიტყვოდ დავუქნიე თავი. — მეორე?

— პირველს რომ შემისრულებ, მეორეს მაშინ გეტყვი, — ვუთხარი და გავუღიმე.

მაცივარის კარი გააღო და იქიდან „ბორჯომის“ ბოთლი გამოიღო. კარგად მახსოვდა, რომ მე სახლში „ბორჯომი“ არ მქონდა. მივხვდი, ჩემს გაღვიძებამდე უზრუნია და მაღაზიაში ჩასულა... ბოთლი მომაწოდა, კარადიდან ჭიქა გამოიღო და ისიც წინ დამიდგა. მერე უკნიდან მომიარა, წელზე ხელები შემომხვია და კისერზე მაკოცა. სახე ჩემს გაწეწილ თმაში ჩამალა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

— მეორე სურვილსაც სწორად მივხვდი?.. — მკითხა ისე, რომ სახე არ აუწევია.

— არა, ამჯერად „გამაზე“. სულ სხვა რამ მინდოდა, მეთხოვა.

— კერძოდ?

— კერძოდ, ის, რომ ლიკას სახლში რემონტი დაამთავრო...

ვიგრძენი, როგორ დაიძაბა. რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იდგა, შემდეგ თავისკენ შემომბრუნა.

— შენ საიდან იცი ლიკას ამბავი?

— გუშინ იყო ჩემთან მოსული.

— აქ? აქ მოვიდა?

— ჰო, აქ, ჩემთან...

— უხ, მაგის!.. — გამოცრა კბილებში. — რაო, რა მინდაო?

— რაო და, ზურას სთხოვე, რემონტი როგორც დაიწყო, ისე დაამთავროსოოო...

— კიდევ რა გითხრა?

— მეტი არაფერი. შევპირდი, რომ აუცილებლად გთხოვდი და წავიდა.

— და შენც ამიტომ გამორთე ტელეფონი, უგზო-უკვლოდ დაიკარგე, მერე კი, ღამის 3 საათზე დაბრუნდი მთვრალი, არა?

— ალბათ. ზუსტად არ მახსოვს, მაგის გამო იყო თუ არა, მაგრამ რაღაც, სახლში ყოფნა არ მინდოდა და ამიტომ წავედი.

— ჩემი პატარა ბატის ჭუკი ხარ... რატომ არ დამირეკე? რატომ არ მითხარი, რომ აქ იყო? მოვიდოდი და მე თვითონ მივხედავდი მაგ საქმეს. წარმომიდგენია, როგორ ინერვიულე. ბევრი იტირე, ჩემო პატარავ? — მკითხა და მიმიხუტა. მე კი მისი მკლავებისგან თავი დავიხსენი და სკამზე ჩამოვჯექი.

— ერთი ცრემლიც კი არ ჩამომიგდია. ძალიან მშვიდად შევხვდი მის ვიზიტს. ასე რომ, ნუ შეგებრალები იმის გამო, რომ ბევრი ვიტირე.

— კარგი. ახლა მე წავალ და ერთ საათში დავბრუნდები. შენ მანამდე გაემზადე და სადმე გავისეირნოთ...

8 ოქტომბერი, კვირა 12:30

ნატალი: სონა, ჩემო საყვარელო, რომ იცოდე, როგორ მენატრები!..

სონა: მეც მენატრები, ჩემო კარგო. როგორ ხარ?

ნატალი: სონა, ხვალიდან მანდ წამოსასვლელი საბუთების შეგროვებას ვიწყებ.

სონა: რა იყო, ისევ რაღაც მოხდა?

ნატალი: ისეთი არაფერი, უბრალოდ, შენთან მინდა.

სონა: მეც მინდა, რომ აქ იყო, მაგრამ ვგრძნობ, შენი წამოსვლის მიზეზი სხვა რამეა.

ნატალი: მაგაზე ამაღამ ვილაპარაკოთ. ახლა კი, გკოცნი და გეხუტები.

სონა: კარგად, ჩემო ნატალია. იცოდე, რომ შენ გვერდით ვარ და დაიმახსოვრე, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი.

— ზურა, არსად წასვლა არ მინდა, სახლში მინდა ყოფნა.

— კარგი, ნუ წავალთ. მეც მთელი დღე სახლში ვიქნები და შენთან ერთად მოვიწყენ.

— სახლში არ აპირებ წასვლას? — ვთქვი და მხოლოდ ამის მერე შევნიშნე, რომ შინ უკვე ნამყოფი იყო, რადგან სხვა ტანისამოსი ეცვა.

— არა, არ ვაპირებ. დღეს შენთან ერთად ვიქნები. მაგდებ?

— დღეს 2 პაციენტს ველოდები...

— მერე რა? როცა ისინი მოვლენ, მე საძინებელში გავალ და ხელს არ შეგიშლი. ან ჩემზე უთხარი, ვითომ მეც პაციენტი ვარ და ჩემი მკურნალობის მეთოდი ისაა, რომ სხვა პაციენტებს უნდა მოვუსმინო...

— კარგი, როგორც გინდა.

მესიამოვნა, რომ ზურა არსად წასვლას არ აპირებდა. გუშინდელი დღის შემდეგ, ჩემი თავი იმაში დავიჭირე, რომ მის ყოველ მოქმედებასა თუ სიტყვაში ვეძებდი გრძნობას ჩემ მიმართ. თითქოს ეჭვი შემეპარა მის სიყვარულში და ვცდილობდი, დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად ვუყვარდი. ამერიკაში გამგზავრებაზე კი, მასთან ლაპარაკი ჯერ ნაადრევი იყო. ვიცოდი, ერთ ამბავს ატეხდა. ამიტომ ვდუმდი და ვფიქრობდი — როდესაც ვიზა მექნებოდა, მას მხოლოდ ამის შემდეგ ვეტყოდი.

ოთახიდან გავედი, რომ ტანისამოსი გამომეცვალა. ამ დროს, სახლის ტელეფონმა დარეკა.

— უპასუხე! — გავძახე ზურას.

— ალო! — მომესმა მისი ხმა, მერე კი სიჩუმე ჩამოწვა. შევედი. ზურა გაფითრებული იდგა, ხელში ტელეფონის ყურმილი ეჭირა და აპარატს დაჰყურებდა.

— ვინ იყო? — ვკითხე გაოცებულმა.

— ბაჩომ დარეკა... 10 წუთში ისევ გადმორეკავს... — მითხრა და ისეთი თვალებით შემომხედა, ღამის ფეხქვეშ მიწა გამომეცალა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კაცობრიობას უძველესი დროიდან აღელვებდა სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემა. ადამიანი მითოლოგიურ გმირებს მარადიული სიცოცხლით აჯილდოებდა. ის ამით ცდილობდა, ხანგრძლივად სიცოცხლის შესაძლებლობა რეალურ „სამოსელში“ გაეხვია და მოკვდავისთვის ხვედრი შეემსუბუქებინა.

მსოფლიოს ხალხთა მითების, ზღაპრების, ეპოსის გმირები თავდავიწყებით ეძებენ უკვდავების ხეს, წყალს, ბალახს, მაგრამ ეს ძიება უშედეგოდ მთავრდება — მიწიერისთვის უკვდავება ყოველთვის მიუწვდომელი რჩება.

როგორ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე

„ზარმაცი ადამიანები დიდხანს ვერ ცოცხლობენ“

ლელა ჭანკოტაძე

რამდენ ხანს ცოცხლობდნენ ჩვენი წინაპრები? როგორია ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თანამედროვე მსოფლიოში? ამ საკითხებზე გვესაუბრება პროფესორი ***ანზორ თოთაძე:***

— ასწლეულების მანძილზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს ითვლიდა. მიუხედავად სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და საერთოდ, ცხოვრების დონის ამაღლებისა, ის ექვს ათეულ წელს ძლივს აღწევს. ასე რომ, ასი წელი შორეულ მომავალშიც კი, სანუკვარ ოცნებად რჩება. პალეოდემოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე, ხანდაზმულობა იშვიათობას წარმოადგენდა. უძველეს და საშუალო ქვის ხანაში 26 წელს უდრიდა, მოგვიანებით, უნგრელი მეცნიერის, შილადის გამოკვლევებით, ეს რიცხვი 32,2 წლამდე გაიზარდა.

— თუ არსებობს უძველესი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის კლასიფიკაცია?

— ჩინური კლასიფიკაციის მიხედვით, 60 წლის ადამიანი ისეთსავე იშვიათობას წარმოადგენდა, როგორსაც ამჟამად — 120 წლის. ბერძენმა მოაზროვნემ, პითაგორამ ადამიანის ცხოვრება ოთხ პერიოდად დაყო, კერძოდ: 0-20 წლები — ადამიანის ჩამოყალიბების პერიოდს მიაკუთვნა, 20-40 — ახალგაზრდულ ასაკად, 40-60 — ადამიანის ძალებისა და შესაძლებლობების აყვავების, ხოლო 60-80 — მოხუცებულობისა და სიცოცხლის თანდათანობით ჩაქრობის პერიოდად მიიჩნია.

— ეი. სიბერე 60 წლიდან იწყება?

— სიბერის დასაწყისად ყოველთვის სხვადასხვა ასაკი სახელდებოდა. განსხვავება მინიმალურ და მაქსიმალურ წლებს შორის 30-საც კი აღწევდა. თუ პითაგორას კლასიფიკაციის მიხედვით, სიბერე 60 წლიდან იწყებოდა, 1963 წელს, ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ასეთ პერიოდად 75 წელი მიიჩნია. თანამედროვე მსოფლიოში, მოხუცებულობის ასაკს სულ უფრო მეტი ადამიანი აღწევს. სიცოცხლის ხანგრძლივობა 21 წლით გაიზარდა განვითარებულ და 8 წლით — განვითარებად ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში 1959-89 წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობად მიჩნეული იყო 71-72 წლები, ბოლო მონაცემებით კი, ეს რიცხვი ცოტათი შემცირდა.

ალქიმიკოსები სიცოცხლის გასახანგრძლივებლად სხვადასხვა სახის წვეთებსა და ხსნარებს იგონებდნენ, ე.ი. „სიცოცხლის ელექსირის“ გაყიდვით დიდძალ ფულს შოულობდნენ. 2000 წლის წინათ, ინდოეთსა და ჩინეთში სიბერის თავიდან ასაცილებლად ვეფხვის სასქესო ორგანოებს ჭამდნენ; ძველ ეგვიპტეში პირსასაქმებლის მირთმევასაც არ ერიდებოდნენ; ზოგიერთი ალქიმიკოსი ბავშვებს მოხუცთან ერთად ოთახში ათავსებდა, რათა მოხუცს ბავშვების ამონასუნთქი ჰაერი ესუნთქა და ამით გაახალგაზრდავებულიყო. რაზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა? როგორ გავიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა? რომელ ასაკში დაველოდოთ სიბერეს? გვესაუბრება პროფესორი ***არჩილ გუსაძე:***

— ძუძუმწოვარ ცხოველთა შორის სიცოცხლის ხანგრძლივობით სპილო გამოირჩევა. ის 150-200 წელს ცოცხლობს; ფრინველებიდან შევარდენი ლიდერობს, რადგან 150-170 წელს ცოცხლობს; მცენარეებიდან მუხა აღწევს 1500 წელს, ყურძნის რტო — 100 წელს, ხოლო ხე, რომელიც ავსტრალიაში ხარობს და მაკროცამია ეწოდება, 15 ათას წელს, ბარაბო კი — 5-6 ათას წელს.

— როგორია ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზღვარი?

— ზოგი მეცნიერი ზღვრად 100 და 200 წელსაც კი მიიჩნევს. ადამიანი 100 წელს უნდა ცოცხლობდეს, მაგრამ ბევრი ამ ასაკს ვერ აღწევს, რაც ჩვენივე უწესრიგობითა და საკუთარი ორგანიზმისადმი არასწორი მოპყრობით არის გამოწვეული. მახსოვს, საბჭოური ყაიდის მეცნიერები ამაყად აცხადებდნენ: დადგება დრო, როდესაც ას წელზე ადრე სიკვდილი სირცხვილი იქნებაო. სინამდვილეში, ორგანიზმის განვითარება, დაბერება, სიკვდილი ინდივიდუალური ევოლუციის კანონია და სხვა არაფერი. არ არის სიმართლე, როცა ამბობენ, ქართველები უფრო მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე იაპონელები, ამერიკელები და ა.შ. ხნოვანი ადამიანები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ცხოვრობენ. მაგალითად, აზერბაიჯანში, ლურიკის რაიონის სოფელ პირასურაში ცხოვრობდა მაჰმუდ ეივაზოვი, რომელმაც 147 წლამდე მიაღწია. მან მთელი ცხოვრება მძიმე შრომაში გაატარა. იყო დურგალი, მეფუტკრე, ბოლოს (100 წლის მიღწევის შემდეგ) ხელი მიჰყო მეცხვარეობას, მასზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი და მთელმა მაშინდელმა მსოფლიომ ნახა კადრები, როგორ გადაჰყავდა ღრმა მოხუცებულს ცხვარი ერთი მთიდან მეორეზე. მაშინ მისი უფროსი ქალიშვილი 120 წლის იყო, უმცროსი კი — 99-ის. უკრაინაში, სოფელ კურგანაიაში 148 წლის გლეხი კოზლიკინი ცხოვრობდა. მეცნიერულად დამტკიცდა, რომ ეს ორი ადამიანი თავიანთი ასაკის დასახელებისას არ ცდებოდა. ცხადია, იკვლევდნენ იმასაც, თუ როგორ იცოცხლეს ასე ხანგრძლივად. ერთადერთი, რაც შემიძლია ვივარაუდო, ის გახლავთ, რომ ორივე ცხოვრობდა მაღალმთიან რაიონში. სუფთა ჰაერს კი, სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საფუძველს მოკლებულია მტკიცება, თითქოს მეცნიერები, ლიტერატორები, ლინგვისტები და საერთოდ, ადამიანები, რომლებიც გონებრივად შრომობენ, დიდხანს ვერ ცოცხლობენ. ცნობილია, რომ ჰიპოკრატემ 104 წელი იცოცხლა, ტიციანმა — 99, მიქელანჯელომ — 90, ნიუტონმა — 90 და ა.შ.

— სოფლის მოსახლეობა უფრო მეტხანს ცოცხლობს თუ ქალაქის?

— როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქალაქის მოსახლეობაში უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანია. ამიტომ, საქართველოში ამ მხრივ, პირველ ადგილზე თბილისი დგას, მას მოჰყვება აჭარა... მე ვიცნობდი ტატიანა კოჩუბაშვილს, რომელმაც 140 წელი ისე იცხოვრა, რომ სათვალე არ გაუკეთებია. როცა ვნახე, ქარგავდა. უფროს თაობას კარგად ემახსოვრება დამანა ელოშვილი. ის შრომის გმირი 77 წლის ასაკში გახდა. 95 წლის გლეხი ისევ თოხს ურტყამდა მიწას და ახალგაზრდებს ტოლს არ უდებდა. ერთ-ერთ საახალწლო გადაცემაში, მან საქართველოს ახალი წელი მიულოცა და დიდი ყანწი გამოცალა. მაშინ ბატონი დამანა 102 წლის გახლდათ.

დიდხანს ცოცხლობენ ის ადამიანები, რომლებიც ქმედით, საქმიან ცხოვრებას ეწევიან. სპორტი, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სწორი კვება და მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა ყველაზე საუკეთესო რეცეპტია. სიბერე იწყება მაშინ, როცა ადამიანი კარგავს აქტივობას, იზღუდება მისი შრომითი მოღვაწეობა, იძულებული ხდება, გათავისუფლდეს იმ სოციალური როლისგან, რომელსაც მთელი აქტიური შრომითი მოღვაწეობის განმავლობაში ასრულებდა, რაც დამთრგუნველად მოქმედებს მასზე, განსაკუთრებით, თუ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სი-

ბერის ასაკი 40 წელს მიუახლოვდა. ამ დროს იწყება ფსიქოლოგიური სიბერე — უმუშევრობითა და უმოქმედობით გამოწვეული ზედმეტობის განცდა. ამიტომ თუ გვინდა, გვიან დავბერდეთ, ახალგაზრდობაში მხოლოდ ხვალინდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ. ვიზრუნოთ იმაზე, თუ რითი დავკავდებით სიბერის ჟამს. გარანტირებული მომავალი, გახანგრძლივებული ახალგაზრდობის საფუძველია. ეს ჩვენი ყოფის ანაბანაა.

როცა ხანდაზმული ადამიანების შესახებ მასალებს ვაგროვებდი, ერთი ძველი წიგნი ჩამივარდა ხელში. იქ ერთ-ერთი მოხუცი წერს: „მე ასე ვთვლი, ბედნიერად ცხოვრობ — იხარე, უბედურება გეწვია — დაიჭირე გული მუჭში, ქვად აქციე იგი, არ მისცე დარდს შენი ღრღნის საშუალება, რადგან დარდი ისე ღრღნის ადამიანს, როგორც რკინას — ჟანგი“. რას ფიქრობენ ამის შესახებ ფსიქოლოგები? მართლაც, არის თუ არა დარდი და ჯავრი სერიოზული ბარიერი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე? გვესაუბრებიან ახალგაზრდა ფსიქოლოგები.

ნათია ტარყაშვილი:

— „ცხოვრება მინდვრის გადავლას როდი ნიშნავს. ბევრი რამ ხდება — კარგიც და ავიც. არ უნდა დაიბნე არც სიხარულისგან, არც დარდისგან. უნდა ეცადო, როგორმე გამოხვიდე მძიმე მდგომარეობიდან. გადალახო წინააღმდეგობა და წახვიდე წინ“, — ეს სიტყვები ნებისმიერი ადამიანისთვის დევიზად უნდა იქცეს. თითოეულმა უნდა გაითავისოს, რომ შიში, სევდა, უიმედობა, დარდი ანგრევს ნერვულ სისტემას და შესაბამისად, მთელ ორგანიზმს. ცნობილია, რომ ტყვეობაში მოხვედრილ ჯარისკაცებს ჭრილობები გვიან უხორცდებათ. ასევე უდავოა, რომ მხიარული ადამიანები ქირურგიული ოპერაციების შემდეგ უფრო სწრაფად ჯანმრთელდებიან. სიხარული, ღიმილი, სიცილი დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

— მაგრამ, როცა ადამიანი ფიზიკურ და ფსიქიკურ ტრავმებს ილებს, როგორღა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე?

— საერთოდ, ნერვულ სისტემას სირთულეებთან და სტრესებთან შეგუების უნარი აქვს. თუ სირთულეები არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით ვითარდება, ის ხელს უწყობს ნერვული სისტემის გავარჯიშებას, რაც ბავშვობის ასაკში იწყება და მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ადამიანის მთელი სიცოცხლე წარმოადგენს განუწყვეტელ ვარჯიშს, რომელსაც ის ნერვული სისტემის გაკაჟებამდე მიჰყავს, რაც გახლავთ კიდეც ხანგრძლივი ცხოვრების გარანტი. არიან ადამიანები, რომლებსაც როგორი ტრავმა და სტრესიც არ უნდა შეხვდეთ, სასოწარკვეთილებაში არ ცვივდებიან და სულიერ წონასწორობას არ კარგავენ.

მარიამ სადუნიშვილი:

— ძილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისთვის. ის დაღლილობის მოსახსნელი უებარი წამალია. ძილის დროს სუნთქვა ნელდება, სისხლის წნევა უფრო დაბლა იწევს, სუსტდება ორგანოებისა და ჩონჩხის კუნთების ქმედითობა, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის სრულ დასვენებას. გაითვალისწინეთ, რომ ძილი ნერვული სისტემის მხსნელია. ამიტომ, ებრძოლეთ უძილობას! დღის განმავლობაში ერთი საათი დაიძინეთ. რვა საათი უწყვეტი ძილი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ასევე, მიანიჭეთ თქვენს კუნთებს „სიხარული“ და გაავარჯიშეთ ისინი. სწორი ფიზიკური დატვირთვა ხანგრძლივი სიცოცხლის წინა პირობაა. არ გინახავთ ახალგაზრდა მოხუცები?! ამ კატეგორიას ისინი მიეკუთვნებიან, ვინც თავს არიდებენ აქტიურ ცხოვრებას, არ მუშაობენ, არ ვარჯიშობენ და დიდხანს სძინავთ. გადაჭარბებული ძილი ორგანიზმს ადუნებს და ნაადრევად აბერებს. ზარმაცი ადამიანები დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

ელენე ციორაძე:

— ხანდაზმული ადამიანების შესახებ ლიტერატურას თუ გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ უმეტესობა აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. ზოგიერთი მათგანი 59-64-75-90 წლის ასაკშიც კი დაქორწინებულა. აღმოვაჩინე ერთი ჩანაწერი, რომლითაც ირკვევა, რომ მოხუცი მამაკაცი საგულდაგულოდ მალავდა თავის ხნოვანებას. არ ამხელდა, რომ 84-ის კი არა, 102 წლის იყო. მიზეზი რომ ჰკითხეს, თქვა: ცოლის მოყვანა მინდა, 102 წლის კაცს ვინღა გამომყვება, 84 წლისას კი, რატომაც არაო... ასეთი აქტიური და იმედიანი ადამიანები ცხადია, უფრო დიდხანს იცოცხლებენ. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, დადასტურებულია, რომ მარტოხელები ხანდაზმულობით არ გამოირჩევიან... მათ, ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს, ურჩევ, სიყვარული, სასიამოვნო განცდები, ეროტიკა და ფლირტი თავიანთი ცხოვრების თანამგზავრად აქციონ.

დიდხანს სიცოცხლე და ორგანიზმის სიჯანსაღე სწორ კვებასაც უკავშირდება. მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ეკოლოგიურად სუფთა საკვების რეკლამირება. უძველესი ექიმების ჩანაწერებში პაციენტებს ეკრძალებათ ზედმეტი სმა-ჭამა. ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე აცხადებდა: „ჩვენ ვცხოვრობთ არა იმისთვის, რომ ვჭამოთ, არამედ ვჭამთ იმისთვის, რომ ვიცხოვროთ“. რას გვირჩევენ თანამედროვე ექიმი ნუტრიციოლოგები?

ნინო დგებუაძე:

— ათეროსკლეროზი, პათოლოგიური სიმსუქნე, პოდაგრა, ჰიპერტონიული დაავადებები ზედმეტი სმა-ჭამით არის განპირობებული, რაც საგრძნობლად ამოკლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. თუ გსურთ, გაიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა, უპირატესობა მიანიჭეთ ბოსტნეულსა და ხილს. ადამიანის ნერვულ სისტემაზე კარგად მოქმედებს ცილებით მდიდარი საკვების მიღება. ამიტომ მიირთვით ხიზილალა, ხორცი, თევზი, ხაჭო, რძე და კვერცხი. არ მოაკლოთ ბავშვებს თევზის ქონი, ხაჭო, არაჟანი, მაწონი და კეფირი. ბოლო დროს, ძალიან მოდური გახდა ე.წ. სწრაფი კვების ობიექტები, რასაც ადამიანმა თავი უნდა აარიდოს. ჯობს რეჟიმული კვება — დღეში ოთხ-ხუთჯერ მცირე ულუფის მიღება. მნიშვნელოვანია, არა მარტო რას მივირთმევთ, არამედ — როგორ და სად. უნდა გავანიავოთ ოთახი, სადაც ვსადილობთ. საკვები დავღეჭოთ ნელა, ჭამის დროს არ ვუყუროთ ტელევიზორს, არ ვიკითხოთ წიგნები და ჭამის შემდეგ, აუცილებლად გავიხეხოთ კბილები (თუნდაც მხოლოდ ჯაგრისით). დილით ცხვირ-ხახა გამოვირეცხოთ ფიზიოლოგიური ხსნარით *(მარილიანი წყლით. — ავტ.)* და ტანი დავიზილოთ ცივი წყლით. დამიჯერეთ, თუ ასე მოიქცევით, ხანდაზმულ ადამიანთა რიგს მიემატებით.

გიორგი გორგაძე:

— თუ გინდათ, გაიხანგრძლივოთ სიცოცხლე, უარი თქვით ალკოჰოლსა და თამბაქოზე. ნიკოტინის 1/15-ის შეყვანა სისხლში, ძაღლის სიკვდილს იწვევს, რაც ორი ღერი სიგარეტის მოწევის ტოლფასია. თამბაქო აფერხებს ტვინის მუშაობას ისევე, როგორც სპირტიანი სასმელები. ალკოჰოლის ხშირი მიღება არღვევს ნერვულ სისტემას, რაც ჯანმრთელობის უპირველესი მტერია. ასევე, ირღვევა ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციონირება და ორგანიზმი სისტემატურად იწამლება ტოქსინებით. სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასვენებას, სუფთა ჰაერს, მზის სხივებს, ჯანსაღ ნერვულ სისტემას, სწორ კვებას და ძილს. ■

მიზეზი რომ ჰკითხეს, თქვა:ცოლის მოყვანა მინდა, 102 წლის კაცს ვინღა გამომყვება, 84 წლისას კი, რატომაც არაო...

სიბერე 60 წლიდან იწყებოდა

„მორიდებული, ბოგბოს რომ დავინახავდი, ქუჩის მეორე მხარეზე გადავდიოდი...“

მსახიობი გია ბურჯანაძე თავის თაობას დაკარგულ თაობად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ მსახიობისთვის საუკეთესო წლები ომმა და გაჭირვებამ შეიწირა. წინამორბედ თაობას ბევრ რამეში ადანაშაულებს და ეჭვი აქვს, რომ ჩვენი შემდგომი თაობაც არ გვაპატიებს შეცდომებს...

ნინო ჯავახიშვილი

— როგორ ოჯახებსა და როგორ პირობებში იზრდებოდა და ყალიბდებოდა თქვენი თაობა?

— ისევე როგორც დღეს, მაშინაც ყველა ოჯახი ერთმანეთისგან განსხვავებული იყო. ბევრ ოჯახს რეპრესები ჰქონდა გადატანილი და დიდი შიში ჰქონდა ნაწვნევი. გველის ნაკბენივით ახსოვდათ ომის პერიოდი, ეშინოდათ კომუნისტური რეჟიმის, ძალადობის, მაშინდელ პოლიტიკას „სამზარეულოს“ პოლიტიკას ეძახდნენ. უფროსები ასეთ შეხვედრებს არ გვასწრებდნენ, თუმცა რაღაცრაღაცებს მაინც ვიგებდით. ვკითხულობდით აკრძალულ ლიტერატურას, გვაინტერესებდა რა მოხდა სინამდვილეში გასაბჭოების წინა პერიოდში. იყო ოჯახები, სადაც წლების განმავლობაში ელოდებოდნენ მსოფლიო ომში დაკარგულ ახლობლებს. ჩემებიც ელოდებოდნენ ბიძეს, რომელთა შესახებაც არაფერი იცოდნენ. მხოლოდ დედაჩემის ძმა აღმოჩნდა ცოცხალი — სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლის საზღვარგარეთ პირველი გასტროლის დროს გაირკვა, რომ ბიძაჩემი — შალიკო ცოცხალი იყო და საფრანგეთში ცხოვრობდა... ჩემი ბავშვობის მეგობრის მამა ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, გადარჩა, აქამდეც ჩამოაღწია და გადაასახლეს. ძია ვანო ცდილობდა, რომ ბევრი რამ საიდუმლოდ შეენახა. მხოლოდ სტუდენტობისას გავიგე, რომ თურმე მსახიობი ყოფილა სანდრო ახმეტელის დროს, ამის შესახებ მისგან ერთი გადაკრული სიტყვაც არ მახსოვს. მზოგავდა — რაიმე რომ არ წამომცდენოდა და ცხოვრება არ დამნგრეოდა. ასეთი დაშინებული იყო ჩვენი უფროსი თაობა...

— როგორ ერთობოდით, თავშეყრის ადგილები თუ გქონდათ?

— მაშინ ბევრი დრო გვრჩებოდა სალაპარაკოდ, ერთამენთთან საურთიერთოდ. არ იყო ამდენი სატელევიზიო არხი და ხალხის გამოშტერების ამდენი შესაძლებლობა — სერიალები, შოუები და ა.შ. არ არსებობდა ყვითელი პრესა. ხალხი წიგნს კითხულობდა და როდესაც ჩემს თაობას ახლანდელს ვადარებ, ვალიარებ, რომ ძალიან წიგნიერები ვიყავით. სკოლა რომ დავამთავრეთ და ბიჭობის პერიოდი გაგვივიდა, აღმოჩნდა, რომ ჩემი უბნის ბიჭები ერთსა და იმავე ბიბლიოთეკაში ვიყავით ჩაწერილები — ფალიაშვილის ქუჩაზე. ამას ყველანი საგულდაგულოდ ვმალავდით...

— რატომ? ეს სასირცხვილო იყო?

— ცოტა რა იყოს, იმ ასაკში გვესირცხვილებოდა გაგვემჟღავნებინა, რომ ვთქვათ, ბიბლიოთეკაში დავდიოდით, ან ტანვარჯიშზე, ან ვიოლინოზე. მე არ ვმალავდი, კალათბურთზე რომ დავდიოდი. სპორტმა ბევრი რამ მასწავლა. სამაგიეროდ, დაბადების დღეებზე, — სუფრასთან ის იყო პოპულარული, ვინც კარგად უკრავდა გიტარაზე, ფორტეპიანოზე, ვინც კარგად მღეროდა. თურმე ის, რასაც მაშინ ვმალავდით, კარგი ყოფილა. შორს რომ არ წავიდე, ჩემი შვილის მაგალითს მოგიყვანთ, — შეუძლია, რომ 5-6 საათი კომპიუტერთან იჯდეს. ახლანდელებს სხვა არაფერი აინტერესებთ. გაკვეთილების მომზადების შემდეგ, უბანში ფეხბურთს, კალათბურთს ვთამაშობდით. ახლა ქუჩაში ვერ ნახავთ მოთამაშე ბავშვებს. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი..

— მშობლები სიმკაცრეს იჩენდნენ თქვენი აღზრდისას?

— ჩემს ძმას, რომელიც ჩემზე 5 წლით უფროსია, უფრო მკაცრად ექცეოდნენ. ჩემ მიმართ კი ლოიალურები იყვნენ, არ მეჩხუბებოდნენ — დაჯექი და გაკვეთილები მოამზადეო, თუმცა, თავდაუზოგავი მოსწავლე არც მე ვიყავი. ერთი ეგ იყო, რომ წიგნის კითხვა ძალიან მიყვარდა. არ ვიცი, ჩემი შვილი როგორ გავზარდო. გოგოა და ვერ ვხვდები, რა ენაზე ველაპარაკო. ბიჭი რომ ყოფილიყო, მასთან ურთიერთობა ალბათ უფრო გამიადვილდებოდა. ჩემი ხასიათი აქვს, დამოუკიდებლად აკეთებს, რაც სურს, არაფერს გვეკითხება. ასაკიც ისეთი აქვს, რომ ახალგაზრდული მაქსიმალიზმი და პროტესტის გრძნობა ახასიათებს.

— ამ ასაკში თქვენს თაობასაც ეჭნებოდა პროტესტის გრძნობა...

— რა თქმა უნდა, ოღონდ, ეს უზრდელობასა და თავხედობაში არ გამოიხატებოდა. ჩვენი პროტესტი ეს იყო — გრძელი თმის ტარებას სკოლაში რატომღაც გვიკრძალავდნენ, სწორედ ამიტომ ვცდილობდით, მაქსიმალურად გრძელი თმა გვქონოდა, ან ჩაგვეცვა ისეთი შარვალი, როგორიც უფროსებს არ მოსწონდათ.... ახლა მეცინება პროტესტის ამგვარ გამოხატვაზე, მოდაში იყო ფართო შარვლები — შლაქსის მაგვარი. ისეთი განიერი ტოტები ჰქონდა, რომ მთელ ქუჩას ხვეტდი. მე არ მომწონდა ასეთი შარვალი. მოდაში იყო „პლატფორმებიც“ — კაცებსაც ეცვათ და ქალებსაც. მე ისედაც მაღალი ვიყავი და კიდევ იმსიმაღლე ქუსლებზე დგომა, არამამაკაცურად მეჩვენებოდა. არადა, სანდლებით სიარული პიჟონობად მიიჩნეოდა. ახლაც, როცა ყველას აცვია, რომ მომკლათ, ქალაქში სანდლებით ვერ ვივლი. შორტებით კიდევ შემიძლია ქუჩაში გასვლა...

— საინტერესოა, რა არ მოგწონდათ, უფროსი თაობის ადამიანებისა?

— შიში და ძრწოლა ხელისუფლების წინაშე! გამაღიზიანებელი იყო, როდესაც ამხელა ვაჟკაცებს შიში ჰქონდათ — ცეკას თუ რაიკომის მდივნის შესახებ „რაიმე ისეთი“ არ ეთქვათ, რომ მერე ცხოვრება დანგრეოდათ... იყვნენ ადამიანები, ვინც ამ შიშს სძლევდა, ასეთები ჩვენი კერპები ხდებოდნენ... რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ეროვნული მოძრაობა 1987 წელს დაიწყო. ეროვნული სულისკვეთება არასდროს ჩამკვდარა, ნაკვერჩხალი ყოველთვის გაღივებული იყო. ზოგჯერ მინელდებოდა, მაგრამ გამოჩნდებოდა ვიღაც, ვინც სულს შეუბერავდა და ნაკვერჩხალს კვლავ გააღივებდა. ის ადამიანები, ვინც დათმობაზე არ მიდიოდნენ, კარიერას ცუდად ამთავრებდნენ, მაგრამ ყოველთვის ლიდერებად რჩებოდნენ ჩვენს თვალში.

— საინტერესოა, წლების შემდეგ, ჩვენი შვილები რას გვისაყვედურებენ?

— ალბათ იმავეს, რასაც ჩვენ ვსაყვედურობდით ჩვენზე უფროს თაობას. ხშირად ვამბობთ, რომ მომავალ თაობას პრობლემები არ უნდა დავუტოვოთ, მაგრამ ვერ

ვაგვარებთ ამ პრობლემებს და რა ვქნათ?! — გაიხედეთ, ამ პატარა ფანჯრიდან, რა ხედი მოჩანს. მსოფლიო რომ მოიარო, ასეთ სილამაზეს ვერსად ნახავ! იქნებ იპოვო კიდეც, მაგრამ ისინი არაფრისგან ქმნიან, ჩვენ კი გვაქვს და არ ვუფრთხილდებით, ის კი არა — უარს ვამბობთ მის მოვლა-პატრონობაზე. გავა 20-30 წელი და თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს პატრონი ქართველები აღარ ვიქნებით. აი, რას გვისაყვედურებენ ჩვენი შვილები! იქნებ ამოგვთხარონ საფლავებიდან — რას აკეთებდით, როცა სამშობლო ასე ქუცმაცდებოდა და სხვის ხელში გადადიოდაო?! არ ვიცი, შემდგომ თაობას როგორ, რა ხერხით უნდა შევაყვაროთ სამშობლო. პირველ რიგში, ყველამ უნდა ნახოს, რა ლამაზია საქართველოს ნებისმიერი კუთხე. ჩემს შვილს ვერ გაუგია, რატომ მოვთქვამთ მე და ჩემი მეუღლე აფხაზეთის გამო, რა იყო ამისთანაო?... — კითხულობს ხოლმე. არ უნახავს და იმიტომ. რაც გვაქვს, ის უნდა ვაჩვენოთ. როგორ შეიძლება, ნახო მთათუშეთი ან სვანეთი და არ შეგიყვარდეს?!..

— საუბრის ბოლოს, უფრო მსუბუქ თემებსაც შევეხოთ — სიყვარულს, მეგობრობას, ქეიფს...

— სიყვარულზე რა გითხრათ?.. იმდენად მორიდებული ვიყავი, იმ გოგოს რომ დავინახავდი, ვინც მომწონდა, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდი. ყველამ იცოდა, რომ მიყვარდა და მრცხვენოდა... უფრო თამამები ახერხებდნენ სიყვარულის ახსნას. ყოველთვის მშურდა ასეთი თამამი ბიჭების.

— როგორი ქალები იყვნენ მოდაში თქვენს დროს?

— ყველა თაობას თავისი გემოვნების კრიტერიუმები აქვს. რუბენსის პერიოდში ფაშფაშა ქალები იყვნენ მოდაში, მერე — გამხდრები. პირადად მე, მსუქნები და კიდევ — ჭკვიანი ქალები არასდროს მომწონდა (*იცინის*)... უფრო რბილი, ქალური ხასიათის გოგონები მიზიდავდა. შეყვარებულები ძირითადად ოჯახებში, ერთმანეთის დაბადების დღეებზე ვხვდებოდით ერთმანეთს, შუქს ჩავაქრობდით და ისე ვცეკვავდით ხოლმე. რატომღაც ასე იყო მიღებული... რაც შეეხება მოლხენას, — დღემდე მახსოვს ჩემი პირველი სიმთვრალე, 4 წლის ასაკში... ბაბუაჩემი — ღევან ლორთქიფანიძე მოქეიფე კაცი იყო. მშობლები ბებია-ბაბუასთან ხშირად მტოვებდნენ. ერთხელაც, წასაყვანად რომ მოვიდნენ, ბაბუა ნასვამი იყო და მამაჩემს სთხოვა — დავლიოთო. უარი რომ მიიღო, ჩხუბი ატეხა. შევთავაზე — მე დავლევ შენთან ერთადმეთქი! გახარებული, მაღაზიაში გაიქცა და ერთი ყუთი შამპანური მოიტანა. ლიმონათი ძალიან მიყვარდა, როდესაც ერთი ბოთლი გახსნა და დავინახე, რომ გაზიანი იყო, ვიფიქრე, ლიმონათია-მეთქი. ერთი ჭიქა ბოლომდე გამოვცალე. არ მომეწონა, მაგრამ ხომ არ გამოვტყდებოდი!... მაშინვე დამძინებია და ასეთი მთვრალი, მშობლებს სახლში წავუყვანივარ...

■

ზუგდიდის კოლეჯიტზე ასეთებული ბოლუსები ღა იგტიპი ჩაჭაში...

ნათია ქივიძე

სულ მეუბნებოდნენ, რომ რაჭა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე იყო და ამიტომ, მისი მონახულება ყოველთვის მინდოდა. ოცნება გასულ წელს ამიხდა, როცა ამბროლაურში გამართულ ლიტერატურულ მარათონზე მიმიწვიეს. ძალიან გამიხარდა, როცა იმავე მარათონზე წელსაც დამპატიჟეს, რადგან რაჭის ნახვისა და რაჭველებთან შეხვედრის კიდევ ერთი შანსი მქონდა... სპორტის სასახლესთან შევიკრიბეთ ჟურნალისტები; პოეტები — ნანა ცინცაძე და თემურ ჩალაბაშვილი; მომღერლები — თემო საჯაია, ქეთი ახობაძე, თამრიკო მეჭიაური; მხატვარი და ქსოვილის დიზაინერი — ქეთი ჭაბუკიანი და რაჭის გზას ორი სამარშრუტო ტაქსით გავუყევით.

ამბროლაურის ცენტრში, კულტურის სახლის დირექტორი — ლადო (რაჭულად — ლადიკუნა) გოგოლაძე და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, გურამიკა გორდეზიანი დაგვხვდნენ. თბილი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ გვთხოვეს, ამბროლაურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წამობრძანდით, ბავშვები უკვე გველოდებიანო. ადგილზე მისულებს, ზუმბა, გია ნიკოლაძე, მწერალი — ბესო ხვედელიძე და რეჟისორი, გია დიასამიძე დაგვხვდნენ. ყველა ამ ცნობილ ადამიანს ბავშვები დიდი ინტერესით და მოსიყვარულე თვალებით შეჰყურებდნენ. რამდენიმე წუთში, ყოველწლიური ლიტერატურული მარათონი — „მნამს მომავალი სახე მცინარი“ (რომელიც უკვე სამი წელია, ამბროლაურში ტარდება) გაიხსნა. ამ მარათონისთვის იქაური სკოლის მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში გულმოდგინედ ემზადებიან: დადიან ბიბლიოთეკაში და ქართულ ლიტერატურასა და პოეზიას ეცნობიან. მარათონი სამი ნაწილისგან შედგება: ისტორიული რომანი, პოეზია და პროზა. სამივე მათგანში სხვადასხვა ბავშვი მონაწილეობს, ორი დღის შემდეგ კი, ჟიური გამარჯვებულს გამოავლენს, რომელსაც საზეიმო ვითარებაში აჯილდოებენ... პირველ დღეს, მხოლოდ ამ მარათონის გახსნა შედგა, ბავშვებს მივესალმეთ და კონკურსში წარმატება ვუსურვეთ, მერე კი, სპეციალურად ჩვენთვის დაქირავებულ სახლებში დავბინავდით. მოგვიანებით, ამბროლაურის ცენტრში, ღია ცის ქვეშ, გია ნიკოლაძის კლიპის პრემიერა შედგა, სადაც მთელი რაიონის ახალგაზრდობამ მოიყარა თავი...

იმავე საღამოს, ლადიკუნა გოგოლაძემ მე და ჩემი ჟურნალისტი მეგობარი (ძველი მეგობრობის ხათრით), საკუთარ ოჯახში სტუმრად მიგვიწვია. ის „ციგნების უბანში“ ცხოვრობს. ამ უბანს ასეთი სახელი რაჭველებმა იმის გამო შეურჩიეს, რომ იქ სხვადასხვა გვარის ხალხი ცხოვრობს. ვიდრე იქამდე მივიდოდით, გზაში ამბროლაურის სახანძრო შევნიშნეთ. ლადომ გვითხრა: აქ ხომ სახანძროა, იმ სახლს ხომ ხედავთ (50 მეტრში მდებარე დამწვარი სახლისკენ გაიშვირა ხელი), ხანძარი გაუჩნდა და მეხანძრეებს იქ მისვლა დაუგვიანდათ, საწვავი არ ჰქონდათ და ვიდრე იშოვიდნენ, სახლიც დაიწვაო. თურმე, ტყუილი არ ყოფილა, რაჭველებზე რომ ამბობენ, ყველაფერს გვიან ხვდებიანო. არც ის ყოფილა სიცრუე, როცა ამბობენ: რაჭველები საკმაოდ სტუმართმოყვარე და თბილი ხალხიაო. ლადოს მშობლებმა თბილად მიგვიღეს. მათ გარდა სუფრას კიდევ სამი ადამიანი უჯდა: პოეტი თემურ

თურმე, ტყუილი არ ყოფილა, რაჭველებზე რომ ამბობენ, ყველაფერს გვიან ხვდებიანო. არც ის ყოფილა სიცრუე, როცა ამბობენ: რაჭველები საკმაოდ სტუმართმოყვარე და თბილი ხალხიაო... (გურამ გორდეზიანი)

ჩალაბაშვილი, ანსამბლ „ლაშარის“ წევრი ბონდო ცხვედიანი (რომელიც თურმე რაჭველი ყოფილა) და ლადიკუნას მეგობარი, არხეინა. სამწუხაროა, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი და გვარი დღემდე არ ვიცი, რადგან მას მთელი რაჭა არხეინას ეძახის. რა თქმა უნდა, მისი უცნაური მეტსახელის წარმომავლობით დავინტერესდი: თურმე მაშინ, როცა არხეინა მეცხრე-მეათე კლასში იყო, მას და ერთ-ერთ ახალგაზრდა პედაგოგს ინტიმური კავშირი პირდაპირ ცარიელ საკლასო ოთახში დაუმყარებიათ. ვიდრე ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ, ოთახის კარი სკოლის დირექტორმა შეაღო და ნანახით თავზარდაცემულმა უკან დაიხია. თურმე მასწავლებელს შერცხვა და არხეინასთვის უთხოვია: დავამთავროთო. მოსწავლეს კი უთქვამს: რა უნდა დავამთავროთ, ახლა ვიწყებთო და თავისი საქმე არხეინად გაუგრძელებია. სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ დაურქმევია დირექტორს მისთვის არხეინა და მას შემდეგ, მთელი რაჭა ასე ეძახის. იმასაც ამბობენ, ჯერ არ გვინახავს მსოფლიოში ვინმე, თავის სახელს ასე რომ ამართლებდეს, არხეინას ცუდ ხასიათზე ვერასდროს ნახავთო... ის ინციდენტი კი იმით დასრულდა, რომ არხეინაც და თავისი მასწავლებელიც სკოლიდან გამოაძევეს...



გურამ გორდეზიანის პოეზიის საღამო

არხეინა ეძახე და „მრავალჟამიერში“ იმისთანა პირველი ხმა „დასცხო“, რომა... მას სიმღერაში არც ბონდო ჩამორჩა, მეორე და მესამე ხმებს კი ბატონი თემური, ლადო და მისი მამა, როსტომი მღეროდნენ. თურმე, ამბროლაურის ხალხურ გუნდს — „საგალობელს“ ბატონი როსტომი ხელმძღვანელობს, მისი მეუღლე, ქალბატონი მარინა კი, ქალთა გუნდის, „იავნანას“ წევრია. მოკლედ, თითქმის ყველა რაჭველი არაჩვეულებრივად მღერის და ახალგაზრდა ბიჭები ბირჟაზე დგომის ნაცვლად, კლუბში ხალხურ სიმღერებს სწავლობენ. იმ საღამოს, ქართული ლექსებისა და სიმღერების ფონზე, არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ.

კონკურსი მეორე დღეს შედგა და ბავშვებმა სპეციალურად ამ დღისთვის შედგენილი ტესტები შეავსეს. თითოეული მათგანი ძალზე ღელავდა. კონკურსის დასრულების შემდეგ, ზუმბასა და გია დიასამიძის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის — „ადილას“ პრემიერა გაიმართა: ზუმბა და მისი მეგობრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადიოდნენ და უძველეს ქართულ სიმღერებს ეძებდნენ. ერთი ასეთი ძველი სიმღერა ზუმბამ რაჭაშიც აღმოაჩინა: „ბეჩა, ყირამალა“ და ექსპრომტად, არხეინასა და ლადიკუნასთან ერთად სცენაზეც შეგვისრულა... ის საღამო ამბროლაურის რაიონში, სოფელ ქვიშარში, ბონდო ცხვედიანის დედის, ქალბატონ ნატალიას 50 წლის იუბილეზე გავატარეთ. სწორედ იმ დროს, რაჭის ღვინის ქარხანამ სპეციალურად ჩვენთვის, რაჭული ღვინის დეგუსტაცია მოაწყო, მაგრამ ჩვენ დეგუსტაცია მხოლოდ ცხვედიანების ღვინოს გავუკეთეთ და კმაყოფილებიც დავრჩით. ამ დროს კი, თურმე თბილისიდან კოტე ყუბანეიშვილი და გოგა ხაინდრავაც ჩამოსულან და ღვინოც დაუგემოვნებიათ.

ბოლო დღეს, კულტურის სახლის დიდ სცენაზე რაჭველებმა და ჩამოსულმა სტუმრებმა მოიყარეს თავი, რათა მარათონში გამარჯვებული ბავშვები დაეჯილდოებინათ. ნომინაციაში „ისტორიული რომანი“ პირველი ადგილი გიგა ლომთაძემ დაიკავა, „პოეზია უპირველეს ყოვლისას“ ლიდერი სოფო თვარაძე გახდა, ხოლო ქართველ და უცხოელ კლასიკოსებში გამარჯვება ნიკოლოზ ჭელიძეს და ლიკა სანთელაძეს ხვდათ წილად. მათ სხვა საჩუქრებთან ერთად, ფულადი პრემია — 100-100 ლარი გადაეცათ. ბავშვებისთვის ამ გამარჯვების მისალოცად სცენაზე ყველასთვის საყვარელი მომღერალი, თემურ წიკლაური ავიდა, რომელმაც 8 სიმღერა შეასრულა, თან აღნიშნა: 30 წელია, რაჭაში არ ვყოფილვარ და ახლა ძალიან ბედნიერი ვარო. რაჭველებს სცენიდან მიეფერა, თბილი სიტყვები არ დაიშურა და სიმღერა დაამთავრა თუ არა, მაშინვე თბილისში გამოემგზავრა. სცენაზე კი რაჭველი და თბილისელი სტუმრები ცვლიდნენ ერთმანეთს. ყველაზე შთამბეჭდავი ის იყო, რომ ყველა თბილისელ მონაწილეს ქეთი ჭაბუკიანის მიერ შექმნილი თექის კოსტიუმები ემოსა, რაც საღამოს უფრო მეტად ქართულ იერს სძენდა. ორსაათიანი პროგრამა ფეიერვერკებით დასრულდა. ხალხმა კულტურის სახლიდან ამბროლაურის კინოში გადაინაცვლა, სადაც ზუმბას სოლო კონცერტი გაიმართა.

ასეთი ძველი სიმღერა ზუმბამ რაჭაშიც აღმოაჩინა: „ბეჩა, ყირამალა“ და ექსპრომტად, არხეინასა და ლადიკუნასთან ერთად სცენაზეც შეგვისრულა...

რაჭველებისთვის ასეთი დატვირთული სამდღიანი პროგრამა დამღლელი სულაც არ აღმოჩნდა. ზუმბას ენთუზიაზმით არა მხოლოდ ახალგაზრდები, ხანში შესულებიც დაინტერესდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, არა მარტო უსმენდნენ, ცეკვავდნენ კიდეც. ჩემ წინ მოხუცებული ბებია მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად იჯდა. ბავშვი შეეხვეწა: მეძინება და შინ წავიდეთო. მაცალე, ბოშოუკა, ზუმბაუკა ყოველდღე კი არ ჩამოდის აქ, მომასმენინეო, — უპასუხა ბებიამ. ზუმბას კონცერტიც ფეიერვერკებით დასრულდა და რაჭველებმაც ოჯახებს მიაშურეს. სტუმრებს კი წინ ბანკეტი გველოდა, რომელიც ერთ-ერთ რაჭულ ოჯახში გაიმართა. ჩვენთან ერთად სუფრასთან ლადიკუნას მამის ანსამბლის წევრებიც იყვნენ. ისინი სადღეგრძელოსა და სადღეგრძელოს შორის, ხალხურ სიმღერას არ გვამადლიდნენ.

მეორე დღეს, თბილისში გამოვემგზავრეთ და თან რაჭველების სიყვარულით სავსე თბილი მზერა და „ხვანჭკარა“ წამოვიყოლეთ... იმედია, მომავალ წელს ეს ლიტერატურული მარათონი უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს და ჩვენც კიდევ ერთხელ ვეწვევით რაჭას...

■

„ჯეობარის“ „კაშპიროვსკი“, ირაკლი მარხულია ვაჟა-ფშაველას გამზირზე დასთან ერთად, ნაგირავებ ბინაში ცხოვრობს. პროექტში შესვლამდე ის ერთ-ერთი ფირმის დაცვაში მუშაობდა. პოპულარობა მისთვის არ გახლავთ თვითმიზანი, „ჯეობარში“ მხოლოდ 35.000 ლარის მოსაგებად შევიდა: ამ თანხით, თბილისში ბინის ყიდვა სურს. ვესაუბრებით ირაკლი მარხულიას მეგობრებს — ნინი თავყელიშვილს და დარი სიჭინავას.

ყველაზე ირაკლი მარხულია

და ცოტაც ყცნაური დაჯილები

ჩემი აზრით, ირაკლი პროექტში ყველა გოგოს მოსწონს

სოფო ყარალაშვილი

— როგორი მეგობარია ირაკლი?

დარი:

— 4 თვეა, რაც ირაკლის ვიცნობ და ასე მგონია, ბავშვობის მეგობრები ვართ. ის ჩემთან ძალიან გახსნილია და ჩვენ ერთმანეთის ყველა საიდუმლო ვიცით. ირაკლი ბევრ გოგონასთან მეგობრობს, მაგრამ მათზე არ ვეჭვიანობ, რადგან ვიცი, როგორ ვუყვარვარ.

— რამდენჯერმე აჩვენეს ის კადრი, სადაც ირაკლი თმაზე გეფერება. თქვენ შორის რაიმე ახალი, სხვა ურთიერთობა ხომ არ ისახება?

— ირაკლი რომ გავიცანი, შეყვარებული უკვე მყავდა. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე მეგობრობით დაიწყო. ის რჩევებს მაძლევდა, მეუბნებოდა: იყავი ის, რაც ხარ და თავი არავის დაუჩაგვრინოო. მისთვის სხვა თვალით არასდროს შემიხედავს.

— ირაკლი გარეთაც გოგონების ყურადღების ცენტრში იყო თუ „ჯეობარში“ შეუქმნეს ასეთი იმიჯი?

— ირაკლი ის მამაკაცია, რომლის სუსტი წერტილი ქალები არიან. იკა ვიზუალურადაც და შინაგანადაც იმდენად ლამაზია, რომ დარწმუნებული ვარ, ბევრი გოგოს მოხიბვლა შეუძლია. ასე რომ, პროექტში შესვლამდეც ქალებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ახლა, საქართველოს ყველა რეგიონში ჰყავს თაყვანისმცემლები.

— შეყვარებული არ ჰყავს?

— სერიოზული ურთიერთობა არავისთან ჰქონია, მას ფლირტი ხიბლავს.

— „ჯეობარის“ „ფროდაქშენმა“ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თქვენ ირაკლის სანახავად ბარში ხშირად დადიხართ. კოსტამ კი გამოთქვა აზრი, რომ უბრალოდ, მეგობრები ასე არ იქცევიან...

ნინი:



იკა უკვე გამარჯვებულია. ბერძენას მსგავსად, კოსტასაც უპრობლემოდ გააგდებს

— მე და დარი ვმეგობრობთ *(იცინის)*. არ მესმის, როგორ შეიძლება ირაკლი ორივეს მოგვწონდეს და მის სანახავად ბარში ერთად დავდიოდეთ.

— ამბობ, რომ ირაკლის კარგი მეგობრობა შეუძლია, მაშინ რატომ ვერ თანხმდება ის მოთამაშეებთან?

დარი:

— ირაკლი მოთამაშეებისგან გარიყულია. რატომღაც აითვალწუნეს, სულ კბენენ. ერთადერთი, ვისთანაც საერთო ენა გამონახა, ვლასი, ვანო და ზიკი არიან. ირაკლის გული ძალიან დასწყდა, ეს წყვილი რომ პროექტიდან ფაქტობრივად, თვითონ გააგდო.

ნინი:

— ჩემი აზრით, ირაკლი პროექტში ყველა გოგოს მოსწონს, მაგრამ მისგან საპასუხო რეაქცია რომ ვერ მიიღეს, ალბათ, ეს აგიჟებთ და ამიტომაც აითვალწუნეს. ერთხელ სოფომ თქვა: ირაკლის გოიმი ფანები ჰყავსო, არადა თვითონ მას, „ულვაშიანი“ გოგონები გულშემატკივრობენ. მან ისიც თქვა — „ლაივ-შოუზე“ მაგარ შოუს გპირდებითო და ირაკლის ვანო და ზიკი დაუპირისპირა. მგონი, ბატია ეგ გოგო, რადგან იმასაც ვერ მიხვდა, რომ კოსტა უნდა გაემინუსებინა.

დარი:

— 35.000 ლარისთვის იკა არავის შეეტენება. ის საკუთარ თავს პატივს სცემს და მისთვის ადამიანობა, უპირველესია. ირაკლი არასოდეს გააკეთებს ისეთ რამეს, რომ პროექტის დამთავრების შემდეგ, ხალხს თვალებში ვერ შეხედოს.

— როგორ ფიქრობთ, ირაკლის გამარჯვების შანსი აქვს?

ნინი:

— იკა უკვე გამარჯვებულია. ბერძენას მსგავსად, კოსტასაც უპრობლემოდ გააგდებს.

დარი:

— მას მთელი ზუგდიდი, ბათუმი და საერთოდ, სრულიად საქართველო გულშემატკივრობს.

— მელომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ პროექტის დატოვების შემდეგ ირაკლის დიდი სიურპრიზი ელოდება. ამაზე რას ფიქრობთ?

— მელო თუ ძველბიჭობს, რეალურ შოუში რა უნდოდა? ის ამ განცხადებით ირაკლის ვერ შეაშინებს.

ნინი:

— მელოს თუ იკას ნახვა სურს, ჯერ მე უნდა მნახოს! *(იცინის)*. ■

ასეთ ცდუნებას ვერ გავუძელი

უთავო მკითხველი და ცდუნებული ქალები ანუ „აპიატ“ ცოლიანები?..

მეც ვერ ვუძლებ ცდუნებას, ორი მესიჯი აქვე რომ არ შემოგთავაზოთ. ერთი მკითხველი ოთხშაბათს, ღამის 3 საათზე მწერდა: „ერთი სული მაქვს, როდის გათენდება, რომ „გზა“ ვიყიდო და „გზავნილები“ წავიკითხო. იქნებ, მოხდეს სასწაული და ჩემი მესიჯიც იყოს დაბეჭდილი. პუტკუსა“. მეორეს, ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი „გზავნილები“ ჰქონდა წაკითხული და წინა მესიჯის მოსვლიდან ზუსტად 5 წუთის შემდეგ, მოცემულ თემაზე მიმესიჯებდა: „მარი, იმ სტამბაში ვმუშაობ, სადაც „გზა“ იბეჭდება და პირველი ვკითხულობ „გზავნილებს“. ვიცი, ახლა გვიანია, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და გეხმაურები. დედას გეფიცებით, ყველანი მიყვარხართ. ახმეტა, მატანი, მაია“. ახლა კი დანარჩენ ცდუნებულებს მივხედოთ. როდესაც ვინმეს შესახებ ვიგებთ, რომ დიდ ცდუნებას გაუძლო, ვაქებთ და მისდამი აღფრთოვანებას გამოვხატავთ, მაგრამ თუ გაიგეთ, რომ მისთვის ცდუნება თქვენ ყოფილხართ, მაშინ...

მარი ჯაფარიძე

შვინდა მოზვერი

„გამარჯობა. მე 28 წლის გიგა ვარ. ცხოვრებაში ბევრი ცდუნება შემხვედრია და ჩემს „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ ვერც ერთისთვის ვერ გამიძლია. სულ მიკვირდა ჩემი ძმაკაცის, რომელიც ცოლის ერთგული გახლდათ. არადა, ძალიან „სიმპო“ ტიპია და ქალები აქეთ აცდუნებდნენ ხოლმე. ის კი ისე მაგრად იდგა, როგორც „ჩვენებიანთ შვინდა მოზვერი“. განა მარტო მაგის, ბევრი ადამიანის მიკვირდა და ახლაც მიკვირს. მაგალითად, მაინტერესებს, როგორ ძლებს ზოგიერთი ქალი ისე, რომ ღამის 40 წლის ხდება და ისევ ქალწულია? ან როგორ ძლებენ ბანკის თანამშრომლები, ყოველდღე ამდენ ფულს რომ ითვლიან და სახლში არ მიაქვთ? მოკლედ, საცდუნებელი ბევრია და მადლობა ღმერთს, ისეთი სამსახური არა მაქვს, ციხეში რომ ამოვყო თავი. ახლა კი ერთი ამბავი. ჩვენს უბანში მაგარი ნაშა დადიოდა. ჰოდა, მასთან სექსი ძალიან მინდოდა. ერთხელ, ეს ერთ ნაცნობთან ვთქვი. მან მითხრა: ქალწულია, შენთან არ დაწვებაო. ამის შემდეგ, მასზე ფიქრს შევეშვი — ცოლის მოყვანა ჯერ არ მინდოდა. თუმცა, ძალიან გამიკვირდა, ვიცოდი, რომ ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა და არ ვიცი, როგორ უძლებდა ამდენ ცდუნებას... გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ, როცა საქეიფოდ დამპატიჟეს, იქ ამ გოგოს შევხვდი. უკვე გთხოვილი იყო, ქმარიც თან ახლდა. გამოველაპარაკე და იცით, რა მითხრა? ძალიან მიყვარდი და ამის თქმას ვერ გიბედავდი. ისე კი, შენი გულისთვის სიცოცხლესაც დავთმობდიო. ე.ი. გამოდის, რომ ჩემი გულისთვის ქალწულობასაც დათმობდა... ეს რომ გავაანალიზე, იმდენი ვინერვიულე, ღამის თავი მოვიკალი. მოკლედ, ასე... არ გამიმართლა, რა!“

ტრანზიტული სიყვარული

„მარი, არ დამღუპო, ეს მესიჯი გამომიქვეყნე, რა�ა... ამ ზაფხულს, პეტერბურგიდან თბილისში ტრანზიტით მოვფრინავდი. მთელი 4 საათი სტამბოლში უნდა ვყოფილიყავი. იქ ერთი თურქი ბიჭი გავიცანი. მარტო ვიყავი და თან დამყვებოდა, სულ ხელისგულზე მატარა, ყველაფერში მეხმარებოდა. ეგ იყო, რომ ერთმანეთის ნათქვამი არ გვესმოდა. თურქულად მხოლოდ ერთი ფრაზა ვიცოდი, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ მახსოვდა. ბოლოს, ცდუნებას ვერ გავუძელი და ის სიტყვები მაინც ვუთხარი. უნდა გენახათ მისი სახე. გულზე ხელები გადაიჯვარედინა და თავს მიწას ახლიდა. თან, ხელების მოძრობით გულს მჩუქნიდა. აღმოჩნდა, რომ მისთვის სიყვარული ამიხსნია. მააააშ! აჩრდილი“.

დარჩენილი ფეხი

„5 წლის ვიყავი, როცა დედამ ახლობლებთან სტუმრად წამიყვანა. მათ ოჯახში მოხუცი ბაბუა ჰყავდათ, რომელსაც ერთი ფეხი ხის ჰქონდა. ჰოდა, იქ რომ მივედით, დავინახე, რომ ეს ხის ფეხი კედელზე იყო მიყუდებული და ძალიან მომეწონა. მთელი საღამო გარს ვუტრიალე, წამოსვლისას კი ცდუნებას ვერ გავუძელი და მოვიპარე. არ ვიცი, როგორ მოვახერხე, მაგრამ „მარშრუტკაში“ ისე ავიტანე, დედაჩემს არ დაუნახავს. ჩამოსვლისას კი იქ დამრჩა. დედას ხელჩაკიდებული მივყავდი, როცა ქოშინის ხმა შემოგვესმა. ერთი კაცი მორბოდა და დედას ეძახდა — ქალბატონოო. უკან რომ მივიხედეთ, დედას პროთეზი გამოუწოდა და უთხრა: „მარშრუტკაში“ ფეხი დაგრჩათო. რა თქმა უნდა, დედაჩემმა პროთეზი იცნო და მიხვდა, ვისი ოინიც იქნებოდა. ახლაც მწარედ მახსოვს, როგორ მომხვდა ის ფეხი თავში. მერე კი, რა თქმა უნდა, ის პატრონს დავუბრუნეთ“.

მამაკაცი უფრო იოლი საცდუნებელია თუ ქალი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევე ძნელია, როგორც კვერცხისა და ქათმის წარმოშობაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ მაინც გაცდუნებენ, იმდენი უნდა შეძლოთ, რომ მეუღლემ ამაში ვერ გამოგტეხოთ. მაგალითად, ერთ პატარა დიალოგს მოვიყვან, რომელიც ალბათ უფრო ანეკდოტია, თუმცა მკითხველი მის შემოტყუებას ნამდვილ ამბად ცდილობდა, მაგრამ რადგან მას ასეთი დიდი ფანტაზია აქვს და თანაც, ამბავი საკმაოდ მხიარულია, მაინც გთავაზობთ.

„გამარჯობა. არ არსებობს მამაკაცი, რომელიც არ ცდუნდება. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და ერთ მშვენიერ დღეს, კურიოზი შემემთხვა. როცა მე და ჩემი ცოლი დილით საწოლში ვგორაობდით, ლოყით მკერდზე მომეხუტა და მეკითხება:

— რომ მოვკვდე, რას იზამ? კიდევ მოიყვან ცოლს?

— რა თქმა უნდა, არა, — ვეუბნები და კმაყოფილი ვარ იმით, რომ ამ დროს თვალებში არ მიყურებს.

— რატომ? შენ რა, არ მოგწონს, რომ ცოლი გყავს? გამოდის, უცოლოდ ყოფნა გირჩევნია...

— ეს რა შუაშია?

— შუაში როგორ არ არის? — თუ შენ ცოლიანი კაცის იმიჯი მოგწონს, მაშინ უნდა დაქორწინდე!

— კარგი, დავქორწინდები.

— მერე, აქ, ჩემს ლოგინში დააძინებ?

— აბა, სხვაგან სად წავიყვან?

— ჩემი სურათების ნაცვლად მის სურათს ატარებ ჯიბით?

— ჰო, ალბათ...

— და ჩემი მანქანის ტარების უფლებასაც მისცემ?

— არა, მას მართვის მოწმობა არა აქვს...

ალბათ ხვდებით, რით დამთავრდებოდა ჩვენი საუბარი...

სიყვარული ხუმრობით

„ადამიანებს იოლად ვერ ვენდობი. ერთი მეგობარი მყავს, რომელმაც ჩემ შესახებ ყველაფერი იცის, მაგრამ იმას, რასაც ახლა გეტყვით, მასაც ვერ ვუმხელ... თაყვანისმცემლები არ მაკლია, თუმცა ვერავინ შევიყვარე. ყველა ნაშად აღმიქვამს და საქმე იქამდე ვერ მიდის, რომ მისი ხასიათი და ჭკუა შევაფასო. „ვჩეთაობ“ და ვეძებ ახალ ურთიერთობებს. ერთხელ ვიპოვე კიდეც. ჩვენი ურთიერთობა ჯერ უბრალო და უმნიშვნელო მესიჯების მიმოწერით დაიწყო, მერე — შევეჩვიე. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ის მაინც იცავდა დისტანციას. მე კი სერიოზულად შემიყვარდა. როცა ეს ვუთხარი, ჯერ გაიკვირვა, შემდეგ გამეხუმრა... მივხვდი, არ ვუყვარდი და მეც ყველაფერი ხუმრობაში გავუტარე. ასე გავაგრძელეთ ურთიერთობა. მოკლედ, ჩვენი ამბავი „საპნის ოპერასავით“ აეწყო. ცოტა ხანში ის დაიკარგა. შევეცადე, დამევიწყებინა, მაგრამ უშედეგოდ. დროდადრო „ჩეთში“ ჩნდება და გულს მტკენს თავისი მოქმედებით. თუმცა, ამას არ ვიმჩნევ. ცუდად ვარ, მაგრამ ვერავის ვეუბნები, რადგან მგონია, ვერ გამიგებენ. 18 წლის გახლავართ და შესაძლოა, ყველაფერი სულელურ გატაცებად ჩამითვალონ. არადა, მე ის ისე ძლიერ მიყვარს...“

საბედისწერო პაემანი

„მარი, მაპატიე, რომ ასე გვიან გიმესიჯებ, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი... გასულ წელს, თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ჩემი მესიჯები, მერე კი შევეშვი. იმიტომ კი არა, რომ ჩემს ცხოვრებაში სტაბილური ხანა დადგა ან შევიცვალე და დავსერიოზულდი (პირიქით, უკვე მანქანა ვიყიდე და უფრო მეტ სიგიჟეს ჩავდივარ), უბრალოდ, დრო აღარ მრჩება, რომ ვიმესიჯო. უკვე დიდი ხანია, პატარა გოგო აღარ ვარ. მეტიც, წესით და რიგით უკვე სრულწლოვანი ქალი გახლავართ, მაგრამ ჩემი უცნაური ხასიათის გამო, ქალად ვერავინ აღმიქვამს. აქამდე მეგონა, რომ შარი და კურიოზები თვითონ დამდევდა, ახლა კი მივხვდი, ყველაფერი ჩემი მოუსვენარი ხასიათის ბრალია. გუშინ ისეთ რამეში გავყავი თავი, რომ ხუთშაბათს, „გზის“ გამოსვლისთვის შესაძლოა, ცოცხალიც აღარ ვიყო... ეს ხუმრობით, მაგრამ კარგი დღე რომ არ დამადგება, ეგ უკვე ვიცი. ერთი სიტყვით, ნათესავის ქორწილში გავიცანი მამაკაცი, რომელიც ჩემს მეგობარს მოსწონდა, მაგრამ მასთან შეხვედრას ვერ ახერხებდა. ჰოდა, თავში გენიალური იდეა მომივიდა. მივედი და პაემანი დავუნიშნე. მერე ჩემს მეგობარს დავურეკე და გავაფრთხილე: ჩემს მაგივრად მიდი-მეთქი. მოკლედ, ლომის ხახაში გავყავი თავი და ხომ ვარ ღირსი, რომ ერთხელაც ლომმა შემახრამუნოს ან უთავოდ დავრჩე? მგონი, ისედაც დიდად არაფერში მარგია. ალბათ წინა ცხოვრებაში ჟანა დ'არკი ვიყავი და სანამ კოცონზე არ დამწვავენ, ვერ მოვისვენებ. ეს საბედისწერო პაემანი ხუთშაბათსაა დანიშნული და თუ გადავრჩი, აუცილებლად მოგწერთ, რა მოხდება. გკოცნით, თქვენი ეკა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ოქროს უბნის „მესიჯმენი“

„გზა“ — აი, ამას გწერ მარტო. ამ მესიჯს მაინც ხომ გამომიქვეყნებ? თანაც, პირველ გვერდზე“.

„ეჰ, მარი, ამას რას მიკეთებ? შენ ამკიდე „გზავნილების“ „ლომკა“, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებ და მაინც გიმესიჯებ. ანა“.

„ქართველი კაცები სიყვარულის ღირსი არ არიან! ათენი“.

„ერთი ბიჭი მომეწონა. მას დიტო ჰქვია. ერთხელ, შემთხვევით მისი ნომერი გავიგე. ცდუნებას ვერ გავუძელი და დავრეკე. საუბარი ავაწყვეთ, საკმაოდ დიდხანს ვილაპარაკეთ, მაგრამ ვინაობა ვერ გავუმხილე, რადგან აქაური არ გახლავართ, თანაც, ვიცი, რომ დიტოს აქტიური გოგონები არ მოსწონს. ნეტავ, სულ არ დამერეკა...“

„მარი, გთხოვ, დამიბეჭდე, თორემ გაგებუტები... პირველად გწერ... დედას ჰგონია, რომ მასწავლებელთან მივიჩქარი. არადა, მივიზლაზნები და თან, მესიჯს გწერთ. წინასწარ დიდი მადლობა. დიპსი“.

„ეჰ, დიეტაზე ვარ, გუშინ კი ჩემმა დაქალოჩკამ ტორტი გამოაცხო. ჰოდა, ასეთ ცდუნებას ვერ გავუძელი და... ვაიმეეე... ჩემი დიეტااااა... თეკაჩო“.

„შეყვარებული კი ვყოფილვარ, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო ის გრძნობა, რომელიც მინდოდა, სასურველი მამაკაცის მიმართ განმეცადა. საბოლოოდ, დაშორება გადავწყვიტე. არ ვიცი, დღესაც მიყვარს თუ არა, მაგრამ სითბოს ახლა სხვა მამაკაცთან ვპოულობ, რომელიც წარსულის ნაიარევს მავიწყებს. მიყვარხარ და მძულხარ. ი.მ“.

„ჩვენი, ქალების სუსტი წერტილი იცით, რა არის? სიყვარული, რომელიც თითოეული ჩვენგანის ცდუნებაა და რომელზეც უარს არასდროს ვამბობთ. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ნაძირალა კაცი შემიყვარდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი. მეგონა, გამოვასწორებდი, მაგრამ გამოუსწორებელი დონჟუანი აღმოჩნდა. ჩემო დონჟუანო, მიყვარხარ და მენატრები“.

„ცდუნებას რომ ავყევი, იმიტომ დავკარგე საყვარელი ადამიანი. მან გაიგო, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და მიუხედავად ამისა, მაინც თვალს მარიდებს. ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარა. თემურ, მიყვარხარ! ნინუცა“.

„თუ ქურდი არ ხარ, ჩემი გული რად მოიპარე?/ ან რა ქურდი ხარ, ნაქურდალი ვერ მოიხმარე... მარი, მაგრად მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, გოგო ვარ და სიყვარულში ხომ არ გამოვუტყდები? ნინუცა. იმედი მაქვს, ხუთშაბათს „გზავნილებში“ „გავიჩითები“.

„ცდუნებას ვერ გავუძელი და გწერთ. ხალხო, მითხარით, ადამიანის უნახავად შეყვარება შეიძლება? მიყვარხართ ყველა! მარი ჩვენი დედაა, ჩვენ — მისი შვილები“.

„როცა ცხოვრება ცრემლით გამოვიგლოვე და ხელი ჩავიქნიე, მაშინ გამოჩნდა გიორგი. არ მეგონა, თუ კიდევ შემიყვარდებოდა ვინმე. ადრე თვალებით მიყვარდა, ახლა კი, გულით. იცით, ორივე რა მაგარ პონტში ვართ? მეგობრებთან ერთად რომ ვართ, ხმას არ იღებს, მაგრამ 24 საათის განმავლობაში ვმესიჯობთ. მე მუდამ შენი ვიქნები. ბეიბი“.

„ვაიმეეე... მთელი ცხოვრება ცდუნებას ვუძლებ. ერთადერთი, რასაც ვერ ვუძლებ, ჭამის ცდუნებაა და მეც გავდივარ განში, მაგრამ ახლა მტკიცედ უნდა დავდგე ჩემსაზე... ვერც იმ ცდუნებას გავუძელი, რომ თქვენთვის არ მომეწერა“.

„თვალები სველი,/ სხეული — ცხელი,/ ხელები — თბილი,/ ტუჩები — ტკბილი.../ სხვა ვინ ვინატრო, მე შენზე თბილი.../ მომწმინდე ცრემლი,/ მაკოცე ერთი,/ ორივეს ერთად გვფარავდეს ღმერთი!/ გჯერათ,

რომ გიგა მთელ მსოფლიოში ყველაზე მაგარი და საყვარელი ადამიანია? ამიტომ ვერ ვუძლებ ცდუნებას და მის კოცნას უპასუხოდ არ ვტოვებ. მიშველეთ, ხალხო, მგონი, ვგიჟდებიიიი! არადა, იცით, როგორი ბუსუსუნა ვარ?“

„მარუს, მგონი, ჩემი ტელეფონის ნომერს ვერ იტან. ასეა, ხომ? ყოველ ხუთშაბათს ისეთ თემებს იგონებ, ცდუნებას ვერ ვუძლებ და ყველანაირად ვცდილობ, ისეთი მესიჯი გამოგიგზავნო, რომ სადმე „ჩატენო“. შენ კი... ეჰ... პრანჭი“.

„მარი, შეგაწუხე პირდაპირ ჩემი მესიჯებით. ჩემნაირი რამდენი გწერს, არა? მობილური ჩავიგდე ხელში და შანსს დავკარგავდი? გკოცნით. ს“.

„ცდუნებას მართლა ვერ გავუძელი და მესიჯს ისევ გწერთ. თუ ჩემი მესიჯი „გზაში“ არ მოხვდება, იცოდეთ, რედაქციაში ბომბია და აგაფეთქებთ. იცი, რატომ? იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხართ. ონავარი გოგო“.

„ცხოვრებამ ბევრი ტკივილი მომაყენა, ბევრჯერ დამაყენა მწარე რეალობის წინაშე. წელს აბიტურიენტი ვარ და მშობლები დიდი გაჭირვებით მამზადებენ. აი, უკვე კითხვაში დამათენდა. თან, დაღლილ დედიკოს ვუყურებ, რომელიც დროდადრო ძილბურანიდან გამოერკვევა ხოლმე და მეძახის: დაწექი, შვილო, ცოდვა ხარო... მის შემხედვარეს მეტირება. რომ ვერ ჩავაბარო, მას ხომ იმედი გაუცრუვდება? მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს. თიკო“.

„იყო შოთა გოგოლელი,/ ოქროსუბნის „მესიჯმენი“,/ მაგრამ ერთხელ კარში დგომას/ ქე შეწირა ერთი ხელი./ დადის ახლა „გიფსიანი“,/ ცაციობას სწავლობს ცოდვა,/ მესიჯს ვერ წერს ნორმალურად,/ ოქროსუბნის კაცი, შოთა“.

„ფოთიდან გწერთ. ერთი გადარეული, ცოლინი კაცი შემიყვარდა. სულ სიყვარულს მეფიცებოდა და მაგიჟებდა. ერთი წლის შემდეგ კი, ცდუნებას ვერ გავუძელი და... აი, შედეგიც — დამრგვალებული მუცელი... გუშინ რიონში ვაპირებდი გადახტომას და პატრულმა გადამარჩინა. ახლა კი არ ვიცი, რა ვქნა. თამო“.

„ათენიდან გიმესიჯებთ. „გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ, ახლა კი მესიჯის მოწერაც გადავწყვიტე. საქართველოში მყავს ოჯახი, ახლობლები, მეგობრები და ყველაზე საყვარელი ადამიანი, ჩემი შვილი — 10 წლის გიორგი. ის მეც მატერიალური პრობლემების გამო დავტოვე. 28 წლის ვარ. 7 წლის წინ დავქვრივდი. გიორგის მამა არ ჰყავს და დროებით მეც მივატოვე. მინდა, ჩემს შვილს ვუთხრა, რომ მენატრება და ძალიან ბევრს ვეფერები შორიდან. ვთხოვ, რომ კარგად ისწავლოს. ეკა“.

„თითქმის ყველა ცდუნებას ვუძლებ, გარდა ჩემი „სუპერმენის“ ტუჩებისა. თიკა“.

„ცდუნებას ვერ გავუძელი და ერთ სვანს სიყვარული ავუხსენი. იმანაც, შეიფერა და ახლა ჭკუაზე არ არის. მე კი აღარ მიყვარს და ვერ ვეუბნები“.

„ჩემი და „ტყუპის“ ურთიერთობა 2 წლის წინ, მესიჯებით დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში, იყო უამრავი კარგი დღეც და ხანგრძლივი დეპრესიაც. კარგი იმიტომ, რომ მიყვარს. დეპრესია კი იმიტომ, რომ გათხოვილი ვარ და სინდისი მქენჯნის. არადა, შესაძლოა, ერთხელ ცდუნებას ვერ გავუძლო და... მეშინია. ყოველი მცდელობა, აღარ ვნახოთ ერთმანეთი, კრახით მთავრდება. ვიცი, გიყვარვარ, მაგრამ გვიანია. წრუწუნა“.

„ამ ზაფხულს შემიყვარდა სვანი ბიჭი. არც ის იყო ჩემ მიმართ გულგრილი, მაგრამ მოგვიანებით, მისი ბიძაშვილი მოვნათლე. ახლა უკვე ნათესავები ვართ. ყველაფრის იმედი დავკარგე. ვახო უზომოდ მიყვარს. რა ვქნა? არსებობს გამოსავალი?“



„ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. ამიტომ ჩემთვის ბიჭის კოცნა და ფიზიკური სიახლოვე მიუღებელი იყო, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და.... ახლა სულ სხვანაირად, უფრო მეტად მიყვარს“.

„დამევასე“ ნამეტანი,/ შენთან მინდა პაემანი./ დამიჯერე, სტიქიავ,/ რაც მე შენთვის მითქვია,/ შენთან მინდა ყოფნა,/ გინდ მეტიროს ყოფა. ეთუშკი“.

„ლოდინით დაღლილი,/ ჩურჩულით ახსნილი,/ თვალები — დახრილი,/ მაშორებს მანძილი,/ ოცნება... წადილი,/ ლამაზი... ნამდვილი,/ მე მინდა შენს გულში/ პატარა ადგილი. ვარ 28 წლის. ველი დიდ სიყვარულს. მინდა, იმედი მქონდეს, რომ ხვალინდელი დღე ჩემთვის გათენდება. სოფო“.

„ეჰ, დაბადების დღეზე ცდუნებას ვერ გავუძელი და მაგრად გამოვთვერი. ასევე ვერ გავუძელი ცდუნებას გიორგობის დღეს და მაშინაც მაგრად გამოვთვერი მეზობელთან. ჰოდა, „ავიკიდე“ პატარა ლოთის იარლიყი. ხალხო, დედას გეფიცებით, თუ მეტი დავლიო. ნუ გააგებინეთ ყველას, რომ ლოთი ვარ. მერი-ჯეი“.

„მე რაც სვანთან დავრეკე, იმის მერე გავრეკე... მიშველეეეთ! მიყვაااარს! სვანი მიყვااარს!“

„გზის“ 46-ე ნომერში იყო ერთი გოგოს, სოფოს მესიჯი, რომელიც გწერდათ, რომ პატიმარი რეზო უყვარს. მინდა, მას მივმართო: სოფო, შენი მესიჯი ჩემმა მეუღლემ წაიკითხა და შენი სიტუაცია ეცნო (ის ამ ზაფხულს გათავისუფლდა). მასთან ერთად ოჯდა ვინმე რეზო, რომელსაც ჰყავდა შეყვარებული სოფო. დაემთხვა ისიც, რომ ის რეზოც რამდენიმე თვეში გამოდის. სოფო, „გზაში“ დაამესიჯე რეზოს გვარის პირველი ასო და რამდენი წლისაა. თუ დაემთხვა, დაგიკავშირდები და ბევრ სიახლეს მოგიყვები“.

„იდგა ფიქრების ვალსი,/ იყო რკალები ცაზე,/ არ ასვენებდა ღამეს/ ფიქრები მწვანეთვალება კაცზე... ახალციხელო მახო კურტანიძევ, მიყვარხარ“.

„ახლა ძალიან მიჭირს. დედაჩემს ვეჩხუბე და სიცოცხლე აღარ მინდა. უკვე მერამდენედ ხდება ასე. ვერასდროს მიგებს. ჰგონია, რომ მშობლის ვალია გაზარდოს შვილი, კარგად ჩააცვას და არ იკითხოს, რა უჭირს, რა ულხინს... ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ცხელ გულზე შეყვარებულზე ვიყრი ხოლმე ჯავრს“.

„ცდუნებას დიდხანს ვებრძოდი, რომ მესიჯი არ გამომეგზავნა, რადგან მეგონა, არ დაბეჭდავდით. წინა კვირას პირველად მოგწერეთ და დაიბეჭდა. მინდა, ერთი რჩევა მივცე ცოლიან კაცებზე შეყვარებულ გოგონებს — ნუ ენდობიან მათ ფიცს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ცოლებს მუხლიჩოქზე დამდგარი სთხოვენ პატიებას. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით. მორიელი“.

„ფორტუნას ფუჭად მივენდე,/ ცხოვრება ასე ავაგე,/ დამღუპა ძლიერ ყომარმა,/ ძალიან ბევრი წავაგე,/ დარდმა და სევდამ მომიცვა,/ რკინისა მადევს გულს ძელი,/ მხოლოდ იმიტომ წავაგე,/ ცდუნებას ვერ გავუძელი. სტიქია“.

„მის ხატია, შენ რა იცი,/ ან „სროკი“ ან „სვაბოდა“,/ ჩემი აზრით, რაც მოყევი,/ შენ სიზმარმა გაბოდა,/ შენ ვერასდროს ვერ მომიგებ,/ მჯობნის მჯობნი გაგიგია?/ აქობამდე ჯერ ლექსებში/ არასოდეს წამიგია. სტიქია“.

„რა ჩემი ბრალია, რომ არ მიყვარს? ის კიდევ, ყოველდღე მეუბნება — ცოლად გამომყევიო. რა ვქნა? მაგარი დედა ჰყავს, ჩემი დაქალია. მგონი, ასეთ

MK

ცდუნებას ვერ გავუძლებ და ჯანდაბას მაგის თავი, გავყვები! ჩემი მომავალი „სვეკრუხა“ მართლა მაგარი ქალია. ის დროა, დედამისს ფეხები დაუკოცნოს, რომ ცოლად მივყვები“.

„მააარ! მიშველე, რა�ა.. ერთი ბიჭი მიყვარს, ის კი ახლა ესპანეთშია და მეშინია, ესპანელმა ქალებმა არ წამართვან. მითხარი, რომ ჩვენ ვჯობივართ ესპანელებს...“

„ერთი ძმაკაცი მყავს, რომელსაც მთელი ქუთაისის გოგონები სიყვარულს ეფიცებოდნენ. მან კი ცოლად მახინჯი გოგო მოიყვანა და იცით, რატომ? სიმამრი ჰყავს ფულიანი და ცდუნებას ვერ გაუძლო... ხელის ჭუჭყი ეძახე შენ!“

„მარი, კარგი, რა! ახლა მაინც დამიბეჭდე მესიჯი. ზოგიერთის მესიჯი ორჯერ იბეჭდება, ჩემი კი ერთხელაც არა. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმესი მშურს, უბრალოდ, მეწყინა. ამას რომ წაიკითხავ, ალბათ იფიქრებ: გეწყინა და ცივი წყალი დალიეო. ცივ წყალსაც დავლევ და კიდევ იცით, რას ვიზამ? ჟურნალ „გზას“ აღარ ვიყიდი!“

„სამყაროს სამი რამ აკლია: ცას — კიბე, ზღვას — ხიდი, „გზავნილებს“ კიდევ — ჩემი მესიჯი“. მარიიიი... ნუ გადამრიეეე.... დამიბეჭდე, ნუ გადამიყვან ჭკუიდან... თუ არ დამიბეჭდავთ, ავბუზღუნდები. ბუზღუნა“.

„ცდუნებას ვერ ვუძლებ და გიმესიჯებთ. თავის დროზე კი, ერთი ლამაზი გოგოს ცდუნებას ვერ გავუძელი და შეყვარებული დავკარგე. ტ.ტ — 777“.

„აუ, ნაღდად ვერ ვუძლებ ცდუნებას და ნინო სოხაძეს მინდა ვუთხრა, რომ ნუ გადარია ჩემი ძმაკაცი. ნინო, თვალები გაახილე და მიხვდი, რომ ძლიერ უყვარხარ. მარი, დამიბეჭდე ეს მესიჯი, თორემ ამ ჩემს ძმაკაცსაც მივახრჩობ და იმ გოგოსაც ზედ მივაყოლებ“.

„ერთ ავბედით დღეს, ალკოჰოლით გადებილებულმა ცდუნებას ვერ გავუძელი და შეყვარებულს ძალის გამოყენებით ვაკოცე. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მე რომ ბიჭი ვიყო. მას მერე 8 თვე გავიდა, ვერც ერთი ვერ ვუძლებთ ცდუნებას და... შეშლილი გენიოსი“.

„მარი, ახლა ჩემს ოთახში წყვეტაა. 3 დაქალი ვწევართ და გიმესიჯებთ. დავთქვით: ვისი მესიჯიც არ გამოქვეყნდება, ის შეყვარებულს დაშორდება. არ დაგვლუპო, არ დაგვტოვო შინაბერად. ჩვენი ბედი შენს ხელშია. ახლა კი ჩემი ამბავი. ახლახან „ჩეთში“ ჩემი შეყვარებულის ნომერი დავტოვე და დავწერე, მაგარი გოგო ვარ და სასწრაფოდ მესაჭიროება ქალწულობის დაკარგვა-მეთქი. თურმე, მიაწყდნენ ამ ჩემს კაცუნას მსურველები. მე კი თავი გამოვიშტერე და მის ძმაკაცს გადავბრალე — ის გაგიჩალიჩებდა-მეთქი. გიო ყველაფერს ხუთშაბათს, თქვენგან გაიგებს. კანიბალკა“.

„ვახ, ჩემიიი! „აპიატ“ ეს ცოლიანები, რააა! „პასტაიანა“ ცოლიანების „ვკუსში“ რატომ ვარ? რა გინდათ, რაა! (ვითომ არ ვიცი.... ოოოო) 16 წლის ლაწირკი, ველური კატა“.

„მარის გაუმარჯოს! ახალს რას გეტყვი, გოგო, ამდენი უცნაური ამბის გამგონე. მეც შენი რუბრიკის ფანი ვარ, მაგრამ მესიჯს პირველად გწერ. ჩემი მეუღლე ინტერნეტით გავიცანი. ერთი წელია, რას დავქორწინდით. მანამდე კი, 1 წელი ვხვდებოდი. ვერ გავუძელი მის მაცდუნებელ ალერსს და გავყევი „ტუსტუსით“. ბავშვებზე ვგიჟდებოდი. ვერც მაგ ცდუნებას გავუძელი და პატარა ანუკი „გამოვაჩინე“. ახლა კი მაქვს უძილო ღამეები, მაგრამ ბედნიერი ადამიანი ვარ. ჩემს ქმარიკოს კი ვეტყვი, რომ ცოტა ჭკუას მოუხმოს. გკოცნი, სიხარულო. თითა“.

„ქმარი მყავს, მაგრამ მეზიზღება. დამეხმარეთ, როგორ დავაღწიო თავი ურჩხულს? ანგელოზი“.

მკითხველმა იცის, რომ მესიჯების აზრს არ ვცვლი, მაგრამ ტექსტს ვალაგებ და გამართული ქართულით გადმოგცემთ ხოლმე. თუმცა, ხანდახან ცდუნებას ვუძლებ, რომ მესიჯი ისევე არ დავბეჭდო, როგორიც ჩემამდე მოდის. ისე, ძალიან საინტერესო კი გამოვა! როგორ ფიქრობთ, ხომ არ შემოვიღოთ „გზავნილებში“ მკითხველთა ჰედლაინები? თუ თქვენი სურვილი იქნება, მომწერეთ და მომდევნო ნომრიდან ახალ „ქვეგანყოფილებას“ შემოგთავაზებთ. ახლა კი მომდევნო ნომრის თემა — სირცხვილი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77. 45.68.61 ან მომწერეთ ელ.ფოსტაზე: marorita77@yahoo.com მიამბეთ, როდის და რატომ შეგრცხვათ ყველაზე მეტად. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე ■

მისი გულისთვის ჩემი „ლოვე“ მივატოვე...

მაშ, ასე, როგორც უკვე შეეთანხმდით, თითოეულ თქვენგანს, ვინც ამ რუბრიკისთვის მესიჯს გზავნის, საკუთარი ნიკი უნდა ჰქონდეს. კიდევ ერთხელ იმასაც შეგახსენებთ, რომ ვისაც გამომხმაურებლის ტელეფონის ნომრის გაგება სურს, კალამი და ბლოკნოტი უნდა მოიმარჯვოს, დამირეკოს და სასურველი ნომერი ჩაიწეროს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ გზავნილების რაოდენობა დღითი დღე მატულობს და ლამისაა, წამლეკოს, ამიტომ, ბუნებრივია, თითოეული თქვენგანისთვის დამესიჯებას ვერ მოვახერხებ...

2 „მინდა, დედაჩემს, ქალბატონ ლუდას ვუთხრა, რომ ჩემს ყოფილ მეოთხე სკოლაში დამაბრუნოს! დეეე, გთხოვ! თამრიკო“.

1 „მარი, მესიჯი რატომ არ დამიბეჭდე?.. უკვე მეორედ გწერ და თუ ამასაც არ გამომიქვეყნებ, რევოლუციას მოვაწყობ შენს წინააღმდეგ. გაიგე?.. მოკლედ, რუსთაველ ნინო ბუნტურს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. მასზე მაბოდებს. ნინო, მიცანი? ეს მე ვარ, ვალერი“.

2 „მიყვარს ადამიანი, რომელიც ჩემში დას ხედავს. დავიღალე, მე ხომ პატარა აღარ ვარ! ნუკრი, გამოფხიზლდი, ვერ გავიგე, რა გინდა. ნ.მ“.

2 „გიო, თუ ხუთშაბათს არ ჩამოხვალ, შენს თავს მაგ შენს მონადირე ძაღლებს მივუგდებ. ჩამოდი, თორემ ეს ექიმი გამაგიჟებს. შენი ლამაზი გოგო“.

2 „ყოველთვის ვცდილობდი, ისეთი სიყვარული მეპოვა, რომელიც ტანჯვას არ მომაყენებდა, მაგრამ თითქოს დასახულ მიზანს გადავუხვიე და რადიკალურად განსხვავებულ პიროვნებას გადავეყარე. სიჭინავა, გადაეჩვიე წამალს!.. მაგრამ მე მაინც უიმედო სიყვარულით გეტრფი. კამო“.

2 „ჩემი სიცოცხლე სავსეა შენით,/ შენი სუნთქვით და თვალების ფერით,/ თმებით, ტუჩებით, ალერსით, მზერით,/ ჩემი სიცოცხლე სავსეა შენით/ — ეძღვნება კაზრეთელ ელენე მოსეშვილს, აკოსგან. მარი, თუ არ გამოაქვეყნებ, თავს მოვიკლავ“.

2 „ჩემი უბნელი ბიჭი მიყვარს, გელა ჭინჭარაული. უზომოდ ვარ მასზე შეყვარებული. ადრე ვერც კი ვამჩნევდი, მაგრამ ახლა მასზე ვაფრენ! თვითონ ყურადღებას არ მაქცევს და ძალიან მტკივა გული. მისი გულისთვის ჩემი „ლოვე“ მივატოვე. ის საცოდავი გიო კი ისევ უკან დამდევს... ხმამაღლა ვაცხადებ, რომ გელა მიყვარს“.

გაგრძელება მე-60 გვერდზე

ქალის ხასიათის ამოცნობა მისი ჩანთის მიხედვით შეიძლება

თუ თქვენ გიყვართ სპორტული სტილის ჩანთა, ავანტიურისტი ადამიანი ხართ...

ძალიან ხშირად, ფსიქოლოგებს და არა მარტო მათ, შეუძლიათ ბევრი რამ თქვან ადამიანზე მისი პირადი ნივთების საფუძველზე — რასაც კონკრეტული პიროვნება ყოველდღე იყენებს. ალბათ, ქალების უმეტესობა დამეთანხმება, რომ ჩანთა მათი ერთ-ერთი უსაყვარლესი აქსესუარია, მაგრამ მისი ფორმა, ზომა, ჩანთის ტარების მანერა, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ბევრ რამეში ამხელს... რა შეუძლია თქვას ერთ უბრალო აქსესუარს მფლობელის შესახებ?

თუ თქვენ დიდი ზომის ჩანთა გაქვთ, მაშინ შრომისმოყვარე ადამიანი ბრძანდებით და თქვენი საქმე ძალიან გიყვართ, ემსახურებით იმ სფეროს, რომელშიც კარგად ერკვევით. ხშირად ისეთი ენერგიული ხართ, რომ ეს თავადაც გიკვირთ, რადგან ყოველთვის ასწრებთ იმ საქმის მოგვარებას, რასაც გეგმავთ.

თუ პატარა ჩანთა გაქვთ, მაშინ პირიქით, მხოლოდ მოდის მიმდევარი ხართ და სხვა არაფერი გაინტერესებთ. გარდა ამისა, ზოგჯერ კაპრიზულიც ხართ, ხოლო თქვენი შრომისუნარიანობა მხოლოდ ოცნებისკენაა მიმართული.

საქმიანი სტილის ჩანთა შემდეგს გვამცნობს: ჩემი პატრონი საქმიანი ქალია, რომელმაც დროის ფასი იცის. ასევე, ის ყურადღებით ეკიდება როგორც თავის, ასევე კოლეგების საქმიანობას და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვს.

არიან ქალები, რომლებსაც ძალიან უყვართ სპორტული სტილის ჩანთის ტარება. თუ ასეთი ქალების კატეგორიას მიეკუთვნებით, მაშინ თქვენ, მთელი თქვენი ბრწყინვალებით ავანტურისტი ადამიანი ხართ, უპირატესობას ანიჭებთ აქტიურ დასვენებას და გვერდით ვერ იტანთ ძლიერი სქესის სუსტ წარმომადგენლებს.

თუ თქვენს ჩანთაში ყოველთვის უწესრიგობაა, მაშინ თქვენ ხართ არაორგანიზებული ადამიანი და წარსულს ადვილად ივიწყებთ. ყველაფერს ძალიან მსუბუქად უყურებთ, თქვენთვის პრობლემა თითქმის არ არსებობს, წონასწორობიდან ვერაფერი გამოგიყვანთ. საერთოდ, ასეთ ქალთან ბრძოლა ძალიან ძნელია. პირიქით კი, თუ თქვენს ჩანთაში სამეფო წესრიგი სუფევს და მასში მხოლოდ ის ნივთებია, რომელიც მართლა გჭირდებათ, ყველაფრით ეწინააღმდეგებით ზემოთ აღწერილ ადამიანის ტიპს. თქვენ პედანტობა გახასიათებთ და ყურადღებიანი ხართ ყველა დეტალისა და წვრილმანის მიმართ. თქვენთან საქმის დაჭერა ერთი სიამოვნებაა, რადგან სხვის საიდუმლოებებს არასდროს გასცემთ. პოზიტიური ხართ ყველაფრის მიმართ, არ გიყვართ ჩხუბი და აყალმაყალი.

თუ თქვენს ჩანთაში სხვადასხვაგვარი ნივთი დევს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, მასში ყველაფერი იპოვოთ, მაშინ თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ყველა დეტალს წინასწარ ჭვრეტს და თავს ყოველთვის იზღვევს.

თუ ნივთები, რომელიც თქვენს ჩანთაში დევს, მხოლოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი, მაშინ უმეტესად, ძალიან ხართ დაკავებული საკუთარი თავის მოვლით და თქვენთვის სულერთი არ არის ის, თუ რას ამბობენ თქვენზე გარშემო მყოფები. დარწმუნებული ხართ, რომ ცხოვრებაში ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოიყურებით.

თუ თქვენს ჩანთაში ნივთების უმეტესობა მხოლოდ მუშაობის დროსაა გამოსადეგი (საკანცელარიო ნივთები, ბლოკნოტი, კალკულატორი და ა.შ.), მაშინ სამსახურებრივ მოვალეობას ისე კარგად ასრულებთ, რომ უკეთესს ვერც ინატრებენ, მაგრამ საკუთარ გარეგნობაზე ნაკლებად ზრუნავთ.

რა თქმა უნდა, არის სხვა ბევრი ფსიქოლოგიური ასპექტიც, რომლითაც შეგვიძლია ქალის ხასიათი, მისი უარყოფითი თვისებები ამოვიცნოთ, განსხვავებული ფორმის ჩანთებისა და ასევე, მასში ჩალაგებული ნივთების მეშვეობით. ასე რომ, ჩანთა ქალის ხასიათის ამრეკლავი სარკეა და სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეს არ უნდა დაავიწყდეთ.

ბანანის პიურე

მოსამზადებლად საჭიროა: 2 ბანანი, 3 ჭ წყალი, 1ს/კ შაქარი.

მომზადების წესი: ორ გაფცქვნილ და წვრილად დაჭრილი ბანანს დაასხით 3 ჭ წყალი, შედგით ცეცხლზე და ხარშეთ 5-8 წუთის განმავლობაში. შემდეგ, ეს მასა მიქსერით ათქვიფეთ. დაამატეთ შაქარი და ნებისმიერი ხილი (გემოვნების მიხედვით).

რჩევა: *პიურე განსაკუთრებით გემრიელი იქნება, თუ მას დაამატებთ მარწყვს ან ჟოლოს. მიირთვით გემრიელად!*

შოკოლადი ნაოჭების წინააღმდეგ

თითქოს, 3000 წლის განმავლობაში შოკოლადზე საუბარი მოსაბეზრებელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ დღეს, ის მოდური დეფილეს გმირია — დიზაინერები სამოსს თითქმის მის ყველა ტონში გვთავაზობენ; რეჟისორები მასზე ფილმს იღებენ; ვიზაჟისტები კაკაოსფერს გვირჩევენ; დიეტოლოგებმა მისდამი მრავალსაუკუნოვანი მტრობა დაივიწყეს და ამჟამად, მას უპირველეს პროდუქტად აღიარებენ; პარფიუმერებმაც კი, არომატული კომპოზიციები მადისაღმძვრელი შოკოლადის ტონებით გაამდიდრეს.

ამბობენ, რომ შოკოლადსა და ადამიანს შორის სიყვარული ინდიელთა ნაკლებად ცნობილ ტომში, ოლმეკოებში დაიწყო. მათმა კულტურამ ცოტა რამ დაგვიტოვა, მაგრამ სიტყვა — კაკაომ პირველად სწორედ იქ გაიჟღერა. მოგვიანებით, ოლმეკოების ნაცვლად, მაიას ცივილიზაციამ კაკაოს კულტივირება დაიწყო. აცტეკების ტომებში მიჩნეული იყო, რომ კაკაოს ნაყოფი ადამიანს სიბრძნესა და ძალას მატებდა, მაგრამ ძლიერმა სულიერმა აურამაც ვერ შეუშალა ხელი მათ ტომს იმაში, რომ კაკაოს მარცვლები ფულად ექციათ. ამერიკის შემდეგ, შოკოლადმა მთელი ევროპა დაიპყრო. შოკოლადის სასმელი მაღალი საზოგადოებისა და დიდებული ქალბატონების ფავორიტი გახდა.

ბოტანიკოსებმა შოკოლადის ხეს „თეობრომა კაკაო“ შეარქვეს, რაც ღმერთების საკვებს ნიშნავს. ჭეშმარიტად, გამდნარი შოკოლადი ღვთიურ შეგრძნებებს იწვევს, ხოლო მისი გონივრული მოხმარება ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ მოქმედებს. ერთი ფილა შოკოლადი კალციუმის, პროტეინებისა და სხვა ნივთიერებათა შემცველობის მქონე ხილბოსტნეულის სალათას, სტაფილოს, ვაშლს, ფორთოხალსა და ბანანს შემადგენლობით აღემატება. გარდა ამისა, შოკოლადი ცუდი განწყობილებისგან ნამდვილი ხსნაა. მასში არის ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს სეროტონინის ე.წ. ბედნიერების ჰორმონის გამომუშავებას.

შოკოლადის მრავალმა კომპონენტმა ფართო გამოყენება პოვა კოსმეტიკაშიც. კაკაოს ცხიმი, რომელიც უნიკალურ მკვებავ ნივთიერებას წარმოადგენს, წამში ხსნის დისკომფორტს და აქერცვლას. სხვათა შორის, სუფთა სახით მას წარმატებით იყენებენ კანის ზოგიერთი დაავადების დროს. გარდა ამისა, პოლიფენოლები, რომლებსაც კაკაო და შოკოლადი შეიცავს, 75%-ით ანეიტრალებს მავნე თავისუფალ რადიკალებს, აგრეთვე, აგარიდებთ მოშვებულობას, ნაოჭებს და ახალგაზრდობას შეგინარჩუნებთ. კაკაოსგან მიღებული პროტეინები კანის სტიმულატორებია, ამაგრებს და ჭიმავს მას. ამის გამო, ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური შოკოლადის SPA-კურორტებიც კი გაიხსნა.

ასე რომ, გთავაზობთ სახის კანის შოკოლადით მოვლის რეცეპტს: აიღეთ ერთი ფილა სუფთა შოკოლადი ან 4 კოვზი კაკაო, მასში შეურიეთ 2 ს/კ გამოხდილი წყალი, 2 ს/კ ჩაის ნაყენი. ეს ყველაფერი წამოადუღეთ. შემდეგ, სახესა და კისერზე დაიდეთ, გაიჩერეთ 15 წუთის განმავლობაში და მერე, თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

პარფიუმერებიც ხშირად იყენებენ უსაზღვროდ მიმზიდველი შოკოლადის სურნელს. ასეთი არომატი თითქოს წამით გაბრუნებთ ბავშვობაში, ბედნიერებას განიჭებთ და უზრუნველობის შეგრძნებას გჩუქნით. გასაკვირი არ არის, რომ ამ სურნელის მოყვარულებს ნაკლოვანებები თითქმის არა აქვთ. ■

ტორტი „მწვანე და თეთრი“

მოსამზადებლად საჭიროა: 150 გ ფქვილი, 1/3 ჩ/კ მარილი, 90 გ მარგარინი, ნახევარი ჭიქა წყალი, 100 გ შაქარი.

შიგთავსის მოსამზადებლად საჭიროა: 300 გ ხაჭო, 100 გ არაჟანი, 80 გ შაქარი, 3 კვერცხი და 100 გ კივი, 100 გ მწვანე ვაშლი.

მომზადების წესი: ჯამზე დაყარეთ ფქვილი, ხელით გააკეთეთ სიღრმე და მასში ჩაამატეთ გამლღვალ მარგარინში არეული შაქარი. თანდათან დაამატეთ წყალი და მოზილეთ ცომი. შემდეგ მას მიეცით სასურველი ფორმა, შედგით ჰაერღუმელში და გამოაცხვეთ 5-10 წუთის განმავლობაში. ხაჭო, არაჟანი ერთმანეთში აურიეთ ისე, რომ ერთგვაროვან მასად აქციოთ. მასში შეურიეთ ათქვეფილი კვერცხი და დაამატეთ გახეხილი ხილი. ღუმლიდან გამოიღეთ ნახევრად გამომცხვარი ბისკვიტი. მის შუაგულში მოათავსეთ ეს მომზადებული მასა, მერე კი ისევ შედგით ჰაერღუმელში და გამოაცხვეთ 30 წუთის განმავლობაში. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჰიტლერი ცისფერთვალება იყო.
2. ლაგაზი ნოტიო თიხნარი ნიადაგია.
3. ხრუშჩოვს უმაღლესი განათლება არ ჰქონია.
4. გურამ საღარაძეს თეთრი ფერის „გაზ 24-10“ ჰყავს.
5. „ფორმულა 1“-ის ავტომობილს მაქსიმალური სიჩქარე 370 კმ/სთ აქვს.
6. ქოქლო ჩოხისმაგვარი ზედა სამოსელია ქალებისათვის (ხევსურეთში).
7. „შარვალი სამეფო ტახტზე ჯდომის დროსაც უცვდებათ,“ — ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი.
8. XVIII საუკუნის 50-იან წლებში, დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე 365 სახელმწიფო არსებობდა.
9. წყალში მობინადრე ძუძუმწოვართა შორის, ლამანტინი ერთადერთი ვეგეტარიანელია. მას მეორენაირად ზღვის ძროხას ეძახიან.
10. „ბაიცი სექსუალნოვო ფრონტა“ — ასე ეძახის მიხაილ ზადორნოვი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს.
11. „გინდა, იყო ძლიერი? — ირბინე! გინდა, იყო ლამაზი? — ირბინე! გინდა, იყო ჭკვიანი? — ირბინე!“ — ამბობდნენ ძველი ბერძენი სპორტსმენები.
12. აბრაამ ლინკოლნი, ჯეიმზ გარფილდი, უილიამ მაკკინლი, ჯონ კენედი — აქ ჩამოთვლილი, შეერთებული შტატების ყველა პრეზიდენტი მოკლეს.
13. ალექსანდრე დიუმას იმდენი ნაწარმოები აქვს დაწერილი, რომ საფრანგეთში ასეთი გამოთქმაც კი არსებობს: თავიდან ბოლომდე დიუმა არავის წაუკითხავსო.
14. ნოტარიულად დამოწმებულ ანდერძთა შორის ყველაზე ლაკონიური კარლ ტოიშემს ეკუთვნის. მისი ანდერძი მხოლოდ ორი სიტყვისგან შედგებოდა: „ყველაფერი მეუღლეს.“

15. „ტრაგედია ბევრს აქვს გადატანილი ცხოვრებაში, მაგრამ ყოველ მათგანზე როდი წერდა სოფოკლე“, — ამბობდა პოლონელი პოეტი და სატირიკოსი სტა-ნისლავ ეჟი ლეცი.
16. რუსეთის ერთერთ სოფელში მცხოვრები ლეონიდ სტადნიკი ყველაზე მაღალი ადამიანია მსოფლიოში. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 53 სანტიმეტრი გახლავთ.
17. ვერეშჩაგინის როლის შემსრულებელ (ფილმში — „უდაბნოს თეთრი მზე“) პაველ ლუსპეკაევს 42 წლის ასაკში აორტა გაუსკდა. იგი სასტუმრო „მინსკის“ ნომერში მკვდარი იპოვეს.
18. ანტიკურ ხანაში ოლიმპიური

„ჩემი ქალწულის ღიმილი მაკიაჟის გაკეთებისას ხელს არ მიშლის“...

თამთა გოგუაძის თეთრი ჯანი და მისი მოვლის მეთოდები

სოფო ჭონიშვილი

„მიყვარს კარგი ჩაცმა-დახურვა, კოსმეტიკა და კარგი სუნამოებიც“, — გვითხრა მომღერალმა თამთა გოგუაძემ, რომელსაც ამ ყველაფერში ფული არასდროს ენანება. გამოგვიტყდა იმაშიც, რომ ძალიან უყვარს საკუთარი თავი, ვერ იტანს ერთფეროვნებას — მოსწონს საათობით სარკის წინ ტრიალი და მუდმივად ზრუნავს საკუთარ გარეგნობაზე.

— გაღვიძებისთანავე საბაზანოში შევდივარ — ვიღებ შხაპს და ვისუფთავებ სახის კანს სპეციალური ლოსიონით; შემდეგ, თუ სადმე მივიდვარ, ვიკეთებ მაკიაჟს და ვიცვამ წინასწარ შერჩეულ ტანსაცმელს. თუ სახლში ვარ, მაკიაჟს აღარ ვიკეთებ. ადრე, სანამ ბავშვს გავაჩენდი, სახლშიც ვიღებებოდი ხოლმე, ახლა მაგისთვის დრო აღარ მრჩება.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— თუ კლიპის გადაღება ან რაიმე სერიოზული შეხვედრა მაქვს, სალონში მხოლოდ მაშინ მივდივარ. იქ მხოლოდ თმას ვიღებავ და ვიჭრი.

— როგორ მაკიაჟს იკეთებ?

-— საერთოდ, ძალზე თეთრი კანი მაქვს, წარბებიც და წამწამებიც ღია ფერის მაქვს: სახეზე კონტურები არც მემჩნევა. მაკიაჟის გარეშე, თითქმის არ ვჩანვარ. ამიტომ, მაკიაჟის გაკეთებას ყოველთვის სერიოზულად ვეკიდები. სახის კანზე „ტონალურ“ კრემს ვისვამ. თვალებზე აუცილებლად შავ ფანქარს, წამწამებზე ტუშს, ჩრდილებს შედარებით უფრო იშვიათად ვიკეთებ. პომადას საერთოდ არ ვიყენებ. უფრო ტუჩის „ბლესკს“.

— სახის კანის გამოსაცოცხლებლად სახლში დამზადებულ ნიღბებს თუ იკეთებ ხოლმე?

— მსგავსი რაღაცები არასდროს მიცდია. ხანდახან თვეში ერთხელ სახის კანის გასასუფთავებლად მჭადის ფქვილს ვიყენებ. ეფექტური საშუალებაა.

— საუბარში აღნიშნე, რომ ძალიან თეთრი ხარ. სოლარიუმში გასარუჯავად თუ დადიხარ ხოლმე?

— სოლარიუმში არასოდეს ვყოფილვარ. უპირატესობას ბუნებრივ გარუჯვას ვანიჭებ. ზაფხულში ამის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს, რაც შეეხება ზამთარს, ზამთარში ხელების და სახის მეტი მაინც არაფერი მიჩანს, ამის გამო, საკუთარ ჯანმრთელობას ზიანს არ მივაყენებ. ამბობენ, რომ სოლარიუმის სხივები საზიანოა...

— თმას როგორ უვლი?

— სალონში სპეციალური თმის ნიღბებს ვყიდულობ. მაიონეზი და მსგავსი მასა თმაზე არასდროს წამისვამს.

— თმის ფერს ხშირად იცვლი?

— თმას ოთხ თვეში ერთხელ ვიღებავ. ახლა მელირება მაქვს, აღარ მინდა, საოცრად მომბეზრდა. ისე ვფიქრობ, წაბლისფრად შევიღებო. საერთოდ, უამრავ ფრად მქონია თმა შეღებილი, წაბლისფრად არასდროს შემიღებავს და ახლა მინდა ვცადო. ვფიქრობ, რომ წაბლისფერი განსაკუთრებულად მომიხდება.

— პედიკიურს და მანიკიურს თვითონ იკეთებ?

— უმეტესწილად თვითონ ვიკეთებ. ერთადერთი, „ფრენჩის“ (ფრანგული მანიკიური) გაკეთება როცა მინდა, სალონში მაშინ მივდივარ.

— როგორი ჩაცმის სტილი გაქვს?

— სპორტულიც და კლასიკურიც, ერთმანეთთან შეჯერებული. ამ ბოლო დროს, ქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული შემიყვარდა, რატომ — თავადაც არ ვიცი.

— კაბის ტარება უფრო გიყვარს თუ შარვლის?

— საერთოდ, კაბა უფრო მიყვარს,

მაგრამ ზამთარში უპირატესობას შარვალს ვანიჭებ. კაბის ჩაცმა ზაფხულში უფრო მიყვარს.

— მოკლე ქვედაბოლოებს თუ იცვამ?

— მოკლე ქვედაბოლო, ჩემს სტილში არ ჯდება (*იცინის*).

— თუ გახსოვს, პირველად როდის გაიპრანჭე?

— გაპრანჭვა სკოლის დამთავრების შემდეგ დავიწყე. სიმღერის სადებიუტო ჩაწერისას პირველად გავიკეთე მაკიაჟი და თმაც მაშინ შევიღებე.

— აქსესუარებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— სამკაულები ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით, საყურეები და ბეჭდები. არ არსებობს, მათ გარეშე სახლიდან გავიდე. რა ფერის ტანსაცმელიც მაცვია, იმ ფერისავე სამკაულებს ვატარებ. კიდევ ძალიან მიყვარს შარფები — უამრავი სხვადასხვა ფერის შარფი მაქვს, თავზე ჩალმასავით ვიკეთებ ხოლმე.

— საერთოდ, რა ფერები გიყვარს?

— შავი განსაკუთრებულად მიყვარს. მიმაჩნია, რომ ყველაზე ელეგანტური ფერია. შედარებით ნაკლებად ვიყენებ წითელს, თეთრსა და ღია ვარდისფერს.

— შენთვის ყველაზე ძვირად ღირებული სამკაული რა უჩუქებიათ?

— ალბათ ის ოქროულობა, რომელიც გათხოვებისას მაჩუქეს; დღესდღეობით ისინი ერთ ქისაში მაქვს მოთავსებული; ალბათ ძვირფასია, მაგრამ ჩემთვის მას დიდი ღირებულება არ გააჩნია. საერთოდ, უპირატესობას სილამაზეს უფრო ვანიჭებ, ვიდრე სამკაულის ფასს და ხარისხს.

— ჩანთებზე რას გვეტყვი?

— ძალზე ბევრი და სხვადასხვა დიზაინის ჩანთა მაქვს. ჩემს ჩანთაში ყოველთვის სრული ქაოსია — რას არ ნახავს კაცი შიგ.

— ოდესმე თვალის ლინზები თუ გამოგიყენებია?

— კი, როგორ არა. ადრე მწვანე და ლურჯი ფერის ლინზები მქონდა. ისე, ჩემი თვალები ბუნებრივად იცვლის ხოლმე ფერს — გარეთ მწვანე ფერის ხდება, სახლში, სხვა ფერის არის. ახლა ამოვიჩემე და ძალიან მინდა, ცისფერი ლინზები შევიძინო.

— თუ გიფიქრია, შენს გარეგნობაში რაიმის შეცვლაზე?

— საერთოდ, თუკი ადამიანს საკუთარ გარეგნობაში რაიმე არ მოსწონს და ეს აკომპლექსებს, აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რათა უფრო თავდაჯერებული გახდეს. ერთადერთი, ტუჩებს ვერასდროს დავიბერავ, საშინლად არ მომწონს ხელოვნურად დაბერილი ტუჩები.

— სარკის წინ დიდხანს ტრიალებ?

— სარკის წინ საკმაოდ დიდხანს ვტრიალებ. ბავშვი, რომც ტიროდეს, ხელს მაინც არ მიშლის, საბავშვო ეტლში ჩავსვამ ხოლმე და „ღიპუცებს“ ჩავურთავ, თუ მაინც ტირის, მე ამ დროს ნერვიც არ მიტოკავს (*იცინის*). იმიტომ, რომ ბოლომდე უნდა მოვწესრიგდე.

— სპორტულ დარბაზებში თუ დადიხარ?

— ადრე, სანამ ბავშვი გამიჩნდებოდა, ხშირად დავდიოდი. ახლა მაგისთვის ვეღარ ვიცლი. ზაფხულობით, როცა აგარაკზე მივდივარ, იქ თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობ ხოლმე, აქ უკვე ვეღარ ვახერხებ. წონის პრობლემა არ მაწუხებს, დიდი-დიდი, შეიძლება, სამი კილო მოვიმატო, მაგრამ მალევე ვიკლებ.

— აუზზე თუ დადიხარ?

— აუზი მცხეთის აგარაკზე მაქვს; როცა იქ ვარ (წელიწადში 5 თვეს მაინც იქ ვატარებ), ამ სიამოვნებას არ ვიკლებ. ზამთარში კი, როცა ცივა, აუზზე სიარული ძალიან მეზარება.

— რაში ხარჯავ ფულს დაუნანებლად?

— რაც მჭირდება, მასში ფულის გადახდა არასდროს მენანება. განსაკუთრებით კი — კოსმეტიკასა და სუნამოებში.

— როგორი სუნამოები მოგწონს?

— საერთოდ ასე ამბობენ — ქერა ადამიანს ცივი სურნელი მოსწონს, შავგვრემანს — ტკბილიო. მეც ცივი სურნელი მომწონს. განსაკუთრებით „გუჩის“ სუნამოები მხიბლავს, ერთსა და იმავე სუნამოს ხშირად არასოდეს ვხმარობ.

საერთოდ, უამრავ ფრად მქონია თმა შეღებილი

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
ეზის წიგნაკიდან:

თამაშები მხოლოდ საბერძნეთში ტარდებოდა. გამონაკლისი 175-ე ოლიმპიადა იყო, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 80 წელს, კონსულ სულას ბრძანებით რომში ჩატარდა.

19. 1932 წელს, სამთავრობო გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირში ხუთწლედი გამოცხადდა, რომელიც მიზნად ისახავდა იმას, რომ 1937 წლის 1-ელი მაისისთვის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ღმერთის სახელი დავიწყებას მისცემოდა. „ბეზბოჟნაია პიატილეტკა“ — ასეთი სახელით შევიდა ეს ხუთწლედი ისტორიაში.

20. თევზიყლაპია თოლიები სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ჰაერში ატარებენ. ბუდიდან პირველი აფრენის შემდეგ, მათ შეუძლიათ 3-4 წელიწადი ჰაერში გაატარონ და ხმელეთზე მხოლოდ მაშინ დაეშვან, როდესაც შეწყვილების პერიოდი დაუდგებათ. ამ ხნის განმავლობაში, ეს ფრინველები სრული უძილობით იტანჯებიან.

21. რომის იმპერატორმა, ჰელიოგაბალმა საკუთარ სამფლობელოთა სიდიდის წარმოსაჩენად ბრძანება გასცა — მთელი იმპერიის მასშტაბით მოეგროვებინათ ობობას ქსელი. მონების მიერ შეგროვებულმა მასამ 10.000 გირვანქა შეადგინა.

22. „დაააა, ველიკ ი მაგუჩ რუსკი იაზიკ, ნო პაჩემუტო ვ რიფმუ კ სლოვუ „ზვეზდა“, ნა უმ პრიხოდიტ ტოლკო ოდნო სლოვო...“ — ამბობენ რუსები.

23. ხშირ შემთხვევაში, ინგლისში გაზეთის გამოცემა ოჯახური ბიზნესია. მაგალითად, ასტორები გამოსცემდნენ ისეთ ცნობილ გაზეთს, როგორიც არის „ობსერვერი“, ბივერბრუკები — „დეილი მეილსს“, ტომფსონები — „თაიმსს“.

24. ტროას ომის დროს ოლიმპოს ღმერთებიდან ჰერა, ათენა, პოსეიდონი, ჰერმესი და ჰეფესტო ბერძნებს ეხმარებოდნენ. აფროდიტე, არტემიდე, ლატონა, არესი და აპოლონი — ტროელებს. P.S. ზევსი ამ ომში არ ჩარეულა.

25. შაბათს, 25 ნოემბერს, საქართველოსა და რუსეთის ტელევიზიის ყველა არხი კოკოითის ინაუგურაციის კადრებს გადმოსცემდა. ვინ გრიალებს ლიახვის ხეობაში!.. მეხსიერებაში ბავშვობის დროინდელი სურათი ამომიტივტივდა, რომელსაც ყოველ ზაფხულს, ცხინვალის გავლით რაჭაში მიმავალი ვხედავდი. კვაისას რომ გავცდებოდით, გზაში დიდი ტრაფარეტი გხვდებოდა წარწერით: „ონის რაიონი“. ეს წარწერა ყოველთვის ტყვიებით და საფანტით იყო დაცხრილული.

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ცოცხალი მინიშპრიცი

ჰირუდოთერაპიას — წურბლებით მკურნალობას — ადამიანები სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ ათასწლეულების განმავლობაში იყენებდნენ. ეს მეთოდიკა დღესაც არ არის დავიწყებული.

წურბლის კბენა საკმაოდ ქმედითი სამკურნალო საშუალებაა თავის ტკივილის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ვენების ვარიკოზული გაგანიერების, თრომბოფლებიტების (ახდენს ახალწარმოქმნილი თრომბების სრულ გაწოვას), ჰემატომების, დაჟეჟილობების დროს. წურბლებით მკურნალობას, როგორც ეფექტურ და უსაფრთხო საშუალებას, ნიშნავენ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ჰიპერტონიის, გულის იშემიური დაავადების, გლაუკომის, პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანების, ალერგიის, შაქრიანი დიაბეტის, ჭარბი წონის, ეგზემის და სხვა პათოლოგიათა დროს.

წურბელას ნერწყვს უნიკალური შემადგენლობა აქვს. იგი შეიცავს 124 ფერმენტს. დღემდე ვერავინ შეძლო, ლაბორატორიულ პირობებში შეექმნა მსგავსი რამ.

გამოყენების ინსტრუქცია

წურბლის კბენისას მისი ნერწყვი ადამიანის სისხლში შეიფრქვევა. ფერმენტები ყოველგვარ ანთებას აცხრობს და კბენასაც უმტკივნეულოს ხდის. წურბელას ხშირად „ცოცხალ ფარმაცევტულ მიკროფაბრიკას“ უწოდებენ. იგი აქვეითებს სისხლის შემდედებლობას, აუმჯობესებს მის შემადგენლობას, აღადგენს ლიმფის მიმოქცევას, ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს, აუმჯობესებს ქსოვილთა ჟანგბადით მომარაგებას, აქვეითებს თვალის შიდა წნევას.

ერთ-ერთი ჰირუდოთერაპევტი ასეთ შემთხვევას აღწერს: პაციენტს მთელი წლის განმავლობაში ტანჯავდა აუტანელი თავის ტკივილი. მედიკამენტური მკურნალობა შედეგს არ იძლეოდა. ცხვირის ლორწოვანზე ერთი წურბლის დასმის შემდეგ, პაციენტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სამი სეანსის შემდეგ იგი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.

როგორც წესი, წურბლებს აკუპუნქტურულ წერტილებზე სვამენ. ადამიანს ზურგზე რომ დაასვათ წურბელა და თავისუფალი ცოცვის საშუალება მისცეთ, იგი თვითონ იპოვის ამ რეფლექტორულ წერტილებს. გართულებები ჰირუდოთერაპიისას საკმაოდ იშვიათია. იგი შეიძლება გამოიხატოს შეშუპებით, კბენის ადგილის პიგმენტაციითა და ქავილით. სამაგიეროდ, წურბელა არასდროს იწვევს ალერგიას. ჰირუდოთერაპია შეთავსებადია მკურნალობის ნებისმიერ მეთოდთან. უკუჩვენებას წარმოადგენს მხოლოდ ჰემოფილია (სისხლის შედედების უნარის დაქვეითება), აგრეთვე სიფრთხილეა საჭირო ანემიისა და ორსულობის დროს.

წურბლების პირადი ცხოვრება

ნუ აურევთ ერთმანეთში ჩვეულებრივსა და სამკურნალო წურბლებს. წურბელას რამდენიმე ასეული სახეობა არსებობს, მაგრამ მხოლოდ ერთი — სამედიცინო წურბელა — შველის ადამიანს.

ეს 12-სანტიმეტრიანი „წამალი“ ცენტრალური, სამხრეთ ევროპისა და მცირე აზიის მტკნარ წყლებში ბინადრობდა და წყლის დასალევად მისული ცხოველების სისხლით იკვებებოდა. ამჟამად კი ეკოლოგიური ცვლილებების გამო „სასარგებლო“ წურბლები ბუნებრივ პირობებში თითქმის აღარ გვხვდება. მათ სპეციალურ ბიოფაბრიკებში ზრდიან. წურბლების მოვლა საკმაოდ ადვილია, მაგრამ „პატარა ვამპირები“ ყველა ადამიანს როდი უშვებენ ახლოს. ფაბრიკაში წურბლების მეთვალყურედ რომ იმუშაოს, ადამიანს დადებითი ბიოველი და კარგი ადამიანური თვისებები უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში წურბლები ავად ხდებიან და იხოცებიან. მეცნიერები ჯერ-ჯერობით ვერ ხსნიან ამის მიზეზს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

ფაბრიკასა და სააფთიაქო პირობებში წურბელას შეუძლია საკვების გარეშე ორი წელი იცოცხლოს. საჭიროა მხოლოდ წყლის გამოცვლა კვირაში ორჯერ და ჭურჭლის მოთავსება ბნელ ადგილას. სამლიტრიან ქილაში 200-მდე წურბლის მოთავსება შეიძლება და წყალი აბსოლუტურად სუფთა რჩება! „ადამიანების სამსახურში“ წურბლებს ერთი წლის ასაკიდან აგზავნიან. ერთი ინდივიდი მხოლოდ ერთხელ უნდა გამოვიყენოთ. შემდეგ გავანადგუროთ. ეს მკურნალობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

არის შემთხვევები, რომ მძიმე ავადმყოფის კანზე დასმის შემდეგ წურბელა თავისთავად კვდება, თითქოს ავადმყოფს მთელი „ცუდი“ სისხლი გამოსწოვაო — ასე სწირავენ საკუთარ სიცოცხლეს ეს პატარა მკურნალები ჩვენს ჯანმრთელობას.

წურბლების რაოდენობას ექიმი ნიშნავს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ჰირუდოთერაპია მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით უფრო იაფი და უსაფრთხოა. ■

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

თუ პატარას კბილები ეჭრება

ბავშვებში კბილების ამოჭრის პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ზოგი ჭირვეულობს და ტირის კბილის ამოჭრამდე 3-4 თვის განმავლობაში, ზოგი კი ამ პროცესს უმტკივნეულოდ გადაიტანს ხოლმე. ზოგიერთ პატარას კბილების ამოჭრის პერიოდში ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი უქვეითდება და ისინი ხშირად ავადმყოფობენ. ყველაზე ხშირად აღინიშნება გაცივება, კუჭის აშლა, ბავშვს აღენიშნება ტემპერატურის მატება.

როგორც წესი, პირველი კბილები 6-7- თვის ასაკში იჭრება, ხოლო ორიწლინახევრის პატარას უკვე უნდა ჰქონდეს 20 კბილი. როგორც წესი, თავდაპირველად, ორი ქვედა ცენტრალური კბილი ამოიჭრება ხოლმე, რამდენიმე თვეში კი — ზედა 4 საჭრელი კბილი, ამის შემდეგ რამდენიმე თვე შესვენებაა. ხოლო შემდგომ ერთიმეორის მოყოლებით კიდევ 6 კბილი ამოიჭრება. დანარჩენი კბილების ამოსვლა მესამე წლის პირველ ნახევარში უნდა დასრულდეს.

პირველი 4 კბილის ამოჭრა განსაკუთრებით მტკივნეულია. ბავშვს გამუდმებით უჩნდება ღეჭვის მოთხოვნილება. ამისათვის მოსახერხებელია რეზინის რგოლის გამოყენება. ასევე შეგიძლიათ მისცეთ პატარას პურის ქერქი.

კბილის ამოჭრისას ბავშვს ღრძილები შესივებული აქვს და ექავება. ამოჭრის პროცესი რომ გავუადვილოთ, კარგი იქნება, თუ მას პერიოდულად დავუზელთ ღრძილებს სოდიან წყალში დასველებული ქსოვილით, რომელსაც თითზე შემოვიხვევთ.

ხალხური მედიცინა გვირჩევს, რომ კბილის ამოჭრის პროცესის გასაადვილებად პატარას ღრძილები თაფლით დავუზილოთ.

კლასიკურ მედიცინაში კი ამისთვის არსებობს სპეციალური ტკივილგამაყუჩებელი და ქავილის მომხსნელი კრემები და ჟელეები. ■

მეხსიერების გასაღები მარწყვში ინახება

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მარწყვი მხოლოდ გემრიელი კენკრა როდია. ვინც მას რეგულარულად მიირთმევს, მოხუცებულობის ჟამს მეხსიერების დაკარგვა არ ემუქრება.

მკვლევარებმა ლაბორატორიული ცდები თაგვებზე ჩაატარეს და დაადგინეს, რომ მარწყვში შემავალი ძლიერი ანტიოქსიდანტი, ტვინის მუშაობას აძლიერებს.

კალიფორნიელ სპეციალისტთა ჯგუფი ბუნებრივი ნივთიერების — ფიზეტინის თვისებებს შეისწავლიდა, რომელიც უჯრედებს დეგენერაციისგან იცავს. ექიმი პამელა მაერი ირწმუნება, რომ ფიზეტინი მკვეთრად აუმჯობესებს მეხსიერებას, თუმცა ამ ნივთიერების ყველა თავისებურების ასახსნელად დამატებითი გამოკვლევებია საჭირო.

აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მარწყვის ჭამა საკმარისი არ არის მეხსიერების გასაუმჯობესებლად. ფიზეტინმა, რომელსაც ეს კენკრა შეიცავს, საკმაო სიძლიერით რომ იმოქმედოს, საჭიროა, დღეში ხუთ კილოგრამამდე მარწყვის მიღება. ეს კი სასურველი არ არის, თანაც ალერგიის განვითარებაცაა მოსალოდნელი. გამოკვლევები გრძელდება. ■

მათთვის, ვინც ვიტამინებს სვამს

2005 წელს, ამერიკის ჯანმრთელობის ეროვნულმა ინსტიტუტმა და ფედერალურმა დეპარტამენტმა „ჯანსაღი კანადა“ (www.nih.gov/about) მრავალრიცხოვანი გამოკვლევის საფუძველზე შეიმუშავეს რეკომენდაცია, რომ კალციუმისა და რკინის ერთდროული მიღებისას, რკინის ათვისება მნიშვნელოვნად ქვეითდება. ერთი წლის შემდეგ, ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში, ორსულთათვის განკუთვნილი ყველაზე პოპულარული პრეპარატის წარმოებისას. ამ პრეპარატში კალციუმი და რკინა ცალ-ცალკე აბებშია განთავსებული (www.pregvit.com). ასევე გაითვალისწინეს კომპონენტთა შეთავსებადობის პირობა რუსმა ფარმაცევტებმა, რომელთა მიერ წარმოებული ვიტამინურ-მინერალური კომპლექსი ალფავიტი რაციონალური ფორმითაა გამოშვებული: ადამიანისთვის საჭირო ელემენტების დღიური დოზა სამ აბში ისეა განაწილებული, რომ თითოეული მხოლოდ ურთიერთშეთავსებად კომპონენტებს შეიცავს.

კარგი იქნება, თუ ჩვენი მედიკოსებიც ყურად იღებენ მეცნიერულ რეკომენდაციას, რადგან ჩვენში მოიხმარება კომბინირებული პრეპარატები, რომლებიც რკინისა და კალციუმის დეფიციტის აღდგენისათვის ერთდროულადაა განკუთვნილი. ■

7 ოპტიმისტური ფაქტი

- თევზის ქონის მიღება გულის უეცარი გაჩერების რისკს ამცირებს.
- იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს უძილობის სამკურნალო ბალიში.
- ბროწეულის წვენი ათეროსკლეროზის განვითარებას აჩერებს.
- წარმატებით ჩაიარა ინსულტის შემდგომი რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი ვიდეოთამაშის ტესტირებამ.

- უკვე დაწყებული კარიესის პროფილაქტიკისთვისაა განკუთვნილი, ცოცხალი ბაქტერიების შემცველი საღეჭი რეზინის გამოშვება.
- ნიკოტინიანი წებოვანი ფირფიტა დეპრესიის სიმპტომებს ამცირებს.
- ჩინელმა მეცნიერებმა პენისის გადანერგვის ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს. ■

ეროვნების საკვანძოდ

„გზის“ ერთგულ მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ყურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქეთ თვალი.

1. რა არის დია და მუშთარი?
2. ჟან პოლ მარატი და ჟან ჟაკ რუსო ამ ქვეყანაში არიან დაბადებულები.
3. რა არის ჭვირნიშანი?
4. ამ ქვეყანაში 1601-1867 წლებში გლეხების 1640-ზე მეტი აჯანყება მოხდა.
5. მოკლული ხარის ამ ნაწილს ჯილდად ტორეადორს აძლევენ.
6. ამ სამკაულს შექსპირიც ატარებდა.
7. აზიაში ლაშქრობის წინ, ცხრა დღის განმავლობაში იზეიმა და ინადიმა ალექსანდრე მაკედონელმა და მეათე დღეს — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 334 წლის 9 მარტს აზიისკენ დაიძრა. რატომ მაინცდამაინც ცხრა დღე?
8. დაასრულეთ უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, კუჩმას სიტყვები: „ვინც საბჭოთა კავშირის დაშლას არ ნანობს, მას გული არა აქვს, ხოლო ვინც მის აღდგენას ცდილობს, მას...“
9. ერთხანს რუსეთის გაზეთებში გაჩნდა რეკლამა: „თუ თქვენ ისრაელში ან ამერიკაში გამგზავრებას აპირებთ და გსურთ, ყველაფერი ზედმეტი რუსეთში დატოვოთ, მოგვმართეთ ჩვენ“. რა საქმიანობას ეწეოდა ფირმა?
10. რა საერთო აქვთ შამილს, სპარტაკს, რიჩარდ ლომგულს, კლინტ ისტვუდს, რობერტ რედფორდს, სტივ მაკქვინსა და ოთარ მეღვინეთუხუცესს?
11. რატომ დამკვიდრდა ინგლისში ტრანსპორტის მოძრაობა მარცხენა მხარეს?
12. ვარშავის აღების შემდეგ, სუვოროვმა სამსიტყვიანი წერილი გაუგზავნა ეკატერინე II-ს: „ურა, ვარშავა ნაშა!“ დაწერეთ ეკატერინეს სამსიტყვიანი პასუხი.
13. რა აჩუქა კვაჭი კვაჭანტირაძემ ლედი ჰარვეის ერთად გატარებული დაუვიწყარი ღამის სახსოვრად?
14. როდესაც მაღაზიაში ან ბაზარში კიბორჩხალას ყიდულობთ, ეს არის ერთადერთი გარანტია იმისა, რომ იგი საკვებად ვარგისია.
15. „ამ ქალაქში ჩასვლისას ზღვის, მდინარისა და ტბის შუა აღმოვჩნდი და ამიტომაც, პირველ რიგში, თევზი მოვიკითხე,“ — წერდა ალექსანდრე დიუმა. რომელ ქალაქში ჩავიდა მწერალი?

ანეკდოტები

***

რეი ჩარლზი სცენაზე გამოდის:
— ვერ ვხედავ თქვენს ხელებს!

***

— ქუთაისში ვამპირი ცხოვრობდა და მხოლოდ 18 წლის ქალიშვილების სისხლით იკვებებოდა.
— მერე, რა დაემართა?
— თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და შიმშილით მოკვდა.

***

სვანმა ქუჩაში ყავარჯნებით მიმავალი კაცი დაინახა:



— გიჭირს, ძმაო, სიარული?
— კი, ძალიან.
— მომეცი, მაგ ჯოხებს მე წამოგიღებ.

***

სვანმა კატამ ინტერნეტკაფეში მაუსი შეჭამა.

***

გოგო და ბიჭი კაფეში სხედან:
— ყველა ადამიანში არის რაღაც უცნაური. — ამბობს გოგო.
— ჩემში, არა, — პასუხობს ბიჭი.
— როგორ არა, ახლა გაკვირდებოდი — შენ ჩაის მარცხენა ხელით ურევ.
— მერე, რა?!
— უმრავლესობა კი, ჩაის კოვზით ურევს.

***

დედა ეუბნება ქალიშვილს:
— ნატუკა, სად იყავი წუხელ მთელი ღამე?!
— მიშიკოსთან.
— მერე, მე ხომ აგიკრძალე მაგასთან ერთად სეირნობა?!
— მერე ვინ გითხრა, რომ ვსეირნობდით?

***

მადლიერი ცოლ-ქმარი:
— 5 წელი არ გვიჩნდებოდა ბავშვი, დიდი მადლობა პატრულს!

***

ქორწინების სასახლიდან გამოსულ წყვილებს ჟურნალისტი ეკითხება, ანგარებით ქორწინდებიან თუ სიყვარულით. ყველა პასუხობს: „სიყვარულით!“ ბოლოს, ჯერი მიდგა ზორბა პატარძალზე, რომელსაც ტანმორჩილი სასიძო ედგა გვერდით. ქალმა განაცხადა:
— სიყვარულისათვის მიმიფურთხებია, არც ფულის გულისთვის ვთხოვდები, უბრალოდ ვიცი, რომ ყველა მამაკაცი ნეხვია და ყველაზე პატარა გროვა ავარჩიე.

***

იურიდიული კონსულტაცია:
— მეზობელმა გამოტვინებული სქელუა მიწოდა. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?
— წონაში უნდა დაიკლოთ.

***

— რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი? — ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.
— მომენატრა არსება, რომელიც პირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

***

სვანი სიცრუის დეტექტორზე უნდა შეამოწმონ. უხსნიან:
— გისვამთ კითხვას, თქვენ უპასუხებთ. თუ მართალს ამბობთ, მწვანე ნათურა აინთება, თუ მოიტყუებით — წითელი. გასაგებია?
— გასაგებია, — ამბობს სვანი და მაშინვე წითელი ნათურა ინთება.

***

კახელი ცოლ-ქმარი ტელევიზორში ოპერას უყურებს.
— ჰო, ჰო, ჰო, — ამბობს ქმარი, — გადასარევი ვოკალი აქვს ამ ქალსა.
— მეხი კი დაგაყარე, ვოკალზე რას აკვირდები, სიმღერას მოუსმინე!



***

— შვილო, რამდენჯერ გითხარი, თავში ჩაქუჩს ნუ ირტყამ-მეთქი!
— რატომ, მამი, ძალიან ვხმაურობ?..

***

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს და ეკითხება:
— ძილში რატომ კვნესოდი?
— ნატაშა დამესიზმრა.
— ნატაშა?! ვინ ნატაშა?!
— შენ არ იცნობ, სიზმარში გავიცანი.

***

— რატომ მიგაქვს ზღვაზე შავი კაბა?
— ქმარმა ცურვა არ იცის.

***

— ექიმო, მე ჩემი ცხენი მიყვარს.
— მერე, რა. ბევრს უყვარს თავისი ცხოველი.
— ექიმო, თქვენ არ გესმით ჩემი. მე მისდამი ფიზიკურ ლტოლვას განვიცდი!
— ჰმ, თქვენი ცხენი დედალია თუ მამალი?
— რა თქმა უნდა, დედალია! თქვენ მე ჰომოსექსუალისტი ხომ არ გგონივართ?!

***

პაციენტი ქირურგს ეწუწუნება, რომელმაც ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა:
— რა ამბავია, 5-6 ნაკერში რვაას ლარს მახდევინებ?! ავლაბარში რაფიკამ 100 ლარად პალტო შემიკერა.

***

მიდის სასამართლო პროცესი. მოსამართლე ქალი ბრალდებულს ეკითხება:
— რატომ გააუპატიურეთ თექვსმეტი წლის გოგონა?
— მე ის მომწონდა.
— ოცდაათი წლის ქალი რატომღა გააუპატიურეთ?
— ისიც მომწონდა.
— ასე ეშმაკურად რატომ იცინით?
— მე თქვენც მომწონხართ!

***

ორი ქალი საუბრობს:
— როგორ მომრავლდა განქორწინებები. ამბობენ, მხოლოდ ყოველი მეათე ქორწინებაა იღბლიანიო. ამის თაობაზე თქვენ რას ფიქრობთ?
— ვერაფერს გეტყვით, ახლახან მხოლოდ მესამედ გავთხოვდი.

***

ქალი დაქალს ურეკავს და ეუბნება:
— საშინელი წვეულება იყო. ისე დავთვერი, ისე დავთვერი, რომ ბოლოს, ბედი არ გინდა? — საკუთარ ქმართან ერთად აღმოვჩნდი საწოლში!

***

საღამოს პოლიციელი სახლში ბრუნდება. ხედავს: ლოგინი ანგრეული, ცოლი კი რაღაც უჩვეულოდ აფორიაქებულია. მოკლედ, აშკარაა, რომ საყვარელია სახლში.
— სად არის, მოვკლავ ადგილზე!
— ღრიალებს ქმარი.
— ალბათ, ლოგინის ქვეშ იმალება!



— შეიხედავს, არ არის.
— მაშინ აივანზე იქნება! — გაიხედავს, არც იქაა.
— ნაღდად კარადაში იქნება დამალული! — აღებს კარადის კარს და იქიდან აკანკალებული ხელი ათლარიანს აწვდის.
— ვაჰ, არც კარადაში ყოფილა!...

ჭორაობის სასაცილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. პლანეტა იუპიტერის ძველი ქართული სახელები.
2. შვეიცარია.
3. გამჭვირვალე გამოსახულება ქაღალდის ფულში.
4. იაპონია.
5. ხარის ყური. ტორეადორი განსაკუთრებულ სიმამაცეს თუ გამოიჩენს — ორივე ყური, რაც ძალიან დიდ პატივად მიიჩნევა.
6. საყურე.
7. ცალ-ცალკე ცხრავე მუზის სახელზე გამართა ნადიმობა.
8. „...ტვინი არა აქვს.“
9. ფირმა წინდაცვეთას აკეთებდა.
10. ცისფერი თვალები.
11. ინგლისელი რაინდების ტრადიციის გამო — მათ მარჯვენა ხელი საბრძოლველად ყოველთვის თავისუფალი უნდა ჰქონოდათ.
12. „ურა, ფელდმარშალ სუვოროვ!“
13. მავრიტანული ვილა.
14. იგი ცოცხალი უნდა იყოს.
15. ფოთში.

ალბერტ ეინშტეინი

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-47

ზაზა ვაჩნაძე

ჟურნალისტური გამოძიებისას, რომელსაც ანი აწარმოებს და მისი მულის, ნუციკოს საყვარლის (ამავე დროს, მამამთილის, გაიოზის ბავშვობის მეგობრის), ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარემოებათა გარკვევას ისახავს მიზნად, ის იაშვილების სახლში წააწყდება ჟურნალს, რომელშიც გამოქვეყნებულია „პროფესიონალი კილერის“ განცხადება, თანაც, ვიღაცის მიერ ხაზგასმული... ანი გამომძიებელ მურად ოქროპირიძეს იდუმალ კილერთან არეკვინებს. ხაზის მეორე მხარეს ქალის ხმა პასუხობს, რომელიც გამომძიებელს სხვა ნომერს მისცემს და იმასაც ეტყვის — ბეჟანი იკითხეთო. მოცემულ ნომერზე დარეკვისას, მურადი შინაგან საქმეთა მინისტრ ბეჟან ოქროპირიძესთან ხვდება... განრისხებული ჩინოსნის ბრძანებისამებრ, გამომძიებელს მისი უშუალო უფროსი, რაიონის პროკურორი იბარებს და საბრალო მურადი, ანისთან რომანტიკული შეხვედრის ადგილიდან, პირდაპირ მინისტრის კაბინეტში ამოყოფს თავს...

— რა ხდება, ბიჭო, გამაგებინეთ, ტვინში სისხლი გინდათ, ჩამიქციოთ? — აყვირდა ბეჟანი.

— არა, ბატონო ბეჟან, როგორ გეკადრებათ, პატარა გაუგებრობა მოხდა... — მთლად დაპატარავდა გამომძიებელი.

— პატარა გაუგებრობა?! ამწუთას ტელევიზორში აცხადებენ, კილერის ტელეფონის ნომერი აღმოვაჩინეთო და რომელ ნომერზეა ლაპარაკი, ხალხო, ჩემი ტელეფონის ნომერზე?.. — ხელები გაშალა მინისტრმა.

— არა, ბატონო ბეჟან, აქ სულ სხვანაირად ყოფილა საქმე... უთხარი, ბიჭო, რა ენა ჩაგივარდა, „დინამისტკებთან“ ძაან მაგარი ხარ! — მიუბრუნდა მურადს პროკურორი.

— არა, როგორ იყო, იცით?.. — დაიწყო შეშინებულმა მურადმა. — სულ სხვა ნომერი ეწერა ჟურნალში... რომელშიც აღმოვაჩინეთ საერთოდ, ამ კილერის ნომერი...

— მოიცა, მოიცა, რაებს როშავ?! — განცვიფრდა მინისტრი. — რა ჟურნალში, რომელ ჟურნალში, კილერის ტელეფონის ნომერს ჟურნალში რა უნდოდა?!

— საქმეც ეგ არის. აი, ნახეთ! — და მურადმა მინისტრს „ელიფსის“ გადაშლილი ნომერი დაუდო წინ. — აი, „პროფესიონალი კილერი“ და ტელეფონის ნომერი, აი ამ ჟურნალში იყო დაბეჭდილი.

— ჩემი ტელეფონი, ბიჭო?! — ბეჟანმა მაგიდაზე სათვალეს დაუწყო ძებნა.

— არა, თქვენი კი არა, ნამდვილი კილერის... აი, 25.56.66, — დაუდო თითი ფურცელზე მურადმა.

— კი, ეს ჩემი ნომერი არ არის. მაშ, მე რას მებლატავებოდი?! შენ არ იყავი — დამკვეთი ვარ, კილერი მჭირდებაო?

— დიახ, მაგრამ ამ ნომერზე დავრეკეთ და ვიღაც ქალმა მოგვცა თქვენი ნომერი. მოგვატყუა, გაგვაშაყირა... მიხვდით? — აუხსნა მურადმა.

ბეჟანმა ჟურნალი გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— არა, რა, არ არის ამ ქვეყნის საშველი!.. რას აღარ გაიგებ კაცი?! ვისია ეს ჟურნალი, ვინ უშვებს?

— არ აწერია, რას გაიგებ?.. — უპასუხა მურადმა. — არც ლიცენზია აქვს, არც გატარებულია სადმე... უკვე გავარკვიე: ხუთას ცალამდე, ყველას აქვს თურმე უფლება, რაც უნდა, ის დაბეჭდოს და გამოუშვას, ლიცენზია არ სჭირდება, ულიცენზიოდ.

— და კილერების ტელეფონებს ბეჭდავენ, რომ ხალხი დაახოცვინონ?!. არა, რაც მეტი, მით უკეთესი, საქმე ნუ გამოგვილიოს ღმერთმა, მაგრამ ერთხელაც რომ მოგვკითხონ?..

— რას წაიღებენ, თორემ?.. — ჩაილაპარაკა პროკურორმა.

— კარგი, შენ წადი, თავისუფალი ხარ, — მიმართა მურადს ბეჟანმა. ზაური დატოვა.

— ჟურნალი? — იკითხა მურადმა.

— ეს ჩემთან იყოს, — მიუგო მინისტრმა.

— ბოდიში. კარგად ბრძანდებოდეთ, — და პროკურორს შეეკითხა: — დაგელოდოთ?

— არა, ნუ დამელოდები, მე აქ საქმე მაქვს პატარა, — უპასუხა ზაურმა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — დაემშვიდობა გამომძიებელი უფროსობას და ოთხად მოკაკულმა გაიკეტა კარი.

— ვინ არი, ბიჭო, ეს დამთხვეული? ეს არის შენი, წერა-კითხვის მცოდნე გამომძიებელი? ვერ ამოჰკრავ ერთ პანჩურს?! — შეეკითხა მინისტრი პროკურორს, გავიდა თუ არა მურადი.

— პანჩური, პანჩური — და არავინ არაფერი აღარ იცის...

— ამას გადმოსდის გარეთ ტვინი!..

— რატომ, გამოცდილება მაინც ხომ აქვს... — დაიცვა თანამშრომელი პროკურორმა.

— კაი, რა, გაივსო ქვეყანა ნეხვის ჭიებით! მარტო ნაგვის ქექვა იციან, მეტი არაფერი... — არ დააკლო ეპითეტები გამომძიებელს ბეჟანმა. — კილერობა არ დამაბრალა?! პატარა მიზეზია?.. კილერი მჭირდება, კაცი მყავს გასასაღებელიო. არ გინდა ამის გადახარშვა?!.

ერთ-ერთი რესტორნის კუპეში მსუბუქად გაწყობილ სუფრასთან ჩაფიქრებული იჯდა გამომძიებელი მურად ოქროპირიძე და ანის ელოდებოდა. საფერფლე კი ნამწვებით გაევსო. ახლაც სიგარეტი ეჭირა, თან ღეჭავდა, თან — აბოლებდა... ანის ჩანთა გადაეგდო მხარზე. კუპეში შემოიხედა, მურადს თვალი ჩაუკრა. ჩანთა სკამის საზურგეზე გადაკიდა და დაჯდა.

— ჰა! რა მინდაო მინისტრმა? — შეეკითხა მურადს.

— რა ენდომებოდა?! პანჩურის ამოკვრა უნდოდა, მაგრამ ვერ გამიბედა... აუ, იცი, რა „კიტები“ მყავს დასაკითხი?! ზოგი —

მილიონერია და ზოგიც — მილიარდერი, ალბათ... — ჩაილაპარაკა მურადმა.

— მერე? — შეეკითხა ანი.

— რა — მერე? რა უნდა ვკითხო, შენ ხომ არ მოკალი-მეთქი, ხომ არ შევეკითხები!.. ან — შენ ხომ არ იცი, იაშვილმა როგორ იშოვა ფული-მეთქი? როგორ დავკითხო ეს ხალხი, რანაირად?!

— არა! იცი, რა უნდა ჰკითხო? სარწმუნო წყაროებიდან დავადგინეთ, რომ თქვენ ძალიან დიდი ფული გმართებდათ იაშვილის, ხომ ვერ მეტყოდით, რა თანხაზეა ლაპარაკი და როდის და რატომ ესესხეთ-თქო?.. შეგიძლია, ყველას ამ ერთი და იმავე შეკითხვით მიმართო, — ურჩია ანიმ.

— არ მეტყვიან მერე: შენ, შვილო, თავი ხომ არაფერს შეახალეო?!. — გაიკვირვა მურადმა.

— მაშინ, შენ თვითონ მოიფიქრე და რაც გინდა, ის ჰკითხე! — ეწყინა ანის. — შენ ტვინის გატოკება არ გინდა, მე გკარნახობ და შენ კი მაინც შენსას ერეკები, ბიჭოს!

— ბიჭოს, ბიჭოს!.. მე შენსავით ჟურნალისტი კი არა ვარ, რომ რა სისულელეც ენაზე მომადგება, ყველაფერი წამოვროშო. მე გამომძიებელი ვარ, გესმის შენ?! ჩემს თითოეულ სიტყვას წონა უნდა ჰქონდეს, წონა!..

— ეგ კი მასეა, მაგრამ კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე რომ წარმოსდინდებისო?! — ჩაილაპარაკა ანიმ.

— თან მეუბნებიან — დაჰკითხავო, თან — საქმე თუ გაიხსნა, დედა გეტირებაო...

— ვინ გეუბნება მაგას, პროკურორი?! — წამოხტა ანი.

— არა, პროკურორი კი არა... დაჯექი, რას წამოხტები ხოლმე, გურული ხომ არა ხარ!

— არა, ჯერ მითხარი! — არ მოეშვა ანი.

— ჩამოჯექი ჩემს მუხლებზე და გეტყვი! — შესთავაზა მურადმა.

ანი იმწამს მუხლებზე წამოუსკუპდა. მურადმა ხელების შემოხვევა დაუპირა.

— ხელები, ხელები ჩამოუშვი! — უბრძანა ანიმ. — აი, მუხლებზე ვზივარ, თქვი!

— კაი, ვთქვათ, პროკურორი მეუბნება, რას უზამ? — შეეკითხა მურადი.

— გამოვაჭენებ ეთერში და მოვახსნევინებ! — მშვიდად უთხრა ანიმ.

— და იმის ადგილზე მე დამნიშნავ, არა? — გაეცინა მურადს. — რამდენი ღირს, იცი, პროკურორის სკამი?.. გამოაჭენებ ეთერში და ჩემს მუხლებზე კი არ დაგაბრძანებენ — მიგაწვენენ იმის გვერდით, ვინც დღეს დაასაფლავეს... გავგიჟდები მე ახლა!.. — ისევ სცადა მურად ოქროპირიძემ თავისი გრძელი ხელების გამოყენება, მაგრამ ანი მუხლებიდან ჩამოუსხლტა და თავის სკამზე გადაჯდა.

— ღმერთო, რა დავაშავე, ეს ვის გადამყარე?! — გულწრფელად შეეკითხა ღმერთს მურადი.

— „ჭრელო პეპელას“: „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“... — მოახსენა ღმერთის ნაცვლად, ანიმ.

— დაასხი, გაშრა ყელი!

ანიმ მურადის ბრძანება შეასრულა.

— როგორ გგონია, ლალი იაშვილი არ არის დასაჭერი? — ჰკითხა უცბად ანიმ.

— კი, ბატონო, დავიჭიროთ! — დაეთანხმა მურადი.

— მაშინ, დღესვე, ახლავე! — აჩქარდა ანი.

— კაი, რა, ანი. ახლა, მილიონიც რომ მომცენ, ჯეირანოვიჩს ვეღარ დავენახვები! იცი, რა გრძნობა მქონდა, მინისტრთან რომ შემათრია? ხორცის საკეპ მანქანაში რომ გაგატარებენ... ჰო, კაბინეტში „მთლიანი“ შევედი და იქიდან „დაკუწული“ გამოვედი... კაცი სულ ტუჩებს იკვნეტდა. რომ მიმეშვა, ცოცხლად შემჭამდა... რა საჩქაროა? ხვალ დავიჭიროთ, ბიჭოს!

— ხვალ? ვაითუ, ამაღამვე მიფრინავს თავის ბელგიაში?.. დარწმუნებული ვარ, რომ მაგის მოკლულია. დიახ, ქონება რომ სხვის შვილზე არ გადასულიყო, თან — საყვარლის შვილზე... რას მიყურებ პირდაღებული, რა, ზღაპარს ვყვები? — ეწყინა ანის.

— ვერ გაფრინდება. ხუთის ნახევრამდე არაფერი მიფრინავს და მანამდე, აეროპორტის ადმინისტრაცია გაფრთხილებული იქნება... არ გჯერა?

— არა! — მოუჭრა ანიმ.

— არა? ნამდვილად არ გჯერა?! — გაუკვირდა მურადს.

— არ მჯერა, არა! იმიტომ, რომ სამაგიეროდ, არაფერს ითხოვ, — გამოიტანა დასკვნა ანიმ.

— მააქვს, რომ უფლება?!. — შეეკითხა გახარებული მურადი.

— რა თქმა უნდა, გაქვს, ოღონდ... როცა დაიჭერ, მერე! — ენა გამოუყო ანიმ. ორივეს გაეცინა. მიუჭახუნეს ჭიქები და გამოცალეს.

კომპანია „სუპერ-10“-ის ოფისი პროფკავშირების სასახლის სულ ბოლო, მეჩვიდმეტე სართულზე იყო მოთავსებული. მურადი ამ შენობის წინ იდგა და ბოლო სართულს თავაწეული შეჰყურებდა. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა და ვესტიბიულში შევიდა, სადაც უამრავი საქმიანი და უსაქმური, ორივე სქესის ადამიანი ირეოდა: ჩანთებით, დიპლომატებით, ნახაზებით... მურადი ოკეანიან ლიფტში საქმიან ხალხთან მოხვდა. ნელ-ნელა ყველა ჩავიდა. ბოლოს, მურადი მთლად მარტო დარჩა და მეჩვიდმეტეზე „სუპერ-10“-ის ოფისის მისაღებში აღმოჩნდა.

„სუპერ-10“-ის პატრონი და დირექტორი, ქალბატონი თამარ თვარაძე თავის კომფორტულ კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და პერსონალურ კომპიუტერში ბილიარდის თამაშით ერთობოდა. გვერდით მუსიკალური ცენტრი ედგა. რომელიღაც ორკესტრი მოცარტის „რეკვიემს“ ასრულებდა. ოთახში ფრთხილად შემოიხედა მდივანმა გოგონამ, კარი მიიკეტა და გაკვირვებულმა, ჩურჩულით მოახსენა:

— ქალბატონო თამარ, ვიღაც კაცია თქვენთან, გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ვარო.

თამარს გაეცინა.

— ჰმ, ეგღა გვაკლდა!.. შემოუშვი.

ან კი ვინმეს ესიამოვნება გამომძიებლის

სტუმრობა?..

მდივანი გავიდა და ოთახში მურადი შემოვიდა. თამარმა ყურადღება არ მიაქცია, ხელით ანიშნა, დაჯექიო და თამაში განაგრძო. მურადი დაჯდა და ლოდინი დაუწყო, თუ როდის მოიცლიდა მისთვის ქალბატონი თამარი. რა თქმა უნდა, ნაწყენი და შეურაცხყოფილიც კი იყო, მაგრამ მოთმინებით იცდიდა.

— გისმენ, გენაცვალე, — უთხრა თამარმა ისე, რომ მისკენ კვლავ არ გაუხედავს.

— მე გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ვარ.

— მე კი „სუპერ-10“-ის მფლობელი თამარ თვარაძე.

— დიახ, — არ იცოდა, რა ეთქვა, მურადმა.

— დიახ, — უპასუხა თამარმა.

— მე გამომძიებელი მურად ოქროპირიძე ვარ... — ოდნავ ხმას აუწია მურადმა, რადგან თამარი ყურადღებას კვლავ არ აქცევდა.

— გავიგე, გენაცვალე, ყრუ კი არა ვარ!.. — ისევ თამაში გააგრძელა და არ მოიხედა მისკენ ქალბატონმა თამარმა. — გელოდებით, რას მეტყვით. მე მგონი, მე არ დამიბარებიხართ აქ... მიდით, მიდით, ამოშაქრეთ!

— რამდენიმე შეკითხვა მინდა დაგისვათ, — ამოშაქრა მურადმა.

— მიზეზი? მიზანი? საბაბი? — იქით მიაყარა შეკითხვები თამარმა.

— თუ იცნობდით ლევან იაშვილს და როდიდან? — შეეკითხა მურადი.

— რომელი ლევან იაშვილი, თავი რომ მოიკლა? — ისევ შეუბრუნა კითხვა თამარმა.

— დიახ, — უპასუხა მურადმა.

— ვთქვათ, ვიცნობდი... გუშინ რა ვჭამე, ის აღარ მახსოვს, გენაცვალე, და როდიდან ვიცნობდი ლევან იაშვილს, რომელსაც მართლაც ვიცნობდი თუ არა წესიერად, ეშმაკმა უწყის, — რანაირად გითხრა? რადგან აქ მობრძანდი და ჩემს კაბინეტში ზიხარ, ეგ შენ უფრო გეცოდინება, როდიდან ვიცნობდი. ასე არ არის?

— სად გაიცანით? — დასვა შემდეგი შეკითხვა მურადმა.

— გენაცვალე, მე ხომ გთხოვეთ, გეთქ-

ვათ მიზეზი: რატომ მეკითხებით ამ ყველაფერს? ან რა გაინტერესებთ, მკითხეთ ადამიანურად, როგორც კაცი კაცს ჰკითხავს და მეც გიპასუხებთ. თორემ — სად გაიცანით, როდის გაიცანით, რატომ გაიცანით? — რომ მეკითხებით ამ იურიდიული ენით, საშინლად მაღიზიანებს... — ჩაილაპარაკა თამარმა, რომელიც ისევ ბილიარდის თამაშს განაგრძობდა კომპიუტერში და მურადისთვის კვლავ არ შეუხედავს.

— ქალბატონო, თქვენ ზედაც არ მიყურებთ და როგორ დაგელაპარაკოთ, მე თვითონ არ ვიცი... — გაბედა ბოლოს მურადმა.

— ქმარი მყავს ვუდი ალენი და იმას არ ვუყურებ, გენაცვალე, და შენ რომ არ შემოგხედო, გასაკვირია?.. — თამაში განაგრძო თამარმა.

— მართალია, რომ თქვენ ლევან იაშვილის ვალი გქონდათ, მილიონ დოლარამდე? — დააჯახა მურადმა.

ახლა კი იკადრა ქალბატონმა თამარმა და შეხედა გამომძიებელს, რომელსაც ერჩია, არ შეეხედა მისთვის... მერე ქალბატონმა თამარმა ხელიც ასწია და თითი კარისკენ გაიშვირა, მეორე ხელი კი, რაღაც ღილაკს დააჭირა!..

— რა-ა? გაეთრიეთ! გაეთრიეთ აქედან! — იღრიალა მან და ერთიანად აკანკალა.

ხოლო სანამ შეშინებული მურადი უკანუკან დაიხევდა და გასვლას მოასწრებდა, კაბინეტში ორი პირადი მცველი შემოვარდა.

— გააცილეთ ეს ნაბიჭვარი! — უბრძანა მათ თამარმა.

— მე თვითონ, მე თვითონ... — ხმა ჩაუვარდა მუცელში მურადს, რადგან მცველებმა უკვე სტაცეს ხელი და გარეთ გაათრიეს.

— ნაბიჭვრები, მაშანტაჟებენ!.. ისე დაგაშანტაჟოთ!.. — და ისევ ბილიარდის თამაში განაგრძო ქალბატონმა თამარმა.

მცველებმა პანჩურით ისროლეს ქუჩაში მურადი. ის საცოდავად, კოჭლობით წამოდგა და ფეხის გარდა, ხელსაც იტკივებდა. მერე კი, თავის მანქანასთან მილასლასდა და ჩაჯდა. მანქანაში ანი უცდიდა.

— რა მოხდა? — შეეკითხა ის დაბნეული.

— არაფერი, გადავრჩი... — მოახსენა გადარჩენილმა მურადმა.

— გცემეს? — შეეკითხა ანი.

— არ ვიყავი საცემი?.. — ჩაილაპარაკა მურადმა. — ქალი წესიერად არც იცნობს კაცს თურმე, და მე ვეკითხები — მართალია, რომ იაშვილის ვალი გქონდა მილიონი დოლარი-მეთქი!..

— მერე? — დაინტერესდა ანი.

— მერე, ან ხელი უნდა მქონდეს მოტეხილი, ან — ფეხი. მგონი, ორივეც... აუუ! კიდევ კარგი, იარაღი შინ დამრჩა... — თქვა მურადმა.

— ესროდი? — გაუკვირდა ანის.

— რა ვიცი, აბა! ცხვარი — ცხვარიაო... — ხომ გაგიგონია, — ახლაღა განრისხდა მურადი. წვალებით გადაატრიალა გასაღები, მისცა პირველი და მანქანა დაძრა. — ეე, სანამ ეს ქვეყანა ჩალით იქნება დახურული, ჩემნაირ გამომძიებლებს კიდევ ბევრჯერ მოხვდებათ ფერდებში... — ჩაილაპარაკა მან სევდიანად.

— ეგრევე აჯახე? — შეეკითხა ანი.

— ჰო, ვაპირებდი შემოვლას, აქედან, იქიდან... იმან კიდევ — თქვი, რა, რა გინდა, ადამიანურად მითხარიო... ჰოდა, მეც „ადამიანურად“ შევეკითხე და იმან კი ისე არაადამიანურად იკივლა, მაგრად ჩამაფსმევინა... — აღიარა მურადმა.

— გეუბნებოდი, გადავიღოთ-მეთქი და არ დამიჯერე! — უსაყვედურა ანიმ.

— მორჩი, რა, ვინ გადაგაღებინებდა? — გააჩუმა მურადმა. — ისეთი აფთარი დამხვდა... წარბები — აი, აქა ჰქონდა, აი!.. — სადღაც კეფაზე უჩვენა მურადმა.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა ანიმ.

— ახლა?.. ახლა „ალფა-7“-ში ავალ, რომ იქაც ერთი კარგად მეეჟონ და მერე წავიდეთ და ჩავუსხდეთ მე და შენ სადმე ჩვენებურად... იქნებ თითზე ან სულაც, ხელზეც მაკოცნინო, რა ვიცი...

— მოდი, დაარეკვინე ჯერ მაგ შენს პროკურორს და მერე ადი! დღეს შენთვის სიურპრიზი მაქვს მომზადებული... — გაიღიმა ანიმ.

— ჰოო, ვიცი შენი სიურპრიზები: წყალთან მიმიყვან და წყალს არ დამალევინებ... — არ დაუჯერა მურადმა...

მანქანა „ალფა-7“-ის ოფისთან გაჩერდა.

— უნდა ავიდე. სადაც წვრილია, იქ გაწყდეს!.. — გამოუცხადა ვაჟკაცურად მურადმა ანის და მანქანიდან გადავიდა.

— აუ, თითქოს ომში მიდიოდე, რა!.. — გაიცინა ანიმ.

— არა, ახლა უკვე ვიცი, როგორც უნდა ველაპარაკო... — უფრო თავის დასარწმუნებლად თქვა მურადმა და გააბიჯა.

— მე კარის წინ დავდგები და თუ ისევ გისროლეს, დაგიჭერ! — გადასძახა მანქანიდან ანიმ.

მურადი კოჭლობით ავიდა კიბეზე, დაცვას წიგნაკი უჩვენა და შენობაში შევიდა.

„ალფა-7“-ის მფლობელი, ბატონი თენგიზ გომართელი, მარტოობის თუ სხვა მიზეზს გამო, ფრიად უგუნებოდ იყო. მოწყენილი იჯდა ღერძულა სავარძელში და ტელევიზორის პულტს აწვალებდა, როცა მიკროფონში მდივანი გოგონას გაპრანჭული ხმა გაისმა.

— ბატონო თენგიზ, თქვენთან გამომძიებელ მურად ოქროპირიძეს სურს საუბარი...

— გამომძიებელი? გენიალურია! შემოუშვი, დროზე, შემოუშვი!

მურადმა შემოსვლა ვერ მოასწრო, რომ თენგიზი ადგილიდან წამოფრინდა, კარამდე მივიდა, ხელი ჩამოართვა, მერე მხრებშიც მოჰკიდა და შეაჯანჯღარა.

— შემობრძანდით, შემობრძანდით! დაბრძანდით! პირდაპირ სულზე მომისწარით. ყურებს არ დავუჯერე: გამომძიებელი, ცოცხალი, თავისი ფეხით მესტუმრა!.. — და უცბად გამომეტყველება შეიცვალა. — დაჭერას ხომ არ მიპირებთ? სიმართლე მითხარით! მწარე სიმართლე ტკბილ ტყუილს სჯობს, ხომ გაგიგონიათ!.. აჰა, დაჭერას არ მიპირებთ. მაშინ, რა გვიშლის ხელს, რომ თითო „რუმკა“ გადავყლურწოთ? „რუმკა“ ხომ იცით, როგორ ჭიქას ჰქვია? აი, ასეთს... — თენგიზმა კარადა გამოაღო, იქიდან ჭიქები და კონიაკის ბოთლი გადმოიღო და მაგიდაზე დადგა. — ფეხიანს... დაბრძანდი, კაცო, ისევ ფეხზე დგახარ?! შენც „რუმკა“ ხომ არა ხარ, არა?.. საიუბილეო, ძველი ჩამოსხმაა, არ შეგეშინდეს, ჯერ კიდევ კომუნისტების დროინდელია... მე დღევანდელს არაფერს ვაკარებ პირს: რას ასხამენ, სად ასხამენ, რაში ასხამენ... კი, სახელები — გიყვარდეს, იციან დარქმევა... ბოდიში, თქვენ მუნჯი ხომ არ ბრძანდებით? შემაწიე, რა, ერთი სიტყვა! — თენგიზმა „რუმკა“ გაალიცლიცა და დაბნეულ მურადს ხელში მიაჩეჩა.

— არ შემიძლია, ვერ დავლევ, — იუარა მურადმა.

— კაი, კაი, რას ჰქვია, არ შეგიძლია?! „არ მინდამ“ მთელი ცხვარი გაათავაო, — არ გაგიგონია შენ?.. თუ არ გაგიგონია, ახლა ხომ გაიგონე, არა?.. აბა, მივუჭახუნოთ! — და თენგიზმა მურადს ჭიქა მიუჭახუნა. — ავაწკარუნოთ!.. ასე!

— არა, არ შემიძლია, ვერ დავლევ, „რულზე“ ვზივარ...

— საჭესთან და არა — „რულზე“... ასე ხომ სამსახურს დაკარგავ, ჩემო ძმაო... გამომძიებელს, რომელიც მანქანის გამო არ სვამს, — არ არსებობს! — დიდხანს ვინ გააჩერებს სამსახურში?! ეგეც არ იყოს, აქ მე ვარ მასპინძელი და „სტოსიც“ მე მიმყავს, ძმაო! მიდი, მიდი, აუწი, ნუ გატეხავ, რა! კაცი რომ შემოგხედავს, გეფიცები, ნამდვილ გამომძიებელს ჰგავხარ: გამჭოლი მზერა. ნათელი შუბლი!.. კიდევ რით შეგამკო?.. არ სვამს, არ ეწევა და ქალებს კილომეტრზე არ ეკარება, ხომ? ვინმე ხომ არ გიცდის ქვევით? მანქანაში გყავს ვინმე? მიპასუხე, რას გაჩუმდი? თქვი!

— კი, — უპასუხა მურადმა, თან გაიფიქრა — ეს კაცი მცდის თუ რა ხდებაო?..

— ვინ? მძღოლი? არ მომატყუო! — დაემუქრა თითით მურადს გომართელი.

— არა. მძღოლი არა...

— აბა, „სპეცნაზი“? მიჭერ, კაცო?

მურადი ისევ ვერ მიხვდა — დასცინო-

დნენ თუ სერიოზულად ელაპარაკებოდნენ...

— არა, კაცო, რა „სპეცნაზი“, ჟურნალისტია ერთი... — თქვა მან.

— ჟურნალისტი?! ვა, შენ რა მაგრად მომზადებულხარ! რა ხდება, სერიოზული მჭირს რამე?.. რომელია? — იკითხა თენგიზმა.

— რა ვიცი, ჟურნალისტია, რა, გოგოა... — მთლად ბოლომდეც ვერ გაეხსნა მურადი.

— და რატომ არ ამოიყვანე?! „დავაი“, თითო ჩავარტყათ და ამოიყვანე, კარგი? დაკითხვასაც მოვასწრებთ თუ — გამოკითხვას, რა ვიცი... იცი, რას გაუმარჯოს?.. მარტო რომ ზიხარ, რა, ტარიელივით დაღრეჯილი... იმას თუ რაში ჰყავდა დარახტული და თვალმარგალიტით ასხმული, შენ არანაკლები პიწკინა „პეჟო“ რომ გყავს ბაგაზე მიბმული და თვითონაც რომ არ იცი, რა გინდა... ეტყობა, ნაპოლეონობა გინდა და გიტყდება, რომ არ გამოდის და არც შანსია, რა, არავითარი... მამაჩემი, იცი, ვინ იყო?.. საიდუმლოდ გეტყვი, რა, და არ გამცე. მამაჩემი მხატვარი იყო და იცი, რას ხატავდა?.. მკვდრებს... საფლავის ქვებზე. სურათებიდან იღებდა, რა, ასლებს... ჰოდა, თავი, იცი, ვინ ეგონა?.. იმპერატორი! არც მეტი, არც ნაკლები. ფული ეგონა, რა, ყველაფერი. ჩვენში კიდევ, ხომ იცი, ყველაზე მეტ ფულს რაში ყრიან?.. ჰო, ჰო — საფლავში!.. ერთი ძმაკაცი მყავს, რა, ყაყის ვეძახდით სკოლაში, „კლიჩკა“ ჰქონდა ასეთი. მამა ჰყავდა „ცეხავიკი“, რა, ძველი... ჰოდა, მოკვდა ეს კაცი და ანდერძად, იცი, რა დაუბარა?.. ისეთი საფლავი გამიკეთე, მთელ სასაფლაოზე არავის ჰქონდესო, — მაშ!.. ამანაც, ამ დეგენერატმა, ყველაფერი გაყიდა, სახლიანად... ცოლ-შვილიც, დედა და დებიც კი, ნულზე დასხა, ქუჩაში გაყარა და მართლაც, ისეთი ძეგლი დაუდგა იმ თავის „ცეხავიკ“ მამას: ორი სართული — მიწის ზემოთ, ორი სართული — მიწის ქვემოთ... ცინკის კუბო სარკეებით და რა ვიცი... ე, სად გავედით, არა?! სასაფლაოზე რა გვინდა?!. მოკლედ, მაგარი დაღრეჯილი რომ ხარ და უეცრად გამომძიებელი რომ გესტუმრება, რა, და მაგრად რომ გაასწორებს, რა, და შენთან ერთად რომ გაიტრიტება, რა, — იმას გაუმარჯოს! — და ისევ ჭიქა მიუჭახუნა მურადს.

— გაუმარჯოს! — მურადი იძულებული იყო, გამოეცალა.

თენგიზმაც გამოცალა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— მიდი, ამოიყვანე ის შენი „პოზნერი“, რაღას უყურებ?!

მურადი წამოიწია.

— ოჯექი, ოჯექი! ჩემებს ვეტყვი და ამოაბრძანებენ, თორემ, შენ რომ ახლა გამექცე, ხომ ჩამექცა სისხლი თავში!.. რა მანქანაა? — უკან დასვა მურადი თენგიზმა.

— „ნოლსემია“ შინდისფერი. სამი „დუბლვე“, რვაას ოცი, — უპასუხა მურადმა.

— ბიჭებო, წინ, „ნოლსემში“ რომ ქალბატონი ზის, რვაას ოცში, ამოაბრძანეთ ერთი ჩემთან! — გასცა მიკროფონით ბრძანება თენგიზმა და რაღაც ღილაკს დააჭირა თითი:

— ჯულიეტ, ახლა რომ ქალბატონს ამოაბრძანებენ ზევით, შენც ცოტა პომადა და პუდრი მიისვ-მოისვი და ერთად შემობრძანდით ჩვენთან, კარგი?

— შემოვალთ, — გაისმა ქალის ხმა მიკროფონში.

— „აინ მომენტ“!.. — ელეგანტურად წარმოთქვა თენგიზმა და წამოდგა. — იცი, რა? ავდგეთ ახლა და აიმ კუთხეში გადავბრძანდეთ... წამო, წამო! მოჰკიდე ხელი!

კაცებმა კონიაკის ბოთლი და ჭიქები აიღეს და კუთხეში მდგომ დაბალ მაგიდასთან გადავიდნენ.

— ერთი-ორი დელიკატესიც და ხოშიანად შევუბეროთ... — თენგიზმა მაცივრიდან ზეთისხილი, ხიზილალა, კარაქი და ლიქიორიც გადმოიღო.

მალე კარი გაიღო და ჯულიეტას ხმა გაისმა:

— შებრძანდით, შებრძანდით!

ანი ფრთხილად შემოვიდა, უკან ჯულიეტა მოჰყვა.

— ეს არის? — თავი წამოყინჩლა თენგიზმა და ანი ურცხვად აათვალიერ-ჩაათვალიერა. მაგარ ცეტს თამაშობდა...

— დიახ, — უპასუხა მურადმა.

— და რატომ არ გაგვაცნობ? — ისევ ცეტივით დასვა შეკითხვა თენგიზმა.

— კარგით, რა... — თავი გააქნია მურადმა.

თენგიზმა კი მხედრულად შემოჰკრა ფეხს ფეხი და ანის „ჩესტი“ აუღო:

— რუსეთის გვარდიის „ლეიტენანტ-პოდპორუჩიკი“ თენგიზ გომართელი. „პრაშუ ჟალოვან ი ლიუბიწ“.

ანიც აჰყვა, „ჩესტი“ აუღო და უპასუხა:

— „ჩესტ იმეიუ“!

— ასე, რა!.. — გაუსწორდა თენგიზს. — ამან კიდევ — ჟურნალისტიაო, ინტრიგანიაო... დაბრძანდით, დაბრძანდით! ჯულიეტ, „პრაშუ“! — და თენგიზმა ჯულიეტა საკუთარ „ბარკალზე“ მიიპატიჟა. ჯულიეტაც ცეკვა-ცეკვით მივიდა და ნაზად ჩამობრძანდა მის „ბარკალზე“. თენგიზმა კი ანის მიმართა: — ქალბატონო ჟურნალისტო, თქვენ რატომ არ ჩაუბრძანდებით ბატონ გამომძიებელს კალთაში?

— კი, ბატონო! — და ანი იმწამსვე მურადის „ბარკალზე“ გადახტა. ხელიც კი გადახვია. მურადმა პირჯვარი გადაიწერა.

— რატომ?! — იკითხა თენგიზმა.

— ეშინია ჩემი, — თქვა ანიმ.

— ეშინია?! რატომ? ხა, ხა, ხა, ხა... — ისევ ცეტივით ახარხარდა თენგიზი.

— იმიტომ, რომ ეს ქალბატონი კატისებრთა ოჯახის ყველაზე საშიში წარმომადგენელი გახლავთ. აი, ბრჭყალები! — გამოაჩინა ბრჭყალები მურადმა.

— მართლა? აბა, გამოსწიეთ ხელი, ჟურნალისტო ქალბატონო! — სთხოვა თენგიზმა ანის და მანაც თავისი პუტკუნა მტევანი გაუწოდა. თენგიზმა სასწრაფოდ უკან დაიხია: — მწვანე მტევანი?!

— რამ შეგაშინა, რა, მწვანე ხელის მქონე ქალბატონმა ხომ არ უნდა მოგკლას? — შეეკითხა ჯულიეტა.

— არა, უბრალოდ, ასეთ ქალებს საშინლად მძიმე ხასიათი აქვთ... — გამოაცხადა თენგიზმა.

— ეგეც მე ვარ?! — გაუხარდა მურადს. — მართალია და ვერაფერს გაუგებ! ერთ რამეს რომ აკეთებს, მეორე აქვს ჩაფიქრებული... ა, თუნდაც, რატომ ჩამოჯდა ახლა ჩემს ფეხზე, მაგრად მაინტერესებს.

— არ მოგეწონა, მერე? — შეეკითხა თენგიზი.

— ჰო, მაგრამ მგონი, სიცხემ ამიწია... — შუბლზე ხელი მიიდო მურადმა.

თენგიზმა ოსტატურად შეავსო ჭიქები. ქალებს ლიქიორი დაუსხა, თავიანთთვის კი — კონიაკი.

ჯულიეტამ თენგიზს ჭიქაზე ხელისგული დაუფარა.

— თენგიზ, შენ არ დალევ! შენ მაგიერ, მე დავლევ! — გამოუცხადა მან თენგიზს.

— ხელი აიღე და ტრაკი დააყენე, გაიგე?! — ავარდა თენგიზი.

ამ უცნაურმა სცენამ დაუპატიჟებელი სტუმრები მაგრად დააფრთხო. ამიტომ, ცოტა ეჭვითაც კი დაუწყეს ყურება მასპინძლებს.

— არ გინდა, გთხოვ! — ხელის აუღებლად გაუმეორა ჯულიეტამ.

— აიღე, რა, ხელი! რას ჰქვია, არ დავლევ! — თვალები დაუბრიალა ჯულიეტას თენგიზმა.

— კი, ბატონო! — იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ჯულიეტა.

— აბა, მოჰკიდეთ ჭიქებს ხელი! ა-ახლა თქვენ, როგორც მე გამახარეთ, ასე გახარებული ყოფილიყოს ყველა „პოდპორუჩიკი“ ამ ქვეყანაზე! აბა, ჰე! — და თენგიზმა სტუმრებს ჭიქა მიუჭახუნა. — „ზალპომ, ზალპომ“! — ბრძანა მან და ყველამ გადაყლურწა.

— თქვენ ერთმანეთს თვალებში უყურებთ? — იფეთქა უეცრად ჯულიეტამ, თენგიზის მუხლებიდან ჩამოხტა და მურადს მიუტრიალდა: — ესენი ერთმანეთს თვალებში უყურებენ!

— მე? როგორ გეკადრებათ?! — შეიცხადა ანიმ.

მურადმა სასწრაფოდ მოჰკიდა ხელი და თავისი მუხლიდან, როგორც ჭირიანი, ისე გადასვა გვერდით სკამზე ანი.

— უყურონ, უყურონ, გაუშვი — უყურონ! — დაამშვიდა მან ჯულიეტა.

გაგრძელება იხ. გვ. 53



ბილ მიურეი:

„სამწუხარად, ზარად სტუნთან სანყვარულ სცენას მხოლოდ 3 დუბლი დასჭირდა“...

ერთხელ, ფილმის — „ვირზაზუნას დღე“ — ვარსკვლავი, ამერიკელთა სათაყვანებელი კომიკოსი ბილ მიურეი კალათბურთის მატჩზე წავიდა და... საყვარელი გუნდის თამაში კინაღამ ჩაშალა! დარბაზში დამონტაჟებულ უზარმაზარ მონიტორებზე მაყურებელი მატჩის პერიპეტიების ნაცვლად, მსახიობის გულწრფელ ემოციას ადევნებდა თვალს. საკალათბურთო დარბაზის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა, აღშფოთებული მწვრთნელისთვის ტელეოპერატორის ნაცვლად, თავად მოეხადა ბოდიში. ოპერატორი თავს იმით იმართლებდა, რომ ობიექტივები, მისი ნებასურვილისგან დამოუკიდებლად მოძრაობდა და მიზანში მიურეი ჰყავდა ამოღებული. ეს ამბავი მართლაც სარწმუნოა, როგორც კინემატოგრაფისტები ამბობენ — „კამერას ბილი უყვარს“.

ბილ მიურეი ბუნებამ ქალთა გულთამპყრობლის მშვენიერი გარეგნობით არ დაასაჩუქრა, მაგრამ 55 წლის მსახიობი თანამედროვე დონჟუანის როლში მაინც ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება (მელოდრამა „დამტვრეული ყვავილები“). მისი გმირი ქალებთან ურთიერთობაში იმედგაცრუებული კაცია, რომელიც მოულოდნელად მიღებული წერილის მეშვეობით შეიტყობს, რომ მას 19 წლის ვაჟი ჰყოლია.

— სურათში, თქვენი გმირის ერთ-ერთ სატრფოს შერონ სტოუნი თამაშობს. როგორი იყო მასთან ერთად მუშაობა? ფილმში ხომ მასთან სასიყვარულო სცენა გქონდათ?

— *(იცინის)* საოცრად გულდაწყვეტილი დავრჩი. სულაც არ ველოდი, რომ როდესაც ლოგინში ჩავწვებოდი, გარშემო უამრავი კინოკამერიანი ადამიანი მოიყრიდა თავს! შემდეგ, შერონმა ხელი მომხვია და მე შემეშინდა, რადგან გამახსენდა: მის ფილმებში იმ ბიჭებმა, რომელთაც შერონის ალერსი იგემეს, სავალალოდ დაასრულეს ცხოვრება და ავნერვიულდი. მაგრამ ხელოვნებისათვის ხარკი გავიღე და საწოლში ბოლომდე გმირულად დავრჩი.

ხუმრობის გარეშე კი შემიძლია ვთქვა, რომ შერონი გადასაღებ მოედანზე საწვავით სავსე რაკეტასავით შემოფრინდა და ჩვენს ეპიზოდებში იმდენი გრძნობა და ენერგია შემოიტანა, რომ ეს ელვარე სცენები მთელ ფილმში გამორჩეულია. მისთვის უცხო იყო ვარსკვლავური კაპრიზები. შერონი გადაღებაზე სრულ მზადყოფნაში მოდიოდა და რეპეტიციებზეც მთელი დატვირთვით მუშაობდა. სამწუხაროდ, ჩვენი სასიყვარულო სცენის გადაღებას მხოლოდ 3 დუბლი დასჭირდა!

— როგორ ახერხებთ იმას, რომ მართალია, რომანტიკული მამაკაცის გარეგნობით არ გამოირჩევით, მაგრამ ეკრანიდან ქალთა გულებს მაინც წარმატებით იპყრობთ?

— ისევე, როგორც ცხოვრებაში, ეკრანზეც ბუნებრივად ვიქცევი. ჩემი პრინციპია — საკუთარ თავს ხელი არ შევუშალო. დაე, პარტნიორის რეპლიკას ჩემი შინაგანი ავტომოპასუხე გამოეხმაუროს. ზედმეტი „თამაში“ საჭირო არ არის.

— თქვენი გმირის მსგავსად, სასიყვარულო რომანებისა და მეგობარი გოგონების შესახებ, თქვენც ბევრი რამ გაქვთ გასახსენებელი...

— ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს. მერწმუნეთ, ყველა მათგანის ჩამოსათვლელად ხელის თითები ნამდვილად არ მეყოფა!

— თუ საიდუმლო არ არის, როგორი ქალები მოგწონთ?

— ასეთი კითხვის დასმა მხოლოდ ქალს შეუძლია. ჩვენ, მამაკაცებს ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს. ზოგჯერ, ქუჩაში მიდიხარ, შემთხვევით გოგონას დაინახავ, გაიფიქრებ: „კარგი გოგოა!“ და მორჩა! ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხე გემუქრება! თუ მიუახლოვდი და გამოელაპარაკე, დაღუპული ხარ. მხოლოდ ღმერთმა უწყის, ეს ამბავი როგორ დასრულდება. წარმოიდგინეთ: პლაჟზე ხართ, გვერდით გოგონამ ჩაგიარათ (აუცილებელი არაა, რომ გოგონა ლამაზი და მოხდენილი იყოს), ცოტა ხანში კი ხედავთ, რომ წყალში იხრჩობა. რა თქმა უნდა, გადაარჩენთ, ერთი თვის შემდეგ ცოლად შეირთავთ, რამდენიმე წლის შემდგომ კი, სამზარეულო დანით თქვენს მოკვლას შეეცდება. ცხოვრებისეულ კინოფირს უკან ატრიალებთ და ფიქრობთ — „მასში განსაკუთრებული რა დავინახე?!“ ამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობთ. ერთნი — ერთი რამის გამო გვიყვარდება, მეორენი — მეორის გამო. როდესაც ქალი მოგვწონს, თითქოს შინაგანად ვფეთქდებით, გული გამალებით გვიცემს, ტვინი წყალდება, თვალებზე ბინდი გვეფარება და სიყვარული გვაგიჟებს. გარშემო მყოფებს კი ქალი მახინჯად მიაჩნიათ...

— ახლა ზოგადად, თეორიულად მსჯელობთ თუ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას იხსენებთ?

— როგორც წესიერ, ცოლიან მამაკაცს შეეფერება, ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ. წარსულის ყველა რომანი ჩემთვის ერთ დიდ, მთელ გრძნობად გადაიქცა, რომელიც ჩემს ცხოვრებას ალამაზებს.

— თქვენთვის ნაცნობია ცნება — „საშუალო ასაკის კრიზისი“? ფილმებში „დამტვრეული ყვავილები“ და „თარგმანის სირთულეები“ ამ პრობლემას ძალზე დამაჯერებლად გადმოგვცემთ.

— რა თქმა უნდა, ნაცნობია და ეს ტრაგედია სულაც არ არის. ბავშვობიდან მოყოლებული, სხვადასხვა მიზეზის გამო,

უფროს ვაჟთან, ჰომერთან ერთად. ნიუ-იორკი 2002 ▼

კრიზისი ბევრჯერ მქონია — შესაძლოა, ჩემმა საყვარელმა ბეისბოლის გუნდმა წაგო ან ახლობელ ადამიანს დავცილდი. ჩემი გმირების ცხოვრებაში ბიზნესი უმთავრესი იყო, მაგრამ წარმატების მიღწევის შემდეგ, მათ ერთი და იგივე შეკითხვა გაუჩნდათ: რა იქნება შემდგომ? ყველაფერს მიაღწიეს, ყველაფერი აქვთ, მაგრამ მათი ცხოვრება უინტერესო და უშინაარსოა. ირგვლივ სიცარიელეა...

— ფილმში — „თარგმანის სირთულეები“ თქვენი გმირი ამ სიცარიელის შევსებას ახალგაზრდა ქალთან კავშირით ცდილობს...

— გახსოვთ, ისინი საწოლში წვანან და ჩემი გმირი ქალს შვილების შესახებ უამბობს: „ცხოვრება მიდის, ცხოვრებას უკან ვერ დააბრუნებ, მაგრამ ისინი სიარულს, ლაპარაკს სწავლობენ. შენ ამას ხედავ და ხვდები, რომ მათში შენი სიხარულია“, — ეს ფრაზა თავად მოვიგონე და გამოგიტყდებით, რომ საკუთარ თავს ვგულისხმობდი. სახლიდან შორს მყოფ ჩემს გმირს ძალიან უნდოდა, ეგრძნო, რომ ვიღაცას სჭირდება, ვიღაცას უყვარს, შეეგრძნო, რომ ის ნამდვილი მამაკაცია, მაგრამ საბოლოოდ, ღირსების შენარჩუნებას ამჯობინებს, რადგან ახალი რომანი მისი ოჯახის ცხოვრებას კოშმარად გადააქცევს. მეც სწორედ ასე მოვიქცეოდი...

— თქვენს ბოლო სიტყვებში ნაღველი იგრძნობა...

— ნაღველი — ცუდი გრძნობა როდია. ის მაშინ ჩნდება, როდესაც ხვდები: ცხოვრება ისეთი სულაც არ არის, როგორსაც შენ ხედავ. ნაღველი შენს იდეალებსა და რეალობას შორის არსებულ სიცარიელეს ავსებს. ჩვენ ვიტანჯებით, მაგრამ ამის გარეშე ცხოვრება არასრულფასოვანი იქნებოდა.

— სურათში — „დამტვრეული ყვავილები“ თქვენი უფროსი ვაჟი ჰომერიც თამაშობს. როგორ ფიქრობთ, ისიც თქვენს კვალს გაჰყვება?

— არა მგონია. ფილმში მისი მიწვევის იდეა რეჟისორ ჯიმ ჯარმუშს ეკუთვნის. ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვე, როდესაც უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. კამათი არ დამიწყია, რადგან ჯარმუშთან კამათს აზრი არა აქვს. გადამღებმა ჯგუფმა არ იცოდა, რომ ჩვენ მამა-შვილი ვართ. ჩვენი შემხედვარე, ყველა აღტაცებული ამბობდა, რომ კარგად ვთამაშობთ. ხოლო როდესაც სიმართლე გამომჟღავნდა, ყველა ოხრავდა და გვილოცავდა...

— 24 წლის ჰომერი თქვენი უფროსი ვაჟია. კიდევ 5 შვილის გაჩენა როგორ გარისკეთ?

— დიახ, ბევრი შვილის ყოლა მართლაც, ძვირად ღირებული სიამოვნებაა. მე 6 ვაჟი მყავს: ორნი, ჰომერი და 19 წლის ლუკი პირველ ცოლთან, ოთხნი — 11 წლის ჯექსონი, 9 წლის კალები, 8 წლის კუპერი და 3 წლის ლინკოლნი — მეორე ცოლთან. როდესაც ოჯახში მხოლოდ ერთი ბავშვი იზრდება, ის ეგოისტად ყალიბდება. როდესაც ორნი არიან, უკეთესია. 6 შვილის ყოლა კი, შესანიშნავია. უფროსები პატარებზე ზრუნავენ.

ბილ მიურეის პირველი მეუღლე სამხატვრო სალონის მფლობელი მიკი კელი იყო. მათი ცოლქმრობა 16 წელი გაგრძელდა. წყვილმა 2 წელი პარიზში გაატარა, სადაც ოჯახი მიკის ბიზნესის გამო გადასახლდა. მაშინ ბილმა საკუთარი საქმეები გვერდზე გადადო და უბრალოდ ქმარი იყო.

მეორე ცოლი — ჯენიფერ ბატლერი ბილმა მუშაობის დროს გაიცნო. ჯენიფერი კოსტიუმების მხატვარი იყო. მათი ქორწინება დღემდე გრძელდება. ოჯახი ნიუიორკის გარეუბანში მდებარე ვილაში ცხოვრობს.

— ბიჭებს მკაცრად ზრდით?

— აბა, სცადეთ! ჩემი მშობლების ოჯახში 9 ბავშვი ვიზრდებოდით. მამაჩემი პრობლემებს მუჯლუგუნებისა და მუშტების მეშვეობით იოლად ჭრიდა, მაგრამ მას შემდეგ სამყარო ძალიერ შეიცვალა. დღეს აზრადაც არ მომივა, რომ შვილი მივტყიპო. ვცდილობ, თითოეულს თავისებურად მივუდგე, სიტყვით დავარწმუნო. მართალია, ჩემი შვილების აღზრდა ჩემი საქმეა, მაგრამ ამ რთულ საქმეს ჩემი ცოლების დახმარების გარეშე, თავს ვერ გავართმევდი. როდესაც სახლიდან დიდი ხნით მივდივარ, ისინი ძალიან მენატრებიან, მაგრამ ვეჭვობ, რომ ბიჭები ჩემს სამუშაოს ირონიით შეჰყურებენ, რადგან მე დილის 9-იდან საღამოს 6 საათამდე არ ვმუშაობ. ძირითადად, შინ ვზივარ და როლებს ველოდები. ზოგჯერ, ჩემი ცოლის მრავლისმეტყველ მზერას დავიჭერ ხოლმე, რომელიც თითქოს მეუბნება: „ისევ აქ ხარ? გემუდარები, სადმე ცოტა ხნით მაინც წადი!“ — რა გაეწყობა, ოჯახური ცხოვრება ასეთია!

ბილი, ედვარდ მიურეის მეხუთე შვილი იყო. ოჯახი ილინოისის შტატის ქალაქ უილმეტში ცხოვრობდა. მამა, ხის მასალით ვაჭრობდა. დედა, ოჯახს უძღვებოდა. მრავალრიცხოვანი ოჯახი პატარა სახლში ცხოვრობდა, სადაც განმარტოებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ბავშვები კარგად ხედავდნენ, რომ მშობლებს დამქანცველი სამუშაო ჰქონდათ, ამიტომ, მუშაობა თავადაც ადრე დაიწყეს. ბილი ადგილობრივ გოლფ-კლუბში მუშაობდა და მდიდარი მოთამაშეების ჯოხებს და ბურთებს დაატარებდა. იმ დროიდან მოყოლებული, ეს თამაში იმდენად შეუყვარდა, რომ დღეს კევინ კოსტნერთან ერთად გოლფის პროფესიონალთა ტურნირებში მონაწილეობს. მიურეის უმაღლესი განათლება არ მიუღია, რადგან კოლეჯიდან მარიხუანის მოხმარების გამო გამოაგდეს. ბილმა სცენას მიაშურა. ჩიკაგოს საქალაქო თეატრში მარიხუანის მოწევა და მსგავსი წვრილმანები არავის აღელვებდა. მალე მიურეის ცხოვრებაში ტელევიზიაც შემოვიდა და ის ჯონ ბელუშისთან ერთად, ძალზე პოპულარული, შაბათის ტელეშოუს წამყვანი გახდა.

ნიჭიერი და პოპულარული მსახიობის, ჯონ ბელუშის სიკვდილმა (მსახიობი ნარკოტიკების გადაჭარბებულმა დოზამ იმსხვერპლა), ბილი სულით ხორცამდე შეძრა. მან ჭკუას მოუხმო და დამღუპველ ჩვევას სამუდამოდ დაემშვიდობა; მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში მის კინოკარიერაში აღმასვლა დაიწყო. „ფრიკადელები“, „მოჩვენებებზე მონადირენი“, „ტუტსი“ — აი, არასრული სია იმ კომედიური კინოჰიტებისა, რომლებმაც მიურეის საოცარი პოპულარობა მოუტანა.

— ამბობენ, თითქოს მძიმე ხასიათი გაქვთ. თქვენ არ გყავთ აგენტი, მენეჯერი, პრესმდივანი. ისინი უბრალოდ სამსახურიდან დაითხოვეთ...

— თავს მათ გარეშეც მშვენივრად ვგრძნობ. ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება ჩინებულად აეწყო, არაჩვეულებრივ ფილმებში ვთამაშობ და არავინ მიკარნახებს, ჩემი კარიერის საკეთილდღეოდ, რომელი როლი ვითამაშო და რომელი — არა; ისე, უპირატესობას დამოუკიდებელ პროექტებს ვანიჭებ. ისეთებს, სადაც მსახიობზე ფულით ძლიერი ზეწოლა არ ხდება. ჰოლივუდის დიდი სტუდიების ფილმები უკვე მაღიზიანებს. დღეს მთავარი სიახლე ის კი არ არის, თუ რომელი რეჟისორი გადაიღებს სურათს და რომელი მსახიობები ითამაშებენ, არამედ ის, თუ რამდენ მილიონ დოლარს ითვლის სურათის ბიუჯეტი. ეს გასაგებიცაა, სტუდიის მფლობელები ხომ აქციონერი ბიზნესმენები არიან და არა კინომოღვაწენი. მე ფულის გამო არ ვმუშაობ, რადგან ჩემს პროფესიას პატივს ვცემ და ადამიანთა ნდობას ვაფასებ.



ცოლთან, ჯენიფერთან და შვილებთან — ჯექსონთან, კალებთან და კუპერთან ერთად ფილმის პრემიერაზე ჰოლივუდი, 2001 წ.

— პატივმოყვარეობის საკითხზე რას იტყვით? ძალიან გეწყინათ, როდესაც თქვენი „ოსკარი“ შონ პენმა წაიღო?

— ძალიან რომ მწყენოდა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებდი. მე კი, როგორც ხედავთ, ცოცხალი და საღ-სალამათი ვარ. ჩემს სამსახიობო ბედს ბევრი კარგი რამ უკავშირდება და ეს ყველაფერი დავიმსახურე. ასე რომ, თუ ჩემი კარიერა ამით დასრულდება — არ ვიდარდებ. სხვა საქმეებს მივხედავ *(მსახიობი რესტორნის და ბეისბოლის გუნდის მფლობელია)*, ჩემს ცხოვრებაში კინოს გარდა, სხვა, უფრო დიდი ფასეულობებიც არსებობს, პირველ რიგში — ჩემი ოჯახი. ბავშვებს კიდევ უფრო მეტ დროს დავუთმობ. მათთან ერთად გიტარაზე დავუკრავ, წიგნებს წავუკითხავ და გოლფს ვითამაშებ. საქმეს რა გამოლევს?!

იტალია ტომ კრუზის და კეიტ ჰოლმსის ქორწინებას არ ცნობს

2006 წლის 18 ნოემბერს, იტალიის ქალაქ ბრაჩანოში, ჰოლივუდის ვარსკვლავების ტომ კრუზისა და კეიტ ჰოლმსის ქორწილი შედგა; მაგრამ ბრაჩანოს მერი — პატრიცია რიჩონი აცხადებს, რომ იტალიის კანონმდებლობის თანახმად, მათი ქორწინება ბათილად მიიჩნევა. ეს სკანდალური ცნობა ბრიტანულმა გაზეთმა News of the World გამოაქვეყნა და შემდგომ

სააგენტო WENN-მა გაავრცელა. პატრიცია რიჩონი განმარტავს, რომ საქორწინო ცერემონიაზე მისი დასწრება 2 მიზეზის გამო იყო აუცილებელი: ჯერ ერთი, იტალიური კანონდებლობა საიენტოლოგიურ ქორწინებას არ ცნობს და მეორეც, იმისთვის, რომ ორჯერ განქორწინებული ტომ კრუზის ქორწინება კანონიერად ჩაითვალოს, ცერემონიას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი უნდა დაესწროს. რიჩონი კი, ცერემონიაზე მიწვეული არ ყოფილა. ტომ კრუზის და კეიტ ჰოლმსის პრესატაშემ არნოლდ რობინსონმა ქორწილის წინ გაზეთ New York Daily News კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს ქორწინება კანონიერად ჩაითვალოს“.

ეთრთ მეფი, ვიდრე ემრალოდ მეგობრობა

ახალგაზრდა კინოვარსკვლავები ორლანდო ბლუმი და კირსტენ დანსტი, რომლებიც ფილმში „ელიზაბეტთაუნი“ პარტნიორები არიან, დიდხანს უარყოფდნენ, რომ მეგობრობაზე უფრო ღრმა და ძლიერი გრძნობა აკავშირებთ ერთმანეთთან. მაგრამ რამდენიმე დღის წინ, წყვილი იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც ისინი ლოს-ანჯელესის მდიდრულ სასტუმროში ერთმანეთს თავდავიწყებით კოცნიდნენ. „ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და არ ფიქრობდნენ, რომ მათ ხალხი ხედავდა. სასტუმრო Chateau Marmont ის ადგილი არ არის, სადაც რომანტიკული ურთიერთობის დასამალავად დაიარებიან. ამ სასტუმროში პაემნის დანიშვნა იგივეა, რომ საჯარო განცხადება გააკეთო“, — ამბობს შეყვარებულთა ვნებიანი ალერსის „უნებლიე“ მოწმე.

მელ გიბსონი — წლის ყველაზე ექმური ადამიანი



კინოინდუსტრიისადმი მიძღვნილმა დამოუკიდებელმა ვებ-საიტმა Film Threat ჰოლივუდის ყველაზე „ცივი“ ადამიანების სია გამოქვეყნა. ყველაზე უღიმღამო კინოვარსკვლავთა სიის სათავეში მელ გიბსონი აღმოჩნდა. რეიტინგის ავტორებმა მსახიობს არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობლის მართვა და დაკავების დროს მისი ანტისემიტური გამოსვლები გაუხსენეს, გიბსონი სკანდალურად ცნობილ ბორატ საგდიევს შეადარეს და აღნიშნეს, რომ კომიკოს საშა ბარონ კოენის გმირს, ბორატს ებრაელები არ უყვარს, მაგრამ მელ გიბსონისგან განსხვავებით, ის გამოგონილი პერსონაჟია და ამიტომ, მისი სერიოზულად აღქმა არ შეიძლება. ავტორებმა აღნიშნეს, რომ გიბსონი რეიტინგის ყველაზე სუსტი, არაშთამაგონებელი და უინტერესო პერსონაჟია და მსახიობს ურჩიეს, რეაბილიტაციის მიზნით, საშა ბარონ კოენთან ერთად, „ბორატის“ გაგრძელება ისრაელში გადაიღოს! გიბსონისა და ბორატის გარდა, სიაში მოხვდნენ ლინდსეი ლოჰანი, ჯენიფერ ენისტონი და უესლი სნაიპსი. 2005 წლის რეიტინგის ლიდერებმა — ტომ კრუზმა და კეიტ ჰოლმსმა წელს მეათე ადგილზე გადაინაცვლეს.

ჰარი პოტერის პირველი კოცნა

კინომსახიობ დენიელ რედკლიფს 24 დუბლი დასჭირდა იმისთვის, რომ მისი კინოგმირის — ჰარი პოტერის პირველი კოცნის სცენა გადაეღოთ. ეს სცენა ნორჩი ჯადოქრის თავგადასავლების შესახებ გადაღებული ახალი ფილმის — „ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი“ — ნაწილია. გადაღების თვითმხილველნი ირწმუნებიან, რომ 24 დუბლის გადაღება იმიტომ კი არ გახდა საჭირო, რომ 17 წლის რედკლიფმა და მისმა პარტნიორმა კეიტ ლიუნმა დასახულ ამოცანას ანუ კოცნას თავი ვერ გაართვეს. „როგორც ჩანს, მათ უბრალოდ გახალისება გადაწყვიტეს“, — ამბობენ გადამღები ჯგუფის წევრები. ჰარი პოტერის შესახებ გადაღებული ახალი ფილმი, ეკრანებზე 2007 წლის ივლისში გამოვა. კინოსტუდია Warner Brothers-მა ფოტოსურათები ახალი ფილმიდან უკვე გამოაქვეყნა. „ფენიქსის ორდენში“ რედკლიფისა და ლიუნის გარდა, მაყურებელი კვლავ იხილავს რუპერტ გრინს (რონ უიზლი) და ემა უოტსონს (ჰერმიონა გრეინჯერი). სურათში თამაშობენ ვარსკვლავები — ჰელენა ბონემ კარტერი, რალფ ფაინსი და მეგი სმიტი.

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

დილით ადრე გაღვიძებას შეჩვეულია. დღე მის ოჯახში 8 საათზე იწყება. ყველა ფუსფუსებს. მეუღლე საუზმეს ამზადებს, შვილები სკოლაში წასასვლელად ემზადებიან. მამა მათ თავად აცილებს ხოლმე. როგორც წესი, მერე აუზზე მიდიოდა ან კუს ტბაზე ადიოდა და სულ ცოტა 4-5 წრეს დარბოდა. უკვე რამდენიმე თვეა, არ უვარჯიშია, თუმცა სპორტული ჟინი არ განელებია და კვლავ აპირებს, რომ ჯანმრთელი წესით იცხოვროს. ეს მისთვის უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული და დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს, ცდილობს, ოჯახს თავისი წილი ყურადღება არ მოაკლოს. ასეთი სამაგალითო ოჯახის უფროსი, მრეწველთა პარტიის ერთ-ერთი სახე — პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი გახლავთ.

იდეალური წყვილის „პირველი ნახევარი“ საპარლამენტო უმრავლესობაში გადასვლას გვპირდება

ნათია ქარუმიძე

— რამდენად წარმატებული ადამიანი ბრძანდებით და რა მიგაჩნიათ თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდ წარმატებად?

— წარმატებაც მქონია და წარუმატებლობაც. ამის გამო, ტრაგედია არასოდეს „შემიქმნია“. ადამიანი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. ჩემს დიდ წარმატებად მიმაჩნია ოჯახის შექმნა, დაქორწინება, შვილების შეძენა. საკმაოდ წარმატებულად მივიჩნევ ჩემს კარიერას. რამდენიმე სამსახური მაქვს გამოცვლილი და ყველგან წინსვლა მქონდა. ვფიქრობ, რომ კარგი განათლების მიღებაც წარმატებაა, მით უმეტეს, რომ ისეთ დროში მომიწია სწავლამ, როდესაც ამისთვის არავის ეცალა. ქვეყანაში არეულობა იყო... წარმატებას მივაღწიე სპორტშიც: რეგბის ვთამაშობდი (ვერაფრით შევეგუე, „რაგბს“ რომ ამბობენ: როდესაც მე ვთამაშობდი, სპორტის ამ სახეობას „რეგბი“ ერქვა). ვიყავი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

— სპორტისთვის ველარ იცლით, ოჯახის წევრებიც ხომ არ გიჩივიან თქვენი მოუცლელობის გამო?

— ნამდვილად ჩივიან. სამწუხაროდ, დღეღამე მხოლოდ 24 საათისგან შედგება. ვერაფრით ვანაწილებ ამ დროს ყველასა და ყველაფრისთვის. თუმც ვცდილობ, ჩემს ოჯახსა და შვილებს არ მოვაკლო მათი წილი ყურადღება.

— და რაში გამოიხატება ეს?

— ძირითადად, შაბათ-კვირას ვიცლი მათთვის. გავდივართ ქალაქგარეთ, მივდივართ კინოში. ყოველთვის მიყვარდა კინოში სიარული. სანამ ყველაფერი დაინგრეოდა, ხშირად დავდიოდი. მახსოვს, სკოლიდან „შატალოზე“ ვიპარებოდით ხოლმე და „ყაზბეგში“ მივდიოდით. ხშირად მილიცია, უბნის ინსპექტორი ან „ბავშვთა ოთახის“ ინსპექტორები გვადგებოდნენ თავზე.

— რამდენჯერ ამოყავით თავი „ბავშვთა ოთახში“?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთხელ. ძალზე ყურადღებიანი ვიყავი და ვარ: სანამ რაიმე ნაბიჯს გადავდგამ, ავწონ-დავწონი, რომ უხერხულ სიტუაციაში არ ჩავიგდო ჯერ საკუთარი თავი და მერე — გარშემო მყოფნი. კინოშიც წინასწარ ვაფრთხილებდით დამლაგებელს და როგორც კი მილიცია შემოვიდოდა, ის დარბაზიდან ჩუმად გვაპარებდა.

— თქვენ შვილები თუ გიყვებიან ხოლმე მათი მსგავსი ოინების შესახებ?

— კი, რა თქმა უნდა... ბიჭი მეტ-ნაკლებად მაინც დედისკენაა და მას უფრო უყვება ყველაფერს. მეც ასე ვიყავი — მერჩივნა, დედისთვის გადამეშალა გული. გოგო პირიქით, ბევრ რამეს მიყვება. ბიჭი ისეთ ასაკშია, თავის შინაგან სამყაროში ჩაიკეტა და ბევრს არ ლაპარაკობს. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგი თვისებაა. ბრძენ ხალხს უთქვამს — დუმილი ოქროაო. არ უყვარს „თემების გაშლა“ და საიდუმლოს შენახვაც იცის.

— რა განსხვავებაა თქვენსა და მის თაობებს შორის?

— ღირებულების გადაფასება მოხდა. ახალ თაობას უფრო მეტი ინფორმაცია აქვს. ბავშვები სულ სხვა ინტერესებით იზრდებიან. მათი ბავშვობა უფრო დახუნძლულია პრობლემებით. ჩვენ უფრო ღაღი და უდარდელი ბავშვობა გვქონდა. ამ თაობას ცხოვრება უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი შვილი მიეჩვიოს დამოუკიდებლობას და არ ჰქონდეს ყველაფერი მზამზარეული.

— მეუღლეზე რას გვეტყვით?

— მე და ჩემმა მეუღლემ 1990 წელს ბულგარეთში, ალბენაში გავიცანით ერთმანეთი. ის, როგორც ქართველ მანდილოსანს შეეფერება, შეუვალი იყო. მე კი, როგორც მამაკაცს შეეფერება, ჯიუტად ვცდილობდი მისი გულის კარის გაღებას... 1 წელი გაგრძელდა ჩემი ტანჯვა და შემდეგ ეკამ ფარ-ხმალი დაყარა. ის 20 წლის იყო. ერთნაირად მომხიბლა, როგორც მისმა გარეგნობამ, ასევე მისმა მდიდარმა სულიერმა სამყარომ... წლებმა ჩემს მეუღლეს ვერაფერი დააკლო, პირიქით — შესძინა, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად... ჩვენ ერთი განწყობილების ადამიანები ვართ. იმისთვის, რომ ოჯახი ბედნიერი იყოს, ასეც უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 15-16 წელი ერთად ვერც იცხოვრებ. შენს მეორე ნახევარში ყოველდღიურად ახალ აღმოჩენას უნდა აკეთებდე. შვილები ოჯახს უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს და უფრო ადუღაბებს.

— რამდენად ტრადიციული ოჯახი გაქვთ?

— ტრადიციულები ვართ, მეტ-ნაკლებად. უტრადიციოდ ერი არ არსებობს. უტრადიციო, რუხ მასას მომავალი არ აქვს. სამწუხაროდ, უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებიც ელტვიან იმას, რომ აღმოფხვრან ბევრი ქართული ტრადიცია. ასეთ შემთხვევაში, საქართველო არშემდგარი ქვეყანა იქნება. გათქვეფა ერთა მასაში სიკეთეს არ მოგვიტანს. მე არ ვარ ქართველების განსაკუთრებულობის აპოლოგეტი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენ სწორედ ჩვენი ტრადიციებით ვფასობთ.

— თქვენ საბჭოთა ჯარში გიმსახურიათ, თანაც, ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა იდგამდა ფეხს და საბჭოთა ჯარში ქართველების მიმართ განსაკუთრებულ აგრესიას იჩენდნენ. რამეს ხომ არ მოგვიყვებით იმ პერიოდიდან?

— ვმსახურობდი აზერბაიჯანში, ლენქორანში. ძირითადად, აზერბაიჯანელები იყვნენ, თუმცა, რუსებიც ერივნენ. 6-7 ქართველი ვიყავით, მაგრამ ერთმანეთი

საბჭოთა ჯარში ქართველების მიმართ განსაკუთრებულ აგრესიას იჩენდნენ. რამეს ხომ არ მოგვიყვებით იმ პერიოდიდან?

— ვმსახურობდი აზერბაიჯანში, ლენქორანში. ძირითადად, აზერბაიჯანელები იყვნენ, თუმცა, რუსებიც ერივნენ. 6-7 ქართველი ვიყავით, მაგრამ ერთმანეთი გაგვქონდა, ვერავინ გვჩაგრავდა. ერთ ამბავს მოგიყვებით: ის პერიოდია, როდესაც სამაჩაბლოში სიტუაცია იძაბება. ჩვენთან იყო გიგლა ალიბეგაშვილი, რომელიც თუ არ ვცდები, ან თამარაშენიდან იყო, ან ერედვიდან — მოკლედ, რუსებზე არც ისე კარგი შეხედულების მქონე, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდა. მისი ოჯახის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. გიგლა ძიუდოისტი იყო. საბჭოთა ნაკრებში ჭიდაობდა, მსუბუქ წონაში. დაბალი, გამხდარი ბიჭი იყო, ცარიელი კუნთი. შეჯიბრების გამო უკან უნდა წასულიყო. ერთი ნაძირალა ოფიცერი გვყავდა, პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტაგიტაციის დარგში, ზადოროჟინი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ნაძირალა იყო, ამდენი წლის მერე მისი გვარი კიდევ რომ მახსოვს?! არ დაიჯერა, რომ ეს პატარა ბიჭი სპორტსმენი იყო. თავად ახოვანი, ზორბა მამაკაცი გახლდათ. გადაეკიდა გიგლას — მე და შენ უნდა ვიჭიდაოთო! გიგლამ ერთი რუსული სიტყვაც არ იცოდა. მე ვიყავი მისი თარჯიმანი. ზადოროჟინი რასაც ეუბნებოდა, მე უფრო გამძაფრებული ფორმით ვუთარგმნიდი — რომ ვერ გვიტანს ქართველებს და სხვა, — ცეცხლზე ნავთს ვასხამდი, რომ კარგად „დაეძუნა“. დაიწყეს ჭიდაობა. თავიდან გიგლა ცოტა წაბორძიკდა. ჩვენ აქედან შევუძახეთ და... „ბაში-აჩუკი“ რომ არის, ისე გაართხა მიწაზე ეს ზადოროჟინი. რაღაც მტკივნეული ილეთი გაუკეთა, მხარი კინაღამ ამოუგდო. სიმწრისგან ოფიცერს ცრემლებიც კი წამოსცვივდა. ჩვენ ძალიან ამაყები ვიყავით!



გია ცაგარეიშვილის შვილები

— როგორ ფიქრობთ, მიზანი ამართლებს საშუალებას?

— გააჩნია საშუალებას!

— ეი. არ ამართლებს?

— არა მგონია, მიზნისთვის ყველა საშუალება გამოდგეს. შესაძლოა, არის მიზანი, რომელიც „სიცოცხლეზე მეტია“ და მის მისაღწევად, ყველაფერი შეიძლება გააკეთო. ასეთი მიზანი ჯერ არასოდეს დამისახავს და ვერ ვიტყვი, რას გავაკეთებ და რა საშუალებებს მივმართავ.

— რამდენად ცვალებადი ხასიათი გაქვთ?

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, არ მქონდეს ან ნაკლებად ცვალებადი მქონდეს. თუმცა ხშირად, როცა პოლიტიკაში ხარ აქტიურად ჩაბმული, ხასიათის სიმტკიცე ძნელი შესანარჩუნებელია.

— რამდენად გეხერხებათ გუნდური თამაში?

— გუნდურ თამაშს ვთამაშობ. შესაძლებელია, ხშირად გუნდურისთვის პირადი შეხედულებებიც გამიწირავს, მაგრამ ეს მძიმეა ჩემნაირი ადამიანებისთვის.

— სად უფრო კომფორტულად გრძნობდით თავს — უმრავლესობაში თუ უმცირესობაში?

— ვერ გეტყვით. უმრავლესობაში არასოდეს ვყოფილვარ, სამწუხაროდ, ამჟამად ჩემი იდეური თვალთახედვა არ შეეფერება უმრავლესობისას და უმცირესობაში ვხედავ ჩემს ადგილს. ვერ გეტყვით, რომ ოპოზიციაში ყოფნა კომფორტულია. ეს არის უზარმაზარი ტვირთი. როგორც ყველა ჯარისკაცი ოცნებობს გენერლობაზე, მეც მინდა უმრავლესობაში აღმოვჩნდე და დღევანდელი უმრავლესობა — უმცირესობაში. გარწმუნებთ — ეს არ არის შორეული პერსპექტივა.

— მოგზაურობა გიყვართ?

— ძალიან.

— რომელ ქვეყანაში გიყვართ განსაკუთრებით ყოფნა და რამ გაგაღიზიანათ ყველაზე მეტად უცხო ქვეყანაში?

— მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი. ყველა ქვეყანა თავისებურია. ჩემთვის ყველაზე თბილი და საყვარელი ქალაქია ვენა. აღმოჩენა იყო ჩერნოგორიაც. საშინლად მაღიზიანებს „მაკდონალდსი“. ვფიქრობ, რომ იქ არ არის ჯანსაღი საკვები. მე მინახავს ამერიკაში, აბსოლუტურად გადაგვარებული ადამიანები, მსუქანი ქალბატონები, როგორ მიირთმევენ ვეებერთელა ჰამბურგერებსა თუ ჩისბურგერებს და აყოლებენ 2-ლიტრიან „კოკა-კოლას“... მირჩევნია, გემრიელ სახინკლეში შევიდე ჩემს ახლობლებთან ერთად, ვიდრე სწრაფი კვების რომელიმე ასეთ ობიექტში.

■

პორტუგალიური ღვინით აღნიშნული «ბორჯღალოსანთა» წარმატება

2003 წელს ჩვენი სპორტის ისტორიაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთადერთი გუნდი გახდა, რომელმაც სპორტის სათამაშო სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. „ბორჯღალოსნებმა“ ამ წარმატების მიღწევა მეორედაც შეძლეს და გასულ კვირას პორტუგალიაში ადგილობრივ ნაკრებთან ფრედ 11:11 დამთავრებული შეხვედრის შემდეგ, მსოფლიო თასის საგზური დაიბევეს. ქართველებს პირველი შეხვედრა 17:3 ჰქონდათ მოგებული და მათთვის მთავარი, 14-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება გახლდათ, რაც ჩვენმა მორაგბეებმა მშვენივრად მოახერხეს. აქვე გეტყვით, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გაისად საფრანგეთში სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ ჯგუფში „ბორჯღალოსანთა“ მეტოქეები — საფრანგეთის, ირლანდიის, არგენტინისა და ნამიბიის ნაკრებები იქნებიან.

ლაშა თაბაგარი

ქართული სპორტის წლის მოვლენაზე ჩვენი ნაკრების კაპიტნის, ***ილია ზედგინიძის*** *აზრი შემდეგი გახლავთ:*

— ყველანი უზომოდ გახარებული ვართ. გამარჯვების შემდეგ, მთელმა გუნდმა ღამე ერთად გავატარეთ და ლისაბონი „დავლაშქრეთ“. ეს წარმატება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული რაგბის დონე უკან დაიწევდა. ახლა კი მომავალ თაობას რაგბის თამაშის სურვილი გაუჩნდება და სპორტის ეს სახეობა საქართველოში კიდევ უფრო განვითარდება. მატჩამდე მოსამზადებელ პერიოდში, შეტევაში ხარვეზების გამოსწორებაზე ვფიქრობდით. პირველ შეხვედრაში, დაცვაში ნორმალურად გამოვ-

იყურებოდით, მაგრამ ლისაბონში უფრო მეტი ყურადღება გვმართებდა, რადგან პორტუგალიელები ყველაფერს იღონებდნენ მოსაგებად. განვლილი შეხვედრის საწყის ეპიზოდებში მცირე შეცდომები გვქონდა და პორტუგალიელები ამის გამოყენებას ცდილობდნენ. როგორც ჩანს, მეტოქემ პირველი თამაშის ვიდეოჩანაწერი კარგად გააანალიზა და ცდილობდა, სანამ უკან დახევას მოვასწრებდით, ხაზი გაერღვია... მეორე ტაიმში ეს კომპონენტიც გამოვასწორეთ და მასპინძლებს შეტევის განხორციელების ყველა შანსი წავართვით. თამაშის სადავეებს ჩვენ ვაკონტროლებდით და პორტუგალიას მსოფლიო თასზე გასვლის მცირედი შესაძლებლობაც არ დავუტოვეთ.

ლისაბონში მატჩის დაწყებამდე „ბორჯღალოსნებს“ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაუგზავნა ღია წერილი და ილოს თქმით, გუნდზე ამანაც დადებითად იმოქმედა:

— ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი ქართველის მხრიდან, თუნდაც ერთი გამამხნევებელი სიტყვა დადებითი მუხტის მომტანი იქნებოდა. ჩვენ საბრძოლო განწყობილება ისედაც არ გვაკლდა და ქვეყნის პირველი პირის მომართვამ კიდევ უფრო გაგვამხნევა. თან, წერილი უშუალოდ მატჩის წინ წაგვიკითხეს. მანამდე, საქართველოდან ჩამოტანილი ჩანაწერები გვიჩვენეს, სადაც რიგითი ქართველი მოქალაქეების მოწოდებები იყო. ცხადია, ასეთი ყურადღება ნებისმიერ სპორტსმენზე დადებითად მოქმედებს და ჩვენც მოედანზე არაფერი დაგვითმია...

ნაკრების კაპიტანმა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის შანსებიც შეაფასა:

— რა თქმა უნდა, ქვეჯგუფში ძალზე ძლიერი მეტოქეები გვყავს და ერთადერთი, ვისაც რეიტინგით ვჯობნით, — ნამიბიაა. თუმცა, რეიტინგი ამ გუნდის რეალურ ძალას არ ასახავს. მისი ძირითადი ბირთვი სამხრეთ აფრიკაში მოასპარეზე მორაგბეებისგან შედგება, რაც მათ ძალაზე თავისთავად მეტყველებს.

როგორც გაირკვა, საფრანგეთში მოსახვედრად, საქართველოს რაგბის კავშირმა „ბორჯღალოსნებს“ ფულადი ჯილდო დაუწესა და ეს ზედგინიძემაც დაადასტურა:

— პრემიები გათვალისწინებულია, მაგრამ რა თანხას მოგვცემენ, არ დაუკონკრეტებიათ. ალბათ, ყოველივეს როდესაც გაარკვევენ, ჩვენც მაშინ შეგვატყობინებენ.

განვლილი თამაშის შესახებ, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ***გოდერძი შველიძე*** *ამბობს:*

— პორტუგალიელთა მხრიდან ძლიერ თამაშს ველოდით და ამას მომზადებული შევხვდით. მეტოქე შინ ასპარეზობდა და დასაკარგი არაფერი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მიწურულს მოედანზე ორი კაცით ნაკლები დავრჩით, სასურველ შედეგს მაინც მივაღწიეთ. მსაჯობა კორექტული იყო და ამას ყველა ერთხმად აღნიშნავს. უელსელმა არბიტრმა შეხვედრა კარგად ჩაატარა. საერთო ჯამში, იმ ფაქტმა, რომ მსოფლიო თასზე მეორედ ვითამაშებთ, ყველა ძალიან გაგვახარა და დიდი დღესასწაული გვქონდა. პორტუგალიური თეთრი ღვინით — „პორტოთი“ მოვილხინეთ, თუმცა, ბევრი არ დაგვილევია...

პორტუგალიელებთან მატჩის დროს, ლისაბონის სტადიონზე ქართველ გულშემატკივართა მცირერიცხოვანი ჯგუფი იმყოფებოდა, რომელიც ორი ტაიმი „ბორჯღალოსნებს“ ერთგულად ქომაგობდა და ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ გულშემატკივართა ხმასაც ფარავდა. ყველა ქართველი მორაგბე და ცხადია, მათ შორის — შველიძეც ამ ხალხს დიდად ემადლიერება:

— უდიდეს მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომლებიც ასე ამოგვიდგნენ მხარში. სხვათა შორის, სტადიონზე მათმა ყოფნამ ძალიან გაგვაკვირვა, მაგრამ ამავე დროს, — გაგვახარა. მადლობელი ვარ ყველა იმ გულშემატკივრის, ვინც თბილისიდან ჩამოვიდა და აქ დაგვხვდა. ისინი თამაშამდე ტელეფონით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და სტადიონზე შეიკრიბნენ. დაახლოებით 50-ნი იყვნენ, მაგრამ მატჩის განმავლობაში ქომაგობა არ მოგვკლებია.

საფრანგეთში მოხვედრილ დანარჩენ გუნდებზე გოდერძი ამბობს:

— მსოფლიო თასზე მოთამაშე გუნდები ჩვენზე გაცილებით ძლიერები არიან როგორც ფიზიკურად, ასევე ტექნიკურად და ტაქტიკურად. საქართველოს ნაკრების მიზანია, მაქსიმალურად წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ყველას უნდა დავანახვოთ, რომ რაგბის თამაში ჩვენც შეგვიძლია. რაც შეეხება უშუალო მეტოქეებს ჯგუფში, — ცოტა ხნის წინ საფრანგეთის ნაკრები არგენტინას შეხვდა და ერთი ქულით ძლივს დაამარცხა. არადა, არგენტინა უგებდა. ირლანდიის ძალა ყველას მოეხსენება და სავარაუდოდ, ნამიბიასაც ჩვენზე ძლიერი ნაკრები ეყოლება. თუმცა, ისე არ გამიგოთ, რომ წაგებას აქედანვე შეგუებული ვართ. უბრალოდ, მსოფლიო თასზე უძლიერესი ნაკრები გუნდები და საუკეთესო მორაგბეები გამოდიან, ამდენად, წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ... ■

ლევან კობიაშვილი: «ტოპმიოლერმა დისციპლინა დაამყარა»

წლის მიწურული ლევან კობიაშვილისთვის, როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე ერთობ წარმატებული აღმოჩნდა. გერმანიის ბუნდესლიგის მე-10 ტურში გელზენკირხენის „შალკე“ საკუთარ მოედანზე მიუნხენის „ბაიერნს“ დაუზავდა 2:2 და ბავარიელთა კარში მეორე გოლი ულამაზესი დარტყმით სწორედ ლევან კობიაშვილმა გაიტანა.

ლაშა თაბაგარი

სხვათა შორის, კარიერის მანძილზე მან ოლივერ კანი მეორედ დაამწუხრა და პირველად ეს „ფრაიბურგში“ ასპარეზობისას მოახერხა. მაშინ, კობიაშვილმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა უნაკლოდ. ცხადია, ქართველ ნახევარმცველს გერმანელმა ჟურნალისტებმა გარჯა დაუფასეს და „ბაიერნთან“ დაპირისპირების შემდეგ, ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. გარდა ამისა, გასულ ოთხშაბათს მან ურუგვაიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში ეროვნულ გუნდს „უკაპიტნა“ და ორი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ლევანმა ნაკრებში გამოსვლის 10 წლის მანძილზე „დუბლი“ პირველად შეასრულა. კარიერის მანძილზე კობიაშვილმა ქვეყნის ღირსება, საერთო ჯამში, 67-ჯერ დაიცვა და ამ ხნის მანძილზე, თავის გამოჩენა 7-ჯერ შეძლო. სხვათა შორის, ჩვენი ნაკრების არსებობის ისტორიაში, მის შემადგენლობაში ყველაზე მეტი მატჩი გიორგი ნემსაძეს აქვს ჩატარებული, რომელიც 69 თამაშში მონაწილეობდა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „შალკეს“ ნახევარმცველი აღნიშნული მაჩვენებლის გაუმჯობესებას ალბათ მიმდინარე შესარჩევ ციკლში შეძლებს. კლაუს ტოპმიოლერი ლევანს ბოლომდე რომ ენდობა, ამას გელზენკირხენელთა შუახაზელის, ნაკრების ვიცე-კაპიტნად დანიშვნა მოწმობს. კახი კალაძის არყოფნაში, გუნდის კაპიტნის სამკლავურის მორგება სწორედ მას უწევს. ჩვენ კობიაშვილის თბილისში ყოფნით ვისარგებლეთ და საქართველო-ურუგვაის მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ.

— განვლილ შეხვედრაზე თქვენი აზრი როგორია?

— ურუგვაი ძალიან სერიოზული გუნდია, რომელიც ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მათი უმრავლესობა ევროპულ კლუბებში გამოდის. ვიცოდი, რომ ადვილი მატჩი ნამდვილად არ გველოდა. მით უმეტეს, ნახევარი გუნდი გვაკლდა. აქამდე ჩატარებულ შეხვედრებში თითქოს კარგად ვთამაშობდით, მაგრამ შედეგი არ გვქონდა. მოხარული ვარ, რომ ამჯერად გამარჯვებას მივაღწიეთ. ეს შეხვედრა ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ნამდვილი გამოცდა გახლდათ, რომელიც მათ წარმატებით ჩააბარეს. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, ურუგვაის ტაქტიკურად ვაჯობეთ. ტრავმირებულ ფეხბურთელთა დიდი რიცხვი გვაშფოთებდა, მაგრამ შეხვედრამ დაგვანახვა, რომ საბედნიეროდ, კლაუს ტოპმიოლერის სამწვრთნელო მეთოდები ნაკრების ყველა ფეხბურთელმა გაითავისა. განსაკუთრებით ის ფაქტი მინდა აღვნიშნო, რომ დაცვაში პრაქტიკულად უშეცდომოდ ვითამაშეთ. რაც შეეხება თავდასხმას, ამ რგოლში საქმე ყოველთვის ნორმალურად გვქონდა. უბრალოდ, მთავარია, პრობლემა მომენტების რეალიზაციასთან დაკავშირებით არ შეგვექმნას.

— როგორც ადამიანმა, რომელიც საქართველოს ნაკრებში ათი წელია თამაშობს, გუნდში ტოპმიოლერის მოსვლის შემდეგ კარდინალური ცვლილებები თუ შეამჩნიეთ?

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, იგი ჩვენი ტაქტიკური განათლებითაა დაკავებული. თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ ტოპმიოლერი ცდილობს, გუნდის მთავარი პრობლემა გადაჭრას და დისციპლინა დაამყაროს, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. ეს მან ნამდვილად მოახერხა. ჩვენს მოქმედებებში ავანტიურიზმი სულ უფრო ნაკლებად შეიმჩნევა და ამჟამად, ნაკრებში ყველამ კარგად იცის, თამაშის მსვლელობისას რა უნდა გააკეთოს. ცხადია, სულ სხვა საქმეა, ამას ვინ როგორ ასრულებს. ძალიან ცუდი გახლავთ, რომ ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით გუნდმა სრული შემადგენლობით ვერც ერთი თამაში ვერ ჩაატარა. არადა, გასულმა მატჩებმა დაგვანახვა, რომ ნაკრების წამყვანი მოთამაშეების არყოფნისას, მათი გამოცდილება მოედანზე გვაკლია. საერთო ჯამში, ბატონი კლაუსის მუშაობის პერიოდში გუნდი ტაქტიკური თვალსაზრისით გაიზარდა. მაგალითად, შეტევების დროს ვცდილობთ, საქმეში ორივე ფლანგი აქტიურად იყოს ჩართული. მას სურს, რომ გუნდში ყოველთვის რაიმე სიახლე შეიტანოს. პიროვნულად ტოპმიოლერი ძალიან დადებითი ადამიანია. ის ძალიან ხშირად ტელეფონით ეხმიანება არა მარტო გერმანიაში, არამედ საერთოდ ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებს და მათ თბილად მოიკითხავს ხოლმე.

— შესარჩევ ციკლში ალბათ, შოკის მომგვრელი იყო საკუთარ მოედანზე საფრანგეთის ნაკრებთან ანგარიშით — 0:3 განცდილი მარცხი...

— იმ მატჩის შემდეგ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ მინდა, მადლობა გადავუხადო გუნდს, რომელმაც გვაჩვენა, თუ როგორ უნდა ფეხბურთის თამაში. ფრანგებმა რაიმე წარმატებაზე ფიქრის მინიმალური შანსიც არ დაგვიტოვეს. ჩემს ცხოვრებაში ასე ფეხბურთი არ წამიგია. თუმცა ფრანგებთან შეხვედრის დროს, სამი იდეალური საგოლე მომენტი მაინც შევქმენით. სხვათა შორის, მარცხის მიუხედავად, მატჩის შემდეგ აღვნიშნეთ, რომ „სტანდარტულიდან“ არც ერთი გოლი არ გაგვიშვია. უკრაინაში სრულიად საპირისპირო რამ მოხდა.

— კიევში გუნდის განწყობილებაზე საფრანგეთთან 0:3 მარცხმა თუ იმოქმედა?

— რა თქმა უნდა, ეს უკრაინაში წაგების მთავარი ფაქტორი იყო. ასეთი წარუმატებელი თამაშის შემდეგ, გუნდმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგა, რომლის დასაბრუნებლად საჭირო იყო, კიევში კარგად გამოვსულიყავით. თუ ჩემთვის, შოთა არველაძისთვის, მალხაზ ასათიანისთვის

და გიორგი დემეტრაძისთვის მორალური წონასწორობის აღდგენა უფრო ადვილია, რადგან კარიერაში ბევრი რამ გვინახავს, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის საკუთარ თავთან გამკლავება შედარებით ძნელია. საწყენია, რომ ასეთი კარგი თამაშის მიუხედავად, დავმარცხდით. ისე ჩანდა, რომ ყველაფერი კარგად გავაკეთეთ, მაგრამ ტაბლოზე მაინც 3:2 ანგარიში დაფიქსირდა მეტოქის სასარგებლოდ. ძველმა „ავადმყოფობამ“ შეგვახსენა თავი და სტანდარტული სიტუაციებისას სუსტად ვითამაშეთ. ამ მატჩში ტრავმის გამო კახი კალაძე ვერ გვეხმარებოდა, რომლის გამოცდილებაც კუთხურებისას და საჯარიმოებისას ძალიან გამოგვადგებოდა. კიევში მეტოქემ სამივე ბურთი კუთხურიდან და ჯარიმებიდან გაგვიტანა. ჩვენ კარის მიმართულებით დანიშნული სტანდარტულისას სწორ თამაშს რომ ვისწავლით, შედეგიც მაშინ მოვა.

— „სამფეროვანთა“ წინააღმდეგ საყრდენ ნახევარმცველად ითამაშეთ, ხოლო უკრაინელებთან ტოპმიოლერმა გამთამაშებლად დაგაყენათ...

— მწვრთნელს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ტაქტიკურ სქემათა ვარირება მოეხდინა. თუ საფრანგეთთან ორი „საყრდენითა“ და ერთი „ფლეიმეიკერით“ ვითამაშეთ, კიევში სქემა შეიცვალა და თავდამსხმელები უკანა ხაზს უფრო ეხმარებოდნენ. რაც შემეხება მე, ნამდვილად თანაგუნდელთა ყველა შეცდომის გამოსწორება მქონდა დავალებული. საერთოდ, საქართველოს ნაკრებში გამოსვლის მრავალი წლის განმავლობაში უკვე მივეჩვიე, რომ თამაში სხვადასხვა პოზიციაზე მიწევს. რა უნდა ვქნა? ჩვენს ქვეყანაში ხომ კვალიფიციური შემსრულებლების დეფიციტია. თუ ადრე გუნდის ლიდერები ჯანმრთელად იყვნენ და მწვრთნელს არჩევანის საშუალება ჰქონდა, ახლა თაობათა ცვლა დაიწყო და მწვრთნელს ფეხბურთელთა გადაადგილება ჭადრაკის ფიგურების მსგავსად უწევს.

— იმ დასანანი მარცხის შემდეგ, კლაუს ტოპმიოლერმა გასახდელში რა გითხრათ?

— იგრძნობოდა, რომ ის ძალიან გულნატკენი იყო. საერთოდ, არც ფეხბურთელები ვიყავით კარგ ხასიათზე, რადგან ყველამ ვიცოდით, სად დავუშვით ბევრი შეცდომა. ამიტომ, მწვრთნელს რომ დავეტუქსეთ, არავითარი აზრი არ ჰქონდა. მან უბრალოდ შეცდომებზე მიგვითითა და გვთხოვა, რომ ისინი მომავალში აღარ გაგვმეორებინა. ტოპმიოლერმა აღნიშნა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და გვითხრა, რომ გუნდს ცუდად არ უთამაშია.

— იტალიელებთან თამაშს როგორ შეაფასებდით?

— სამწუხაროდ, იმ მატჩს სახლში, ტელეეკრანზე ვუყურე. ჩვენმა გუნდმა ნამდვილად კარგი თამაში აჩვენა და პირველ ტაიმში ძნელი იყო იმის თქმა, მოედანზე მყოფთაგან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს რომელი ნაკრები ატარებდა. თუმცა, როგორც სხვა დროს მომხდარა, ჩვენს კარში ყველაფერი უნდა გავიდეს, რაც მისი მიმართულებით მოფრინავს. ამ შემთხვევაში, პირველ გოლს ვგულისხმობ. გარდა ამისა, საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა იქონია ჯაბა კანკავას გაძევებამ. პირლომ იცოდა, რომ მას ყვითელი ბარათი ჰქონდა და იმ ეპიზოდში მოედანზე დაცემა აშკარად, „გააფორმა“.

— ჯგუფის ფავორიტებთან დამარცხების შემდეგ, საბოლოო წარმატების იმედი ხომ არ დაკარგეთ?

— ამის შესახებ ლაპარაკი ნაადრევია. ჯერჯერობით ფეხბურთელებს ტოპმიოლერის და მისი სიტყვების სჯერათ, რომ შეგვიძლია, ძლიერი გუნდი გავხდეთ, რომელიც მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებს თანაბრად ეთამაშება. ამიტომ, ყველაფერს

გავაკეთებთ, რომ როგორც მწვრთნელს, ასევე საკუთარ თავს დავუმტკიცოთ, რომ შეგვიძლია ერთსულოვანი კოლექტივი, არა მხოლოდ მოედნის გარეთ, არამედ მის ფარგლებშიც ვიყოთ.

— როგორ ფიქრობთ, გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის განახლებისას, საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთეს თამაშს აჩვენებს?

— ამის დიდი იმედი მაქვს. მთავარია, რომ გუნდის ყველა ლიდერი მწყობრში იყოს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, ჯგუფში დაპირისპირება რა დონის მეტოქეებთან გვიწევს. იტალიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ მხოლოდ კარგად თამაში, ცოტაა. მათ წინააღმდეგ პრაქტიკულად, შეცდომა არ უნდა დაუშვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ყოველ მატჩში მოსაგებად ვიბრძოლებთ, ხოლო ჯგუფის ფავორიტებთან მინიმუმ ფრეს ვგეგმავთ. გაზაფხულზე ოფიციალური შეხვედრების წინ, საქართველოს ნაკრების მომზადების დონე 7 თებერვალს თურქებთან ამხანაგური თამაშის დროს გამოჩნდება.

— ამ სეზონში „შალკეს“ წინაშე რა ამოცანები დგას?

— ჩვენი მთავარი მიზანი — ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა. ჩემპიონატში ცუდი სტარტი ნამდვილად არ გვქონია და არაა გამორიცხული, პირველი ადგილისთვისაც ვიბრძოლოთ.

— როგორც ფეხბურთელს, ამ ხნის განმავლობაში გელზენკირხენში თამაშმა რა შეგმატათ?

— ფეხბურთელისთვის სულ სხვაა, როდესაც მისი გუნდი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და როდესაც გამოდის კლუბში, რომელსაც ჩემპიონობის ამბიცია აქვს. „შალკეში“ გამოსვლამ ის მომიტანა, რომ ყოველი მატჩის წინ, მინდორზე გასვლისას, მეტოქის წინაშე ჩვენი გუნდის უპირატესობაში დარწმუნებული ვარ, რაც ფეხბურთელისთვის დიდი პლუსია. სუსტ გუნდში გამოსვლისას კი ფიქრობ, რომ იგივე „ბაიერნი“ შენზე ძლიერია და მასთან დამარცხების შემთხვევაში ტრაგედიას არ ქმნი.

— კლუბის გულშემატკივრებს თქვენ მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ?

— ასეთი დონის გუნდს გულშემატკივარიც განსხვავებული ჰყავს. იმ შემთხვევაში, როდესაც „შალკე“ წარმატებას აღწევს, ქომაგები მას სულ სხვა თვალით უყურებენ, ვიდრე წარუმატებლად გამოსვლისას. გელზენკირხენში ფანები მხარს უფრო გულმხურვალედ მაშინ გვიჭერენ, როდესაც გუნდი მაღალ შედეგს აღწევს. ამ მხრივ ფრაიბურგში სულ სხვა დამოკიდებულება იყო — როდესაც ვაგებდით, გულშემატკივრები პირიქით, გვამხნევებდნენ და ამბობდნენ, გამოუსწორებელი არაფერი მომხდარაო. „შალკეში“ კი ქომაგები ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ. მართალია, ჩემ მიმართ ადგილობრივი გულშემატკივრები კეთილგანწობილი არიან, რასაც მოედანზე და მის გარეთაც ვგრძნობ, მაგრამ ფრაიბურგში სულ სხვა იყო. ■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-47

რომანი დაახლოებით ოცი წუთი ათვალიერებდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ბოლოს ფურცლების დასტა და კალამი დაიდო მაგიდაზე და ნიკას მიუბრუნდა.

— მე ერთი წესი მაქვს... საქმეს ჩემზე უკეთ იცნობ. ამიტომაც ჯერ შენ მოგისმენ.

— კარგი. საიდან დავიწყოთ?

— დავიწყოთ იქიდან, საიდანაც იწყება ყველა საქმე: თავიდან... — ამ სიტყვებთან ერთად, რომანმა კალამი მოიმარჯვა და დაამატა: — აღვადგინოთ მოვლენათა ქრონოლოგია.

— თავდასხმიდან? — ჰკითხა ნიკამ.

— არა, — თავი გააქნია რომანმა, — ნუ მივყვებით მათ მოქმედებას. ეს დაჭერობანას თამაშის ტოლფასია. ჩვენი სქემა შევადგინოთ. დავიწყოთ პირველი მოვლენიდან, რომელიც ამჟამად ჩვენთვისაა ცნობილი.

— ეს კოტე ზარანდიას დაღუპვაა, — უპასუხა ნიკამ.

— კეთილი... — რომანმა ფურცელზე წრე მონიშნა, წრის შიგნით ჩაწერა: „ზარანდია“ და თქვა: — რა ვიცით ამ შემთხვევის შესახებ?

— ზარანდია პარიზში, უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. შემთხვევა ფრანგულმა პოლიციამ დააფიქსირა. მათი მონაცემებით, ზარანდია თავისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ფანჯრიდან გადმოვარდა. ამ დროს ის მთვრალი იყო. ფრანგულმა პოლიციამ ვერ აღმოაჩინა ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები, ამიტომაც ფაქტი უბედურ შემთხვევად შეაფასა.

— რას საქმიანობდა ზარანდია პარიზში?

— ის ტურისტული ვიზით იმყოფებოდა საფრანგეთში.

— მე და შენ კარგად ვიცით, რომ რიგითი ქართველები პარიზში ეიფელის კოშკისა და მონმარტრის მოსანახულებლად არ დაიარებიან...

— მართალია. მაგრამ ფრანგულმა პოლიციამ სხვა მონაცემის მოპოვება ვერ შეძლო. ზარანდიას საქმიანობაზე აქაც ვერაფერი შევიტყვე. მისი ნაცნობები და ოჯახის წევრები მხოლოდ ერთ განმარტებას იძლევიან: კოტე ტურისტული ვიზით გაემგზავრა საფრანგეთში. რა, ეს აკრძალულია?.. — იკითხა ნიკამ. — მაგრამ ამავე დროს, არსებობს მონაცემები, რომ ზარანდია სისტემატურად მიემგზავრებოდა საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

— მაინც რას უკავშირებენ მისი ოჯახის წევრები ამას?

— კომერციას. მათ მაცნობეს, რომ ზარანდია პარფიუმერიით ვაჭრობდა. მე გადავამოწმე ეს ინფორმაცია. ზარანდია მართლაც ამარაგებდა პარფიუმერიით რამდენიმე ქართველ საქმოსანს, მაგრამ ეს ის რაოდენობა არ არის, რომლის გამოც საფრანგეთში ყოველთვე გამგზავრება იქნებოდა საჭირო.

— კარგი... რა ვიცით მისი და დარახველიძისა და კუტივაძის ურთიერთობის შესახებ? — განაგრძო რომანმა.

— მათ ჰქონდათ ურთიერთობა, მაგრამ ახლო მეგობრები მაინც არ იყვნენ.

— და ამ დროს, დარახველიძემ და კუტივაძემ გარდაცვლილის სამშობლოში გადმოსვენება ითავეს. უცნაურად ხომ არ გეჩვენება ასეთი ქველმოქმედება?.. ეს ხომ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული.

— ეს ზარანდიას ოჯახის წევრებსაც გაუკვირდათ. მაგრამ მაინც დართეს ნება დარახველიძეს გვამის გადმოსვენებაზე. მიზეზი გასაგებია. დარახველიძემ საკუთარ თავზე აიღო ყველა ხარჯი...

— აქ შევჩერდეთ... — შეაწყვეტინა რომანმა. — და დავბრუნდეთ თბილისში. ესე იგი, ვითარება ასეთია: ზარანდია დაიღუპა, დარახველიძე ცხადდება საავადმყოფოში და ფრანგ სამართალდამცველებს, ქართველ ელჩსა და ზარანდიას ოჯახის წევრებს გვამის სამშობლოში გადმოსვენებას სთავაზობს. წინადადება ყველასათვის მისაღებია. ფრანგებს ყოველივე ეს, ნაკლებად აინტერესებთ. საელჩო თავისუფლდება რაიმე პასუხისმგებლობისგან, ზარანდიას ოჯახი კი — ხარჯებისგან... და რა ხდება ამ დროს თბილისში?..

— იმ დღეს — არაფერი. მეორე დღეს კი... იკარგება იოსებ ნანიკაშვილის ჯიპი!.. — აუჩქარებლად ჩაილაპარაკა ნიკამ.

— საქმეც მაგაშია!.. — თითები გაატკაცუნა რომანმა. — როგორ ფიქრობ, რისთვის გაიტაცეს ჯიპი?

— იმისთვის, რაშიც შემდგომ გამოიყენეს, — უყოყმანოდ მიუგო ნიკამ, — ამის დამადასტურებელი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ მე მანიც მჯერა, რომ ჯიპი სწორედ თავდასხმისთვის გაიტაცეს! არ ვიცი, როგორ აგიხსნა...

— არც არის საჭირო, — გაეღიმა რომანს, — ამას გამომძიებლის ინტუიცია ჰქვია. მაგრამ რას გკარნახობს ინტუიცია თვით ამ შუალედურ რგოლზე?

— ვიღაცამ უკვე იცოდა, რომ ეს ჯგუფი საქართველოსკენ მოემგზავრებოდა...

— ჯგუფი თუ გვამი? — ჩაეძია რომანი.

— ჯგუფი... ამ შემთხვევაში, გვამი არავის აინტერესებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ დაწვავდნენ და არც მიატოვებდნენ.

— უფრო კი...

— კუბო!.. — არ დაასრულებინა ნიკამ.

— მაინც საიდან უნდა გაეუონა ინფორმაციას ჯგუფის საქართველოში დაბრუნების შესახებ?.. — შუბლი მოისრისა რომანმა.

— ამის უთვალავი შესაძლებლობა არსებობდა: ზარანდიას ოჯახის წევრები, მათი ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, თუნდაც, საელჩოსა და საბაჟოს თანამშრომლები. ასე რომ, დაინტერესებულ პირს ამის შეტყობა არ გაუჭირდებოდა.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა რომანი, — ეს მკვდარი მიმართულებაა, რომელიც არაფერს მოგვცემს და თავდამსხმელებთანაც ვერ მიგვიყვანს... კეთილი, რა მოხდა შემდეგ?

— თავდასხმა, — მოკლედ მოჭრა ნიკამ.

— არა, — თავი გააქნია რომანმა, — და საერთოდ, მე უკმაყოფილო ვარ შენი მუშაობით ამ ნაწილში...

— რატომ? — გაოცებული მზერა ესროლა ნიკამ.

— იმიტომ, რომ თავდასხმამდე მოხდა ჩასაფრება. მეფუტკრემ საკმაოდ კარგად აღწერა თავდასხმა. გარდაცვლილებიც და თავდამსხმელებიც შეიარაღებულები იყვნენ. გზატკეცილზე ორმხრივი სროლა მიმდინარეობდა. რას ნიშნავს ეს?.. საიდან აღმოაჩნდათ საფრანგეთიდან ჩამოსულ დარახველიძესა და კუტივაძეს იარაღი?

— ვფიქრობ, იარაღი ფურცელაძემ ჩაიტანა ბათუმში, — უპასუხა ნიკამ.

— ან ვიღაც სხვამ, ვინც ჯერჯერობით, არსად დაფიქსირებულა, — შენიშნა რომანმა.

— არა მგონია, — თავი გააქნია ნიკამ, — მაშინ ის პირი ან პიროვნებები მიკროავტობუსში იქნებოდნენ ან კიდევ, სხვა მანქანით გააცილებდნენ ფურცელაძის ჯგუფს. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ შეტაკებაში.

— გეთანხმები, მაგრამ ამ შემთხვევაში მე, დარახველიძისა და ფურცელაძის მოქმედებაზე მეტად, თავდამსხმელები მაინტერესებენ. ერთ გარემოებას მიაქციე ყურადღება: დარახველიძე და ფურცელაძე თავიდანვე ზრუნავდნენ იარაღზე. ეს მათთვის უსაფრთხოების გარანტიას ნიშნავდა — საკუთარი და ტვირთის უსაფრთხოების, რომელსაც აუცილებლად უნდა ჩამოეღწია თბილისამდე. იარაღზე ასევე ზრუნავდნენ თავდამსხმელები, რომლებისთვისაც წინასწარ იყო ცნობილი, რომ დარახველიძე, კუტივაძე და ფურცელაძე უბრძოლველად არ დაანებებდნენ ტვირთს. მეთანხმები?

— გეთანხმები, — თავი დაუქნია ნიკამ.

— ეს ყველაფერი თავდასხმის საგანგებო მომზადებაზე მიუთითებს. ახლა კი გაიხსენე, თუ სად დაიქირავა დარახველიძემ მიკროავტობუსი?

— სარფში.

— ესე იგი, მათი გადაადგილების საშუალება თავდამსხმელებისთვისაც უცნობი იყო და რა უნდა მოემოქმედებინათ მათ ასეთ შემთხვევაში?

ნიკამ დუმილით უპასუხა.

— მათ საკუთარი თვალით უნდა ენახათ სარფიდან ფურცელაძის ჯგუფის გამომგზავრება. სარფში ხარ ნამყოფი?..

— ბევრჯერ.

— მაშინ ისიც გეცოდინება, რომ იქ შეზღუდული სივრცეა და ჯიპს, რომელმაც რამდენიმე საათი და შესაძლოა, დღე-ღამეც გაატარა საბაჟოსთან, ვიღაცა მაინც შენიშნავდა, — თქვა რომანმა.

— ვერ დაგეთანხმები, — მიუგო ნიკამ, — მე ვიფიქრე ამაზე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამისთვის საბაჟოსთან წრიალი საჭირო არ გახდებოდა, მით უმეტეს — იარაღით ხელში. მეთვალყურეობას ერთი კაციც შეძლებდა. დანარჩენები კი, გზის რომელიმე მონაკვეთზე მანქანით ჩასაფრდებოდნენ. სარფიდან ბათუმამდე მხოლოდ ერთი გზატკეცილია და დარახველიძე და ფურცელაძე მაინც ვერსად მიიმალებოდნენ.

— დაგეთანხმებოდი, რომ არა ერთი გარემოება: ჩვენ ვიცით, რომ ბერიძესთან შეთანხმება და სარფიდან ჯგუფის გამგზავრება ძალიან სწრაფად მოხდა; ასეთ შემთხვევაში მეთვალყურე ველარ მოხვდებოდა ჯიპში. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდია, მაგრამ შენ, როგორც გამომძიებელს, მაინც არ უნდა გამოგერიცხა კვალზე დადგომის შესაძლებლობა და ეს ვარაუდიც უნდა გადაგემოწმებინა, — თქვა რომანმა, — თავდამსხმელების ვიზუალური აღწერილობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა!..

— ვიღებ შენიშვნას... გამოსწორების საშუალებას თუ მომცემ? — უპასუხა ნიკამ.

— კი არ მოგცემ, დაგავალებ... მაგრამ ეს არ არის შენი ერთადერთი შეცდომა! — შენიშნა რომანმა.

— კიდევ რა გამომიჩხრიკე? — იწყინა ნიკამ.

— ამას მოგვიანებით გეტყვი. ახლა კი განაგრძე, — უპასუხა რომანმა და ფურცელზე გეომეტრიული ფიგურების გამოყვანას შეუდგა.

— თავდასხმის დეტალები გაინტერესებს?

— არა, — რომანს ფურცლისთვის თვალი არ მოუწყვეტია, — ამ მასალებს კარგად ვიცნობ. ქარელის ეპიზოდზე გამიზიარე შენი მოსაზრებები.

— ქარელის თაობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვი. თავდამსხმელებმა კუბო გახსნეს, სავარაუდოდ, ტვირთი ამოიღეს. შემდეგ, მანქანა, კუბო, გვამი და თავდასხმისას გამოყენებული იარაღი დაწვეს და მიიმალნენ.

— ნივთმტკიცებები გაანადგურეს... — ჩაურთო რომანმა.

— ჰო, — დაეთანხმა ნიკა და ამასთან ერთად, ფურცელს მიაპყრო მზერა.

ვიდრე ის საქაღალდეს ფურცლავდა, რომანს კიდევ რამდენიმე გამოსახულება შეექმნა. საერთო სურათმა ნიკას აბლაბუდა მოაგონა. გამოსახულების ცენტრში დახატული იყო წრე, რომელშიც ეწერა „ზარანდია“; წრიდან სხვადასხვა მიმართულებით გასმული იყო ხაზები; ხაზები სრულდებოდა გეომეტრიულ ფიგურებში, წრეებსა და მართკუთხედებში ჩასმული სიტყვებით: ქარელი, ჯიპი, გვამი, ბარათი, შეცდომა...

— რა არის ეს? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— არაფერი. გონების კონცენტრაციაში მეხმარება, — რომანმა სწრაფად ჩაათვალიერა შემთხვევის დათვალიერების ოქმი და შემდეგ თქვა: — იქ აღმოაჩინე ბარათი, რომელმაც გრძელიძესთან მიგვიყვანა!..

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა ნიკამ, — რას გულისხმობ შეცდომაში?

— მოგვიანებით გეტყვი. ახლა კი, გრძელიძე-გორგაძის კავშირს დავუბრუნდეთ. რეალურად გეჩვენება მათი ამ საქმესთან კავშირი?

— ძნელია ამაზე მსჯელობა. გორგაძე მკვდარია და მისგან ვერაფერს გავიგებთ. გრძელიძე კი კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს საქმესთან და ვფიქრობ, რომ არ ტყუის.

— შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში, გორგაძესთან გასაუბრება უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე გრძელიძის დაკითხვა. სხვა დონეა. მათში იმდენად დიდია სხვაობა, რომ მე ეჭვიც კი მეპარება გორგაძის ჩვენებაში.

— რატომ?

— ერთი პერიოდი, გრძელიძე მაგრად ატრაკებდა. „სროკი“ მოიხადა, უბანში გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა, ქურდებთან მიმოდიოდა. ბოლოს ხმებიც დაირხა: მომავალია, მალე მოაგვარებს „ბაზარსო“... მაგრამ მეორე „სროკმა“ მოტეხა. ველარ გაუძლო და გვერდზე გადგა. მესამე „სროკის“ შემდეგ კი, საერთოდ „მიაყენა“... გორგაძე საერთოდ განსხვავდება მისგან. ის ციხეში მართლაც გაუგებრობის გამო მოხვდა. ბევრჯერ შევსწრებივარ ასეთ შემთხვევას: ცხოვრობს კაცი თავისთვის, არავის ეხება. შემდეგ, ვიღაცის მიზეზით ხვდება ციხეში და მის ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დგება. როგორც წესი, ასეთი ადამიანები სწრაფად ურიგდებიან ბედს და მოთმინებით ელიან გათავისუფლებას, რომ ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. მაგრამ არსებობს მეორე კატეგორიაც — შეურიგებლები. ისინი დინების წინააღმდეგ იწყებენ ცურვას და ცდილობენ, სამაგიერო გადაუხადონ ყველას, ვინც ისინი გაანაწყენა. სწორედ ასეთი იყო გორგაძეც. ის ერთი ჩვეულებრივი მოზარდი იყო, რომელიც ბურთის დევნას უფრო მეტ დროს უთმობდა, ვიდრე ბირჟაზე კაი ბიჭებთან ერთად დგომასა და ბლატავს. მაგრამ ამასთან ერთად, შეუპოვარი და ფიცხი ბიჭიც იყო. ერთადერთი, რითაც ის პოლიციის ყურადღებას იქცევდა, ხშირი ჩხუბი იყო. მაგრამ ვის არ გვიჩხუბია ახალგაზრდობაში?.. სავარაუდოდ, გორგაძე ასაკის მომატებასთან ერთად, დაღვინდებოდა და ჩხუბსა და აყალმაყალსაც მოუკლებდა, მაგრამ... ჩხუბი, რომელშიც გორგაძეც მონაწილეობდა, მოზარდის

დაჭრით დამთავრდა. ის ბიჭი მას არ დაუჭრია, მაგრამ მაინც აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე. ეს მისი ცხოვრების გარდატეხის მომენტად იქცა. პირველი „სროკის“ შემდეგ, გორგაძე ჩვეულებრივი ბიჭიდან, კრიმინალურ ავტორიტეტად გადაიქცა და მართლაც, მაგრად გაქაჩა. ფიცხი და შეუპოვარი ხასიათის გამო, მას ბევრად ასაკოვანი კრიმინალებიც უწევდნენ ანგარიშს. მეორე „სროკიდან“ გათავისუფლების შემდეგ კი, როგორც გრძელიძის შემთხვევაში, მასზეც დაირხა ხმა, რომ მალე მოაგვარებდა „ბაზარს“. მაგრამ ეს არ მოხდა. გორგაძე ციხეს არ მოუტეხია, არც პოლიციასთან თანამშრომლობა დაუწყია და თავის წრეშიც არ დაუშვია შეცდომა. მას წამალმა შეუშალა ხელი: მეორე „სროკის“ შემდეგ, გორგაძე ძალიან მაგრად შეჯდა ჰეროინზე. შემდეგ კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. წამალმა გორგაძე მესამედ მიიყვანა ციხეში... უცნაურია, მაგრამ მესამე „სროკმა“ სასიკეთო გავლენა იქონია მასზე. გორგაძემ წამალი გადაადგა და ამით ახალი თავსატეხი გაუჩინა პოლიციას...

— თავსატეხი?! — გაუკვირდა ნიკას.

— ჰო, თავსატეხი. მიატოვა წამალი და დაუბრუნდა ძველ ცხოვრებას — ქუჩას, „რაზბორკებს“ და ასე შემდეგ. ისევ დაირხა ხმა, რომ ქურდები გორგაძის „კურთხევას“ აპირებდნენ. მაგრამ ეს აღარ მოესწრო. მომავალი მოკლეს!...

— განსაკუთრებულ განსხვავებას ვერ ვხედავ, გრძელიძესა და გორგაძეს შორის. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთი — მკვდარია, მეორე კი — „კაპეზეში“ ზის, — შენიშნა ნიკამ.

— ცდები, — თავი გააქნია რომანმა.

— ჩემთვის კრიმინალი — კრიმინალია და რაიმე მნიშვნელობა არა აქვს იმას, მორფინისტია ის, ლოთი თუ მომავალი.

— თეორიულად ასეა. მაგრამ მე გორგაძის ამბავი სხვა მიზნით მოგიყევი.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ დაინახო განსხვავება ამ ორ პიროვნებას შორის. გრძელიძე წვრილფეხობაა, მას გორგაძისნაირები მხოლოდ „შნირად“ თუ გამოიყენებდნენ. ამიტომაც შევიტანე ეჭვი მის ჩვენებაში, როდესაც გვიმტკიცებდა: მობილური ძმაკაცს ვაჩუქეო!.. გორგაძისნაირ პიროვნებას არაფერში სჭირდებოდა ასეთი საჩუქარი — ის უბრალოდ წაართმევდა გრძელიძეს მობილურს...

— მესმის, მაგრამ რა იცვლება ამით? ჩვენ მკვლელობას ვიძიებთ და არა მობილურის წართმევის ამბავს... — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— ის მობილური ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენ ფიქრობ!.. — შენიშნა რომანმა.

— უმნიშვნელოდ რომ ჩამეთვალა, გრძელიძეს არ მოვძებნიდი, — შეეკამათა ნიკა.

— ამ შემთხვევაში სწორად მოქმედებდი. მაგრამ გრძელიძის ჩვენებამ დაგაბნია. მცდარ მიმართულებაზე დაგაყენა.

— რას გულისხმობ?

— აი, ამას, — ამ სიტყვებთან ერთად, რომანმა მართკუთხედზე მიანიშნა, რომელშიც ეწერა „შეცდომა“.

— არაფერი მესმის... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარა ნიკამ.

— შენ მოისმინე, რომ გორგაძე მკვდარია. მას ბევრის თქმა შეეძლო, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მისი დაკითხვა და შენ მთლიანად გადაერთე მის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჭელიძეზე.

— ეს შეცდომაა?! — გაუკვირდა ნიკას.

— შეცდომაა!

— რატომ?.. გრძელიძის მკვლელს ჩვენი კვალზე დაყენება შეუძლია. ყველაზე მცირე, იმას მაინც გავიგებთ, თუ ვის მისცა მოკლულის მობილური!

— დარწმუნებული ხარ, რომ მობილური გრძელიძემ მისცა თავდამსხმელებს? — მზერა გაუსწორა რომანმა.

— არსებობს დიდი ალბათობა...

— ასევე არსებობს დიდი ალბათობა, რომ გორგაძემ მობილური სიკვდილამდე თავად მისცა ვინმეს!.. — არ დაასრულებინა რომანმა.

— გეთანხმები, მაგრამ ეს ერთ-ერთი ვერსიაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადამოწმდეს! — შეეკამათა ნიკა.

— მანამდე კი, შენ სხვა ვერსია უნდა გადაგემოწმებინა!

— რომელი? — სწრაფად ჰკითხა ნიკამ.

— რომელი?.. — ჩაილაპარაკა რომანმა, შემდეგ კი ოდნავ წინ გადაიხარა, თითი აღმართა და დამარცვლა, — პა... რა... ბო... ლა...

— რაა?.. — გაოგნებული მზერა ესროლა ნიკამ.

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, — გაიცინა რომანმა, — მიყვარს „შერეკილები“ და შენთვის დაძაბულობის მოხსნაც მინდოდა.

— გმადლობ... ჩათვალე, რომ მიაღწიე ამ მიზანს, — უკმაყოფილო სახით შენიშნა ნიკამ, — ახლა კი, შეგიძლია მითხრა, რომელ ვერსიას გულისხმობ?

— სატელეფონო ზარებს, — სერიოზული სახით თქვა რომანმა, — წარმოიდგინე, რამდენს მოგვცემდა ეს ინფორმაცია: ათ, ოც, ოცდაათ სახელს!.. ბუნებრივია, რომ მათგან ნაწილი — ბიძები, ბიცოლები, „პროსტო“ ქალები და სხვა უმნიშვნელო ფიგურები იქნებოდნენ. მაგრამ ჩვენ ერთი-ორი სახელიც დაგვაკმაყოფილებდა. ისეთი კაცის სახელი, რომელიც ძიების რეალურ მიმართულებას გვიჩვენებდა!..

ნიკა გაშრა, მზერა აარიდა რომანს და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— ამას მითვლი შეცდომად?

— დიდ შეცდომად... და თან, შენი აზრიც მაინტერესებს. მინდა ვიცოდე, შენ თვითონ რას ფიქრობ?

— ეს შეცდომა იყო... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა ნიკამ.

— დიდი შეცდომა, — შეუსწორა რომანმა.

— დიდი შეცდომა, — გაიმეორა ნიკამ და ამასთან ერთად, კედლის საათს გახედა.

— რა არის? დაიღალე? — რომანმა თავისებურად გაიგო მისი მოძრაობა.

— არა, — თავი გააქნია ნიკამ, — მომცემ შეცდომის გამოსწორების საშუალებას?

— არა, — მოსხიპა რომანმა.

— რატომ? მამაჩემმა დაგავალა, ჩემთვის რაიმე მიზეზის გამონახვა და აქედან მოქესტვა?! — წამოენთო ნიკა.

— წელანაც გითხარი, რომ მაგარი არიფი ხარ, — მშვიდად ჩაილაპარაკა რომანმა. — შენს მოსაქესტად მიზეზების გამოძებნა არ მჭირდება და მამაშენსაც არ დაუვალებია ეს.

— მაშინ, რატომ — არა? — ბრაზით ისროლა ნიკამ.

— იმიტომ, რომ არ მიყვარს სხვის იმედზე ყოფნა... მოთხოვნა უკვე გავგზავნე. დანარჩენი მხოლოდ დროის საკითხია, —

უპასუხა რომანმა.

— გაგზავნე?!. — დაიბნა ნიკა, — როდის?

— როცა პირველად მომიყევი ამ ამბის შესახებ.

— ეს ხომ სამი დღის წინ იყო!..

— სამ-ნახევრის, — საათს დახედა რომანმა.

— რა მნიშვნელობა აქვს? მაშინ შენ არ მიგყავდა ძიება!.. — შენიშნა ნიკამ.

— არ მიმყავდა, — დაეთანხმა რომანი.

— მაშინ, რატომ არ მითხარი ამის შესახებ? — გაუკვირდა ნიკას.

— გეწყინა?.. ფიქრობ, რომ შენს ზურგს უკან ვმუშაობდი?..

— ჰო, — დაუდასტურა ნიკამ.

— არიფი ხარ!.. არა, ძმაო. შენზე „აჩოკის“ დაწერა აზრადაც არ მქონია. უბრალოდ, არ მიყვარს სხვის საქმეში ჩარევა.

— სხვის საქმეში?! — ბრაზი მოერია ნიკას. — რას ეძახი სხვის საქმეს? ჩვენ ერთად ვმუშაობდით!..

— ძიება შენ მიგყავდა... — შენიშნა რომანმა.

— ახლა კი — შენ მიგყავს... — ცივად ესროლა ნიკამ.

— ჰო, — დაუდასტურა რომანმა, — და დროა, დარწმუნდე, რომ ეს საქმე შენზე კარგად მესმის.

ნიკამ ნერვიულად მოისრისა შუბლი და შემდეგ უთხრა:

— რისთვის გაჭიმე ეს „ბაზარი“ ამდენ ხანს? შეგეძლო, უფრო მოკლედაც გეთქვა!..

— ნიკა, შენ თავად უნდა ისწავლო მუშაობა. ეს შენთვის გაკვეთილად უნდა იქცეს.

— დიდი გაკვეთილია!.. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნიკამ.

— ჰო, დიდი გაკვეთილია! — მოულოდნელად აენთო რომანი. — ერთი რამ გაითვალისწინე: სანამ მამაშენს საკუთარ პინკერტონობასა და შერლოკჰოლმსობას უმტკიცებდი, იმ ნაბიჭვრებს კიდევ ვიღაცის მოკვლა შეეძლოთ!..

— კარგი. შენ გაიმარჯვე... მაგრამ მოდი, შევთანხმდეთ, — პაუზის შემდეგ თქვა ნიკამ.

— რას მთავაზობ?

— არ მიყვარს მეურვეები და ვერ ვიტანს სიურპრიზებს. თუ რაიმე გაქვს სათქმელი, ახლავე მითხარი, ისე, რომ ამ საუბრის შემდეგ, უსიამოვნების მოლოდინი აღარ მქონდეს!..

— მშვიდი ცხოვრება გყვარებია... — ჩაიცინა რომანმა.

— ჰო... მიყვარს... — თავი დაუქნია ნიკამ.

— ეს კი, ფული ღირს...

— ფული?!

— შენს შემთხვევაში, ანაზღაურებად რომელიმე ნათელ იდეას მივიღებ, — ირონიულად წარმოთქვა რომანმა.

— სიამოვნებით... მაგრამ ყველაფერი უჩემოდ გადაგიწყვეტია.

— რას გულისხმობ?

— როდის მიიღებ პასუხს მოთხოვნაზე? — ჰკითხა ნიკამ.

— გორგაძის მობილურის თაობაზე?

— ჰო.

— ხვალ...

— მაშინ, მხოლოდ ერთი იდეა მაქვს: შევხვდეთ მესხს!

— ესე იგი, მაინც ჭელიძე!.. — ჩაილაპარაკა რომანმა.

— რამე არ მოგწონს? — ჰკითხა ნიკამ.

— არა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო... თანაც, უკვე მოსაღამოვდა...

— რა შუაშია საღამო?

— ვახშმის დროა.

— მერე რა?

— ბიჭო... — ჩაიცინა რომანმა. — მიეჩვიე მუშაობას და გაიცანი თანამშრომლები. მერაბს ოდესმე შეხვედრიხარ?..

— როგორ არა?! — თავი დაუქნია ნიკამ. — რამდენჯერმე, ჩემს ოჯახში.

— როგორც მამაშენის სტუმარს?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

— დროა, დავითის ჩრდილიდან გამოხვიდე და საკუთარი სამყარო შექმნა... ხვალიდან მერაბთან, როგორც თანამშრომელთან მოგიწევს ურთიერთობა და არა როგორც მამაშენის სტუმართან. საქმეში კი, მერაბი თავისებური კაცია...

— რას ნიშნავს — თავისებური?

— გინდა, მართლა გაერკვე გორგაძის მკვლელობის საქმეში? — ჰკითხა რომანმა.

— რა თქმა უნდა!

— მაგ საქმეს ახლა სხირტლაძე იძიებს, მაგრამ როდესაც კაცი მერაბმა აიყვანა, გამომძიებელს არავინ არაფერს მოჰკითხავდა. ამას შინაურულად გეუბნები... — თვალი ჩაუკრა რომანმა. — მესხი თავისებური კაცია. თუ კაცურად მიუდგები, ისიც იმავეთი გიპასუხებს. ოფიციალურად თუ მოსთხოვ საქმის მასალებს, მოგაწვდის, მაგრამ იმ მასალებში იმის მეოთხედიც არ იქნება, რისი თქმაც მას რეალურად შეუძლია.

— მე მაინც ოფიციალური ურთიერთობა მირჩევნია, — პაუზის შემდეგ თქვა ნიკამ.

— შეიძლება. მაგრამ ეს შენ აღარ გეხება, — შენიშნა რომანმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ საერთო საქმის მიუხედავად, სხვადასხვა მიზანი გვამოძრავებს: შენ საქმის გახსნით მხოლოდ საკუთარი პრინციპების დამტკიცება გინდა, მე — ახალი თანამდებობა. თანაც, ამ „სასტავში“ „პარადი“ მე მიმყავს. ასე რომ, ბოლო სიტყვა მაინც მე მეკუთვნის, — რა თქმა უნდა, ჩემთვის ხელის შეშლას თუ არ აპირებ.

— არ ვაპირებ, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— მაშინ, მერაბს მე თვითონ შევუთანხმდები შეხვედრაზე, — თქვა რომანმა, შემდეგ, საქაღალდე გვერდზე გადადო და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 38

— რატომ, რატომ, რატომ?! — მურადის ასეთი საქციელი ძალიან არ მოეწონა ჯულიეტას.

— იმიტომ, იმიტომ, რომ რომელი კურდღელიც მე არ დავიჭირე, ესეც ზუსტად იმ კურდღელს დაიჭერს... — ანიშნა მან ჯულიეტას თენგიზზე. — აი, თუ არა და, შენ თვითონ ნახავ!

— რა მოხდა, ჯული? რატომ ახტი და დახტი? — გაიკვირვა თენგიზმა. — კატა მეფეს შეხედავსო და მე რომ ქალბატონ ჟურნალისტს შევხედო, ქვეყანა დაიქცევა?! არ გვინდა, რა, ახლა ეს სექსუალური ინტრიგები და დუელები ეჭვიანობის ნიადაგზე... ეს ხალხი საქმეზეა მოსული, ვერ ხედავ, ეკლებზე რომ სხედან?

— მართლა?! ა-ა-ა... — და უკანალის რხევით, როგორც კახპებმა იციან, ჯულიეტა ისევ თენგიზის „ბარძაყზე“ მოთავსდა. თენგიზმა კი, ისევ ოსტატურად შეავსო ჭიქები.

— ბოდიში, თქვენ ბარმენად ხომ არ გიმუშავიათ ოდესმე?.. ისე ოსტატურად ავსებთ ჭიქებს! — ჰკითხა მას ანიმ.

— თავხედური შეკითხვაა, მაგრამ — ორიგინალური, — გამოაცხადა თენგიზმა. — დიახ, ჩვენ ორივენი „ივერია-მიუზიკ-ჰოლის“ კაფე-ბარიდან მოვდივართ. გაინტერესებთ სხვაც რაიმე ჩვენ შესახებ?

— იცით, რა... — დაიწყო ანიმ.

— არა, — უპასუხა თენგიზმა.

— მე ჟურნალისტური გამოძიება მაქვს დავალებული, მურადს — ჩვეულებრივი...

— მაგარი საინტერესოა, ტო! გამოვიძიოთ მერე, მეც დაგეხმარებით! რომელ საქმეზე? — აცეტდა ისევ თენგიზი.

— ლევან იაშვილის თვითმკვლელობაზე.

— ეგ ხომ დამარხეს უკვე! მერე?.. წავიდა, ჩაიარა, ხომ ვეღარ გააცოცხლებთ, არა?! მკვლელს რომც მიაგნოთ, მაინც არ დაიჭერენ... ა-ა, პოლიციამ რომ მაყუთი იშოვოს?.. რამდენს ითხოვენ მაინც?

— რას? — იკითხა მურადმა.

— „მწვანეებს“, სხვას რას მოითხოვს პოლიცია?! რა, ევროზე გადავიდნენ უკვე? — იკითხა თენგიზმა.

— ჯერ, აბა, მკვლელი არ ვიცით... — გამოუცხადა მიამიტურად მურადმა.

— მაშ, ჩემთან რატომ მოხვედით?.. მე მოვკალი, მე! როგორ დაგარწმუნო?.. ჯულიეტ, ახტი! გადმომიღე, რა, აი, ის პატარა ვაზა.

ჯულიეტა თენგიზის ფეხიდან ჩამოხტა, ვაზა გადმოიღო და მაგიდაზე დადგა. თენგიზმა კი, კონიაკის მეორე ბოთლი გახსნა, ვაზა გაავსო და მურადს დაუდგა: — დაცალე!

— ეს? ხომ მომკლა!

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. აუწი!

— ვერ დავლევ, არ არსებობს... — ისევ იუარა მურადმა.

— მაშინ, დავუძახებ ბიჭებს და ძალით ჩაგასხამენ, გაწყობს? აბა, ჰე, აუწი და ჩავუფინოთ, არ დამაწყებინო, რა, თავიდან ბაზარი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მიხეილ ქავთარაძის ასწლიანი „ქართულ-ფრანგული ცხოვრება“ ანუ საუკუნოვანი ნოსტალგია

ირმა ახალაია

ერთი საუკუნე... მაინც რამდენად ბევრია ეს დრო ადამიანის ცხოვრებისათვის? ეს ალბათ, იმისდა მიხედვით განისაზღვრება, თუ სად და როგორ იცხოვრებ.

21 ნოემბერს მიხეილ ქავთარაძეს 100 წელი შეუსრულდა, აქედან, სამშობლოში მან მხოლოდ საუკუნის მეოთხედი იცხოვრა, დანარჩენი დრო კი — ემიგრაციაში, მუდმივ ნოსტალგიაში გაატარა, ალბათ ასეთი ადამიანებისთვის ერთი საუკუნე მართლაც ცოტაა...

სამი წელია, რაც მიხეილ ქავთარაძე საქართველოში იმყოფება, მაგრამ ცნობიერებით თავი ისევ საფრანგეთში ეგულება და გამუდმებით სამშობლოში დაბრუნებას ნატრობს, რადგან, უჩინოდ მყოფს, საკუთარი ქვეყნისთვის თვალი ვერ შეუვლია.

მისი ცხოვრება საოცრად ჰგავს კინორეჟისორ გუგული მგელაძის „ფესვების“ გმირის ცხოვრებას, რომელმაც თავის დროზე, უკეთესი მომავლის იმედით, უცხოეთს მიაშურა, მაგრამ მისთვის უფრო გაუსაძლისი, ემიგრანტის ხვედრი აღმოჩნდა. ამის შესახებ ბატონმა მიხეილმა ერთი წლის წინ, ჟურნალ „გზაში“ საკუთარ ინტერვიუში თქვა: „არ მეგონა, უცხოეთში გამგზავრებით ჩემს მომავალს თუ ვკლავდი... რას ვიფიქრებდი, ჩემს ახალგაზრდულ ოცნებას უფრო დიდი ოცნება თუ დაამარცხებდა, ოცნება სამშობლოში დაბრუნებისა?! მე არ დავუჯერე — „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“ — კლდეზე დაღუპვას, გადარჩენა ვამჯობინე და გადავარჩინე ალბათ კიდეც ჩემი სხეული, მაგრამ ვაი, იმ უკვდავების ხის ნაყოფს, რომელიც ვიგემე!..

„მე ხომ მას შემდეგ, საქართველო არ მინახავს“...

მე, ცოცხალი, უცხო მიწაზე დავათრევ ჩემსავე ცხედარს. აქ ჩემი ხორციღა ცოცხლობს, გულგამოცლილი და სულამოხდილი, რადგან ესენი იქვე დამრჩენია...“

მაშინ 21 წლის ქართველის მისწრაფება შორს მიმავალ გეგმებს ისახავდა მიზნად. ამიტომაც, დედისგან მალულად, დატოვა საქართველო. „როდესაც აჭარის მთებზე გადავდიოდით მე და ჩემი თანამგზავრი — შალვა შენგელია, რომლის იქითაც თურქეთის ტერიტორია მდებარეობდა, უკან მოვიხედე და უკანასკნელად შევავლე თვალი ჩემს სამშობლოს. ეს სურათი დღესაც თვალწინ მიდგას, მე ხომ მას შემდგომ, საქართველო არ მინახავს“...

„დღემდე ვხედავ შხეფის ციხეს, მესმის ტეხურის შხუილი, ცხენების ფრუტუნის ხმა და... დედის ძახილი“

მიხეილ ქავთარაძე სამშობლოს მხოლოდ სურნელით თუ გრძნობს, ხედვით, კი ვერ ხედავს. 76-წლიანი ემიგრაციის პერიოდში გამუდმებით მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ მისი სხეული მშობლიურ მიწას მიჰბარებოდა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გაუთავისებია ის ფაქტი, რომ საქართველოში იმყოფება. ამიტომაც მის ცნობიერებაში სამი საქართველო გამოიკვეთა: პირველი, რომელიც 1927 წელს დატოვა, მეორე, რომელზეც ემიგრაციის პერიოდში ოცნებობდა და მესამე — სადაც ამჟამად ცხოვრობს...

ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში მიხეილ ქავთარაძემ კარგად გააცნობიერა, რომ საზღვარგარეთ ცხოვრება სულაც არ ჰგავდა სამოთხეს. სწავლის გაგრძელებაზე ოცნება განუხორციელებელი დარჩა, ამიტომაც მუშაობას მიჰყო ხელი. მუშაობდა ქალაქ გრენობლის ქარხანაში ვაგონშემკეთებლად, შემდეგ — ტაქსიზე, შემდეგ — ინდოეთის საელჩოში მძღოლად, მოგვიანებით, დაახლოებით 65 წლის ასაკში კი — ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორად დაინიშნა. საქართველოში იმ დროისთვის მიმდინარე მოვლენებს საფრანგეთიდან ჟურნალი „ივერია“ ადეკვატურ შეფასებას აძლევდა. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, მიხეილ ქავთარაძე წერდა: „დედა დაგვიჩეხეს. ეტირით, ტირილსაც ხომ ბოლი უნდა ჰქონდეს. მერმე? მტრის სიძულვილი გულში ჩავიმარხოთ? ამითი მტერს ვერას დავაკლებთ. ბოლმას კი, შეიძლება ჩვენც თან გადავყვეთ. უმჯობესია, დაჭრილი დედის მოვლაზე ვიფიქროთ. გულში კი იმის ხსოვნა ჩავიმარხოთ, რითაც დედის წინაშე შევცოდეთ, რომ კარგად ვერ მოვუარეთ...“ წუთი, წამიც კი არ ყოფილა, რომ საქართველოზე არ ეფიქრა, წარმოსახვით მუდმივად აქ, სამშობლოში იმყოფებოდა.

„დღემდე ვხედავ შხეფის ციხეს, მესმის ტეხურის შხუილი, ცხენების ფრუტუნის ხმა და... დედის ძახილი“. ეს სურათები მის მეხსიერებაში იმდენად ღრმად ჩაბეჭდილა, რომ ვერც ათეულმა წელმა ვერ შეძლო მისი გონებიდან ამოშლა. ხშირად რეალობის შეგრძნებას კარგავს და თავი ისევ სამეგრელოში, სენაკის ერთ პატარა სოფელში ეგულება, ერთი პატარა სოფელი დიდმა საფრანგეთმაც კი ვერ დაჩრდილა. ზოგჯერ ყველაფერი ავიწყდება, მაგრამ იმ სოფელს ვერ ივიწყებს.

მიხეილ ქავთარაძის ძმისშვილი, ქალბატონი ნანა ქავთარაძე ცდილობს, ბიძის წარმოსახვა რეალობას შეუსაბამოს და ხშირად ახსენებს, რომ ის მშობლიურ ქალაქში, თბილისში იმყოფება, მაგრამ ბატონი მიხეილი მაინც თავის წარმოსახვით საქართველოში ცხოვრობს...

100 წლის მიხეილ ქავთარაძე ფიქრობს, რომ რამდენიმე წლის სიცოცხლე კიდევ დარჩენია. ერთი საუკუნე ცოტა როდია, მაგრამ მისთვის, მაინც მცირე აღმოჩნდა. დარჩენილი წლებით კი სურს, ბოლომდე შეიგრძნოს სამშობლოს სურნელი. მერე რა, თუკი დანახვა არ შეუძლია?..

■

სულიწმიდის მადლით შემოსილი მამა ილარიონ ქართველი

2 დეკემბერს მართლმადიდებელი ეკლესია IX საუკუნეში მოღვაწე საკვირველმოქმედ — მამა ილარიონ ქართველს იხსენიებს. წმინდა მამა უფლისგან ბოძებული ნიჭისა და მადლის წყალობით, მრავალ სასწაულს იქმოდა, ამიტომაც იწოდება საკვირველმოქმედად. ილარიონი ბერძნული სახელია და ქართულად, მხიარულებას ნიშნავს.

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ილარიონ ქართველი კახეთში 822 წელს დაიბადა. იგი აზნაურის შვილი იყო, დონაურთა გვარიდან (ქართველი, — მისი ზედწოდებაა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობის გამო ეწოდა). ღირსი მამა სიყრმიდანვე ღვთისადმი იყო შეწირული. 6 წლის ასაკში, მშობლებმა ერთ მოხუცებულ მოძღვარს მიაბარეს ქრისტიანული რჯულის სასწავლად, ყრმამ უმოკლეს დროში შეისწავლა „ძველი“ და „ახალი აღთქმა“ და სულიერ წარმატებასაც მიაღწია. როდესაც მამამისმა შვილის ღვთისადმი სიყვარული და გულმოდგინება იხილა, მონასტრის დაარსება გადაწყვიტა — აღაშენა ეკლესია და სენაკები, ბერებიც შეკრიბა და ვაჟიშვილთან ერთად, ყველანი მის მოძღვარს — პირველხსენებულ ღვთისმსახურს ჩააბარა.



სულ მალე ილარიონიც შემოსეს სამონაზვნე სამოსით. ამ დღეს მისმა მშობლებმა უხვად გასცეს საბოძვარი. ისინი შემდგომშიც მოჭარბებულ ყურადღებას იჩენდნენ ვაჟიშვილის მიმართ. მამამისი ძალზე ხშირად მიდიოდა მის მოსანახულებლად, მრავალ შესაწირს სწირავდა მონაზვნებს და სთხოვდა, არ მიეცათ ჯერ კიდევ ჭაბუკი ილარიონისთვის ფიცხელი მოღვაწეობის ნება.

ილარიონმა გადაწყვიტა, გარიდებოდა მამის ზედმეტ ყურადღებას და ზედამხედველობას. ჩუმად გაიპარა და დავითგარეჯის უდაბნოს მიაშურა. იქ დავით გარეჯელის მოღვაწეობის პერიოდში გამოკვეთილ ერთ პატარა გამოქვაბულში დაემკვიდრა. მაშინ ღირსი მამა 16 წლის იყო.

მამა ილარიონი ძირითადად დროს ლოცვაში ატარებდა: „მარხვითა და მღვიძარებითა ასაკსა მას სიჭაბუკისასა დააჭკნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედვითა უხორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრეღა წარემატებოდა მოღუაწებითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა, რამეთუ ყოველთა უკვირდა ეგოდენი შრომაი მისი და მოთმინებაი“, — მოგვითხრობს მისი ცხოვრების აღმწერი. საზრდელად პურს, ოსპსა და ველურ მხალს იყენებდა.

მმარხველი და დაუცხრომლად მლოცველი ბერის შესახებ მალე მთელმა ქართლმა და კახეთმა შეიტყო. მასთან მრავალი ადამიანი მიდიოდა, ლოცვა-კურთხევისა და რჩევა-დარიგების მისაღებად. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ბერად აღკვეცა და მამა ილარიონთან მოღვაწეობა სურდათ. წმინდა მამა, მიუხედავად იმისა, რომ განმარტოებით მოღვაწეობა სურდა, იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მოყვასთა თხოვნას — დაემონაფებინა მასთან მოღვაწეობის მსურველნი.

ილარიონის სახელმა მოგვიანებით, რუსთაველი ეპისკოპოსის ყურამდეც მიაღწია. როდესაც მან ღირსი მამა, მისი თავმდაბლობა და ღრმა სულიერება იხილა, გადაწყვიტა, მღვდლად დაესხა ხელი. ღირსი მამის მღვდლად კურთხევისას, ეპისკოპოსმა და რამდენიმე ბერმა იხილეს სულიწმიდის მადლი, რომელიც თავს ადგა ილარიონს.

კურთხევის შემდგომ, წმინდა მამა ერთხანს, დავითგარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა, მის წინამძღვრად, შემდეგ, ძმათაგან გამოარჩია ერთი, სათნოებით სხვებზე აღმატებული ბერი, მას მონასტრის წინამძღვრობა ჩააბარა, თვითონ კი იერუსალიმის მოსალოცად წავიდა. თან, ერთი მოწაფეც იახლა.

იერუსალიმის მოლოცვის შემდეგ, წმინდა საბას ლავრას ეწვია, იქიდან კი იორდანეს უდაბნოს მიაშურა და იქ ერთ მღვიმეში დაემკვიდრა, განმარტოებით მოღვაწეობისთვის. ამქვეყნიური საზრუნავისგან განშორებული ილარიონი 17 წელი მკვიდრობდა იორდანეს უდაბნოში. ერთ ღამეს, მას ჩვენებით ეუწყა, რომ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებულიყო. საქართველოში დაბრუნებულ ილარიონს, მამა და ძმები აღსრულებული დახვდნენ. შვილთან შეხვედრით გახარებულმა დედამ მთელი საგანძური მას გადასცა და უთხრა: „წარაგე ესე შვილო, ვითარცა სათნო გიჩნს“.

ღირსმა ილარიონმა მშობლების სახლში დედათა მონასტერი მოაწყო, დედაც და დაც მონაზვნებად აღკვეცა და იქვე დაემკვიდრა. თუმცა, დედამისი მალევე აღესრულა და იქვე დაკრძალა, პატივითა და დიდებით. ქონების ნაწილი ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, ნაწილი კი — დავითგარეჯის მონასტერში წაიღო და მის აღდგენა-განახლებას მოახმარა.

მალე რუსთაველი ეპისკოპოსი გარდაიცვალა და მის ტახტზე ილარიონის აღსაყდრება განიზრახეს. მაგრამ მან ეს არ ისურვა, რადგან: „დიდებაი ესე ამის სოფლისა მომატყუებელ არს საუკუნოსა მის შეურაცხებისა“, — ამბობდა იგი. ამიტომ, ორ ბერთან ერთად, კონსტანტინოპოლს გაემგზავრა.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ილარიონმა და მისმა თანამგზავრებმა ულუმბოს მთას მიაღწიეს, ერთი მცირე მიტოვებული ეკლესია იპოვეს და იქ დამკვიდრდნენ.

ყველიერის ხუთშაბათს დიდი ლავრიდან ეკლესიაში ერთი ბერი მივიდა, კანდელის დასანთებად. მან იქ მყოფი მამა ილარიონი და მისი თანამოღვაწე ბერები ნახა, უკან გაბრუნდა და მცირე საზრდელი მიუტანა. მომდევნო შაბათს ბერი კვლავ ავიდა ეკლესიაში. როდესაც ნახა, რომ ბერებს მხოლოდ მცირედი ცერცვი ეხმიათ მთელი კვირის მანძილზე, დანარჩენი საზრდელი კი, ხელუხლებლად დაეტოვებინათ, მიხვდა, რომ მის წინაშე უმაღლესი სულიერების მქონე მამები იდგნენ. ჰკითხა, რა სჭირდებოდათ. მამა ილარიონმა სეფისკვერი და ზედაშე ითხოვა, რათა ზიარების საიდუმლო აღესრულებინა.

ლავრის მამასახლისმა შეიტყო, რომ

მის ტერიტორიაზე მდებარე უმოქმედო ეკლესიაში ვიღაც უცხო და ბერძნული ენის უცოდინარმა კაცმა სწირა. გულისწყრომით აღივსო და ლავრის იკონომოსს მათი გაძევება დაავალა. მამა ილარიონმა, მცირედი ბერძნულის ცოდნის წყალობით, მოახერხა, იკონომოსისთვის ეთხოვა, ეკლესიაში ერთი ღამის გათევის უფლება მიეცა, თან დაჰპირდა, რომ მეორე დილით აუცილებლად წავიდოდა იქიდან.

იმ ღამით მამასახლისს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „საწყალობელო, რატომ განუტევე უპატიოდ დიდად მოღვაწე ილარიონი და ურცხვად დაივიწყე ღვთის მცნება, რომელიც უცხოთა შეწყნარებას გვასწავლის?! რატომ გგონია, რომ ღმერთი მხოლოდ ელინთა ენას შეიწყნარებს? განა არ იცი, რომ ყოველი კაცი, რომელიც ღვთისმოშიში და უფლის მცნებათა აღმსრულებელია, სათნოა მისთვის?.. და რომელი მათ არ შეიწყნარებს, ჩემი მტერია“.

მამასახლისი მუხლებზე დაემხო ღირსი ილარიონის წინაშე, შენდობა სთხოვა და შეევედრა, დარჩენილიყო, რათა ღვთისმშობლის რისხვა არ მოსწეოდა.

5 წელი მოღვაწეობდა ღირსი მამა ულუმბოს მთაზე. ამ პერიოდში მრავალი ადამიანი განკურნა სასწაულებრივად. ჯვართამაღლების დღესასწაულის მოახლოებისას, კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. ჯერ კონსტანტინოპოლი მოილოცა, შემდეგ — რომისკენ გაემართა, წმინდა პეტრეს და პავლეს საფლავების თაყვანსაცემად. 14-დღიანი მოგზაურობის შემდეგ, რომს მიახლოებულმა ილარიონმა ვენახის ძირას მჯდარი კაცი იხილა და ერთი მტევანი ყურძენი სთხოვა, მაგრამ იგი დავრდომილი იყო და უთხრა: „აჰა, მამაო, ვენახი, რაც გსურს, მიირთვი, მე კი ვერ შემძლებელ ვარ ცოდვათა ჩემთაგან“. ღირს მამას შეეცოდა დავრდომილი და ლოცვით განკურნა. თვითონ კი გზა განაგრძო და კვლავ აღასრულებდა სასწაულებს.

2 წელი ცხოვრობდა ილარიონი რომში, ანგელოზებრივი ცხოვრებით, შემდეგ კვლავ კონსტანტინოპოლისკენ გაემართა. გზად, თესალონიკელის წამების ადგილას და ქალაქის მთავრის კართან შეისვენა. ამ დროს, მთავრის სასახლიდან მხევალმა 4 წლის დამბლადაცემული ყრმა გამოიყვანა და მზის გულზე დააწვინა. წმინდანს ყრმა შეებრალა, მხევალს წყლის მოტანა სთხოვა. როდესაც ქალი წავიდა, სნეულ ყრმას ჯვარი გადასახა. ბავშვი მაშინვე წამოდგა და მშობლებთან გაიქცა. მამა ილარიონი სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას, რათა არავის დაენახა.

როდესაც მთავარმა ეს სასწაული იხილა, მხევალს ყოველივე გამოჰკითხა, მერე კი ბრძანა, ქალაქის ყველა გასასვლელი ჩაეკეტათ და ეძებნათ სასწაულმოქმედი მამა, რათა თაყვანი ეცა მისთვის და საკადრისი პატივი მიეგო. მართლაც, იპოვეს ღირსი მამა ქალაქის აღმოსავლეთით, ფერხთ ჩაუვარდნენ და მთავრის სათხოვარი გადასცეს. მთავარი და მისი მეუღლე უდიდესი კრძალვით მიეგებნენ მათთან მისულ ილარიონს. სთხოვეს, თესალონიკში დარჩენილიყო — რომელი ტაძარიც მოგეწონება, იქ დამკვიდრდიო. მართლაც, დაჰყვა მათ თხოვნას ღირსი მამა. მთელი ქალაქი მოიარა, ერთ ადგილას მცირე ეკვდერი მოეწონა და იქ დასახლდა. მთავარს კი სთხოვა, მისთვის განმარტოებით მოღვაწეობა ეცლიათ, მხოლოდ ხანდახან მიეწოდებინათ ხმელი პური და დამბალი ცერცვი.

წმინდა ილარიონის სახელი მალე მთელმა თესალონიკმა გაიგო. მასთან მრავალი ადამიანი მიდიოდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად და ღვთის სულიერი სიტყვის მოსასმენად. ერთხელ, წარმართებმა ერთი თესალონიკელი დიაკონი შეიპყრეს. ტყვედ ჩავარდნილი ღვთისმსახური ლოცვით შეევედრა წმინდანს შეწევნას. იმავე ღამით, მას ძილში მამა ილარიონი გამოეცხადა და აუწყა: „აღდეგ, ჰოი, დიაკონ და ნუ გეშინიან, რამეთუ მე ვარ, რომელსა იგი მევედრებოდე“. როდესაც გაიღვიძა, იხილა, რომ ბორკილებისგან გათავისუფლებულიყო. უჩუმრად გაიარა წარმართთა შორის და თესალონიკში გაემგზავრა. იქ ჩასვლისთანავე მამა ილარიონს ეახლა, მის წინ მუხლი მოიყარა და მადლობა შესწირა.

3 წლის შემდეგ, მამა ილარიონს ეუწყა, რომ მისი ამა სოფლიდან გასვლის ჟამი მოახლოვდა. თესალონიკის მთავარი იხმო, კიდევ ერთხელ შესწირა მადლობა უცხოთმოყვარეობისა და მისი შეწყნარებისთვის და ანდერძად, გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული დაუტოვა. სთხოვა ისიც, ყოველი საქმე სამართლიანად განესაჯა, მოეძულებინა ქრთამი და უხვად გაეცა მოწყალება. ბოლოს, თავისი მოწაფეები იხმო, უკანასკნელად აკურთხა და დამოძღვრა ისინი, წმინდა ზიარება მიიღო და მშვიდობით შეავედრა სული უფალს.

თესალონიკის მთავარმა მისთვის მარმარილოს ლუსკუმა დაამზადებინა, სადაც უდიდესი პატივითა და დიდებით ჩააბრძანეს მისი წმინდა ნეშტი. ქვის ლარნაკში ჩასვენებული, იმავე მცირე ეკვდერში დაკრძალეს, სადაც მოღვაწეობდა. წმინდა ილარიონის საფლავთან სარწმუნოებით მისული ადამიანები ყოველგვარი სენისგან იკურნებოდნენ.

ამ დროს, ბიზანტიაში ბასილი მაკედონელი (867-886) მეფობდა. ერთხელ მან დიდი წვეულება გამართა და ულუმბოს მთაზე მდებარე ყველა მონასტრის წინამღვარი მიიწვია. კეისარს თან ჰქონდა თესალონიკელი მთავარეპისკოპოსის მიერ მიწერილი ეპისტოლე, სადაც იგი ახალგამოჩენილი წმინდანის — ილარიონ ქართველის შესახებ აუწყებდა. კეისარმა ეპისტოლე სტუმრებსაც გააცნო, რომელთა შორისაც, ის მამასახლისიც აღმოჩნდა, რომელმაც თავის მხრივ, ყოველივე მოუთხრო იქ მყოფთ, ღირს მამაზე. „ვინმე თუ დარჩა მამა ილარიონის მოწაფეთაგან?“ — იკითხა მეფემ. ულუმბოს მთაზე 3 უხუცესი ბერია, რომლებმაც ზედმიწევნით იციან წმინდა ილარიონის ამბავიო, — მიუგო ულუმბოელმა ლავრის მამასახლისმა. ბასილი კეისარმა მათ მოსაყვანად, ხალხი გაგზავნა. მათგან მართლაც, ზედმიწევნით შეიტყო წმინდა ილარიონ ქართველის შესახებ. ქართველი ბერების სიწმინდის, სულიერი მშვენიერების, სიმდაბლის ხილვით გაკვირვებულმა კეისარმა მათ სთხოვა, კონსტანტინოპოლში დარჩენილიყვნენ და სამოღვაწეოდ, ნებისმიერი მონასტერი აერჩიათ, მათ კი, თავის მხრივ, ახალი მონასტრის დაარსება შესთავაზეს. კეისარმა სამონასტრე ადგილის შერჩევა ბერებს მიანდო. ბერებმა კონსტანტინოპოლის ჩრდილოეთით, სოსთენის მთავარანგელოზთა ტაძრის მახლობლად მდებარე „ჰრომანად“ წოდებული ადგილი შეარჩიეს. ამ ადგილას სულ მალე აიგო ტაძარი, რომელიც მოციქულთა სახელზე იკურთხა. კეისარმა თავისი ორი ძეც — ლეონი და ალექსანდრეც მონასტერში მიიყვანა და ღირს მამებს ჩააბარა აღსაზრდელად.

ბასილი კეისარმა წმინდა ილარიონის წმინდა ნაწილების კონსტანტინოპოლში გადაბრძანება განიზრახა, თესალონიკში თავის ხალხი გაგზავნა, თან ეპისტოლეც გაატანა, სადაც აღსრულებულ წმინდანს, კონსტანტინოპოლს დავანებას შესთხოვდა.

თესალონიკელებმა უარი განაცხადეს წმინდა ილარიონის წმინდა ნაწილების კონსტანტინოპოლში გადაბრძანებაზე. მაშინ, კეისრის ჯარისკაცებმა ღამით მალულად მოიპარეს წმინდა მამის ნეშტი და კონსტანტინოპოლში წაასვენეს. კეისარმა დიდი პატივით მიიღო წმინდა ნეშტი და ვიდრე მისთვის განსაკუთრებულ საძვალეს ააგებდა, გადაწყვიტა, სასახლეში დაებრძანებინა.

მესამე ღამით კეისარი საოცარმა კეთილსურნელებამ გააღვიძა. მიხვდა, რომ სურნელი წმინდა ნაწილებიდან მოედინებოდა. გახარებულმა ბასილმა სამეფო პალატში მათი სამუდამოდ დატოვება განიზრახა. როდესაც კვლავ ჩაეძინა, წმინდა ილარიონი გამოეცხადა: „შეიწირა უფალმა შენი გულისმოდგინება და ჩვენდა მომართ პატივისცემა, მაგრამ სამეფო პალატში ჩემი ყოფნა რომ განიზრახე, ეს არ სათნო ეყო; შენს აშენებულ მონასტერში დააბრძანე ჩემი ნეშტი, რამეთუ სურნელება, რომელიც შენ იყნოსე, ქალაქში კი არ მომიგია, არამედ უდაბნოში და თუ გინდა, მადლი გქონდეს, უდაბნოსვე წამიყვანე“.

ბასილი კეისარმა გაღვიძებისთანავე აღასრულა წმინდა ილარიონის ნება — პატრიარქისა და სასულიერო პირების თანხლებით, ჰრომანა-წმინდის მოციქულთა სახელზე ნაკურთხ ტაძარში წააბრძანა და ამავე მონასტერში მოღვაწე, მამა ილარიონის მოწაფეებს ჩააბარა.

■

უცნაური პოეტური ნაჩუქარი

ანუ ნივთებში ჩამალული ინფორმაციის „წამკითხველები"

იმ დროს, როცა სამყარო ახალ ტექნოლოგიებს იპყრობს, ფართოვდება ცოდნა მაგნიტური ველის ბუნებაზე — რაიმე ნივთთან დაკავშირებული მოვლენის დანახვის უნარი, კვლავინდებურად ხელოვნებად რჩება. ადამიანები, რომელთაც აქვთ ეს უნარი, კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ცოტანი როდი მოიძებნებიან. მაგრამ მხოლოდ ორი შემთხვევაა ცნობილი, როცა ადამიანმა შეძლო ათასწლეულების წინანდელი მოვლენების „განჭვრეტა". ორივე მოვლენა გლობალურ კატასტროფებს შეეხება — ატლანტიდის დაღუპვას 12000 წლის წინათ და პომპეის დაღუპვას ჩვენი ერის ზღურბლზე.

„სტუმარი" ატლანტიდიდან

ერთხელ, ინგლისელ მოგზაურს — ფოსეტს სტატუეტი აჩუქეს, რომელიც შავი ბაზალტისგან იყო გამოკვეთილი. ეს იყო ადამიანის ფიგურის გამოსახულება, მკერდზე იეროგლიფებით აჭრელებული ფირფიტით. ფიგურას საოცარი თვისება ჰქონდა: ყველა, ვინც კი მას ხელს შეახებდა, იმწამსვე ელექტრული მუხტის დარტყმას გრძნობდა. დარტყმა იმდენად მკვეთრი იყო, რომ ზოგს ერთბაშად უკან მიჰქონდა ხელი. სტატუეტის წარმომავლობის განსაზღვრა ბრიტანეთის მუზეუმის ექსპერტებმაც ვერ შეძლეს. მაშინ, ფოსეტმა მოძებნა კაცი, რომელსაც უნარი შესწევდა, საგნის „ბედი" აღედგინა. ამ უნარს ფსიქომეტრია ეწოდება და ვინ იფიქრებდა, რომ იდუმალი კერპი, მისი „ბედის წამკითხველს" ასეთ შორეულ წარსულში წაიყვანდა! სამწუხაროდ, ფოსეტი არ ასახელებს უნიკალური ტალანტის პატრონს, მაგრამ მას დარჩა ჩანაწერი, რომელსაც ფსიქომეტრისტი (ასე ვუწოდოთ მას) სრულ სიბნელეში წერდა ქაღალდზე, როცა ხელში საიდუმლო რელიკვია ეჭირა.

მას თვალწინ წარმოუდგა კონტინენტი, რომელიც აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროდან სამხრეთ ამერიკამდე გადაჭიმულიყო. მის დასავლეთ ნაწილში დაინახა კლდეებში ოსტატურად გამოკვეთილი ტაძრები, ქურუმები, რომლებიც თავიანთ წეს-ჩვეულებებს აღასრულებდნენ. ერთ-ერთ მათგანს, შესაძლოა, მღვდელმთავრის სამკერდე ფირფიტა ეკეთა, ისეთივე, როგორიც ბაზალტის სტატუეტს. როგორც ჩანს, ის რომელიღაც უზენაესი ქურუმის გამოსახულება იყო. ფსიქომეტრისტმა დაინახა, როგორ აიღო მღვდელმთავარმა ფიგურა და როგორ გადასცა ის მეორე ქურუმს ბრძანებით, ფრთხილად და მზრუნველობით შეენახა ის და შესაბამის დროს მემკვიდრისთვის გადაეცა, რომელიც შემდგომში წმინდა ნივთს სხვა განდობილს გადასცემდა. ასე უნდა მოქცეულიყო ყველა მანამ, სანამ ამქვეყნად არ განსხეულდებოდა ის, ვისაც სალოცავი განასახიერებდა და ვინც, ბოლოს და ბოლოს, უნდა ქცეულიყო მის კანონიერ მფლობელად. საოცარია, მაგრამ დამკვირვებელმა ისიც დააფიქსირა, რომ იმ მომენტისთვის მისთვის უცნობი ცივილიზაციის ქურუმები მაგიით იყვნენ დაკავებულნი, მათ შორის, შავი მაგიითაც. შემდეგ, გაისმა ხმა: „იხილე ბედი, რაც ელით თვითდაჯერებულებს! მათ მიაჩნიათ, რომ შემოქმედი მათ გავლენას განიცდის და მათ ექვემდებარება, მაგრამ შურისძიების დღე დადგა. დიდხანს აღარ მოგიწევთ ლოდინი — შეხედე!" და გაიღვიძეს ვულკანებმა. მიწაც იძრა გამაყრუებელი გრგვინვით. ზღვა ატორტმანდა და ხმელეთის ნაწილი ჩაყლაპა. კონტინენტის მოსახლეობის დიდი ნაწილი ან ჩაიძირა, ან მიწისძვრის დროს დაიღუპა. ქურუმი, რომელსაც შესანახად გადასცეს კერპი, მთებისკენ გაქანდა და როცა რელიკვია საიმედო ადგილზე შეინახა, აღმოსავლეთისკენ განაგრძო გზა. „არსებობენ ადამიანები, რომლებიც შეჩვეულნი არიან ზღვას, ნავებში სხდებიან და მიცურავენ — ჩაიწერა ფსიქომეტრისტმა, — სხვები კონტინენტის ცენტრისკენ გარბიან, მთებისკენ"... და კვლავ გაისმა ხმა: „ატლანტიდის სასჯელი იქნება ყველას ხვედრი, ვინც გაბედავს და გააღმერთებს ხელისუფლებას!"

აი, როგორ საოცრად შორეულ დროში წაიყვანა მკვლევარი ბაზალტის „გამცილებელმა"! „კატასტროფის თარიღს ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, — აღნიშნა დამკვირვებელმა, — მაგრამ ეს მოვლენა ეგვიპტის აღზევებამდე დიდი ხნით ადრე მოხდა. შემდეგ, ეს ამბავი მიივიწყეს და მასზე მოგონებები მხოლოდ მითებში თუ შემორჩა. რაც შეეხება თვითონ კერპს, მას შეუძლია უბედურება მოუტანოს მას, ვინც მისი ნათესავი არაა". გამოცანად რჩება, როგორ შეეძლო ფსიქომეტრისტს შორეულ წარსულში მომხდარი არა მარტო დაენახა, არამედ მოესმინა კიდეც, თანაც ზუსტად ის, რაც მის არსს შეეხებოდა.

ფოსეტი გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიღუპა სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში, სადაც კერპის „კარნახით" ატლანტიდას ეძებდა. ეს ამბავი კი მის ჩანაწერებში შემორჩა, რომელიც ფოსეტის სიკვდილის შემდეგ, მისმა შვილმა წიგნად გამოსცა.

პომპეის მეწამული ბინდბუნდი

ფენომენური უნარი ჰქონდა აგრეთვე XX საუკუნის მეცნიერის ჯონ დანტონის ცოლს — ელიზაბეტს. მას შეეძლო ნივთის წარსულთან დაკავშირებული მოვლენების დანახვა. ერთხელ, ჯონ დანტონმა ცოლს შესთავაზა, ტყვიის მადნის ფრაგმენტით, რომელიც ერთ-ერთი მაღაროდან იყო წამოღებული, აღეწერა საბადო, რომელიც ამ მადნეულს შეიცავდა. ქალმა არა მარტო უწვრილმანეს დეტალებამდე აღწერა თვითონ საბადოს დამახასიათებელი თავისებურებანი, არამედ დაასახელა კიდეც ადგილი, სადაც მდებარეობდა ის საბადო, საიდანაც ნიმუში იყო წამოღებული. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჯონ დანტონი მოხვდა იმ მხარეში და თავადვე დარწმუნდა თავისი ცოლის „ჩვენების" აბსოლუტურ სიზუსტეში.

უხსოვარი დროიდან მათ ოჯახში ინახებოდა ვულკანური ტუფის რამდენიმე ნატეხი პომპეის ნანგრევებიდან, რომელიც ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ, ფერფლის ფენით დაიფარა. შეიძლება, სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა ცოლ-ქმარს თამამი ექსპერიმენტის ჩატარებისაკენ: ისინი შეეცადნენ ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წლის 24 აგვისტოს — პომპეის უკანასკნელ დღეს, საუკუნეთა მიღმა მოხვედრილიყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ელიზაბეტის მუშაობის მეთოდი ძირეულად განსხვავდებოდა იმისგან, რომელსაც ფსიქომეტრისტი იყენებდა დასაღუპავად განწირულ ატლანტიდაში „მოგზაურობისთვის". ელიზაბეტმა ხელში აიღო ტუფის ერთ-ერთი (ნებისმიერი) ნატეხი და თვალები დახუჭა. მდივანი მისი სიტყვების ჩასაწერად მოემზადა.

თავიდან, ელიზაბეტი დაიბნა. ის ვერაფერს ხედავდა, მისი მხედველობის არეს რაღაც ეფარებოდა. ეს რაღაც თვითონ ვეზუვი აღმოჩნდა, რომლის გიგანტურ მასაშიც პირდაპირ ჩაიძირა მისი მზერა. ქალს მოუწია ოდნავ შეეცვალა ხედვის კუთხე. გადაშლილმა პანორამამ შეაშფოთა თავისი საშინელი დიდებულებით. საინტერესოა, ელიზაბეტის მდგომარეობას

ტრანსი არ ეთქმოდა: მას არ ავიწყდებოდა თავისი ამოცანა, როგორც ახლა იტყოდნენ, იმის გახმოვანება და კომენტირებაც კი, რასაც ხედავდა. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის მოვიყვანთ მის სიტყვებს, რომლებიც მდივანმა ჩაიწერა: „იქ, მწვერვალთან კვამლია, ქვები, ფერფლი და მტვერი. ეს ყველაფერი, თითქმის მთლიანი მასა ვერტიკალურ სვეტს ქმნის, რომელიც მაღალი ქვის მილს წააგავს. მაგრამ აი, ის ყოველ მხარეს იფანტება! ამოფრქვეული მასა უზარმაზარია. ეს არ ჰგავს ლავას და ვრცელდება დიდი შავი ღრუბლის მსგავსად, რომელიც ზვავის სისწრაფით მოძრაობს. ძლივს ვიჯერებ, რომ ეს რეალობაა. ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს უჩინარი ძალა მოქმედებდეს, რომელსაც ირგვლივ ყველაფრის დამარხვა სურს. ღრუბელი ვრცელდება, შავდება, დიდ შავ ნაკადად მთიდან ძირს ეშვება და განურჩევლად განაგრძობს გადმოფრქვევას... ძალზე დამთრგუნველი სანახაობაა“. შემდეგ ელიზაბეტი აღწერდა პომპეის მოსახლეობის უბედურებას, რომელსაც შავი მასა შთანთქავდა.

მოგვიანებით, მას ტუფის მეორე ნიმუში მიაწოდეს, რომელმაც მისი თვალთახედვა ქალაქის ქუჩებში გადაიტანა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ვულკანის ამოფრქვევა კულმინაციას მიაღწევდა. ელიზაბეტმა დაინახა მოედანზე შეკრებილი ხალხი, შეიხედა სახლებში და გასართობ ადგილებში. „ზოგჯერ მესმის უხეში, შიშინის მაგვარი ხმაური, შემდეგ, ყველაფერი ყუჩდება და ბრბო თითქოს შიშისგან ფხიზლდება“, — იწერდა მდივანი. როგორც ჩანს, ელიზაბეტსაც, შემთხვევის წყალობით, მოგაკვდავ ატლანტიდაში მოხვედრილი უცნობი ფსიქომეტრისტის მსგავსად, შეეძლო არა მარტო დაენახა განვითარებული მოვლენები, არამედ მოესმინა კიდეც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები, რაც თან სდევდა მომხდარს.

ტუფის მომდევნო ნატეხმა ელიზაბეტი მოვლენის საწყის ეტაპთან მიიყვანა. მან დაინახა მაყურებლებით სავსე ამფითეატრი, მნახველები ქალების ცხენებზე ჯირითის ცქერით ტკბებოდნენ. ისინი, ვინც ტრიბუნებზე ვერ მოხვდნენ, შესასვლელთან შეჯგუფულიყვნენ. მათ პირველებმა იგრძნეს საფრთხე. მათი მზერა ვეზუვისკენ იყო მიმართული, ქუჩებიდან ყვირილი ისმოდა. ცნობა ვეზუვის ამოფრქვევის შესახებ, ელვისებური სისწრაფით ვრცელდება, უკვე ამფითეატრშიც ყველაფერი მოძრაობაშია. და აი, ყველაზე უარესიც დაიწყო: დადგა მეწამული ბინდბუდი.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ექსპერიმენტატორთა შემდგომი ბედი. შესაძლოა, წარმატებით ფრთაშესხმულნი, ისინი გაბედულად მოგზაურობდნენ დროში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ძნელად თუ მოხვდებოდნენ უფრო ძველ დროში, ვიდრე პომპეის უკანასკნელი დღეა. ■

სერგო ბელოუსოვის ფოტოგამოფენამ მნახველთა აუდიტორია 2 ნაწილად გაყო: ერთისთვის მისი ნამუშევრები — ხელოვნებაა, მშვენიერებაა, მეორე კი მიიჩნევს, რომ შიშველი ქალი, თანაც — ქართველი, თუნდაც ფოტოზე გამოსახული, ჩვენს მენტალიტეტში არ ჯდება... ვის აშიშვლებს სერგო ბელოუსოვი ფოტოობიექტივის წინ, რატომ იხდიან ქალები მისთვის?.. ჩემი რესპონდენტი შიშველ ქალებს სიამოვნებით იღებს. თუ მან გაშიშვლება გთხოვათ, იცოდეთ — ეს საქმისთვის სჭირდება და არა — სექსისთვის.

გაისადეთ, ოლონდ — არა სექსისთვის!

„მოდელმა უნდა იგრძნოს, თუ რა მშვენიერია შიშველი“...

ლელა ჭანკოტაძე

— 25 წელია, ვმუშაობ. წარმოიდგინეთ, რამდენი ფოტოსურათი მექნება გადაღებული! ყველაფერს ვინახავ. სამწუხაროდ, საქართველოში ფოტოგრაფია ხელოვნებად არ აღიქმება. საზღვარგარეთ კი, მუზეუმებია შექმნილი. აქ, რა კარგი ფოტოც არ უნდა გადაიღო, 100-120 ლარზე მეტად ვერ გაყიდი, იქ კი, ეს ფასი ორმაგდება, ზოგჯერ — ათმაგდება კიდეც. ამასთან, უცხოელი ფოტოგრაფი მხოლოდ ერთ სფეროში მუშაობს: ზოგი — პოლიტიკოსებს იღებს, ზოგი — მომღერლებს, ზოგიც — პეიზაჟებს. ქართველი ფოტოგრაფები ყველა ჟანრში ვმუშაობთ. ქუჩაშიც გადამიღია, პორტრეტებზეც მიმუშავია და ქორწილებშიც მივლია ფოტოაპარატით. სხვათა შორის, ქორწილის გადაღება იოლი სულაც არ არის... ჩვენში ძალზე ძვირი ჯდება გამოფენის მოწყობა. ბევრი ნიჭიერი ფოტოხელოვანი გვყავს, მაგრამ ისინი არ ჩანან და დაფასებულებიც არ არიან.

— როგორ მოახერხეთ თქვენი დიდი არქივის შექმნა? ცნობილია, რომ ფოტოგატაცება მართლაც ძვირი სიამოვნებაა.

— საერთოდ, ხელოვანი არ უნდა ფიქრობდეს არც ევრორემონტზე, არც მანქანაზე, არც ბაზარში წასვლაზე და ა.შ. მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, სად გადავიღოთ და რა გადავიღოთ. ჩვენ კი ძირითადად, შეკვეთებზე ვმუშაობთ. საბედნიეროდ, ზოგიერთს აქვს სურვილი, პროფესიონალმა გადაუღოს. მით უმეტეს, რომ ეს სულაც არ ჯდება ძვირი. მოდელის პორტფოლიოს დამზადება ჩვენთან 100-120 დოლარი ჯდება, საზღვარგარეთ კი — ათჯერ და ოცჯერ მეტი. მე ყოველთვის და ყველგან ვიღებდი, მთამსვლელი ვარ. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა მძიმე ფოტოაპარატი დამქონდა. მაშინ ლამაზ მთებსა და პეიზაჟებს ვიღებდი, ახლა შიშველ ქალებს ვიღებ...

— ვინ იყო პირველი, ვისაც სთხოვეთ, თქვენი ობიექტივის წინ გაშიშვლებულიყო?

— ის გოგონა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახლდათ. მთლიანად არ გაშიშვლებულა... საერთოდ, როგორც წესი, თავიდან ყველა ნერვიულობდა და ვერ იხდიდა, ამიტომ ძირითადად, ნახევრად გახდილ ქალებს ვიღებდი. მერე, როცა ყველამ გაიგო, რომ ჩემი ნდობა შეიძლებოდა, საქმეც უფრო გამიადვილდა. ყველანაირად ვცდილობ, ისე გადავიღო, რომ ის მაყურებლისთვის უცნობი დარჩეს. თუ რომელიმე სურათის გამოფენაზე გატანა გადაწყვიტე, მას აუცილებლად შევუთანხმებ და ვუჩვენებ, კონკრეტულად რომელი ფოტო გახდება ექსპოზიციის ნაწილი. არც ის მინდა, რომ ვიწვალო, გადავიღო და მერე მოდელისგან უარი მივიღო.

— მსგავსი შემთხვევა ყოფილა?

— არა. უთხოვიათ, რომ სურათები მათთვისაც დამემზადებინა. მაგრამ ის ფოტოები, რომლებიც გამოფენაზე უნდა გავიტანო, მხოლოდ მე მეკუთვნის. რამდენიმე მოდელისთვის პორტფოლიო გამიკეთებია. სურათები, რომლებიც გადავუღე, მათ მივეცი, მაგრამ ორი მოდელი ჩემთან საკუთარი სურვილით მოვიწვიე. გაიხადეს, გადავუღე და ის სურათები ახლა მხოლოდ ჩემი საკუთრებაა.

— თქვენს მოდელებს სურათებზე სახეები არ უჩანთ, რატომ?

— როცა შიშველ ქალს ვიღებ, ვცდილობ, სახე არ გამოვუჩინო, რომ შემდეგ პრობლემები არ შევუქმნა. თუმცა, ზოგი მეუბნება — პრობლემა არა მაქვს და სახეც გადამიღეო. რამდენიმე გოგონა გადავიღე კიდეც, მაგრამ გათხოვდნენ თუ არა, დამირეკეს: სურათები გაანადგურეო.

— ძალიან რომ გთხოვოთ, არ გამიმხელთ თუნდაც ერთი ქალის სახელს, ვინც შიშვლად გადაგიღიათ?

— არა. ნებისმიერი ქალის სახელი გასაიდუმლოებული მაქვს.

— ალბათ, ყველა მამაკაც ფოტოგრაფს სურს შიშველი ქალისთვის სურათის გადაღება, არა?

— მამაკაცს ქალები აინტერესებს — არა აქვს მნიშვნელობა, რომელი პროფესიის წარმომადგენელია. ნებისმიერი ნამდვილი მამაკაცი ქუჩაში შემხვედრ ლამაზ ქალს თვალს გააყოლებს, მით უმეტეს — ფოტოგრაფი. მთელ მსოფლიოში საკმაოდ ბევრი ფოტოგრაფი იღებს შიშველ ქალებს, რადგან ქალის სხეული ლამაზია. ფოტოობიექტივმა, სწორედ სილამაზე უნდა დააფიქსიროს, ყოველთვის მომწონდა ასეთი სურათები. შესაბამისად, წლების წინ გამიჩნდა სურვილი, მეც გადამეღო, მაგრამ მაშინ არაფერი გამომივიდა.

— რატომ?

— მაშინ მხოლოდ „წელს ქვემოთ ვაზროვნებდი“... შედეგს ვერ მივაღწიე და განზრახვაზე ხელი ავიღე. გავიდა 5 წელი, დავათვალიერე ძველი კადრები და მივხვდი, რომ საქმეს არასწორად ვუდგებოდი. იმავე „სახლში“ სხვა „კარიდან“ შესვლა ვცადე.

საკმაოდ სწრაფი თვალი მაქვს. წამში ვხვდები, ის ქალი როგორი იქნება ფოტოზე

თავიდან მაინც გამიჭირდა, თუნდაც იმის გამო, რომ ხელთ არ მქონდა ჩემი ნამუშევრები, რომლებსაც ქალს წინ დავუდებდი და ვეტყოდი: მსგავსი მშვენიერების გადაღებას ვაპირებ-მეთქი. ახლა საკმაოდ ბევრი სურათი მაქვს შექმნილი, მათი დათვალიერების შემდეგ, ჩემ მიერ მიზანში ამოღებულ ქალბატონს თანხმობის თქმა აღარ უჭირს.

— როგორი ქალები ხვდებიან თქვენს მიზანში?

— საკმაოდ სწრაფი თვალი მაქვს. წამში ვხვდები, ის ქალი როგორი იქნება ფოტოზე, მას შარმი და პლასტიკა უნდა ჰქონდეს, გრაციოზული უნდა იყოს. ჩაცმულ ქალს რომ შევხედავ, თითქმის დაწვრილებით წარმოვიდგენ, როგორი იქნება შიშველი. ცხადია, სრულყოფილ სხეულს არ ვეძებ, მაგრამ ლამაზი თითები, მხრები, მკლავები — აუცილებელია. ხანდახან მთელი ღამე გამითენებია ფიქრში, თუ როგორი ფოტოსურათი უნდა გადამეღო, როგორი კომპოზიცია უნდა შემექმნა. ვზივარ ხოლმე და ჩანახატს ვაკეთებ. მეორე დღეს, გადაღებაზე რომ მივდივარ, უკვე ვიცი, მოდელს რა მოთხოვნები უნდა წავუყენო, სად უნდა დავსვა, განათება როგორ დავაყენო და ა.შ. ხედვისას ჩემს ფანტაზიას ვიშველიებ და მერე მუშაობა მიადვილდება.



იმ ქალბატონებიდან, რომლებიც გადამიღია, რამდენიმესთან მეგობრული ურთიერთობა დღესაც მაქვს

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე ქალბატონს თვითონ უთხოვია, შიშველი გადაგეღოთ?

— სამწუხაროდ, ასეთი რამ არ მახსენდება. ჩვენი ქალები მორცხვები არიან. სამაგიეროდ, უარი ბევრჯერ მიმიღია. რამდენი ადამიანიც არსებობს, ხელოვნების ნიმუშის აღქმაც იმდენნაირია. ზოგი ჩემს ფოტოსურათებს ხელოვნების ნიმუშად აღიქვამს, ზოგი — პირიქით, გარყვნილებად. სხვათა შორის, ნებისმიერი კადრის დაფიქსირებისას, ბეწვის ხიდზე გავდივარ. ერთი შეცდომა და — ჩემს ფოტოს ხელოვნებასთან საერთო აღარაფერი ექნება.

— გადაღებები სად მიმდინარეობს?

— ავთო ვარსიმაშვილმა თავის თეატრში გამომიყო ადგილი. სტუდია მოვაწყვე. ჩემი ნამუშევრების ძირითადი ნაწილი სწორედ იქ არის გადაღებული. ზოგჯერ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიას ვიყენებ, ულამაზესი ადგილებია. როცა ჩემი უფროსი გოგო თხოვდებოდა, გერმანიაში ჩავედით, ორი კვირის განმავლობაში ორი ქალი გადავიღე, მიუხედავად იმისა, რომ არც სტუდია მქონდა და არც ლამაზი ხედები ვიცოდი, სად იყო...

— რა განსხვავებაა გერმანელ და ქართველ ქალს შორის? რომლის დათანხმება უფრო იოლია?

— სტუმრად მოვიდნენ. მომეწონნენ. რამდენიმე ფოტო მქონდა წაღებული, ვუჩვენე, ვუთხარი, რომ თუ წინააღმდეგები არ იქნებოდნენ, მსგავს სურათებს მათაც გადავუღებდი. ჩემი იდეა მოეწონათ. ფოტოები იმავე ოთახში, ფანჯრის ფონზე გადავიღე. მშვენიერი სურათები გამოვიდა. თუმცა, ენის ბარიერი ხელს მიშლიდა, მათ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდათ იმაზეც, რომ სახე გამოსჩენოდათ, ქართველ ქალებთან კი საქმე სულ სხვაგვარად არის. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ გვარს ვატარებ, მეც თქვენნაირი ქართველი ვარ და მთელი ჩემი სანათესავო ქართველებისგან შედგება. ჩემი შორეული წინაპარი ოდესღაც ზესტაფონში დასახლებულა. მას შემდეგ ვცხოვრობთ და ვმრავლდებით საქართველოში. მეც ქართული მენტალიტეტი მაქვს. როცა ქალბატონს იწვევ არა სექსისთვის, არამედ გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად, უნდა დააცადო, რომ თვითონ იაქტიუროს და თავისი სურვილით გაშიშვლდეს. მას ძალა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაატანო.

— მოდელისთვის ფული არ გადაგიხდიათ?

— ერთხელ ისე მოხდა, რომ მოდელი ვერ მოვნახე და დახმარება ნაცნობს ვთხოვე. მან გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ერთი ქალბატონი მომიყვანა. გადავუხადე ფული და შიშველი პოზირებდა. დაახლოებით ორი საათი ვიმუშავეთ. შემდეგ კი, როცა გადაღებული მასალა ვანახე, გავოცდი: სასურველი კადრი არ მქონდა. კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი — იმ ქალბატონმა დაკისრებული მოვალეობა ისე შეასრულა, რომ შიგ გული და სული არ ჩადო, მე კი მინდა, რომ მოდელმა თვითონ იგრძნოს, რას აკეთებს, რა მშვენიერია შიშველი. თუ თავისი შარმი, შინაგანი სილამაზე და მღელვარება არ დამანახვა, არაფერი გამოვა. ერთი ულამაზესი აღნაგობის ქალი ჩემი აპარატის წინ გაშიშვლდა, მაგრამ იმდენად შებოჭილი იყო, რომ მოდელად არ გამომადგა, ბოდიში მოვუხადე და გავუშვი.

— ნაცნობი ქალბატონები შიშვლები თუ გადაგიღიათ?

— ჩემი ცოლიც გადამიღია და შვილებიც. იმ ქალბატონებიდან, რომლებიც გადამიღია, რამდენიმესთან მეგობრული ურთიერთობა დღესაც მაქვს. ნებისმიერ ქალს, რომელიც გადამიღია, მადლობის გარდა, რა უნდა ვუთხრა?! ჩემი საქმე არ არის, რას საქმიანობენ, როგორი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ქართველი მამაკაცი ალბათ, ვერ შეეგუება იმას, რომ მის ცოლს ვიღაც შიშველს იღებდეს

მე პროფესიონალი ვარ და ისინი ჩემთვის მხოლოდ მოდელები არიან. ცხადია, არასრულწლოვნებს ჩემს სტუდიაში არ ვიწვევ, არც გათხოვილებს. ქართველი მამაკაცი ალბათ, ვერ შეეგუება იმას, რომ მის ცოლს ვიღაც შიშველს იღებდეს. არც მე შევიქმნი პრობლემებს. ქმარგანაშვები ქალები უფრო იოლად იხდიან, ქალიშვილები — ძნელად, ნაკლებად. საერთოდ, ის ქალი, რომელმაც ერთხელ მაინც გაიხადა მამაკაცის წინ, უფრო თამამია და თავისუფლადაც პოზირებს.

— მითხარით, ჩემი ცოლისა და ქალიშვილებისთვისაც გადამიღია შიშვლად სურათებიო. ისინიც გატაცებულები არიან ფოტოხელოვნებით?

— არა. ისინი მხოლოდ ჩემი ხელოვნების

დამფასებლები არიან. შემეძლო, რომ მათთვის ჩემი ცოდნა და გამოცდილება გადამეცა, მაგრამ არ მოინდომეს. გოგონები გერმანიაში ცხოვრობენ: ერთი გათხოვილია, მეორე კი, უნივერსიტეტში სწავლობს. ჩემი მეუღლე პედაგოგია.

— თქვენი მეგობრების, ახლობლებისა და ნათესავების წრეში თუ არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ, რასაც აკეთებთ?

— დიდი ხანია, რაც გია ბუღაძეს ვიცნობ. ვუთხარი: შიშველი სხეულები მაქვს გადაღებული, მინდა, დაათვალიეროთ და თქვენი აზრი მითხრათ-მეთქი. — თავი დამანებეთ, შიშველი ქალების სურათები არ მაინტერესებსო, — მიპასუხა. მეორედაც ვთხოვე, მესამედაც. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. დაახლოებით 70 ნამუშევარი წავუღე, დიდხანს ათვალიერა. მერე მითხრა: ვერ წარმოვიდგენდი, რომ ფოტოზე შეიძლებოდა, ქალის სხეული ასე ლამაზად აღბეჭდილიყოო. ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტია. ჩემი შემოქმედების პირველი კრიტიკოსი თავად ვარ. საკმაოდ მკაცრად ვაფასებ ნებისმიერ სურათს. არქივში ბევრი ისეთი ნამუშევარი მაქვს, რომელიც სხვისთვის შეიძლება, ძალიან კარგი იყოს, მე კი მათ არასდროს გავიტან გამოფენაზე. ■

მისი გულისთვის ჩემი „ლოვე“ მივატოვე...

დასაწყისი იხ. გვ. 29

1 „რომ გაგვეცნო ერთმანეთი,/ „გზა ვნილებმა“ იზრუნა,/ მიმზიდველი მისი ძალა,/ უკვე ბევრმა ირწმუნა/ „გზის“ რედაქტორს 2 გვერდი/ ისევ მარიმ წაართვა,/ „მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ“,/ სათაურად დაარქვა. „სტიქია“.

2 „სალამი, მარი. მაინც, რა მოუსვენარი ხარ. გვანებივრებ და გვახარებ ახალ-ახალი რუბრიკებით. სათაურმა „დამაბა“, ქალო, სათაურმა! თან გავკადნიერდი და როგორც დიდი ხნის ნაცნობს, ისე გწერ. თუმცა, განა ასე არ არის? მართალია, პირველად გწერ, მაგრამ წლებია, „გზავნილებით“ გიცნობ. ჰოდა, რამ დაგაფეთათ გოგონებო ამ „ატბოიზე“? უკეთესს იპოვით და ამ ამბავს მე მივხედავ. არც „სტიქიას“ დავტოვებ უყურადღებოდ და ვირტუალურ ამბორს მივუძღვნი, როგორც თავმდაბალ პოეტს. ქაჯუნა“.

2 „გზა“ მაგარი ჟურნალია,/ არავინ არ დაიწუნოს,/ გაგიმხილეთ „გზავნილებში“,/ მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ. მის ხატია“.

2 „ვეხმაურები 39 წლის უცოლო, უბრალო ბიჭს, რომელიც 35 წლამდე გასათხოვარ გოგოს ეძებს. მისი ნომერი მინდა... თ.მ“.

2 „ვეხმაურები ჩიპჩაპს. მეც მაგარი ჭკუამხიარული გოგო ვარ. მიეცით მას ჩემი ნომერი და ორივე მაგრად გავერთობით. ქუთაისელი გიჟი“.

2 „ვეხმაურები 25 წლის გიოს, რომელმაც ნაადრევად მოიყვანა ცოლი. რატომ ფიქრობ, რომ თუ ცოლს გაშორდები, ბიჭი დაიჩაგრება? გაიზრდება და აუცილებლად გაგიგებს. მეც მარტოსული ვარ. ხათო“.

2 „პირველმა სიყვარულმა ძალიან დამღალა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ახლა სხვისია. დარწმუნებული ვარ, მას ის გოგო არ უყვარს. იქნებ, ვინმე ბიჭი გამეცნოს? ცუდი გოგო“.

2 „22 წლის ვარ და ნამდვილ სიყვარულს ვეძებ. ყველა ჩემი ნაცნობი აფერისტი და მატყუარა გამოდგა. ვინც მომწონდა, ყველამ გული მატკინა. აღარავისი მჯერა. სიყვარულზე ფიქრიც კი მაშინებს. ნუთუ, ყველა კაცი ერთნაირია? ნინუცა“.

2 „მართალია, როცა ამბობენ, რომ დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ იმას არავინ მეტყვის, რა უკუჩვენებები აქვს ამ ყოვლისშემძლე პრეპარატს? დრო მკურნალია — აშრობს ცრემლს, აშუშებს იარებს, მაგრამ ძირფესვიანად გცვლის და სხვა ადამიანად გაქცევს. შენც უკვე აღარ ხარ ის მიამიტი, გულუბრყვილო გოგონა, რომელსაც იმ ყველაფრის სჯეროდა, რასაც პოეტები რომანტიკულ სიყვარულს უწოდებენ, ხოლო ფსიქოლოგები — დროებით ნევრასთენიულ აღგზნებას. დრო ყველაზე ღრმა ჭრილობასაც აშუშებს, მაგრამ ნაწიბური მაინც რჩება. ამ მესიჯს ვუძღვნი დონ მიშას. ბევრი გვექნება საერთო. თამო“.

2 „ვეხმაურები ჩიპჩაპს. ვარ ჭკუამხიარული გოგო. მიყვარს ქეიფი, დროს ტარება, გართობა და ცეკვა. ვარ საკმაოდ სიმპათიური გოგჩო. 18 წლის ჩაპი“.

2 „ვეხმაურები ფიროსმანას. მე ხატვის გიჟი ვარ და შენი გაცნობა მინდა. შავტუხა“.

2 „სტიქიას“ ნომერი მინდა. ის გოგო ვარ, წინა ნომერში „გაოხრებული“ რომ ვუწოდე, მან კი ლექსი მომიძღვნა და ჩემი გაცნობა მოისურვა. ნათუშკები“.

2 „ასათიანიდან გამოქცეული გიჟისა და ჭკუამხიარული გოგონას გაცნობა ვის უნდა? მახინჯი, არაკონტაქტური და 18 წელს ზემოთ ბიჭები არ გამომეხმაუროთ. ლუნა, 15“.

2 „მარი, შენი წყალობით გავიგე, რომ მარტო მე არ ვარ ამ ქვეყანაზე ისეთი, ვისაც სიყვარული სჭირდება. შავტუხა“.

2 „მინდა, ფიროსმანასთან ერთად დავხატო ერთი ლამაზი, გიჟური და ორიგინალური სიყვარული. სოფო“.

2 „ვარ 28 წლის. ცხოვრებაში არ გამიმართლა, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრი და მსურს, შევქმნა ლამაზი, სიყვარულით სავსე ოჯახი. ვეხმაურები 39 წლის ბიჭს. მინდა, სიყვარული მეღირსოს, დავიღალე მარტოობით. მაია“.

2 „პირველად გწერთ. არ გეგონოთ, რომ დაჩაგრული ან მახინჯი გოგო ვარ. „პროსტო“, აქ გასართობად ვწერ, თორემ მაგარი შეყვარებულიც მყავს და თაყვანისმცემელთა დიდი არმიაც. მაინტერესებს, თუ ვინმე შეძლებს ჩემს მორჯულებას. ეს კი, ო-ო-ო-ო... ძალიან გაგიჭირდებათ. კატანინა“.

2 „დიდხანს ვერ ვბედავდი, მომეწერა. „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, 33 წლის. გული მტკივა, რადგან ყველა ადამიანი ჩემში მეგობარს ხედავს. უამრავი მეგობარი მყავს, მაგრამ მე სიყვარული მჭირდება. რატომ ვარ ასეთი? რატომ უნდა გავუგო ყველას? მეც მინდა, ვინმეს ვუყვარდე, როგორც ქალი“.

2 „ვეხმაურები ფიროსმანას. ცხოვრება მართლაც ტილოა, მაგრამ ტილოზე დახატული სურათის წაშლა და სხვა ნახატის დახატვა შესაძლებელია. ერთი რამ კი ვერ გავიგე — თუ საღებავი გაგითავდა, როგორღა აპირებ ლამაზი სიყვარულის დახატვას? მაცაცო“.

2 „აბა, ეს არის ცხოვრება? მართალია, ჯერ მხოლოდ 15 წლის ვარ, მაგრამ არავინ მყვარებია. თუმცა, ბიჭებიც არ იკლავენ თავს ჩემი გულისთვის. არადა, მართლა კარგი გოგო ვარ, როგორც გარეგნულად, ასევე ხასიათით. მარი, გთხოვ, ეს მესიჯი გამომიქვეყნე, იქნებ, ბედი გამეხსნას... ეჭვი მეპარება, მაგრამ, მაინც ვცდი. ბოლო თეთრებით გამოგიგზავნე მესიჯი და არ გამაწბილო, რა�ა... დადუ“.

1 „ვართ 3 თბილისელი ჯარისკაცი. ვმსახურობთ ფოთის საზღვაო ნაწილში. გავიცნობდით ძალიან კარგ გოგონებს. „მატროსები“.

2 „აუ, „გზის“ ერთგულო მკითხველებო, რამ გაგაგიჟათ, ჰაა? ნუთუ, მართლა დაილია საქართველოში ბიჭები ან გოგონები, ვინც თქვენ შეგიყვარებთ? არა, არ მჯერა! დაელოდეთ თქვენს ბედს, ჩემსავით. „სტიქია“, მაგარ ლექსებს წერ. მე შენკენ ვარ! პიკნიკა“.

2 „სტიქია“, შენ მაგარი პოეტი ხარ. მეც სუსტი გული მაქვს და ნუ მაწყენინებ, იქნებ, ჩემზეც გარითმო? ეშმაკუნა“.

2 „ვეხმაურები „ვოლფს“. თუ სურვილი გექნება, მარის ჩემი ნომერი გამოართვი და დამიმესიჯე. შეგიყვარებ და სიყვარულით გულს გაგითბობ. ქუთაისი, ლ“.

2 „ესეც მეორე მესიჯი, შენს მობილურზე... არავის არ ვეხმაურები, რადგან ერთიც მყოფნის. მართალია, ის შორსაა ჩემგან, მაგრამ იმედია, ჩამოვა. ყველას ისეთ ლამაზ სიყვარულს გისურვებთ, როგორიც მე მაქვს. ქეთი“.

2 „ვეხმაურები „სტიქიას“,/ ნეტავ, როგორი ბიჭია?/ ბევრი არ ვიცი, მაგრამ ჩანს,/ ლექსების წერის ნიჭი აქვს./ ერთი რამ მინდა, გაიგო,/ ჩემო პატარა ძამიკო,/ შენ თუ „სტიქია“ ბრძანდები,/ არც მე გახლავარ, დარიო. ვერლგელდ“.

2 „ვეხმაურები 25 წლის გიოს. ნუ გახდები მარტოსული, ნუ ჩავარდები დეპრესიაში და ნუ გააცინებ ხალხს. შენი შვილი არ დაიჩაგრება, ცხოვრება კი გრძელდება“.

2 „ვეხმაურები ფიროსმანას. ვფიქრობ, საინტერესო ადამიანი ხარ. იქნებ, შევძლოთ და ერთად დავხატოთ? რას იტყვი? დეა“.

2 „გამომეხმაუროს ბიჭი, რომელსაც გული ცარიელი ექნება იმისთვის, რომ ჩემი სიყვარული „ჩავტვირთო“. თუ კოდს არასწორად შევიყვან, მაშინ მეგობრობას „ჩავტვირთავ“. აბა, ველი მისტერ კეთილ ანგელოზს. მის კეთილი ანგელოზი“.

Q „სამეგობროდ ვეძებ ერუდირებულ ადამიანს, რომელსაც ამოძრავებს ხალხის დახმარების სურვილი. ხომ არ გავიცნოთ ერთმანეთი?“

2 „გამომეხმაუროს ის, ვისაც ერთფეროვანი ცხოვრება მოჰბეზრდა. საინტერესო იქნება ახალი ამბების მოსმენა. ვისაც მეგობრობა არ შეუძლია, თავს ნუ შეიწუხებთ. ხატია“.

2 „საფლავებს ამტვრევს ილია,/ ვერ აწყნარებენ ტიციანს,/ როცა ჟურნალის გვერდებზე/ ქებას ასხამენ „სტიქიას“./ ვაი-პოეტო, გამეჯიბრე ლექსის წერაში. კანიბალკა“.

2 „ვეხმაურები ფიროსმანას. ოდეს ღაც მეც მყავდა ერთი ფიროსმანა, მაგრამ ლამაზი და ორიგინალური სიყვარული ვერ დამიხატა. თუ მართლაც რომანტიკული პიროვნება ხარ, დამირეკე. პატარა შინაბერა“.

2 „მუდამ ვკითხულობ „გზავნილებს“, მაგრამ პირველად გიმესიჯებთ. გავიცნობ სიმპათიურ, საყვარელ და გამბედავ ბიჭებს. გამომეხმაურეთ. ეთო, 16“.

2 „რომ მცოდნოდა, რას მომიტანდა შენი მესიჯის წაკითხვა, მერწმუნე, არასოდეს წავიკითხავდი. ჩიპჩაპა, არ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ? აუ, მართლაც ძალიან ჭკუამხიარული ვარ. მის ცუნცულა“.

2 „ვეხმაურები მარტოსულ, 25 წლის გიოს. მინდა ვუთხრა, რომ ცხოვრება რთულია, მაგრამ არც ისე მოსაწყენი. თუ ჩემთან საუბარს მოისურვებ, დამიკავშირდი. პატარა ია“.

1 „მინდა, გავიცნო 18 წლამდე ასაკის გოგო. მსურველები გამომეხმაურონ. ყველა მიყვარხართ. სატანა“.

2 „19 წლის, საკმაოდ ლამაზი გოგო ვარ, მაგრამ შეყვარებული ჯერ არ მყოლია, არც არავისთვის მიკოცნია. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ბანძი ვარ, მგრამ რას ვიზამ? ოცნების გოგო“.

2 „ეეე... ჩემს ბედს რა ვუთხარი, თორემ ასე მინდვრის თაგვივით მარტო სიარულის ღირსი ვარ? რომ იცოდეთ, რამდენი სიყვარული და სითბოა დაგროვილი ჩემს გულში... ნამდვილად გაუმართლებს მას, ვისაც შევუყვარდები. ვარ 18 წლის და გავიცნობდი კარგ ბიჭს. დაბლები ნუ გამომეხმაურებით. ჯესი“.

Q „ვეხმაურები ჩიპჩაპს. სიამოვნებით გაგიცნობდი. ჭკუამხიარული“.

1 „სიცოცხლის ელექსირი ხარ,/ სიყვარულის ნეტარება,/ განა შეიძლება, ანუკ-ათენელო,/ შენი ვინმეზე შედარება?/ მეც შენსავით ქართველი ვარ,/ არ გეგონო აზიელი,/ გკოცნი, ანუკ-ათენელო,/ შენი მუკობაზიერი... ანუკა, სიამოვნებით გაგიცნობ... არ ვიცი, ვინ ხარ,/ მარი თუ მაკა?/ საკაიფო ვარ, მე შენთვის, აბა?/ გამეცანი და წლოვანებას გეტყვი... შენი მუკო-ბაზიერი“.

2 „ვეხმაურები ქისოს, რომელიც თავს უიღბლოდ მიიჩნევს. ლეო“.

1 „მარი, გამარჯობა, პირველად გწერ მესიჯს და მგონი, გამომიქვეყნებ, არა? ვარ 22 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის ბიჭი. მინდა, გავიცნო 27-დან 36 წლამდე მაღალი, სასიამოვნო, საქმიანი ქალი. უკომპლექსო და აქტიური“.

2 „ვეხმაურები „სტიქიას“,/ მისი ლექსები მიქია,/ ვინაც რა უნდა, თქვას,/ შენმა წისქვილმა — ფქვას!/ ყველანი ხომ ვერ ვიქნებით,/ გალაკტიონი, გოგლა.../ მჯერა, ამ თეთრი ლექსებით,/ ჩვენი დროც მალე მოვა.../ აბა, შენ იცი, არ შედრკე,/ ნუ დაუჯერებ სხვას,/ ბევრი ლექსები წერე და,/ ნუ დაუჯერებ სხვას! ლალა“.

Q „25 წლის გიო, იქნებ, ისევ შენმა მეუღლემ ამოგივსოს ეგ სიცარიელე? რადგან პატარა ასაკში დაოჯახდი, ალბათ, გიყვარდა კიდეც. ახლა კი უკვე შეეჩვიე და ვეღარ ხედავ მასში იმას, რაც ადრე მოგწონდა. შენი ცოლის მეტი ვერავინ გაგიგებს, დამიჯერე. ზურგს უკან მაინც დაგცინებენ, თუნდაც და-ძმობას გეფიცებოდნენ... მე ეს უკვე გამოვცადე“.

2 „ვეხმაურები 28 წლის გიორგის. რადგან პატიოსან გოგოს ეძებ, ალბათ შენც ძალიან კარგი ბიჭი იქნები. თან, შენი სახელი ძალიან მომწონს. თუ ჩემით დაინტერესდები, ნომერი მარის გამოართვი“.

Q „ვეხმაურები ნუკას, რომელსაც „გზის“ 46-ე ნომერში ჰქონდა მესიჯი გამოქვეყნებული. გთხოვთ, დამაკავშირეთ მასთან“.

2 „ვეხმაურები 25 წლის ცოლიან, მარტოსულ გიოს. თუ გინდა, ჩემი სახით კარგ მეგობარს და მოსაუბრეს შეიძენ. ანნა“.

2 „მინდა, ფიროსმანას ვუთხრა, რომ გულს ნუ გაიტეხს. ცხოვრება მართლაც ტილოა, რომელზეც სათუთად უნდა ვხატოთ, რადგან მისი წაშლა არ შეიძლება, სამაგიეროდ, ნახატის გადასწორება შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს შესაძლოა, ტილო გაგვიფუჭდეს, რისკზე წასვლა ნამდვილად ღირს. დადუ“.

2 „ვეხმაურები 28 წლის გიორგის. ვარ მწვანეთვალება, ლამაზი გოგო, გრძელი თმით. თუ ჩემით დაინტერესდები, „გზის“ საშუალებით გამომეხმაურე“.

1 „არ გინდათ, მუსიკოს ბიჭთან მეგობრობა? გამომეხმაურეთ. მისტერ ოპერა“.

2 „ვეხმაურები 183 სანტიმეტრი სიმაღლის 21 წლის გოგოს. მეც შენსავით მაღალი ვარ — 181 სმ. გეთანხმები, გაუმარჯოს მაღლებს! მაგრამ რა დააშავეს დაბლებმა? ჩემი მეუღლე 172 სმ სიმაღლისაა, მაგრამ ისე მიყვარს, რომ მასზე ჭკუა მეკეტება. სხვის 2-მეტრიან კაცებს მირჩევნია. უკვე 8 წლის შვილიც გვყავს. მთავარია, სიყვარული იყოს და... ალვის ხე დიდია, მაგრამ შეშად მუხა ჯობიაო, არ გაგიგია? დამიჯერე, ასეა, შეგიყვარდება და ნახავ. არ გეწყინოს, ჩემს დასაც იმავეს ვეტყოდი. სოფკა“.

2 „მაგარი მხიარული გოგო ვარ და მინდა, „მესიჯომანიიდან“ ვინმე მეგობარი მყავდეს. გამომეხმაურეთ, ხატია“.

1 „ვეხმაურები 30 წლის გოგოს, თუთას. ვარ 30 წლის კაცი. სიტყვას გაძლევ, ჩემთან არ მოიწყენ და თავსაც კარგად იგრძნობ. პატივისცემით, მეგრე“.

2 „ვეხმაურები ფიროსმანას. მინდა, უამრავი ლამაზი ფერი ვაჩუქო. თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნება. ნუცი“.

1 „მიყვარხარ და მენატრები,/ მეტი აღარ შემიძლია,/ თავში კი არ აგივარდეს,/ ეს უბრალო მესიჯია. ეძღვნება კუსას. ჩიპჩაპი“.

Q „ეს 15 წლის ბავშვები ასე რატომ განიცდიან, რომ ჯერ შეყვარებული არ ჰყოლიათ? მაგ ასაკში სიყვარულზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. „სტიქია“ კი კარგი ადამიანი ჩანს. წარმატებებს ვუსურვებ! ათენიდან, ლატოტო“.

2 „ახლა მოვრჩი „მესიჯომანიის“ კითხვას დ გული უფრო დამიმძიმდა. ვიღაცას რაღაცა უხარია, ვიღაცას — სწყინს, ვიღაცა — ნატრულობს, მე კი ვზივარ ამ უცხო ქვეყანაში, რომელსაც საბერძნეთი ჰქვია და გათენებას ველოდები, რომ კიდევ ერთი დღე მოაკლდეს ჩემს სატანჯველს. ალბათ ოდესღაც მეც დავბრუნდები საქართველოში. ხატია“.

2 „ქმრისთვის ვეძებ საცოლეს! მთელი სერიოზულობით. 34 წლის, ნორმალური გარეგნობის ბიჭია. ჰყავს მანქანა, მუშაობს. არა აქვს ბინა და დროებით, ქირით ცხოვრობს. დაეხმარეეთ!“

2 „ვეხმაურები ყველას, ვინც ჩემს დღეშია და ხუთშაბათის დადგომას ნატრობს. ვეხმაურები ფიროსმანას. მეც სიამოვნებით დავხატავდი შენთან ერთად, მაგრამ მირჩევნია, შენი მუზა ვიყო. ჩემი ნომერი მარის გამოართვი. პატივისცემით, „აქტრისა“ მარგალიტა“.

2 „ვეხმაურები კანიბალას. დიდი სიამოვნებით შევიძენდი შენს გულს. ფუსფუსა“.

2 „ვეხმაურები ფიროსმანას. დიდი ხანია, ჩემი ცხოვრების ტილოც გაუფერულდა. ათასნაირი საღებავი მაქვს. მინდა, ხატვაში მოგეხმარო და ყველაზე ლამაზი სიყვარული დავხატოთ“.

2 „ფიროსმანა, ხატვის არაფერი გამეგება. მასწავლე და ერთად ვხატოთ. გაწყობს? იმედია, გამომეხმაურები. მოუთმენლად ველი ხუთშაბათს. თეკუ“.

2 „36 წლის სევდიანი ბიჭი რატომღაც დუმს. გაიღიმე, პატარავ! მე აქ ვარ! თამუნა, 25 წლის“.

1 „ვარ 27 წლის უცოლო მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 20-25 წლის გოგონას. მშვილდოსანი“.

2 „მარი, გაგებუტო? რატომ არ მიბეჭდავ მესიჯებს? სამეგობროდ გავიცნობ ვინმე ბიჭს. არ ინანებთ. გაკოცებთ. ანუკი“.

1 „აუუუ, რა ამბავი ატყდა ამ 36 წლის კაცზე! არავინაა ისეთი, ვინც მასზე ორჯერ უმცროსს, სიყვარულით გაგიჟებულ ადამიანს ანუგეშებს? მიშველით? არა მგონია, მაგრამ მაინც, რა იცი, რა ხდება. ჯალუ“.

2 „ძალიან დამაინტერესა 28 წლის გიორგი მართალმა. მინდა გავიცნო, რადგან მომწონს სერიოზული მამაკაცები. ნატა“.

Q „იცით, რაზე ვკაიფობ? მართალი იყო ის 36 წლის კაცი, რომ წერდა: ქალი ვერ ვნახე, უანგაროო. წაიკითხეს — უცოლო, სიმპათიური, ფულიანი „გაიჩითაო“ და რამდენს მოუნდა მისი გაცნობა! კი მაგრამ, იქნებ, ვინმე მატყუარაა?“

Q „ჩემო კარგო იმედო, რაში გჭირდება ისეთი ქალი, რომელსაც სიგიჟემდე ეყვარები? თანაც, გეცოდინება, რომ მისი სიგიჟის მიზეზი შენი სიყვარულია. სინდისი“.

2 „ფიროსმან, შემიძლია, ჩემი საღებავები გაგინაწილო. ეთუშკა“.

Q „არ მჭირდება ერთფეროვნება და სტანდარტული რობოტები. ვეძებ განსხვავებულ აზრს... ჰეი! დაბეჭდეთ! შეურაცხადი“.

Q „ვეხმაურები 39 წლის დედის იმედს. ბებია მყავს, ქვრივი. გინდა? ახალგაზრდა გოგოზე ნუღარ იოცნებებ, საყვარელო. ტანჯული“.

2 „ვარ 34 წლის. სამწუხაროდ, ოჯახი მაქვს და ერთი შვილიც მყავს. ძალიან უბედური და მარტოსული ვარ. ჩემი ქმარი თავის სტიქიაშია. იქნებ, ჩემსავით უბედური ვინმე არსებობს? სიამოვნებით ვიმეგობრებდი მასთან. ფული და ქონება არ მაინტერესებს. ვნახოთ, ცხოვრება რას მოგვიტანს. ნანა“.

2 „40 წლის დაუოჯახებელმა ადამიანმა შესაძლოა, დაამესიჯოს და სახალხოდ თქვას, რომ კაცი უნდა, მაგრამ არ მესმის, ეს 15 წლის გოგო-ბიჭები რამ გააშწარა? ნინიკო“.

2 „სტიქია“, რა მაგარი ხარ! კარგ ლექსებს „ჩითავ“. არ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ? ან ვინმეს არ სურს კარგი მეგობარი? დამიმესიჯეთ! მის ცუნცულა“.

2 „დავიჯერო ჩემს მესიჯზე ორიგინალური იყო რომელიმე? „სტიქია,“ მაგარი ხარ, არავის მოუსმინო, შენთან ვარ! მის სიო“.

2 „ეეე, მარიიიი, რათ არ მიბეჭდავ მესიჯებს, რათა, რათა, ჰააა? ვეხმაურები ჩიპჩაპს. ვარ ჭკუამხიარული გოგო. არ მოიწყინო, ცხოვრება მშვენიერია. გაუმარჯოს გიჟებს. მარი, თუ არ დამიბეჭდავ, პარასკევს ჩემს პანაშვიდზე მოდი. სოფო“.

1 „მე მქვია „აბრეზა“. ვარ 23 წლის, მეოცნებე მეზღვაური და მაკლია მხოლოდ სიყვარული. ვიმეგობრებ ხუჭუჭთმიან, ახალგაზრდა გოგოსთან, რომელსაც სიყვარული სჭირდება. ბათუმელი“.

2 „ფიროსმანას: საღებავი მოგიტანე, ბიჭო, საღებავი! მოგაწოდო თუ ერთად ვხატოთ? ქისო“.

1 „ჯერ ვეხმაურები იმ გოგოს, რომელმაც წინა კვირას ეგოისტი მიწოდა. მე ისევ აქ ვარ, თქვენ გვერდით. წინა კვირას, მარიმ არ დამიბეჭდა მესიჯი, თორემ მე მართლა ვცადე შენთან დაკონტაქტება. თუ ახლა გამიმართლა და ეს მესიჯი დაიბეჭდა, მარი ჩემს ნომერს მოგცემს... ლუსისაც მივმართავ. გაინტერესებს, რატომ დავირქვი მონასტრის ბიჭი? მოკლედ გეტყვი — მეგობარმა შემარქვა მონასტერში. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. „სტიქიას“ მეც შევეჯიბრები ლექსებში. მეც „გიჟპოეტა“ ვარ“.

2 „დონ მიშა, შენი მესიჯი რომ წავიკითხე, მეგონა, მე ვწერდი. 16 წლის ვარ, მაგრამ ბევრი რამ ვნახე ცხოვრებაში და ბევრ რამეს მივხვდი. მესმის შენი, მაგრამ შენგან განსხვავებით, მე იმის იმედი არა მაქვს, რომ ოდესმე ჩემი პრობლემები მოგვარდება. ქისო“.

2 „ფიროსმან, მეც გამითავდა საღებავი და ვეღარ ვხატავ. ნომერი მარისთანაა. თეკო“.

2 „ვეხმაურები მიას. ნიკი რატომ მომპარე? არა უშავს, მე შემიძლია დაგეხმარო, თუ რა თქმა უნდა, შენ მოისურვებ. ცოტა პატარა ვარ, მაგრამ დამიჯერე, გამოცდილი. მია-2“.

2 „ვეხმაურები მადრიდისტას. მეც 15 წლის ვარ. შეყვარებული არც მე მყოლია. მაგაზე ნუ იდარდებ, ეგ არაფერია. სანამ დროა, გაერთე. ნატუშკები“.

2 „ვეხმაურები ვოლფს. რადგან ყველა ძმასავით უყურებს, მაშ, კარგი ადამიანი ყოფილა. ძალიან მინდა, მისი გაცნობა“.

Q „გწერთ პირველად და უკანასკნელად. მინდა, გავიცნო თუთა. მე 32 წლის ვარ“.

2 „ვეხმაურები 25 წლის გიოს. მეც ადრე გავთხოვდი, თანაც, 3 თვის წინ. ახლა კი ვნანობ, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემიძლია. ჰუფი“.

1 „ალბათ, გაზაფხულიც უშენოდ ჩაივლის,/ დამრჩება ტკივილი, დარდი და ზმანება,/ ალბათ სხვები მოვლენ, ვინ იცის... ვინ იცის.../ მე კი ამატირებს შენი მონატრება... თეკო, გამიცნობ?“

1 „ჩემი ნომერი მიეცით ჩვეულებრივ გოგოს. წუნია ლუნას კი მინდა ვუთხრა, რომ უნაკლო არავინაა. ბაჩო“.

1 „ლაკი ლუჩანო ვარ. მარი, იცი, რამდენი სვანი ძმაკაცი მყავს? ხომ არ გინდა, მთელი ლაშქარი შევყარო შენს წინააღმდეგ? ჰოდა, მაშინ ეს მესიჯი დამიბეჭდე. აქ არაჩვეულებრივი გოგონები წერენ და სიყვარულს ეძებენ. დავეკონტაქტები 30-35 წლის გოგონებს“.

1 „სხვებისგან განსხვავებით, სიყვარულს არ ვეძებ. ვეძებ კარგ მეგობარს. არა აქვს მნიშვნელობა, ბიჭი იქნება თუ გოგო. დათო-27“.

1 „ვეხმაურები ლამაზ და მომხიბვლელ თეკოს, ძალიან დავინტერესდი შენით. გამბედავი ბიჭი“.

1 „ვარ 19 წლის, მშვენიერი ბიჭი. რატომ ვამესიჯებ, არ ვიცი. მარი, ვინმე კარგ გოგოს მიეცი ჩემი ნომერი, რა�ა... გო.მა“.

ყურადღება — სიახლე!

მომავალი ნომრიდან, კონკრეტული ადრესატისთვის გაგზავნილი მესიჯი ფასიანი ხდება — ის 50 თეთრი დაგიჯდებათ. ამასთან, იცვლება ნომერი, რომელზეც ეს მესიჯები უნდა გამოგზავნოთ. საამისოდ, „ჯეოსელის“ და „მაგთის“ აბონენტებმა უნდა აკრიბოთ — 8884. ამასთანავე, მესიჯის ტექსტის აკრებამდე, SMS-ფუნქციაში შესვლისთანავე უნდა აკრიბოთ სიტყვა: GZA და გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ კი, აკრიბეთ სასურველი ტექსტი.

ამრიგად, გთხოვთ, პირადი ხასიათის მესიჯები აღარ გამოგზავნოთ რუბრიკის — „გზავნილების“ ავტორის ნომერზე.

დასაწყისი იხ. გვ. 15

დაგეგმეს. ამჯერად გადაწყვიტეს, ღამით რომელიმე ტაქსი გაეჩერებინათ და მძღოლისთვის დღის მანძილზე გამომუშავებული ფული და მანქანა წაერთმიათ. თუმცა, ვიდრე განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგებოდნენ, გვაზავას ინიციატივით, მისსავე საცხოვრებელ ბინაში, რომელიც გლდანის მასივში ჰქონდა დაქირავებული, ქეიფი მოისურვეს. გვაზავამ და ჯიშკარიანმა ორი ბოთლი არაყი და სხვა პროდუქტები შეიძინეს და გაბედავასა და აბესაძესთან ერთად, სუფრას მიუსხდნენ.

განზრახვის განსახორციელებლად, ნასვამები ქუჩაში დაახლოებით ღამის 11-ის ნახევრისთვის გავიდნენ. რამდენიმე წუთში მათ „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა გააჩერეს და შუახნის მძღოლს — ვარლამ ტყემალაძეს ნაძალადევის რაიონში წაყვანა სთხოვეს. როცა „ნახალოვკის“ დასახლებას მიუახლოვდნენ, მძღოლმა მათ იმ ადგილის დაკონკრეტება სთხოვა, სადაც მგზავრები უნდა დაეტოვებინა. ნასვამმა მგზავრებმა უთხრეს, რომ იქ ჩასვლას არ აპირებდნენ. მოსთხოვეს, ისინი ნავთლუღის მიმართულებით წაეყვანა. მძღოლმა, რომელმაც სავარაუდოდ, გვიან შენიშნა, რომ მისი მგზავრები ნასვამები იყვნენ, ამაზე უარი თქვა, მანქანა გააჩერა და ახალგაზრდებს მგზავრობის საფასურის გადახდა და ჩასვლა სთხოვა. ამაზე გაბედავამ და მისმა თანმხლებმა პირებმა უარი თქვეს, გარდა იმისა, რომ ფულის გადახდას არ აპირებდნენ, მძღოლს დაუყოვნებლივ მანქანიდან გადასვლა, მანამდე კი, გამომუშავებული თანხის მათთვის გადაცემა მოსთხოვეს. მძღოლმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ბოროტმოქმედებს უთხრა, რომ ფული არ ჰქონდა, მანქანას კი, მათ არ დაუთმობდა.

„...მაშინ ლევანმა (გაბედავა), რომელიც მძღოლის უკან იჯდა, მას კისერზე მკლავი მოხვია და წაუჭირა, თან აგინებდა. ამის შემდეგ, მანქანიდან გადავედით და მძღოლი გარეთ გადავათრიეთ. მას ყველანი ერთად ვურტყამდით...“ — წერს ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში **ჯიშკარიანი**.

შეშინებული მძღოლი თავდაცვას ცდილობდა და შველას ითხოვდა. გამოძიების მასალების მიხედვით, ბოროტმოქმედებს თან ცეცხლსასროლი იარაღიც ჰქონდათ, რომლითაც დაემუქრნენ კიდეც აწ გარდაცვლილს. მაგრამ დანაშაულის ჩადენის დროს, იარაღიდან მათ არ გაუსვრიათ. გადაწყვიტეს, ურჩ მძღოლთან ანგარიში სასტიკი ცემით გაესწორებინათ. ჯერ მუშტებით სცემდნენ, იარაღს თავის არეში, კერძოდ, კეფაში ურტყამდნენ. ტყემალაძე ტკივილისგან წელში მოიხარა, შემდეგ კი, თითქმის გონდაკარგული, მიწაზე დაეცა. ცემა არც ამის შემდეგ შეწყვიტეს. წაქცეულს წიხლებს ურტყამდნენ, დაზიანებებს აყენებდნენ, როგორც თავის, ასევე სხეულის სხვადასხვა ადგილას. გვაზავამ ყოველივე ეს საკმარისად არ მიიჩნია, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა რომ არ დარჩენოდა, ავტომანქანის სახურავზე ავიდა და, ისედაც დასისხლიანებულ, თითქმის ცოცხალმკვდარ მძღოლს იქიდან დაახტა. ამის შედეგად, ვარლამ ტყემალაძემ გულმკერდის არეში უმძიმესი მოტეხილობები და სიცოცხლისთვის საშიში სხვა დაზიანებები მიიღო.

ბოროტმოქმედებმა ალბათ მიიჩნიეს, რომ საკმარისი იყო. უგონოდ მყოფ მძღოლს თავი დაანებეს და მის მანქანაში მოთავსდნენ. იქიდან ყველანი ერთად, დიდი სისწრაფით, გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ.

გამოძიება ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ განსასჯელებმა იარაღი არ გამოიყენეს, ამიტომაც გამოირიცხა წინასწარი განზრახვით მკვლელობის ჩადენა და დანაშაული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებით (რასაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა) დაკვალიფიცირეს. მაგრამ დაზარალებული მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ ეპიზოდში გამოძიების პოზიციას და აცხადებს, რომ საქმე სასტიკ მკვლელობასთან გვაქვს. განსასჯელთა ადვოკატები საერთოდ, უარყოფენ საქმეში ცეცხლსასროლი იარაღის არსებობის ფაქტს. მათი თქმით, გამოძიებას, არა მარტო გაბედავასა და მისი მეგობრების მიერ შემთხვევის დღეს იარაღის ტარების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, არამედ საერთოდ, დანაშაულში მათი მონაწილეობის მტკიცებულებაც კი არ გააჩნია. საპირისპიროზე მიუთითებს ბრალდების მხარე, რომელიც მტკიცებულებებად, ექსპერტიზების დასკვნებსა და იარაღის ამოღების ოქმებს ასახელებს. რამდენად საკმარისად მიიჩნევს წარმოდგენილ მტკიცებულებას სასამართლო, ეს მოგვიანებით გაირკვევა, მანამდე კი, მოწმეთა დაკითხვაა საჭირო. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველ ეპიზოდს, რომელიც „ტოიოტა-ლენდკრუიზერის“ გატაცების ფაქტს ეხება, თვითმხილველი, გარდა დაზარალებულისა, არ ჰყავს. თავად დაზარალებულმა კი, როგორც დამნაშავენი, გაბედავა და ჯიშკარიანი ამოიცნო და ეს, სასამართლო პროცესზეც დაადასტურა. რაც შეეხება აბესაძესა და გვაზავას, დაზარალებული გამოძიებას მათთან დაკავშირებით ვერანაირ ცნობას ვერ აწვდის. მისი თქმით, მან მხოლოდ სილუეტებს მოჰკრა თვალი. გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, გაბედავამ და ჯიშკარიანმა აბესაძე და გვაზავა დაასახელეს. დანაშაულში მონაწილეობა თავიანთ პირველ ჩვენებებში თავად აბესაძემ და გვაზავამაც დაადასტურეს.

რაც შეეხება ტყემალაძის ცემის ფაქტს, — ამ დანაშაულის თვითმხილველი, საღღეღამისო ჯიხურში მომუშავე ქალბატონი გახლდათ. წინასწარი გამოძიების ეტაპზე, მან გაბედავა და მისი მეგობრები ამოიცნო. რას იტყვის სასამართლოზე, — ამას მალე შევიტყობთ. ამ ფაქტს კიდევ რამდენიმე მოწმე ჰყავდა — ქუჩაში შემთხვევითი გამვლელები, რომლებმაც ნაცემ მძღოლს დახმარება აღმოუჩინეს და „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახეს. ჩვენებებში ისინი დაწვრილებით აღწერენ აწ გარდაცვლილის უმძიმეს მდგომარეობას, მაგრამ დამნაშავეების შესახებ არაფერს აფიქსირებენ, აღნიშნავენ, რომ მათ ისინი არ დაუნახავთ.

ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ, ირწმუნებიან, რომ მათ არც ავტომანქანები გაუტაციათ და არც ტაქსის მძღოლი უცემიათ, წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებები კი — უკანონობის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის შედეგია. ყველაფერთან ერთად, ადვოკატები იმასაც აცხადებენ, რომ საქმის მასალებში ჩვენებები გაყალბებულია, ოქმის ფურცლები კი — შეცვლილი. ბრალდების მხარე დაცვის მხარის ამ პრეტენზიებს, როგორც აღნიშნავს, სერიოზულად არ აღიქვამს. სახელმწიფო ბრალმდებელი ელის, რომ სასამართლო ობიექტური იქნება, განაჩენი კი — საკმაოდ მკაცრი... ■

ციხის საავადმყოფოში პატიმარმა გარდაცვალების ფაქტები დაფიქსირდა

ამ კვირაში საქართველოს ციხეებში გარდაცვალების ფაქტები დაფიქსირდა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 41 წლის პატიმარი — იგორ ს. (სამინისტროს თხოვნით, გვარი არ ვრცელდება) გარდაიცვალა. პატიმარი ციხის საავადმყოფოში გეგუთის №8 საპყრობილიდან 17 ოქტომბერს გადაიყვანეს. ის 1997 წელს, მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს და გასამართლების შემდეგ, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პატიმრის სიკვდილის სავარაუდო მიზეზად, ღვიძლის ციროზის ფონზე განვითარებულ, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობას ასახელებენ. ავადმყოფს დასმული ჰქონდა დიაგნოზი: უცნობი ეტიოლოგიის ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი დეკომპენსაციის სტადიაში, პორტული ჰიპერტენზია უჯრედოვანი უკმარისობით, გამოხატული ენცეფალოპათიით, რეზისტენტული სრულფასოვანი მკურნალობის მიმართ.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა 47 წლის პატიმარი — რამაზ ს. ის 2006 წელს, ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მისი სიკვდილის მიზეზად, თავის ტვინის სისხლძარღვების თრომბოემბოლიის ფონზე განვითარებულ გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობას ასახელებენ. ავადმყოფობის პერიოდში მას ასეთი დიაგნოზი დაუსვეს: მარცხენა ქვედა კიდურის პოსტთრომბოფლებიტური თრომბოზი, მარცხენა ბარძაყის ვენის თრომბოზი და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. ■

ლელა წურწუმიამ ფონოგრამას, ბენდი საბოლოოდ ჩაანაცვლა

გიორგობის დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. თბილისის არაერთ კლუბსა თუ რესტორანში შესაბამისი პროგრამა იყო დაგეგმილი. „სითი ქლაბში“ მომღერალ ლელა წურწუმიას სოლო კონცერტი გაიმართა. მომღერალმა თავის ბენდთან ერთად, ცოცხ-

ალი კონცერტი ჩაატარა. ახლა ხომ ის ბენდის გარეშე აღარ მღერის. საღამო ორი ნაწილისგან შედგებოდა, რადგან ლელამ თავისი რეპერტუარი ასე დაყო — ძველი და ახალი სიმღერები. კონცერტს ხატია შამუგია უძღვებოდა და უამრავი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა: იყვნენ ქართული თეატრისა და კინოს მსახიობები, მოდელები, ტელეჟურნალისტები; ბევრი მათგანი აღნიშნავდა — ცოცხალი კონცერტი მართლაც, სულ სხვა სიამოვნებაა და ამიტომ, ლელას მიერ არაერთხელ შესრულებულ სიმღერებს ბენდის თანხლებით, სულ სხვაგვარად აღიქვამდნენ.

gza dedaqalaqisken

„თბილისი ის ადგილია, სადაც ვცხოვრობ და ვმუშაობ...“

ჯგუფს — „ქუჩის ბიჭები“ — ის დაებედა, რომ ერთი წევრი აუცილებლად ქერა ან, უკეთეს შემთხვევაში, „რიჟა“ უნდა ჰყავდეს. ამის დასტურია ის, რომ ჯგუფიდან როგორც კი წავიდა, ერთ-ერთი ქერა-„რიჟა“ წევრი, ირაკლი ნოზაძე — იგივე პიკასო, მას მაშინვე ჩაენაცვლა „რიჟა“ გურული — პაატა ცეცხლაძე. პაატა, გარდა იმისა, რომ კონსერვატორიის სტუდენტია — საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე სწავლობს, მგალობელიცაა, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში გალობს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მგალობელ ვაჟთა გუნდის წევრია. პარალელურად, როგორც თვითონ ამბობს, არ უჭირს „ქუჩის ბიჭების“ სოულ-რეპერტუარისა და საერთოდ, ნებისმიერი მუსიკალური ჟანრის სიმღერის შესრულება.

პაატა ოზურგეთიდან გახლავთ, იქაა დაბადებულ-გაზრდილი. სკოლა როგორც კი დაამთავრა, დედაქალაქისკენ მომავალ გზას დაადგა და კონსერვატორიაში დაიწყო სწავლა.

— თბილისში ძალიან მიყვარს მთაწმინდის უბანი, რადგან ოზურგეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ამ უბანში დავსახლდი.

— ოზურგეთში ხშირად ჩადიხარ?

— მენატრება ჩემი ოზურგეთი, მაგრამ იქ ხშირად ჩასვლას ვერ ვახერხებ, არ გამოდის. უფრო ზაფხულობით ვსტუმრობ ხოლმე ამ მშობლიურ კუთხეს.

— პაატა, რა არის დედაქალაქი შენთვის!

— თბილისი ის ადგილია, სადაც დღეს ვცხოვრობ და შემოქმედებითად ვიზრდები.

— თუ გახსოვს, პირველად როდის ჩამოხვედი თბილისში?

— საკმაოდ პატარა ვიყავი და ის პერიოდი ცუდად მახსოვს. თუმცა, იმას კი ვერ დავივიწყებ, როგორ ვიხალისე თბილისის მეტროში. გაოცებული დავრჩი იმით, თუ როგორ მოძრაობდა მიწის ქვეშ მატარებელი. ესკალატორიც მაგარი იყო.

— დღეს უკვე თბილისელი ხარ?

— თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ აქ არ დავბადებულვარ, ამიტომ, თბილისელი ვერ ვარ. თუმცა, ამ ქალაქის გარეშე ცხოვრება მიჭირს. სხვაგან წასული, დიდხანს ვერსად ვჩერდები. დედაქალაქში ბევრი მეგობარი შევიძინე, მათ შორის არიან ცნობილი ადამიანები... თბილისი ძალიან ლამაზია. ამ ქალაქში ამორჩეული მაქვს ჩემი საყვარელი ადგილები, სადაც ხშირად დავდივარ.

გახდება თუ არა ნათია ნებიერიძე „მსოფლიოს დედოფალი“

მოდელი და მომღერალი **ნათია ნებიერიძე**, რომელსაც ჯგუფ „ენსიდან“ ვიცნობთ, ცოტა ხანში გერმანიაში, ქალაქ დრეზდენში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს კონკურსში — „მსოფლიო დედოფალი“. ნათია 2000 წელს „მის საუკუნის“ ტიტულს დაეუფლა და მისი შერჩევისას, გერმანელებმა სწორედ ეს გაითვალისწინეს. ამასთანავე, მას პარამეტრებიც იდეალური აღმოაჩნდა. ამრიგად, ის სტანდარტებს აკმაყოფილებს. იმის გამო, რომ ნათია, სააგენტო „ნატალის“ მოდელია, მიწვევაც სწორედ აღნიშნულ სააგენტოში გაუგზავნეს. გერმანიაში კონკურსისთვის მას, დიზაინერ ნანა შუკვანის მიერ შექმნილი „ნაციონალური კაბა“, კიდევ რამდენიმე კოსტიუმი და ასევე, საცურაო კოსტიუმიც მიაქვს.

ჩვენ ნათიას ვგულშემატკივრობთ

ნანა შუკვანი:

— ნათია კარგ ფორმაშია. მას ყველანაირი მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ ათეულში მაინც მოხვდეს. ორგანიზატორებმა სთხოვეს, თავისი კლიპები და სიმღერებიც ჩაიტანოს, რადგან შეიტყვეს, რომ ის მოდელობას მომღერლობასაც უთავსებს. ასე რომ, 12 დეკემბერს მისი „ნამოქმედარის“ შესახებ შევიტყობთ.

იუმორისტების „ფეჩენ-ბეუღლეების“ „პაკახი“ შედგა

გიორგობის დღესასწაულს დამთხვიეს ახალბედა დიზაინერებმა: დებმა მარიამ და ია უძილაურებმა და მაკა ჩხაიძემ თავიანთი მოდელების ჩვენება. სალონმა „ჯეელი“ სტუმრები „შერატონ მეტეხი პალასის“ „ნაით ქლაბში“ მიიწვია. წარმოდგენილი იყო როგორც ყოველდღიური სამოსი, ასევე გამოსასვლელი, საღამოს კაბები, რომლებიც XIX საუკუნის ავსტრიელი მხატვრის — გუსტავ კლიმტის

დები უძილაურები

გავლენით შეიქმნა. საღამოს ორი ცნობილი იუმორისტი ესწრებოდა: მიშა ანდღულაძე და ნიკა გრიგოლია, რომლებიც ჩვენებას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს და ცოტათი განიცდიდნენ კიდეც, რადგან ისინი თავად დიზაინერების მეუღლეები გახლავან. კოსტიუმები მოდელების სააგენტო — „VIP მოდელსმა“ წარმოადგ-

ირინა ონაშვილი ჟურნალის მთავარი რედაქტორი გახდა

— რას გვეტყვი ახალს?

— ახალი ის არის, რომ სულ რაღაც ერთი თვეა, ერთ-ერთი ჟურნალის მთავარი რედაქტორი გავხდი და ნელ-ნელა ვითვისებ ჩემს ახალ ამპლუას. ეს წინადადება მოულოდნელად მივიღე.

— ირინა, რა არის სილამაზე?

— ადამიანის გარეგნული მონაცემებისა და საუკეთესო შინაგანი თვისებების შერწყმა, რაც ღმერთის საჩუქარია. ძალიან მიყვარს ლამაზი ადამიანები. ლამაზ ადამიანს ყველაფერს ვაპატიებ, სილამაზეს დიდი ძალა აქვს!

— ბოლოს, თუ გახსოვს, ვინ გითხრა კომპლიმენტი?

— 21 ნოემბერს დიზაინერ ქეთი დარსაველიძეს გრანდიოზული ჩვენება ჰქონდა. იქ, როგორც მოდელი, ისე გამოვედი, მისი სამოსი წარმოვადგინე. ჩვენების შემდეგ, ქეთიმ შემაქო და კიდევ ერთხელ მითხრა, რა კარგად გამოიყურებიო!..

— ლამაზ ქალს როდესაც უყურებ, ქალური შური ხომ არ გიპყრობს?

— არასდროს. თუმცა, ჩემ მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ბევრისგან ვგრძნობ ხოლმე. ლამაზი ქალის შეფასებისას, მე ყოველთვის გულწრფელი ვარ.

— რას შეცვლიდი შენს გარეგნობაში?

— არის რაღაც წვრილმანები, რის შეცვლაზეც მიფიქრია...

— დროს როგორ კლავ?

— როდესაც თავისუფალი დრო გამომიჩნდება, კომპიუტერს მივუჯდები ხოლმე.

— უხამსი სიტყვა, რომელიც წამოგცდენია...

— თუ წამომცდენია, ესე იგი, ვნანობ, ხომ? ამას შენ რატომ გეტყვი (*იცინის*)?

— კარგი... რას იზამ, თუ ტყუილში გამოგიჭერენ?

— ასეთი რამ არ მოხდება, რადგან ტყუილი მეჯავრება. ვინც იტყუება, მასთან ურთიერთობას არ ვაგრძელებ. ყველაფრის პირდაპირ თქმა ვიცი.

— დაასახელე მიზეზი, რის გამოც შეიძლება, ღამე გაგეტეხა?

— თუკი საქმეზე ვნერვიულობ ან რაღაცას განვიცდი.

— ხშირად ხარ განცდებში?

— ხანდახან.

— სირაქლემა თავს ქვიშაში რატომ ყოფს?

— ალბათ, მაღალი რომ არის, ამის კომპლექსი აქვს და იმალება ან კიდევ ჰგონია, რომ თუ თავს ჩაყოფს, მონადირე ვერ დაინახავს — არადა, მონადირეს ის ვერსად დაემალება...

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, რომელიც კომბლეს თლის, ჭერში აწყობს, ვინც გააბრაზებს, თავში ჩასცხებს... ამ ზღაპრების მოყოლით უკვე აღარ ვვარგივარ — ჩემს დისშვილებს გაუთავებლად ვუყვები...

— მწვადი ღორის ხორცის ჯობია თუ ძროხის?

— რა თქმა უნდა, ღორის ხორცის. ვგიჟდები მწვადზე.



— როგორ ფიქრობ — ქალის მთავარი იარაღი თვალებია?

— ქალის იარაღი ის გახლავთ, რომ ის ქალია!

— ვინ იქნებოდი წინა ცხოვრებაში?

— ვფიქრობ, „მალიარი“, რადგან საღებავები და რემონტის კეთება ძალიან მიყვარს... ხანდახან ვამბობ კიდეც — ნეტავ, წინა ცხოვრებაში „მალიარი“ ხომ არ ვიყავი-მეთქი (*იცინის*)?..

— სად ხარ ახლა?

— სახლში და „ჯეოსტარის“ კონკურსს ვუყურებ, რომელშიც მგონია, რომ ანანო მჟავია გაიმარჯვებს.

— ვნახოთ... ვის ეკუთვნის ლექსი — „...ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან...“?

— ანა კალანდაძეს.

— ახლა შენ თვითონ თქვი სტრიქონი რომელიმე ლექსიდან.

— „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...“

— შენი ნება რომ იყოს, სად გაემგზავრებოდი?

— იტალიაში. მიყვარს იტალია.

— სულ ბოლოს, რას ეტყვი მკითხველს?

— იყავით მხიარულები, ბევრი იცინეთ და ყველაფერი კარგად იქნება!

ინა, ჩვენების გახსნა კი, წამყვანს — მარგარიტას ერგო წილად, რომელმაც სულ ბოლოს, თავისი ნამღერითაც გაახალისა სტუმრები.

კრისტი:

— ლამაზი კოლექციაა, დიზაინერები დამწყებები რომ არიან, ესეც ეტყობათ, მაგრამ მონდომებაც რომ არ დაუკლიათ ნამუშევრების შექმნისას, ესეც აშკარად ჩანდა. ძალიან მიყვარს მხატვარი გუსტავ კლიმტი. კოსტიუმებში მისი გავლენა იგრძნობოდა, რაც ცუდი სულაც არ არის.

ქართველმა ჟურნალისტებმა ერთმანეთი „დაჭრეს“ და „შეჭამეს“

კინოთეატრ „რუსთაველში“ ქართული პრესის ჟურნალისტები შეიკრიბნენ. მათთვის შენობის მესამე სართული „დაიხურა“, რადგან იქ „მედიაფართი“ შედგა. ისინი იქ კინოთეატრში არსებულმა მაღაზიამ — „კოფიშოფმა“ მიიწვია და შესაბამისად, 50-ნაჭრიანი ტორტიც გამოუცხო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მიწვეულ ჟურნალისტთა ფოტოები ტორტზე იყო გამოსახული: ჟურნალისტები სურათების გადასაღებად, ერთი კვირით ადრე დაიბარეს. ასე რომ, მედიის წარმომადგენლებმა ერთმანეთი „დაჭრეს“ და „შეჭამეს“. ბესო ჩუბინიძე იმ საღამოს გაიძახოდა: რა გემრიელი ყოფილა ლიზა ვადაჭკორიაო!.. ორგანიზატორები — მაია ჯაფარიძე და მაია სიხარულიძე კი, სიცილით იგუდებოდნენ.

თიკა შენგელიას ჩვენებას 600 ადამიანი ესწრებოდა

მოდელების სახლმა „მატერიამ“ „ქორთიარდ მერიოტში“ დიზაინერ თიკა შენგელიას 2006-2007 შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ჩვენება გამართა. ეს ჩვენება თიკასთვის პირველი როდი იყო — ის მაკა ასათიანის მოდელების სახლის დიზაინერი გახლდათ და მაკას მიერ მოწყობილ ჯგუფურ ჩვენებებშიც მიუღია მონაწილეობა. თიკას ბოლო ნამუშევრები განსაკუთრებული გამოუვიდა: მასში ქალური სინაზე, დახვეწილი გემოვნება და საერთოდ, ჩაცმის კულტურის თავისებური სტილი შეინიშნებოდა. ამ ყველაფერში მას სამოდელო სააგენტო „ნატალის“ და კიდევ, რამდენიმე დამოუკიდებელი მოდელი ეხმარებოდნენ. სულ 55 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი: კოსტიუმები, კაბები, შარვლები, მოკლე და გრძელი პალტოები, მოსასხამები, ქუდები, პომპონიანი გეტრები. ფეხსაცმელი სპეციალურად ამ კოლექციისთვის შეიკერა.

ჩვენებას დაახლოებით 600 ადამიანი ესწრებოდა. აუდიტორია თიკას ნამუშევრებს ტაშით აჯილდოებდა. ამგვარად, თბილისურმა ბომონდმა დიზაინერის კოლექცია კარგად მიიღო.

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(30 ნოემბერი – 6 დეკემბერი)

ვერძი 21.03-20.04

ეს პერიოდი ხელსაყრელი იქნება მოგზაურობისთვის, საქმიანი შეხვედრებისთვის. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ კონსერვატიულობა შეიძლება, დანაკარგების მიზეზად იქცეს, ხოლო მცირედი რისკი, სარგებლობას მოგიტანთ.

კურო 21.04-20.05

ამ კვირას თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი შესუსტდება, რაც დაღლილობისა და გაღიზიანების სახით გამოვლინდება. თავშეუკავებლობის გამო, გარშემო მყოფთა მკაცრი კრიტიკის ობიექტად იქცევით.

ტყუპი 21.05-21.06

ამ დღეებში თქვენ პარტნიორების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცევით. ისინი შეეცდებიან კონფლიქტში ჩაგითრიონ. უმჯობესია, რომ მათ არ აჰყვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სამსახურიდან დაგითხოვონ.

კიბო 22.06-22.07

სათანადო ყურადღებით უნდა მოეკიდოთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს. სწორედ მათ რჩევებსა და საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ გამოხვიდეთ შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან და თავი აარიდოთ მოსალოდნელ გართულებებს.

ლომი 23.07-23.08

ინტუიცია სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ. თუ დროს უქმად არ დაკარგავთ, ამ რთულ პერიოდს მშვიდობიანად გადააგორებთ. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ძალწული 24.08-23.09

კარგი იქნება, თუ ამ კვირის განმავლობაში ჯანმრთელობაზე სერიოზულად იზრუნებთ და შეეცდებით, სწორად იკვებოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ავად გახდეთ და თქვენი გეგმები ვეღარ განახორციელოთ, რაც ძალზე დასანანი იქნება.

სასწორი 24.09-23.10

ამ დღეებში მოსალოდნელია გართულებები სხვადასხვა საბუთების გაფორმებისას. ახალი ინფორმაცია გეგმებს შეგაცვლევინებთ, თუმცა მოგვიანებით, სწორედ ეს მოგიტანთ წარმატებას. შაბათ-კვირა აქტიურ დასვენებას დაუთმეთ.

მორიელი 24.10-22.11

ზედმეტად თავდაჯერებული და დაუფიქრებელი ქმედებები იმედგაცრუებას მოგიტანთ. გარდა ამისა, მატულობს სეზონური დაავადებების ალბათობა, ამიტომ სასურველია, დროებით მაინც მოთოკოთ მავნე ჩვევები.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ კვირას დაგეუფლებათ სურვილი, ცვლილებები შეიტანოთ თქვენს გარეგნობასა და საცხოვრებელ სივრცეში. ნუ შეეცდებით ყველაფრის ერთბაშად შეცვლას, თორემ შეიძლება, არასწორად გაგიგონ.

თხის რქა 22.12-20.01

ეს დღეები ახლობლების ვიწრო წრეში გაატარეთ და გულახდილი საუბრებისგან თავი შეიკავეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მოწინააღმდეგეების მიერ მოწყობილი ინტრიგები უსიამოვნებას მოგიტანთ და ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს შეგიშლით.

მერწყული 21.01-19.02

ამ პერიოდის განმავლობაში ძალზე ოპტიმისტურად იქნებით განწყობილი და საკუთარ მომავალს ნათელ ფერებში დაინახავთ. ამავე დროს, გარშემო მყოფები რჩევისთვის მოგმართავენ. გირჩევთ, მათ შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ.

თევზები 20.02-20.03

ამჯერად, სამსახურებრივი ვალდებულებები დიდ დროს წაგართმევთ, რაც თქვენი ოჯახის წევრებისა და პარტნიორების უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუმცა, ნუ შეჩერდებით! საკუთარ თავში შიში და უიმედობა დასძლიეთ და მიზანმიმართულად იმოქმედეთ.



გამოცდა

ლელა ოთარაშვილს ბოტასებით მეუჭრებიან

„სასახლეში“ ვამოვაღწევდეთ და საჭელს ჩემი ხელით ვაჭმევ“...

ლიკა ქაჯაია

ნინო, *21 წლის:*

„ლელა, ძალიან დიდ პატივს გცემ. მაინტერესებს, რა ხდება შენს შემოქმედებაში? ისე, მარტოს რომ გემღერა, „რონდოს“ გარეშე, უკეთესი იქნებოდა. წარმატებებს გისურვებ!“

ლელა ოთარაშვილი:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. სხვათა შორის, ბევრი მეუბნება: სოლო კარიერას მიხედეო, მაგრამ „რონდო“ იმდენად მიყვარს, რომ მას ვერ ვუღალატებ. თან, როცა პროფესიონალი მუსიკოსი ხარ, შენთვის დიდი სიამოვნებაა ხმებში მუშაობა... რამდენიმე სოლო სიმღერას აუცილებლად ჩავწერ და მათზე, შესაძლოა კლიპიც გადავიღო... რაც შეეხება „რონდოს“, ის თავისი სოლო კონცერტისთვის ემზადება, რომელიც 2007 წლის დასაწყისში გაიმართება.

ეკა, *18 წლის:*

„რონდო“ ახალი სიმღერის ჩაწერას არ აპირებს? ახალი წლისთვის რა გეგმები გაქვთ? ისე, რა მალე მოგვიახლოვდა ეს დღესასწაული, არა?“

ლელა ოთარაშვილი:

— მართლაც, ამ ბოლო დროს დღეები სწრაფად „გარბის“. ალბათ, ახალ წელს, როგორც ყოველთვის, სიმღერით შეეხვდებით... მალე ჩვენი ახალი ალბომი გამოვა. საერთოდ, „რონდოს“ ძალიან მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს, მაგრამ სიმღერების უმეტესობა ჩაწერილი არ არის. ყველაფერს ნელ-ნელა ჩავწერთ და ალბომებსაც გამოვუშვებთ.

უცნობი, *24 წლის:*

— ლელა, ცოლად გამომყვები? თუ უარს მეტყვი, იცოდე, რომ მოგიტაცებ და ჩემთან, იმერეთში წაგიყვან. ცოტა ხანს „სასახლეში“ გამოგამწყვდევ და ბედნიერი ვიქნები იმითაც, რომ საჭმელს ჩემი ხელით გაჭმევ. გკოცნი უამრავს“.

ლელა ოთარაშვილი:

— ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ ძალიან ბევრი ვიხალისე. აღფრთოვანებული ვარ შენი მიზანდასახულობით. მინდა გითხრა, რომ მაგარი კაცი ყოფილხარ...

გიო, *19 წლის:*

„ლელა, ძალიან მიყვარს შენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — მარი და მასთან საქმეს ვერ ჩამიწყობ? პატივისცემა ჩემზე იყოს“.

ლელა ოთარაშვილი:

— ალბათ იცი, რომ მარი ჩვენი ჯგუფის წევრი აღარ არის, რადგან ის რუსეთში, დედამისთან აპირებს წასვლას და სხვათა შორის, საქმროსთან (რომელიც ძალიან უყვარს) ერთად მიემგზავრება... ჩვენთან კი „რონდოს“ ძველი წევრი — მაიკო ჩიქოვანი დაბრუნდა.

ანუკი, *18 წლის:*

„ერთი ბიჭი მომწონს. ის ჩემი დაქალის ჯგუფელია. არ ვიცი, როგორ დავუახლოვდე ირაკლის. ვფიქრობ, იქნებ ღირდეს დაქალს მისი ტელეფონის ნომერი გამოვართვა და მესიჯების საშუალებით დავუახლოვდე? ამის შემდეგ კი ვუთხრა, ვინც ვარ. გთხოვთ, მითხრათ, სწორად მოვიქცევი? მე ვერაფერს ვწყვეტ, რადგან ძალიან დავიბენი“.

ლელა ოთარაშვილი:

— ვერ ვხედავ, რატომ გერიდება დაქალს რაიმე სთხოვო. რა, ის შენი გულითადი მეგობარი არ არის? თუ ასეა, მაშინ ტელეფონის ნომერი არ გამოართვა, სიტუაციას დააკვირდი და დაფიქრდი, ღირს კი, ის ბიჭი იმად, რომ მისთვის იბრძოლო? თუ გიღირს, მაშინ დაურეკე, მაგრამ თავიდანვე უთხარი, ვინც ხარ — ბიჭებს გულახდილი ქალები მოსწონთ. ისე კი გირჩევ, თავი შეიკავო აქტიურობისგან. თუ შენი ბედია, თვითონვე დაგეკონტაქტება.

უცნობი, *15 წლის:*

„3 წელია შეყვარებული მყავს და 1 წელია, რაც მასთან სექსიც მაქვს. ის არასდროს ლაპარაკობს ჩემს ცოლად მოყვანაზე. ყოველთვის მინდა, ამ თემაზე დაველაპარაკო, მაგრამ მერიდება“.

ლელა ოთარაშვილი:

— ცოტა არ იყოს დავიბენი. ბავშვო, ჯერ 15 წლის ხარ, ყველაფერი წინ გაქვს. შენი ასაკიდან გამომდინარე, ვერ შეძლებ ღირსეული ოჯახის შექმნას და მის წარმართვას. გირჩევ, მოძღვართან მისვლას, ის დაგაყენებს სწორ გზაზე.

D@L, *15 წლის:*

„ჩემი შეყვარებული სტუდენტია, მე კი მხოლოდ 15 წლის ვარ. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ, საერთო შეხედულებები და ფასეულობები გაგვაჩნია. ამას გარდა, მეგობრობაც გვაკავშირებს, მაგრამ ჩემს მშობლებს ძალიან ეშინიათ, შეცდომა არ დავუშვა და ამის გამო, მაქსიმალურად მზღუდავენ... ნუთუ, ამგვარი სიყვარულიც დანაშაულია? მით უმეტეს, რომ ჩემს შეყვარებულს ჩემთვის არც უკოცნია“.

ლელა ოთარაშვილი:

— მშობლების პოზიციას ძალიან მკაცრად ნუ გააკრიტიკებ. რაც არ უნდა იყოს, ჯერ პატარა ხარ და მათი კონტროლი აუცილებლად გჭირდება. მათ შენთვის სიკეთე უნდათ და ამიტომაც გიფრთხილდებიან... იმ ბიჭს თუ მართლა უყვარხარ, დაგელოდება, მანამდე კი გირჩევ, სწავლაზე იფიქრო.

ანკა, *13 წლის:*

„ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე, რა. შემიყვარდა ჩემი ნათესავის ძმაკაცი. ძალიან მინდა, ჩემი გრძნობები გავუმხილო, მაგრამ „მიტყდება“, მერე თვალებში როგორ ჩავხედო? მირჩიეთ რაიმე, გთხოვთ. იცით, რა ძნელია უიმედო სიყვარული? გკოცნით და წინასწარ გიხდით მადლობას“.

ლელა ოთარაშვილი:

— ანკა, ჩემო კარგო. ჯერ ძალიან პატარა, საყვარელი ბავშვი ხარ. დარწმუნებული ვარ, გავა წლები და შენს ამ გატაცებაზე ბევრს იხალისებ. თავის დროზე კი შენც გეწვევა დიდი სიყვარული. გირჩევ, მოძღვართან მიხვიდე, ეკლესიაში იარო და შენი ემოციებიც დაცხრება.

მის ცუნცულა, *16 წლის:*

„პირველი სიყვარული, პირველი ხატება/ პირველი სიყვარული სულ ტანჯვით მთავრდება/ პირველი სიყვარული რატომ არ მართლდება? — ლელა, შეგიძლია ამ კითხვაზე პასუხი გამცე?“

ლელა ოთარაშვილი:

— პირველი სიყვარული ზოგჯერ მართლდება, ზოგჯერ — არა. ეტყობა, შენი დრო ჯერ არ მოსულა. ვგულისხმობ, ნამდვილ, წრფელ სიყვარულს. ყველაფერს თავისი დრო აქვს და მალე, შენც გეწვევა ბედნიერება.

ნინი, *18 წლის:*

„ერთმა ბიჭმა სიყვარული ამიხსნა, არადა, ვიცი, რომ ეს მხოლოდ გართობის მიზნით გააკეთა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ძალიან მიყვარს და ახლა არ ვიცი, რა ვქნა“.

ლელა ოთარაშვილი:

— რატომ გგონია, რომ გართობის მიზნით აგიხსნა სიყვარული? თუ მართლა ასე მოიქცა, მაშინ შენი ღირსი არ ყოფილა...

ჩორნა, *18 წლის:*

„გამარჯობა, ლიკა. ძალიან ცუდად ვარ და თქვენი დახმარება მჭირდება. 2 თვის წინ დავშორდი ბიჭს, რომელიც მიყვარდა და სხვას გავყევი. ერთი თვეა, რაც სხვისი სახელით ვემესიჯები. მგონი, თავიდან შევუყვარდი. არ მინდა, ჩემი ვინაობის გამხელით გული მეორედ ვატკინო, არადა, უკვე აღარ შემიძლია იმის მოსმენა, თუ როგორ უღალატა ყოფილმა შეყვარებულმა, რადგან ის ყოფილი მე ვარ. P.S. იქნებ, დათომ წაიკითხოს და მაპატიოს“.

ლელა ოთარაშვილი:

— საერთოდ, არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც ვიღაცის ჯიბრზე თხოვდებიან. შენ ის მართლა რომ გყვარებოდა, ასე არ მოექცეოდი. მასზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა სხვას მიჰყვებოდი. ახლა ქმარი გყავს და სინანული გვიანია. გირჩევ, თავი განსაცდელში არ ჩაიგდო. დაიმახსოვრე, ცხოვრება თამაში არ არის.

დაბოლოს, მინდა, ყველა ქალს ვუთხრა, რომ იყვნენ თავშეკავებულნი, გაწონასწორებულნი, არ დაკარგონ ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი კდემამოსილება და მოკრძალება...

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.* ■

ემზარ კვიციანის ნათლული, სვანების ბენდენიანი პატარძალი და დაკანონებული ურთიერთობა

ნათია ქივიძე

როცა მომღერალმა თემო ხვიბლიანმა დამირეკა და მითხრა: 26 ნოემბერს ჩემს ქორწილში გეპატიჟებიო, ვიფიქრე: ნეტავ, მეორე ცოლი ხომ არ მოიყვანა-მეთქი, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ რამდენიმე დღის წინ თემოს მეუღლეს, ქეთი იასამნიძეს ტელეფონით ვესაუბრე და მათ შორის, ყველაფერი კარგად იყო... უკვე მეორე წელია, რაც ისინი ერთად არიან და ჩემი გაკვირვების მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ. თუმცა, თემო სვანია და მისგან ეს გასაკვირი არც იყო... მოკლედ, ჯვრისწერა სამების ტაძარში შედგა. ნეფე-პატარძალი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარში 20-მდე მექორწილე იყო, ყველას ყურადღება მაინც თემომ და ქეთომ მიიპყრო. მათ ავთო ცქვიტინინძის მიერ შეკერილი ტანსაცმელი ეცვათ. პატარძალი საკმაოდ არაორდინარულად გამოიყურებოდა. მას ტრადიციული ფატის ნაცვლად, თავზე ბენდენა ჰქონდა წაკრული (რომელიც ძალიან უხდებოდა)... ერთ-ერთმა ტაძრის მსახურმა მეორეს ჰკითხა: სიძე ძალიან მეცნობა და ვინ არის, ხომ არ იციო? პასუხმაც არ დააყოვნა — როგორ ვერ იცანი, ეგ ხომ გიგა კვენტაძეაო (რითი მიამსგავსა, ვერ გეტყვით). ჯვრისწერის შემდეგ, ქეთი და თემო პატრიარქმა, ილია მეორემ დალოცა და რა თქმა უნდა, კურთხევის ნიშნად მათ თავზე დაადო ხელი. ამის შემდეგ, ქეთომ გადაწყვიტა, ამ ბენდენას არასოდეს გავრეცხავ და პატრიარქის მადლს შევინახავო. სამებიდან პირდაპირ ერთ-ერთ სვანურ რესტორანში წავედით, სადაც „მმაჩის ბიუროს“ წარმომადგენლები დაგვხვდნენ და სიძე-პატარძალმა ხელი მოაწერა, მერე კი, მხიარულებაც დაიწყო... მოგეხსენებათ, თემოს 5 ნათლია ჰყავს, ოთხი მათგანი საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი სახეა, მაგრამ ქორწილში არც ერთი არ მოსულა. სოსო ჯაჭვლიანი მხოლოდ ჯვრისწერას დაესწრო და ახალდაქორწინებულებს ბოდიში მოუხადა: გადაღებაზე გავრბივარ და თუ მუშაობას ძალიან გვიან არ დავამთავრებ, ქორწილში აუცილებლად შემოგივლითო. მაგრამ ეტყობა, ვერ მოიცალა, რადგან რესტორანში აღარ გამოჩენილა. ემზარ კვიციანის არმოსვლის მიზეზი, ალბათ ყველასთვის გასაგებია. თუმცა, ის ისეთი ხასიათის კაცია, მეგონა: წუთი-წუთზე რესტორნის თავზე „ვერტალიოტი“ დაეშვება და კვიციანი ნათლულს გაბედნიერებას მიულოცავს-მეთქი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა... აჩი ფურცელაძე უკვე კარგა ხანია, მოსკოვში იმყოფება, ნიკა ლომიძეს კი, როგორც თემომ მითხრა — ვერაფრით დავუკავშირდიო. აი, ასე, ცნობილი სახეების გარეშე მოვილხინეთ იმ საღამოს. სიძე ისეთი ბედნიერი იყო, რომ მიუხედავად იმისა, ქართული ცეკვისგან ცოტა არ იყოს და „შორს“ არის, მთელი საღამო

ჩვენი ქორწინება უფლისგან კურთხეული გახდა და — ილია მეორემ დაგვლოცა

არ გაჩერებულა. „სვანურიდან“ დაწყებული (რომელიც ყველაზე კარგად გამოსდის), „აჭარულით“ დამთავრებული, ყველა ცეკვა შეგვისრულა. თაიგულის სროლის დროც დადგა და გასათხოვარმა გოგონებმა პატარძლის უკან მოიყარეს თავი. თურმე, ოჯახის შექმნის პრობლემა მხოლოდ გოგონებს არ აწუხებთ, რადგან გასათხოვარ ქალიშვილებზე მეტად, დასაქორწინებელი ბიჭები აქტიურობდნენ და თაიგულიც ერთ-ერთმა მათგანმა დაიჭირა. ქორწილი და მხიარულება გვიანობამდე გაგრძელდა... ინტერვიუს ჩასაწერად ნეფე-პატარძალს მეორე დღეს შინ ვესტუმრე, მაგრამ მათ ბევრი სტუმარი ჰყავდათ, ისევ სუფრასთან ისხდნენ და ამიტომ, ჩვენი ინტერვიუ მხოლოდ რამდენიმე კითხვით შემოიფარგლა.

თემო:

— როგორც იცი, 2005 წლის 7 აპრილს, მე და ქეთომ გადავწყვიტეთ, რომ სულ ერთად ვყოფილიყავით. ქორწინებას 15 აპრილს ვგეგმავდით, მაგრამ ვეღარ მოვითმინეთ, მოვლენები დავაჩქარეთ და 7-ში გავბედნიერდით. თავიდანვე გვინდოდა, ჩვენი ურთიერთობა ღმერთისა და საზოგადოების წინაშეც დაკანონებულიყო, მაგრამ ამაში ბევრმა რაღაცამ შეგვიშალა ხელი. მათ შორის იმან, რომ ოჯახის ძალიან ახლობელი, ახალგაზრდა ნათესავი გარდაგვეცვალა. ახლა გადავწყვიტეთ, ქორწილი მარხვის დაწყებამდე გადაგვეხადა, მაგრამ ისეთი მასშტაბური მაინც ვერ გავაკეთეთ, როგორიც გვინდოდა ყოფილიყო. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა — 3 კვირის წინ, ნათესავი გარდაგვეცვალა. მიუხედავად ამისა, ჯვრისწერა ვერ გადავდეთ და ქორწილში მხოლოდ შინაურები შეიკრიბნენ.

ქეთი:

— ეს ჩვენთვის უბედნიერესი დღე იყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი ქორწინება უფლისგან კურთხეული გახდა და მეორეც — კათალიკოს-პატრიარქმა დაგვლოცა. მოგვიანებით ხელიც მოვაწერეთ და კარგადაც მოვილხინეთ.

თემო:

— ორ-ორი მეჯვარე გვყავდა. ჩემი მეჯვარეები ჩვენი ოჯახის ძალიან ახლო მეგობრები, რომა ბერუაშვილი და ჩემი კლასელი — გიორგი ჩხეიძე იყვნენ. ქეთის მეჯვარე მისი კლასელი — გვანცა ვახტანგიშვილი და მოდელი, ანი გარაყანიძე გახლდნენ. მოგეხსენებათ, რომ ქეთი „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი იყო. სწორედ იმ სააგენტოში გაიცნო ანი და მას მერე მეგობრობენ.

— როგორც ვიცი, თქვენს ჩაცმულობაზე ავთო ცქვიტინიძემ იზრუნა. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს საქმე მისთვის მიგენდოთ?

— საქართველოში მასზე უკეთესი დიზაინერი არ გვეგულება. წლებია, რაც ავთოსთან ვთანამშრომლობ.

ქეთი:

— რაც შეეხება ჩემს საქორწინო კაბას, მე და ავთომ მისი მოდელი ერთად შევარჩიეთ სხვადასხვა კატალოგიდან. მიხარია, რომ ჩვენი გემოვნება ერთმანეთს დაემთხვა. კაბის ქსოვილი „გოტიესია“ და „სვაროვსკის“ თვლებით არის გაწყობილი. მიხარია, რომ განსხვავებული პატარძალი ვიყავი. ჩემი აზრით, მოდაში აღარ არის „გაბერილი“ კაბები, კორსეტები და ფატები. არ მინდოდა, სხვა პატარძლებივით გადატვირთული ვყოფილიყავი თმის სამაგრებით, თავზე ყვავილებით და ა.შ. თუ არ ვცდები, ხალხს მოვეწონე ისეთი, როგორიც ვიყავი.

— თემო, შენს ნათლიას, ემზარ კვიციანს არ მოულოცავს გაბედნიერება?

— არა.

— რაც ძებნაშია, არ დაგკავშირებია?

— რატომ უნდა გითხრათ? ეს ჩემი და ჩემი ნათლიის პირადი საქმეა...

— კარგი, თემა შევცვალოთ. ახლა ალბათ, შვილის გაჩენაზეც იფიქრებთ...

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ არ გადაგვწყვეტია, რამდენ შვილს ვიყოლიებთ. ალბათ იმდენს, რამდენსაც ღმერთი მოგვცემს... ■



არ მინდოდა, სხვა პატარძლებივით გადატვირთული ვყოფილიყავი...

პაპარაცებმა ფოტოზე BMW-ს „ღამაზმანი" აღბეჭდეს

BMW ახალი მოდელის გამოცდითაა დაკავებული. ფოტოგრაფებმა კამუფლირებული ავტომობილის იმ მომენტში გადაღება მოახერხეს, როდესაც მისი ტესტირება ტარდებოდა. ფოტოს ავტორთა აზრით, შეიძლება, ეს X5-ის ბაზაზე აწყობილი ოთხკარიანი BMW X6-ია, ან V5, რომელიც Mersedes R-Class-ის კონკურენტად მოგვევლინება. X6-ის ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მანქანის უკანა ნაწილი სრულიად დახურულია და უნივერსალის კონტურს მიღმა, ცალკე საბარგულის დამონტაჟებაა შესაძლებელი. ტექნიკური თვალსაზრისით, ახალი BMW მოდელ X5-ის იდენტური იქნება — აღჭურვილი ბენზინისა და დიზელის ავზებითა და რვაცილინდრიანი ძრავებით. არც ისაა გამორიცხული, რომ ახალი მოდელის ტოპვერსია BMW M5-ისა და M6-ის ხუთლიტრიანი მოტორით — V10-ით აღიჭურვება. BMW X6-ისა და V5-ის დებიუტი სავარაუდოდ, 2008 წელს შედგება. ■

ისს დაარქმევენ Peugeot-ის ჰეჩბეკს?

Peugeot-ის წარმომადგენლებს ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რა უწოდონ Peugeot 207-ის ჰეჩბეკის ახალ ვერსიას, რომლის გამოშვებაც 2007 წლის მარტისთვისაა დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ ჰეჩბეკის წინა თაობის ნიმუშს — Peugeot 206-ს ევროპულ ბაზარზე 206 RC ერქვა. მაგრამ ახალი ავტომობილი საკმარისად ექსტრემალური არ აღმოჩნდა, ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ მას 207 GTI ერქმევა. ხოლო RC-ს აბრევიატურას ფრანგები კიდევ უფრო სწრაფ და მძლავრ მანქანას მიანიჭებენ. ჯერჯერობით უცნობია ისიც, თუ როგორი ძრავათი აღიჭურვება Peugeot 207. შესაძლოა, მასში BMW-ს სპეციალისტთა მონაწილეობით შექმნილი, 1,6-ლიტრიანი ბენზინის ტურბოძრავა გამოიყენონ, რომლის სიმძლავრეც 175 ცხ.ძ-ა. ზუსტად ასეთივე ძრავათი აღიჭურვება ახალი Minicooper S. მეორე ვარიანტად, ახალ მანქანაზე ორლიტრიანი ატმოსფერული ძრავას დამონტაჟება განიხილება, რომლის მაქსიმალური სიმძლავრეც 180 ცხ.ძ-ა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, აგრეგატის მოდერნიზება იქნება საჭირო, რათა მისი სიმძლავრე 200 ცხ.ძ-მდე გაიზარდოს. ■

ელექტრომობილის ერა იწყება

ამერიკულ კომპანია Tesla-ს, რომელიც Lotus Elise-ს ბაზაზე სპორტულ ელექტრომობილებს უშვებს, თავისი წარმოების გაფართოება ახალი, ელექტროძრავიანი სედანის გამოშვებით სურს. გაბარიტებითა და ტექნიკური მახასიათებლებით, ის მე-5 სერიის BMW-ს უახლოვდება. წინამორბედისგან — ალუმინისგან დამზადებული როდსტერისგან განსხვავებით, ახალ სედანს ფოლადის ძარა ექნება. მოდიფიკაციის შესაბამისად, ელექტროენერგიის მარაგი Tesla-ს 320-იდან 480 კმ-მდე გასავლელად ეყოფა. ამჟამად Tesla ორადგილიან სპორტულ ელექტრომობილ Rodster-ს უშვებს. მას 210 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია. 100 კმ/სთ-ს კი, 4 წმ-ში აღწევს, ხოლო ერთხელ დატენილი აკუმულატორით 400 კმ-ს ფარავს. ■

Alfa Romeo-ს სედანი ამერიკული ბაზრისათვის

Alfa Romeo ახალი სედანის კონსტრუირებითაა დაკავებული. Maserati Quattroporte-ს პლატფორმაზე აწყობილი მანქანა პირველ რიგში, ამერიკული ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი. ამ ბაზარზე დაბრუნების შესახებ იტალიურმა კომპანიამ ჯერ კიდევ ივნისში გამოაცხადა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2009 წლიდან ამერიკაში Alfa Romeo 159 ოდნავ შეცვლილი სახით გაიყიდება: Breras kupe, Spider-ის კაბრიოლეტი და კიდევ რამდენიმე პერსპექტიული მოდელი — დიდი სედანი, კომპაქტური ჰეჩბეკი და კროსოვერი. თავდაპირველად Alfa Romeo 169, Alfa Romeo 159-ის პლატფორმაზე უნდა აგებულიყო, მაგრამ მოგვიანებით იტალიელებმა ეს პლატფორმა ძალზე ვიწროდ მიიჩნიეს და Maserati Quattroporte-ს მომავალი თაობის აგრეგატების გამოყენება გადაწყვიტეს. მათი გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური უნდა იყოს, რადგან Fiat-ის რესტრუქტურიზაციის გამო, Maserati-ს მარკა Ferrari-ს კონტროლიდან გამოდის და Alfa Romeo-ს ქვედანაყოფს უერთდება. Alfa Romeo, რომელმაც კომპოზიტიური ძრავებით გაითქვა სახელი, ასეთ მანქანებს 1992 წლიდან აღარ უშვებს. ბოლო ასეთი Alfa Romeo გახლდათ კომპაქტური მოდელი 75, რომელიც კომპანიამ ჯერ კიდევ 1985 წელს წარმოადგინა. ■

რამდენად ყურადღებიანი ხართ?

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ფხიზლად არიან და თითქმის არაფერს ძალუძს მათი გაკვირვება, გაოგნება და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება. სრულიად საწინააღმდეგო კატეგორიას მიეკუთვნებიან დაბნეული, უყურადღებო ადამიანები, რომლებსაც სრულიად უბრალო სიტუაციაშიც კი თავგზა ებნევათ.

ქვემოთ შემოთავაზებული ტესტი დაგეხმარებათ დასკვნების გამოტანაში, რამაც შესაძლოა, რაღაც-რაღაცებზე დაგაფიქროთ კიდეც.

ქვემოთ დასმულ შეკითხვებს გაეცით პასუხები — „დიახ“ ან „არა“.

1. საკუთარი უყურადღებობის გამო, ხშირად რჩებით თუ არა წაგებული?
2. ნაცნობ-მეგობრები ხშირად ხომ არ გიწყობენ ოინებს?
3. გაქვთ თუ არა იმის უნარი, რომ რაღაც საქმე აკეთოთ და თან ისიც მოისმინოთ, რაზეც თქვენ ირგვლივ ლაპარაკობენ?
4. ოდესმე ქუჩაში ფული თუ გიპოვიათ?
5. აქეთ-იქით ყურადღებით იხედებით თუ არა ქუჩაზე გადასვლის დროს?
6. შეგიძლიათ თუ არა დეტალურად აღიდგინოთ ორიოდე დღის წინ ნანახი ფილმის შინაარსი?
7. ხომ არ ღიზიანდებით, როცა ვინმე წიგნისა თუ გაზეთის კითხვას, საინტერესო გადაცემას ან საერთოდ რაიმე საქმიანობას გწყვეტთ?
8. მაღაზიაში ყოფნისას ითვლით თუ არა მოლარის მიერ დაბრუნებულ ხურდას იქვე, ვიდრე სალაროს მოშორდებით?
9. სახლში ადვილად პოულობთ თუ არა თქვენთვის საჭირო ნივთს?
10. ვინმეს მოულოდნელ დაძახებაზე ხომ არ კრთებით ხოლმე?
11. ერთი ადამიანი მეორეში ხომ არ გეშლებათ ხოლმე?
12. გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა ლაპარაკში გართულს ტრანსპორტიდან საკუთარ გაჩერებაზე ჩამოსვლა დაგვიწყებიათ?
13. შეგიძლიათ თუ არა დაყოვნებისა და ჭოჭმანის გარეშე დაასახელოთ თქვენი ახლობლების დაბადების თარიღები?
14. იოლად ფხიზლდებით თუ არა ძილის შემდეგ?
15. შეგიძლიათ თუ არა დიდ ქალაქში ვინმეს დახმარების გარეშე მიაგნოთ იმ ადგილს (მუზეუმს, კინოთეატრს, მაღაზიასა თუ დაწესებულებას), სადაც შარშან და ისიც მხოლოდ ერთხელ იყავით?

დააჯამეთ ქულები: შეკითხვებზე — 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 13, 14 და 15 დადებითად გაცემული პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ 1 ქულა. ასევე 1 ქულა დაიწერეთ უარყოფითი პასუხების შემთხვევაში 1, 7, 10, 11 და 12 შეკითხვებზე.

ტესტის შედეგები:

11 და მეტი ქულა: საოცრად ყურადღებიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი ბრძანდებით. თქვენ მიერ ყველასა და ყველაფრის მიმართ გამოვლენილი ყურადღება ნამდვილად აღნიშვნის ღირსია, რადგან ამ უნარით ყველა როდი გამოირჩევა.

5-10 ქულა: საკმაოდ ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით და მნიშვნელოვანი რამეები არასოდეს გავიწყდებათ. მაგრამ, როგორც იტყვიან, უცდომელი არავინაა — ზოგჯერ შეიძლება, დაბნეულობის წყალობით, რაღაც-რაღაცები თქვენც დაგავიწყდეთ, ამან კი შესაძლოა, გაუგებრობები გამოიწვიოს. თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საპასუხისმგებლო მომენტებში თქვენ ყურადღების მობილიზების გასაოცარ უნარს ავლენთ და შეცდომას არ უშვებთ.

4 და ნაკლები ქულა: ძალზე დაბნეული ადამიანი ბრძანდებით და თქვენს ცხოვრებაში არსებული უამრავი უსიამოვნება, სწორედ ამ თვისებასთანაა დაკავშირებული. როცა ახლობლები და კოლეგები უყურადღებობაში გადანაშაულებენ, თქვენ ღიმილით ცდილობთ სიტუაციის განმუხტვას და პასუხობთ, რომ მეოცნებე ნატურა ხართ და მსგავს წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევთ. თუმცა, ისმის კითხვა: მართლაც წვრილმანებია თუ არა ის, რაც ყურადღების მიღმა გრჩებათ? თქვენი დაბნეულობისა და უყურადღებობის წყალობით ხომ ხშირად გარშემო მყოფებიც ზარალდებიან? არის შემთხვევები, როცა ადამიანები საკუთარი უყურადღებობითა და ამა თუ იმ საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულებით თავსაც კი იწონებენ ხოლმე, მაგრამ კარგად თუ გავაცნობიერებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანის ძალზე უარყოფითი თვისებაა, რამაც შეიძლება არა მარტო თქვენ, არამედ თქვენს ახლობლებსაც უამრავი უსიამოვნება მიაყენოს. ეცადეთ, თავი დააღწიოთ ამ ნაკლს.

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

* მარტივი

		7		3		4		
	9	2	4			1	5	
	3		5	9		8		
	1		8			9		4
	8			2			7	
6		5	9	1			3	
		1		8	5		4	
	6	8			9	3	1	
		9		6		7		

** საშუალო

	1			5				7
	5			9		3	4	
	3		7			9		
	7		6				9	
		1	4		3	5		
	4		9				6	
		5			2		8	
	2	9		4			3	
3				7			1	

*** რთული

		7	9			6		
		8						9
	5			4				
3								1
	2				3		9	
6				5				4
				3			2	
4						7		
		5			7	9		



1 უბანი თბილისში
2 უდაბნო აფრიკაში
3 ხორცის ნახარში
4 საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი
5 ფენისის ძვ. ქართული სახელწოდება
6 ფრანგი ფერმწერი
7 ჰომეროსის პოემა
8 პურის საცხობი
9 სახელ-დახელოდ თქმული ლექსი
10 დამუხტული ატომი
11 საჭრელი იარაღი
12 პარლამენტის თავმჯდომარე
13 თხელი თონის პური
14 პოლონელი კინორე-ჟისორი
15 „რობ-ინზონ კრუზოს“ ავტორი
16 ისტორიული ოლქი ესპანეთში
17 დიდი მონასტრის წინამძღვარი
18 ნაპოლეონის პირადი მხატვარი
19 წარწერიანი ძვირფასი ქვა
20 ძალიან ნელა მიმდინარე წყალი
21 მწვალე-ბლობა
22 ებრაელთა სალოცავი
23 მდი-ნარის ქვიანი ნაპირი
24 კაკლის საბერტყი ჯოხი
25 გაუმაძღარი
26 ამერიკის შტატი
27 ისლამ-ის წმინდა თქმულება
28 ლომის ან ვეფხვის ოჯახი
29 მთის წაწვეტებული მწვერვალი
30 მეც-ნიერების გამოჩენილი მოღვაწე
31 მდფელი კათოლიკეში
32 ავსტრიელი მწერალი
33 ზღვის პატარა ყურე
34 იაპონური დეკორატული ხელოვნება
35 ლაშქარი
36 ერთგვარი გულიანი ნამცხვარი
37 ქართველი მოშადრაკე ქალი
38 „ნუტელუ-სის“ კაპიტანი
39 იაპონური ჭიდობა
40 მზაკვარი, მუხანათი
41 ექსკურსია-მძღოლი
42 ნაკვალსახელი
43 ფიზიკის ნაწილი
44 ევროპელი ქვეყანა
45 ბრტყლად შემწვარი ვარია

ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. დეფიციტი; 2. ტირანია; 3. ტენორი; 4. იაპონია; 5. რენეგატი; 6. ალეგორია; 7. ქარაფი; 8. ქავთარაძე; 9. კალენდარი; 10. ბლერი; 11. აზნავური; 12. პრადო; 13. გოგენი; 14. კარატე; 15. რეგრესი; 16. რაიხი; 17. ალაზანი; 18. დიეტა; 19. ნარა; 20. სურა; 21. ვატი; 22. ტურნე; 23. აგავა; 24. გულადი; 25. ბედუინი; 26. სიმდი; 27. თონე; 28. მახათი; 29. არარატი; 30. რა; 31. ელბა; 32. მერხი; 33. ციონიზმი; 34. ჯოისი; 35. მარანელო; 36. ვარძია; 37. სახედარი; 38. ბრაზილია.

სურათზე: რენე ზელვეგერი; ჯიმ კერი.

ახალი SMS-რეკორდი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა

ამ დღეებში სინგაპურელმა სტუდენტმა ან ჩუან იანმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. მან 160 სიმბოლოსგან შედგენილი შეტყობინების დაბეჭდვას მხოლოდ 41,52 წმ მოანდომა. წინა რეკორდი — 42,22 წმ — ამერიკელ ბენ კუკს ეკუთვნოდა. „გაისად შედეგის გაუმჯობესებას ვაპირებ. იმედი მაქვს, მომავალში დროს 39 წამამდე შევამცირებ“, — განაცხადა 16 წლის „მისტერ სწრაფთითებამ“, თან დასძინა, რომ ყოველდღე ვარჯიშობს და ნელ-ნელა სულ უფრო პატარაკლავიატურიან ტელეფონებზე გადადის. ახალი ჩემპიონის აზრით, ამგვარი ტრენინგების მეშვეობით, მისი ოსტატობა უფრო და უფრო იხვეწება.

SMS-ჩემპიონატი მთელ მსოფლიოში ტარდება. გინესის რეკორდების წიგნის კომისიამ სპეციალური სავარჯიშო ტექსტიც კი გამოაქვეყნა, რომელსაც ქართველ SMS მოყვარულებსაც ვთავაზობთ: The razor-toothed piranhas of the genera Serrasalmus and Pygocentrus are the most ferocious freshwater fish in the world. In reality they seldom attack a human — და ვურჩევთ, უცხოელ კოლეგებს მიჰბაძონ, რომლებმაც ეს ტექსტი საკუთარი 5 თითივით ზეპირად იციან. ■

გენეტიკური ანომალია: ჯატამ ლეკვები გაჩინა

ბრაზილიელი მეცნიერები საგონებელში არიან ჩავარდნილები: ფისუნია მიმიმ ლეკვები დაყარა... ქალაქ პასო ფუნდოს მცხოვრები ქალბატონი — კასია აპარსეიდა დე საუზა ირწმუნება, რომ მისი კატა მეზობლის ძაღლთან შეწყვილების შედეგად დამაკდა. მიმის 6 შვილი გაუჩნდა. 3 მათგანი კატის კნუტს ჰგავს, დანარჩენი სამი კი — ძაღლის ლეკვს. ახალშობილთა სახეობის დასადგენად, გენეტიკოსებმა ცხოველების სისხლის ანალიზი აიღეს. მეცნიერებამ განსხვავებული ჰიბრიდების გაჩენის შემთხვევები ადრეც იცოდა, მაგრამ დღემდე ამგვარი რამ მხოლოდ მონათესავე სახეობის ცხოველთა შეჯვარების შედეგად მომხდარა. მაგალითად, ლომისა და ვეფხვის შეწყვილების შემდეგ, „ლოფხვები“ დაბადებულან. არსებობს ბოთლისებრი დელფინისა და ვეშაპის ჰიბრიდიც, მაგრამ კატისა და ძაღლის შეჯვარების შემთხვევა პირველად დაფიქსირდა. ■

მილიონერთა ჯრუიზი

ნოემბერში ჩინეთში შედგება კრუიზი იმ მილიონერთათვის, რომლებიც მეორე ნახევრის ძიებაში არიან. ამ კრუიზის მონაწილე ქალბატონების მიმართ ერთადერთი მოთხოვნაა: ისინი „მომხიბვლელნი და სასურველნი უნდა იყვნენ“. „მდიდარი ადამიანები, ჩვეულებრივ, ძალზე დაკავებულნი არიან. ქალებთან მათი ნაცნობობა ძირითადად, ბიზნესკავშირითა და თანამშრომელ ქალბატონებთან ურთიერთობით შემოიფარგლება, რაც უფრო გულითადი ურთიერთობისთვის არასაკმარისია“, — ამბობს კრუიზის ორგანიზატორი ხუ ტიანლი. არსებული ინფორმაციით, კრუიზის სამგზავრო ბილეთების შეძენის მსურველ მამაკაცთა აქტივები 13 მლნ გირვანქა სტერლინგს აჭარბებს. ერთ-ერთმა მგზავრმა განაცხადა, რომ მოგზაურობის დაწყებას მოუთმენლად ელის: „ლამაზ ქალებს ქუჩაში ხშირად ვხვდები, მაგრამ იმ ქალბატონთა უმრავლესობა, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, მათ რიგს არ მიეკუთვნება, ვისაც შეიძლება, ცოლის სტატუსის პრეტენზია ჰქონდეს. ჩემთვის უმთავრესი — გარეგნობაა“, — ამბობს მდიდარი მგზავრი, რომელიც საკუთარ თავს მისტერ სანს უწოდებს. ■

მსოფლიოში უდიდესი სიგარა

აშშ-ში გიგანტური სიგარა დაახვიეს, რომლის სიგრძე 30 მეტრია, წონა კი — 24 კგ-ს აღწევს. სიგარა ახალი მსოფლიო რეკორდის პრეტენდენტია. მის დამზადებას 75 სთ დასჭირდა. მსგავს ნაკეთობათა შორის რეკორდსმენად დღემდე, კუბაში ერთი წლის წინ დამზადებული 20-მეტრიანი სიგარა იყო მიჩნეული. გიგანტური სიგარების დამზადებით, გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის მცდელობა პირველი როდია. 2005 წელს პუერტო-რიკოს ერთ-ერთი თამბაქოს პლანტაციის მფლობელმა საზოგადოების სამსჯავროზე 18,6-მეტრიანი სიგარა წარმოადგინა, რომლის შექმნას 9 კგ თამბაქო, 100 ფოთოლი და 4 დღე დასჭირდა. სიგარის დასახვევად გაწეულმა ხარჯმა 2.000 დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა სპონსორებმა — ქალაქის ადმინისტრაციამ, კომპანიამ Bacardi და ტელეარხმა Telemundo — გაიღეს. ■

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

9	8	3	4	2	6	5	7	1
7	4	1	8	5	9	6	2	3
5	6	2	7	3	1	8	4	9
3	9	7	6	1	4	2	8	5
4	5	8	2	7	3	9	1	6
1	2	6	5	9	8	4	3	7
2	7	4	3	6	5	1	9	8
8	1	5	9	4	7	3	6	2
6	3	9	1	8	2	7	5	4

4	6	1	5	7	3	9	2	8
3	8	9	2	4	1	6	7	5
2	5	7	9	6	8	4	1	3
6	9	3	1	8	4	2	5	7
8	2	4	7	5	9	1	3	6
1	7	5	6	3	2	8	4	9
7	4	6	8	1	5	3	9	2
5	3	2	4	9	6	7	8	1
9	1	8	3	2	7	5	6	4

5	7	6	3	9	8	4	1	2
4	1	8	5	2	7	9	3	6
2	9	3	6	4	1	5	7	8
1	8	2	9	7	6	3	5	4
9	5	7	4	8	3	6	2	1
6	3	4	2	1	5	7	8	9
3	2	1	7	6	9	8	4	5
7	4	9	8	5	2	1	6	3
8	6	5	1	3	4	2	9	7

ფოტოკუჩიოზები





Premier by Dead Sea Premier

ნიღაბი ღამის ფეხრის

6781/42

ეხლა ფასდაკლებაზეა

დაჯილდოვებულია ოქროს საუკეთესო პროდუქტი

ტელ: (+995 32) 38 44 54
მობ: (+995 99) 54 66 66
შ.პ.ს. ი.ლ. პრემიერი
www.il-premier.ge